

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



# შ რ ტ მ ე ბ ი

XIX

20


1921

წელი

1941

7/III  
1941  
5  
90

თ ბ ი ლ ი ბ ი 0 6 0 - 1 9 4 1



სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XIX

სტალინის სახელობის თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского Государственного Университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1941

# მეცნიერება

დაიბეჭდა სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის  
დოც. დ. ყიფშიძის განკარგულებით

«ბოლშევიკური პარტიისა და მისი სტალინური  
ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით,  
პირადად ამხანაგ სტალინის მუდმივი  
მზრუნველობითა და ყურადღებით, ქართველმა  
ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა განთავი-  
სუფდებულ ხალხთან ერთად თავისი მატერი-  
ალური და კულტურული კეთილდღეობის ნა-  
მდვიდ აყვავებას მიაღწია».

ლ. პ. ბერიძე.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
1. დ. ყიფშიძე, თბილისის უნივერსიტეტი საბჭოთა საქართველოს XX წლისთავზე . . . . .	1
2. დ. უზნაძე, განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები . . . . .	17
3. ივ. ბერიტაშვილი, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ზოგადი შეკავებისა და გაადვილების შესახებ . . . . .	47
4. ალ. ჯანელიძე, ქართული გეოლოგიის XX წელიწადი . . . . .	67
5. ალ. ჯავახიშვილი, გეოგრაფიული მეცნიერება საბჭოთა საქართველოში . . . . .	89
6. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი	141
7. გ. ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში . . . . .	155

## СОДЕРЖАНИЕ

	стр.
1. Д. Кипшидзе, Тбилисский университет к 20-летию Советской Грузии . . . . .	1
2. Д. Узнадзе, Основные положения теории установки . . . . .	17
3. И. Бериташвили, Об общем торможении и облегчении в центральной нервной системе . . . . .	47
4. Ал. Джанелидзе, XX лет грузинской геологии . . . . .	67
5. Ал. Джавахишвили, Географическая наука в Советской Грузии . . . . .	89
6. К. Кекелидзе, История грузинской литературы и университет . . . . .	141
7. Г. Ахвледиани, Тбилисский университет и языковедение в Грузии . . . . .	155

---

## S O M M A I R E

1. D. Kipchidzé, L'Université de Tbilissi au 20-ième anniversaire de la Géorgie soviétique . . . . . 1
  2. D. Ouznadzé, Sur la théorie de l'attitude . . . . . 17
  3. J. Beritashvili (Beritoff), L'inhibition et la facilitation générale du système nerveux central . . . . . 47
  4. A. Djanélidzé, XX ans de géologie en Géorgie . . . . . 67
  5. A. Djavakhichvili, XX ans de géographie en Géorgie Soviétique . . . . . 89
  6. K. Kékélidzé, L'histoire de la littérature géorgienne et l'Université de Tbilissi . . . . . 141
  7. G. Akhvédiani, L'Université de Tbilissi et la linguistique en Géorgie . . . . . 155
-

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფარგები

XIX



დ. შ ი ვ შ ი ძ ე

## თბილისის უნივერსიტეტი საბჭოთა საქართველოს XX წლისთავზე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური კულტურის მძლავრ კერას, სტალინური წრთობის კადრების დიდ სამჭედლოს და მოწინავე მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ საბჭოთა რესპუბლიკების მთელს კავშირშიაც, საბჭოთა ხელისუფლების პირშმო შვილია. პარტიისა და ხელისუფლების მზრუნველობისა და ხელმძღვანელობის შედეგად, თბილისის უნივერსიტეტი უმოკლეს დროში ჩადგა არსებობისა და ტრადიციის საუკუნოვანი ისტორიის მქონე მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე უნივერსიტეტების რიგებში. თბილისის უნივერსიტეტის ასე სწრაფი ზრდა და განვითარება შედეგია ლენინ-სტალინის დიდი პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარებისა, რომელსაც ამიერკავკასიასა და საქართველოში ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფე ლავრენტი ბერიძე.

ორდენოსანი საქართველოს მშრომელები, მოძმე რესპუბლიკებთან ერთად, უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნავენ საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავის ისტორიულ თარიღს. ეს სახელოვანი ოცი წელი სავსეა გამარჯვებებითა და მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. მეფის რუსეთისა და მენშევიკების ბატონობის დროს გაპარტახების გზაზე დამდგარი საქართველო, საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად გადაიქცა. საბჭოთა საქართველოს მოეფინა ფაბრიკები და ქარხნები, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები, სკოლები და ჯემალესი სასწავლებლები. 20 წლის მანძილზე გაიზარდნენ და დაეაყვადნენ საბჭოთა ადამიანები. ახალი საბჭოთა კადრები, რომელნიც, სტალინის ცეცხლით ანთებულნი, ეუფლებიან და იპყრობენ მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებს. დღეს საბჭოთა საქართველო, რომელმაც ათასობით აღზარდა ახალი ადამიანები, საბჭოთა ქვეყნის გმირები, ის მეცნიერები, ტექნიკოსები, აგრონომები, ექიმები, ინჟინრები და პედაგოგები, რომლებიც პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიური მზრუნველობით აგებენ და აშენებენ სახელოვან მომა-



ელსა და მერმისს. სამართლიანად ამაყობს თავისი აწმყოთი და ნათელი მომავლით. საქართველოში ახალი ბოლშევიკური კადრების აღზრდაში, დიდი ღვაწლი მიუძღვის, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს.


## 1

ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 9 ფაკულტეტი არსებობს: ფიზიკა-მათემატიკის, ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ბიოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ეკონომიკისა და იურიდიული. საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთ უნივერსიტეტში არ არის ისე ფართოდ წარმოდგენილი ფაკულტეტები, როგორც თბილისის უნივერსიტეტში. მაგ., ფილოსოფიის ფაკულტეტი, გარდა თბილისისა, მარტო ლენინგრადის უნივერსიტეტშია, ფილოლოგიის ფაკულტეტი კი არ არის ისეთ დიდს უნივერსიტეტშიც კი, როგორც არის მოსკოვის უნივერსიტეტი. რაც შეეხება ეკონომიკის ფაკულტეტს, რამდენადაც ვიცით, ასეთი ფაკულტეტი არ არსებობს საბჭოთა კავშირის არც ერთ დიდ უნივერსიტეტთან, იურიდიული ფაკულტეტი კი მხოლოდ კიევისა და ლვოვის უნივერსიტეტებთან არსებობს. თბილისის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე 40 სხვადასხვა სპეციალობაა. მეცადინეობა ყველა ფაკულტეტზე მშობლიურ ენაზე წარმოებს, ხოლო ეკონომიკის, ფიზიკა-მათემატიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტებზე არსებობს რუსული სექტორიც რუსულ ენაზე სწავლებით; გარდა ამისა, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დასაველეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყოფილებაც არსებობს სათანადო უცხოური (გერმანული, ფრანგული, ინგლისური) ენების სწავლებით.

## 2

1939 წლის სრულიად-საკავშირო აღწერის მონაცემების მიხედვით<sup>1</sup>, უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობით საქართველოს პირველი ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის (კავშირში თითოეული ათას სულზე მოდის 6,4 უმაღლესი განათლების მქონე პირი, საქართველოში კი 11,2). თბილისის უნივერსიტეტის როლი მიღწევების ამ დამახასიათებელი მაჩვენებლის მიღებაში უთუოდ დიდია. 1941 წლის 1 იანვრამდის უნივერსიტეტი დაასრულა 8.956 სპეციალისტმა (697 აგრონომმა, 729 ექიმმა, 3.752 ეკონომისტმა, 268 ფიზიკოსმა და მათემატიკოსმა, 222 ქიმიკოსმა, 323 გეოგრაფმა და გეოლოგმა, 366 ბიოლოგმა, 565 ისტორიკოსმა, 673 ფილოლოგმა. 399 იურისტმა; გარდა ამისა, 1922—1930 წლებში პედაგოგიური ფაკულტეტი დაამთავრა 962 კაცმა). ამას უნდა მიემატოს დაუსწრებელი ხაზით კურსდაპ-

<sup>1</sup> იხ. Сообщение Центрального управления народнохозяйственного учета Госплана СССР о данных Всесоюзной переписи населения 1939 года. „Заря Востока“, № 100 (5022) от 30 апреля 1940 г.



თავრებულები: ბუნებისმეტყველები — 165, ისტორიკოსები — 130, ფილოლოგები — 222, პედაგოგები — 85, გეოგრაფები — 25, ფიზიკოსები და მათემატიკოსები — 42, სულ დაუსწრებელი ხაზით 669 სპეციალისტი. ექსტერნატის ხაზით უნივერსიტეტი დამთავრებული აქვს 10 პირს (ისტორიკოსი — 5, იურისტი — 2, გეოგრაფი — 1, ეკონომისტი — 1, ფილოლოგი — 1). ამგვარად, უნივერსიტეტმა 1941 წლის 1 იანვრამდის გამოუშვა 9.635 სპეციალისტი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე და მისი განვითარების შედეგად წარმოიშვა ისეთი მძლავრი უმაღლესი სასწავლებლები, როგორცაა ინდუსტრიული, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ზოო-ვეტერინარული და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტები, ადვილი წარმოსადგენი იქნება თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს მალაკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან ბევრნი მუშაობენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე პარტიული და საბჭოური ხაზით, უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელებად, მეცნიერ მუშაკებად, საშუალო სკოლების დირექტორებად, მასწავლებლებად, დიდ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად და სხვ.


ჯერ კიდევ დაუზუსტებელი ცნობების მიხედვით (ჯეროვანი აღრიცხვიანობა მხოლოდ 1933—34 წლიდან არსებობს) სტუდენტთა კონტინგენტი გასულ წლებში ასეთია:

1918-19—	ცნობები არ არსებობს
1919-20—	2.414 სტუდენტი
1920-21—	3.054 „
1921-22—	3.498 „
1922-23—	3.724 „
1923-24—	3.700 „
1924-25—	4.663 „
1925-26—	6.790 „
1926-27—	5.904 „
1927-28—	7.803 „

1930 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტი გაიყო ინსტიტუტებად, რომლებიც 1933—34 სასწავლო წლამდის არსებობდნენ. ყველაზე მძლავრი ინსტიტუტი პედაგოგიური ინსტიტუტი იყო, რომელშიაც, დაახლოებით, 3.500 სტუდენტი იყო ყოველწლიურად. 1933—34 წ. როდესაც უნივერსიტეტმა განაახლა არსებობა, ირიცხებოდა 3.092 სტუდენტი. შემდგომი წლების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს:

1934-35 წ.	— 4.337
1935 36 „	— 4.536
1936-37 „	— 4 479
1937-38 „	— 4.398
1938-39 „	— 5.067
1939 40 „	— 4.368

1940—41 წ. უნივერსიტეტში ირიცხება 4.749 სტუდენტი (ძირითად განყოფილებებზე). დაუსწრებელზე — 3.062 სტუდენტი, ექსტერნატში — 1.780 სტუდენტი; სულ უნივერსიტეტში ამჟამად ირიცხება 9.581 სტუდენტი. ამგვარ-



რად, სტუდენტთა კონტინგენტის მხრივ თბილისის უნივერსიტეტს მსგავსად შირში პირველი ადგილი უკავია (მეორე ადგილზეა ლენინგრადის უნივერსიტეტი, მესამეზე მოსკოვის უნივერსიტეტი).

სტუდენტობაში პარტიული და კომკავშირული ბირთვი საკმაოდ ძლიერია: პარტიის წევრთა და კანდიდატების რიცხვი უდრის 529-ს, ხოლო კომკავშირელთა — 4.543.

უნივერსიტეტის სტუდენტობაში ბევრია ისეთი, რომელიც იძლევა სანიმუშო მაჩვენებლებს სწავლებაში, მაგალითად, ორდენოსნები: გ. კაკიაშვილი, ე. მინდაძე და სტალინური სტიპენდიატები: სპ. შამუგია, გ. არემკინი, ხ. მახარაძე, თ. ცეცხლაძე, დ. გამეზარდაშვილი, მ. კრავეიშვილი, ი. ცერცვაძე და სხვები.

## 3

უნივერსიტეტში ამჟამად მუშაობს 60 პროფესორი, 146 დოცენტი, 136 მასწავლებელი, 106 ასისტენტი, 100 ლაბორანტი, 25 პრეპარატორი, 241 ასპირანტი, უნივერსიტეტის დაარსებისას კი იყო მხოლოდ 16 პროფესორი, 7 მასწავლებელი და 2 ასპირანტი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვში შედიოდნენ მეცნიერი მუშაკები როგორც მედიცინის, სოფლის მეურნეობის, ისე სხვა დარგიდანაც, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა დიდი საქმეა გაკეთებული ახალი მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში ამ ოცი წლის განმავლობაში.

მეცნიერ მუშაკებიდან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრია 2, სამი — აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, 40 მეცნიერებათა დოქტორი, 101 მეცნიერებათა კანდიდატი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში უკანასკნელი 3—4 წელიწადი. ახხანაგმა ლ. პ. ბერიამ 1937 წ. საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე აღნიშნა, რომ „უმაღლესი მასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი სუსტად მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. პროფესორებსა და დოცენტებს შორის ჯერ კიდევ ფრიად მცირე იმათი პროცენტი, ვისაც დაცული აქვს დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხზე“. ამ მითითების შემდეგ მდგომარეობა დიდად გაუმჯობესდა. 1938 წელს მეცნიერ-დოქტორის ხარისხი მოიპოვა 3 მეცნ. მუშაკმა, კანდიდატის ხარისხი — 43; 1939 წელს — დოქტორის ხარისხი — 4, კანდიდატის ხარისხი — 46; 1940 წლის განმავლობაში — მეცნიერებათა დოქტორის და კანდიდატის ხარისხი მოიპოვა 53 მუშაკმა.

პროფესორთა შემადგენლობიდან 1 არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (აკად. ნ. მუსხელიშვილი), 3 — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (აკად. ივ. ბერიტაშვილი, პროფ. ალ. ჯანელიძე, პროფ. ნ. კეცხოველი). უნივერსიტეტის პროფესორთა შორის ბევრი ფართოდაა ცნობილი თავისი მეცნიერული მოღვაწეობით. ამ მხრივ პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ახლახან გარდაცვალებული აკად. ივ. ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი, საქართველოს



კულტურისა და ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი; აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი — დიდი მკვლევარი დრეკადობის მათემატიკურ თეორიაში; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი — გამოჩენილი მეცნიერი ფიზიოლოგიაში; პროფესორი ალ. ჯანელიძე, ორდენოსანი, განთქმული თავისი შრომებით საქართველოს გეოლოგიის დარგში; პროფ. ალ. თვალჭრელიძე, ორდენოსანი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვნის გუმბრინის, ხალცედონის და სხვა სასარგებლო ნამარხების აღმოჩენა-შესწავლის დარგში; ენათმეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში აკადემიის წ.-კორესპონდენტები პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. აკ. შანიძე; პროფესორი კ. კეკელიძე — დიდი მკვლევარი საქართველოს ძველი ქართული ლიტერატურისა; პროფ. დ. უზნაძე — ერთ-ერთი სახელგანთქმული ფსიქოლოგი; აკადემიის წ.-კ. პროფ. გ. ხაჭაპურიძე, პროფ. ბი. ა. ხარაძე, გ. ნათაძე, მ. პოლიევქტოვი, ი. აბულაძე, ალ. ჯავახიშვილი, ვ. გეხტმანი, ფ. გოგიჩაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. ნიკიტინი, ბ. ყავრიშვილი, ი. ტალახაძე, ირ. სურგულაძე, ალ. ვაჩიშვილი, მ. ზანდუკელი, ვ. ბერიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. ნიორაძე, ნ. ქოიავადასხვები.

აღსანიშნავია, რომ ბევრი მეცნიერი მუშაკი, რომლებიც ამჟამად ჩვენი უნივერსიტეტი, თვით ამ უნივერსიტეტშია აღზრდილი: პროფესორები შ. ამირანაშვილი, ალ. ბარამიძე, კ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოჭორიშვილი, ა. ბრეგაძე, დ. გედევანიშვილი, მ. გოგიბერიძე, გ. გოზალიშვილი, ლ. გოკიელი, პ. გუგუშვილი, ი. ვეკუა, გ. თავზიშვილი, ვ. თოფურია, ლ. კალანდაძე, ვ. კუპრაძე, რ. ნათაძე, ალ. ნამორაძე, მ. ნოდია, პ. ქომეთიანი, არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია და სხვ.; დოცენტები ილ. აბულაძე, გ. გამყრელიძე, არჩ. გოკიელი, თ. გონიაშვილი, დ. დოლიძე, ვ. კოკოჩაშვილი, ქ. ლომთათიძე, თ. ლომოური, ვ. მამასახლისოვი, ლ. მადნარაძე, მ. მირიანაშვილი, ი. მრეველიშვილი, ა. რუხაძე, ი. ქვარცხავა, ალ. ქუთელია, შ. შარაშენიძე, გ. ჩიტაია, ი. ცინცაძე, ს. წერეთელი, გ. ძოწენიძე, ნ. ძიძიშვილი, გ. ხავდასი, ევგ. ხარაძე, ბ. ხაჭაპურიძე, ზ. ხოჯავადასხვ.

მატერიალური ბაზის მხრივაც თბილისის უნივერსიტეტი ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტია. თუ დაარსებისას მას ეჭირა მხოლოდ რამდენიმე ოთახი ყოფილ ქართულ გიმნაზიის შენობაში, ახლა ეს შენობა, უნივერსიტეტის მთავარ კორპუსად წოდებული, მის განკარგულებაშია მთლიანად. ეს შენობა საუკეთესო შენობად ითვლება კავშირის უნივერსიტეტების შენობებიდან. მიმდინარეობს ფიზიკურ-ქიმიური კორპუსის მშენებლობა (მშენებლობის ორი წყება უკვე ექსპლოატაციაშია), რომელსაც აგრეთვე ჯერჯერობით ბადალი არ ჰყავს კავშირში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის განკარგულებაშია სამი დიდი შენობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიოლოგიისა და ქიმიის ზოგიერთი ლაბორატო-



რია. უნივერსიტეტში არსებობს სამი საკვლევო ინსტიტუტი (ფიზიოლოგიის, ლიტერატურის, გეოლოგიის), 36 ლაბორატორია, 28 კაბინეტი, 3 მუზეუმი სათანადო მოწყობილობით, რომლებიც ემსახურებიან როგორც მეცნიერულ მუშაობას, ისე სასწავლო პროცესს.

უნივერსიტეტთან არსებობს მშვენივრად მოწყობილი სტამბა-ლითოგრაფია, რომელიც უმთავრესად ბეჭდავს „უნივერსიტეტის შრომებს“, კათედრების მეცნიერულ პროდუქციას და სახელმძღვანელოებს.

გარდა იმისა, რომ ყველა საკვლევო ინსტიტუტსა და თითქმის ყველა კათედრას გააჩნია სპეციალური ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტში არსებობს შიდა-რი ფუნდამენტალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა. თუ 1921 წ. მისი ფონდი 136.046 ტომს შეიცავდა, ახლა აქ არის 627.070. წიგნთა ფონდის რაოდენობის მხრივ, ამ ბიბლიოთეკას, საჯარო ბიბლიოთეკის შემდეგ, პირველი ადგილი უკავია საქართველოში. ბიბლიოთეკაში თავს იყრის ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების ძვირფასი კოლექციები (პროფ. პ. მელიქიშვილის, პროფ. ი. ყიფშიძის, პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის და სხვათა). ბიბლიოთეკა დიდ დახმარებას უწევს არა მარტო უნივერსიტეტის სტუდენტობას და მეცნიერ მუშაკებს, არამედ იზიდავს უნივერსიტეტის გარეშე მომუშავე ბევრ დაინტერესებულ პირს.

უნივერსიტეტს გააჩნია კარგად მოწყობილი კლუბი, რომელთანაც არსებობს სტუდენტთა თვითმომქმედი თეატრი რესპ. დამს. არტ. პ. კობახიძის ხელმძღვანელობით, რუსული დრამატული წრე პოდოსიანის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფიული წრე ჯ. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით, მომღერალთა წრე ორდენოსან ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით და სხვ.

## 5

ახალი კადრების მომზადება, რასაც თავის მიზნად ისახავს უნივერსიტეტი, შეუძლებელია კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესის გარეშე. სამისოდ ბევრი ღონისძიება იყო მიღებული. განსაკუთრებით უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში მიღებულია ამ მხრივ ეფექტური შედეგები. ამჟამად უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო გეგმები ყველა სპეციალობაში, პროგრამები, დამუშავებული ჩვენი უნივერსიტეტის სპეციალობათა მიხედვით. ყველა დისციპლინა უზრუნველყოფილია სათანადო სპეციალისტით. ძირითადად გადაწყვეტილია საკითხი ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემისა. უნივერსიტეტის მუშაკების მიერ ბევრი ისეთი სახელმძღვანელო შეიქმნა, რომელიც იხმარება მთელი კავშირის მასშტაბით, მაგ., აკად. ნ. მუსხელიშვილის „ანალიზური გეომეტრიის კურსი“, აკად. ი. ბერიტაშვილის „ზოგადი ფიზიოლოგიის კურსი“, პროფ. კ. ქეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, პროფ. დ. უზნაძის „ზოგადი ფსიქოლოგია“, პროფ. ალ. ჯანელიძის „ისტორიული გეოლოგიის კურსი“ და სხვ.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ პურადღება ექცევა რუსული ენისა და ლიტერატურის დარგში სპეციალისტების მომზადებას. უდიდესი მნიშვნელობისაა ზემდგომი ორგანოების დადგენილებები რუსული ენის შესწავლის



ვაუმჯობესების საქმეში და მიღებულია ზომები ამ დადგენილებათა განხორციელებისათვის. რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაზე ირიცხება 700 სტუდენტი. ყოველწლიურად ამ დარგზე ვიღებთ 200 სტუდენტს.

სტუდენტთა საერთო კულტურული დონის და გონებრივი ჰორიზონტის განვითარება მოითხოვს აგრეთვე უცხოური ენების შესწავლას. უცხოური ენებისა და ლიტერატურის განყოფილებაზე უნივერსიტეტში ირიცხება 184 სტუდენტი. უცხოური ენების კათედრის გამგე (დოც. ე. ტატიშვილი) დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ სტუდენტობა სათანადოდ დაეუფლოს უცხოურ ენებს. დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ენების განყოფილების უკანასკნელი კურსის სტუდენტები ისე ეუფლებიან ენებს, რომ მათი თარგმანება, მაგ., ინგლისელი კლასიკოსებისა (შექსპირი, ბაირონი, შელი, ბერნსი, კიპლინგი, ლონგფელო, უაილდი) იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში.

უკვე დასრულდა მიმდინარე აკადემიური წლის I სემესტრი, რომლის შედეგები ნათლად მოწმობს, რომ სტუდენტობაში გარდატეხა მოხდა იმ მხრივ, რომ ისინი უკეთ მუშაობენ მოწინავე მეცნიერების დაუფლებისათვის, ვიდრე აქამდის. გამოცდების დროს მათდამი გაცილებით მეტი მოთხოვნილებები იყო წარდგენილი; ყოველივე აჰან აღამალდა მუშაობის ხარისხი. სესიების შედეგად 327 სტუდენტი არის ფრიადოსანი, 443 კარგოსანი. რასაკვირველია, მოწინავეობა სესიების დროს გვიჩვენეს სტალინურმა სტაბენდიატებმა.

6

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის როლი საქართველოს მეცნიერების განვითარებაში. არ არსებობს არც ერთი მეცნიერული სკოლა საქართველოში, რომელიც ასეთუისე უნივერსიტეტთან არ იყოს დაკავშირებული. უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და განვითარდა მათემატიკის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, მინერალოგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, საქართველოს ისტორიის, ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ქართული სკოლები.

იმის წარმოსადგენად, თუ რა დიდი მუშაობა მიმდინარეობს მეცნიერულ დარგში, საკმარისი იქნება მიმდინარე აკადემიური წლის სამეცნიერო მუშაობის მოკლედ გაცნობაც კი.

**ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის** მათემატიკური კათედრების (კათედრის გამგეები: აკად. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. ა. ხარაძე, პროფ. ვ. კუპრაძე, პროფ. ლ. გოკიელი, პროფ. ვ. ვეკუა) საკვანძო პრობლემებს წარმოადგენენ: კოში-ს ტიპის ინტეგრალთა თეორიის განვითარება და მისი გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ამოცანებისათვის, ელიფსური ტიპის განტოლებათა ზოგადი ამოხსნების, თეორიის დამუშავება და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენება. ფიზიკური კათედრების მუშაკები (კათედრის გამგეები: დოც. ი. ქვარცხავა, დოც. მამასახლისოვი, დოც. ნ. კალაბუხოვი) მუშაობენ ატომის თეორიის, კვანტური ქიმიის, დიელექტრიკთა ელექტრონული მოვლენების საკითხებზე, რომელთაც აქტუალური თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ. გეოფიზიკის კათედრის



(გამგე — პროფ. მ. ნოდია) თემები დაკავშირებულია მიწის ქერქის სტრუქტურისა და ატმოსფერული ფიზიკის საკითხებთან. მათ გამოყენებითი შინაშენლობა აქვთ. ასტრონომიის კათედრა (გამგე დოც. ე. ხარაძე) ძირითადად კოსმიური შთანთქმის პრობლემაზე მუშაობს.

**ქიმიის ფაკულტეტის** (კათედრების გამგეები: პროფ. ი. მოსეშვილი, პროფ. ნ. ციციშვილი, დოც. ვ. კოკოჩიაშვილი, დოც. შ. შარაშენიძე) სამეცნიერო მუშაობა დაკავშირებულია უმთავრესად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საკითხებთან. ასეთია თემები, რომლებიც ეხებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების ქიმიას, ნავთის ქიმიას, მინერალური წყლების შესწავლას. რამდენიმე მეცნიერი მუშაობს კატილიზის პრობლემებზე, განსაკუთრებით კატალიზატორების აქტიობის შესწავლაზე.

**გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის** სამეცნიერო მუშაობაში, პირველად ყოველთა, აღსანიშნავია უნივერსიტეტთან არსებულ გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობა (დირექტორი პროფ. ა. ჯანელიძე). ინსტიტუტის კვლევითი მუშაობა უკავშირდება საქართველოს დიდი გეოლოგიური რუკის (ორასათასიან მასშტაბში) შედგენას. მის შედგენაზე ინსტიტუტთან ერთად მუშაობს საქართველოს გეოლოგიური სამმართველო. ამ რუკის შედგენა დიდ მუშაობას გულისხმობს: ერთი მხრით, უნდა შეჯამდეს მთელ რაგ გეოლოგების ნაშუშევარი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ამის გარდა; უნდა გადაიჭრას საკითხების მთელი რიგი საქართველოს ცალკე რაიონების სტრატეგრაფიისა და გეოლოგიური სტრუქტურის დარგში. ამ ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებით, ინსტიტუტს აღებული აქვს შემდეგი კომპლექსური თემები:

- 1) საქართველოს გეოლოგიურ ფორმაციათა შედარებითი შესწავლა (ა) ცარცულის ნალექები, (ბ) მესამეულის ნალექები; 2) საქართველოს ბელტის გეოლოგიური შესწავლა; 3) საქართველოს დაყოფა გეოტექტონიკურ ერთეულებად და თითოეული მათგანის შესწავლა; 4) საქართველოს ნაპირ-ფაუნების (იურული და მესამეული) შესწავლა; 5) იურული ვულკანიზმი და მასთან დაკავშირებული მეტალოგენია.

**გეოგრაფია-გეოლოგიის სხვა კათედრები** (კათედრის გამგეები: პროფ. ა. თვალჭრელიძე, პროფ. ა. ჯავახიშვილი, პროფ. გ. გეტმაანი, პროფ. ბ. ყავრიშვილი) ირკვევენ საქართველოს ბუნებრივ საწარმოო ძალებს და მათ განლაგებას (წიაღის სიმდიდრე, ჰიდროლოგიური რესურსები, ნიადაგი, კლიმატური პირობები, ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, გეომორფოლოგია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განლაგება და სხვ.).

**ბიოლოგიური ფაკულტეტის** შემადგენლობაში შემავალი კათედრებიდან ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა აწარმოებს მეცნიერულ მუშაობას აკად. ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის საკვლევო ინსტიტუტის ხაზით. ინსტიტუტის მეცნიერული მუშაობის ძირითად პრობლემას შეადგენს ცხოველთა ნერვული სისტემის მაკროდინირებელ და მარეგულირებელ მოქმედებათა შესწავლა. შეისწავლება უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ცენტრალური ნერვული სისტემის ორივე ძირითადი ფორმა — რეფლექსური და ფსიქონერვული. ბოტანიკის კათედრა (გამგე პროფ. ნ. კეცხოველი) უმთავრე-





სად მუშაობს საქართველოს მეცნიერეულობის შესწავლაზე. განსაკუთრებით მეცნიარეთა იმ ჯგუფებზე, რომელთაც სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ხერხემლიანთა ზოოლოგიისა და ჰიდრობიოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. ვ. ნიკიტინი) სწავლობს საქართველოს ხერხემლიანებს, კერძოდ, იმ ცხოველებს, რომელთაც სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ასევე აქტუალურია მეცნიერული მუშაობის თემატიკა ბიოლოგიის ფაკულტეტის სხვა კათედრებისა: უხერხემლოთა ზოოლოგიისა (გამგე პროფ. ლ. კალანდუაძე), ბიოლოგიისა და გენეტიკისა (გამგე დოც. ვ. პაპალაშვილი), ჰისტოლოგიისა (გამგე დოც. ა. ლეჟავა), მეცნიარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიისა (გამგე დოც. ქს. ცხაკაია).

პრავალმზრივია მეცნიერული მუშაობა **ფილოლოგიის ფაკულტეტზე**. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს (დირექტორი პროფ. კ. კეკელიძე), რომელიც შედგება სამი სექციისაგან (ქართული ლიტერატურის, ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული ფოლკლორის), აღებული აქვს კოლექტიური თემები, რომლებსაც ამუშავებენ როგორც ინსტიტუტის თანამშრომლები, ისე ფაკულტეტიდან მოსაზღვრე კათედრები (ძველი ქართული ლიტერატურის, გამგე პროფ. კ. კეკელიძე; ახალი ქართული ლიტერატურის, გამგე პროფ. მ. ზანდუკელი). ეს თემებია: „ქართული სარაინდო-სავირო რომანის წარმოშობა“, „ვაჟა-ფშაველას პოეზია“. ქართული ენის კათედრა (გამგე აკადემიის წ.-კ. პროფ. აკ. შანიძე) აგრძელებენ მუშაობას ქართული ენისა და მისი დიალექტების თავისებურებათა შესწავლის დარგში კავკასიურ ენათა კათედრა (გამგე პროფ. ა. ჩიქოძე) სწავლობს და ირკვევს კავკასიის ხალხთა ენებს. არმენოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი) ამუშავებს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველო-სომხეთის ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობასთან. აღმოსავლურ ენათა კათედრა (გამგე დოც. ს. ჯიქია) მუშაობს საქართველო-თურქეთის და ქართველ-არაბთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე, ხოლო ირანოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. იუსტ. აბულაძე) სარსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემებზე. ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის კათედრა (გამგე აკადემიის წ.-კ. პროფ. ვ. ჭხეიძე) მუშაობს უმთავრესად ქართული ფონეტიკის პრობლემებზე, კლასიკური ფილოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. ს. ყაუხჩიშვილი) მუშაობს საქართველო-ბიზანტიის კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობის საკითხებზე. ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს რუსული ენის კათედრა (გამგე დოც. დ. მგელაძე) ქართული სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოების შედგენისა და რუსული ენის სწავლების მეთოდისა და საკითხების დამუშავების დარგში.

**ისტორიის ფაკულტეტის** კათედრების სამეცნიერო მუშაობა ეხება საქართველოს კულტურის ისტორიის და საქართველოს სამოქალაქო ისტორიის შესწავლას. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრა (გამგე აკადემიის წ.-კ. პროფ. ვ. ხაჭაპურიძე) მუშაობს საქართველოს XVIII—XIX სს. ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საქართველოს ისტორიის კათედრა (გამგე პროფ. ს. ჯანაშია) ამთავრებს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანე-



ლოს შედგენას უმაღლესი სკოლებისათვის. ხელოვნების ისტორიის (გამგე პროფ. შ. ამირანაშვილი) სწავლობს ქართული ხელოვნების შესანიშნავ ძეგლებს. ასევე აქტუალურია თემატიკა სხვა კათედრებისაც (ეთნოგრაფიის კათედრა (გამგე დოც. გ. ჩიტაია, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა (გამგე პროფ. ვ. ნათაძე), ახალი ისტორიის კათედრა (გამგე პროფ. ა. ნხმოროძე).

**ფილოსოფიის ფაკულტეტის** შემადგენლობაში არის მარქსიზმ-ლენინიზმის, ფილოსოფიის ისტორიის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრები. მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა (გამგე დოც. პ. თავხელიძე) უმთავრესად მუშაობს 1905 წლის რევოლუციის პერიოდის საქართველოს და ა/კ. რევოლუციური მოძრაობის შესწავლის საკითხებზე. ფილოსოფიის ისტორიის კათედრა (გამგე პროფ. მ. გოგიბერიძე) მუშაობს ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესწავლაზე. ფსიქოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. დ. უზნაძე) განაგრძობს ნაყოფიერ მუშაობას განწყობის ფსიქოლოგიის დარგში. პედაგოგიკის კათედრა (გამგე დოც. გ. კიკნაძე) მუშაობს საქართველოს XIX საუკუნის განათლების სისტემის შესწავლაზე.

**ეკონომიკის ფაკულტეტის** კათედრები (კათედრის გამგეები: პროფ. კ. მეგრელიძე პროფ. ნ. ქოიავა, დოც. ი. მიქელაძე, დოც. გ. გამყრელიძე, დოც. ა. მურაჩაშვილი) გარდა თეორიული საკითხების პოლიტიკური ეკონომიიდან, საფინანსო მეცნიერებიდან, სტატისტიკიდან და სოციალისტური დაგეგმვიდან. ამუშავებენ კომპლექსურ თემებს ეკონომიკიდან. ასე. მაგ., ფინანსებისა და კრედიტის კათედრა ამუშავებს საკითხს — საკრედიტო სისტემის განვითარება საქართველოში 20 წლის მანძილზე; საქონელთმცოდნეობის კათედრა — საქონლის შენახვის თავისებურებანი საქართველოში; სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის კათედრა — სააღრიცხვო-ეკონომიური პრობლემები საქართველოს სახალხო მეურნეობისა; სოციალისტური დაგეგმვის კათედრა — საქართველოს საწარმოო ძალების განვითარების ანალიზი.

აქტუალურია **იურიდიული ფაკულტეტის** კათედრების მეცნიერული მუშაობის თემატიკა (კათედრების გამგეები: პროფ. ი. სურგულაძე, პროფ. ი. ტალახაძე, პროფ. ა. ვაჩიეშვილი), რომელიც ეხება საბჭოთა სოციალისტური უფლების საკითხებს.


\*

\* \*

ასეთია მოკლედ ის დიდი მუშაობა, რომელიც წარმოებს უნივერსიტეტში სამეცნიერო-საკვლევო დარგში.

დიდი ყურადღება ექცევა უნივერსიტეტში მეცნიერული მუშაობის ჩვევების გამომუშავებას სტუდენტობაში. განსაკუთრებით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ბევრი გაკეთდა ამ მხრივ. უნივერსიტეტში არსებობს 40 სამეცნიერო წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 1.200 სტუდენტი.

წრეების მუშაობის შედეგების ერთგვარი შეჯამება ხდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე. სტუდენტთა I სამეცნიერო კონფერენცია მოწვეული იყო 1939 წ. 25—29 მაისს. კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 131 პოსტე-



ნება<sup>1</sup>. II კონფერენცია ჩატარდა 1940 წ. 20—23 მარტს<sup>2</sup>. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო შრომები დაიბეჭდა ცალკე კრებულად. წელს III კონფერენცია ჩატარდება თებერვალში და ის მიეძღვნება დიდ თარიღს — საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავს. ამგვარად, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები უკვე ტრადიციად იქცა უნივერსიტეტში.

7

მოწინავე მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციას მშრომელთა ფართო მასებში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე მიუთითებდა დიდი სტალინი პარტიის XVIII ყრილობაზე. უნივერსიტეტში ამ მხრივ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ლექტორიუმის ხაზით, რომელიც უნივერსიტეტში არსებობს 1938 წლის ოქტომბრიდან. 1938/39 სასწ. წელს ჩატარებულ იქნა საჯარო ლექციები და მოხსენებები: უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, სტუდენტებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის სულ 116 ლექცია; საქართველოს სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის 132 ლექცია; წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებისათვის 89 ლექცია, წითელი არმიის ნაწილებში — 101 ლექცია, სულ 438 ლექცია; 1939—1940 სასწავლო წელს: სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, სტუდენტებისა და მუშა-მოსამსახურეთათვის 42 ლექცია, წითელი არმიის ნაწილებში—139 ლექცია, წარმოება-დაწესებულებებისათვის—142 ლექცია. საქართველოს სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის 128 ლექცია, სულ 451 ლექცია. 1940—1941 სასწავლო წლისათვის, კიევის უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ამ დარგში კიდევ უფრო მეტი კვლადებულება იქნა აღებული.

8

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში მიღწევები ფიზკულტურულ და სამხედრო-თავდაცვის მუშაობაში (კათედრის გამგეები ვ. ვერულაშვილი და ვლ. ხინთიბიძე). მაგ., მიმდინარე აკადემიურ წელს უნივერსიტეტის ფიზიკური კულტურის ორგანიზაციამ გადაჭარბებით შეასრულა დავლება ნიშნისების მომზადების საქმეში „მზად ვარ შრომისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის“ ახალი კომპლექსის მიხედვით: I საფეხურის 640 ნიშნისანის ნაცვლად მომზადდა 804. უნივერსიტეტის ნაკრებმა გუნდებმა 1940 წელს უმაღლეს სასწავლებელთა შორის ჩატარებულ ყველა შეჯიბრებაში დაიკავეს პირველი ადგილი: მძლეოსნობაში, დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, ხელჩართულ ბრძოლაში და სხვ. ოსტატთა კალათურთის და ფრენბურთის გუნდები ყველა შეჯიბრში გამოვიდნენ გამარჯვებულნი. მოჭადრაკეებმა დაიკავეს თბილისის გუნდური I ადგილი. უნივერსიტეტის ნაკრებმა გუნდებმა 1940 წ. თბი-

<sup>1</sup> იხ. „თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1938—39 აკად. წლის ანგარიში“, თბილისი, 1940 წ., გვ. 110—120.  
<sup>2</sup> იხ. სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 1940.



ლისში ჩატარებულ შეჯიბრებაში დაიკავეს 13 — პირველი ადგილი, 3 — მესამე ადგილი, 17 — პირველი ინდივიდუალური ადგილი.

დიდი მნიშვნელობისაა ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივა — შეიქმნას უნივერსიტეტში მუდმივად მოქმედი მებრძოლ-ალპინისტთა ათასეული. ეს ინიციატივა მოიწონა საქ. ალკკ და საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა. ა/კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ანხ. მ. ეფრემოვი ამის შესახებ წერდა: „უნივერსიტეტის კომკავშირელთა და სტუდენტთა ინიციატივა, მოწონებული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ, მებრძოლ ალპინისტთა მუდმივად მოქმედი კომკავშირელ-ახალგაზრდათა გასამხედროებული რაზმების შექმნის შესახებ. უაღრესად ძვირფასი წამოწყებაა, დიდად საჭირო საქმეა, რომელსაც განსაკუთრებული სათავედაცვო მნიშვნელობა აქვს“ (გაზ. „ახ. კომ.“, 1940 წ. 25/X-ის თარიღით).

უნივერსიტეტის კოლექტივმა მოწოდებით მიმართა საბჭოთა კავშირის მთიანი რაიონების ახალგაზრდობას, რათა იგი გამოეხმაროს ამ ინიციატივას. გამოხმაურება დიდია და ყოველგვარ ღონეს ვიხმართ, კარგად დაწყებული საქმე კარგად დავასრულოთ. უნივერსიტეტში ყოველგვარი პირობა არსებობს იმისათვის, რომ სამხედრო-თავდაცვითი და ფიზკულტურული მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე იქნას აყვანილი.

9

ასეთია მოკლედ სურათი ჩვენი უნივერსიტეტის მიღწევებისა საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავზე.

შეცდომა იქნებოდა ვინმეს ეფიქრა, რომ უნივერსიტეტს სერიოზული ნაკლოვანებანი არ გააჩნია თავის მუშაობაში, რომ უნივერსიტეტის კოლექტივმა ამოსწურა ყოველგვარი შესაძლებლობა მუშაობის უკეთესი შედეგების მისაღწევად. ჯერ გასაკეთებელი ბევრია როგორც დარჩენილი სამუშაოს შესრულების ხაზით, ისე ახალი ამოცანების გადასაწყვეტად. პირველად ყოვლისა, საჭიროა იქნება სათანადო ღონისძიებათა მიღება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის და უფლების საქმის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის.

უნდა შევძლოთ მომზადებული კადრების ხარისხის კიდევ მეტად გაუმჯობესება. სწავლების პროცესის უკეთ ორგანიზაცია, სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაში ძირეული გარდატეხის მოხდენა, მათდამი (სტუდენტებისადმი) გაზრდილ მოთხოვნილებების წაყენებით, შრომის ბოლშევიკური დისციპლინის დამყარება ყველა ფრონტზე.

ამ ამოცანების გადაჭრა დამოკიდებულია კათედრების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებაზე. საჭირო იქნება კათედრა, ეს სასწავლო სამეცნიერო მუშაობის ძირითადი რგოლი, თავის სიმაღლეზე დავაყენოთ.

პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებით საქართველოში არსდება მეცნიერებათა აკადემია. მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე ეს უდიდესი გამარჯვება და დღესასწაულია საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულით გამოეხმაურნენ პარტიისა და ხელისუფლების ამ შესანიშნავ დადგენილებას.



საქართველოში აკადემიის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა მძლავრი და მრავალრიცხოვანი მეცნიერული კადრების არსებობის გამო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსჭედა. ქართული მეცნიერების განვითარების კერა კი ქართული უნივერსიტეტი იყო. მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბება არ გულისხმობს უნივერსიტეტის როლის შემცირებას: პირიქით, ის შექმნის ახალ პირობებს უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის ამიერიდან სამეცნიერო მუშაობა უნივერსიტეტში კიდევ უფრო ფართოდ ვაისრულდება.

ეჭვი არ არის, რომ იმ დიდ ამოცანებს, რომელთაც პარტია და ხელისუფლება უყენებს ჩვენს ახალგაზრდობას აღზრდისა და მოწინავე მეცნიერების განვითარების საქმეში, თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით წარმატებით და სახელოვნად გადასჭრის.

დ. უზნაძე

## განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები

მეცნიერული ფსიქოლოგია საქართველოში პირველად საბჭოთა ხელისუფლების დაპყარების შემდეგ ჩაისახა. იგი მთლიანად ჩვენი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრასთანაა დაკავშირებული, და, მამასადამე, მთელი მისი წარსული სულ ოციოდე წლით განისაზღვრება. მიუხედავად ამისა, ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევებს დღეს არა მარტო ჩვენს კავშირში იცნობენ და აფასებენ, არამედ მის გარეთაც, და ამ გამოკვლევების შედეგები არა ერთს ფართოდ გავრცელებულ სახელმძღვანელოშია შეტანილი.

თავისთავად იბადება საკითხი: როგორი იყო ამ გამოკვლევების პრობლემატიკა და რა შედეგები იქნა ცალკე შემთხვევებში მიღებული? მაგრამ მე აქ ამ საკითხზე ვერ შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პრობლემატიკა ამ ოცი წლის განმავლობაში საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, ჩვენს მთავარ ყურადღებას იმთავითვე მაინც ერთი ძირითადი საკითხი იპყრობდა — საკითხი სინამდვილის ამ სპეციფიკური მნიშვნელოვანი სფეროს შესახებ, რომელსაც ჩვენ განწყობის სახელწოდებით აღვნიშნავთ და რომლის წარმატებითს შესწავლაზეც, ჩვენის აზრით, ჩვენი მეცნიერების მთელი მომავალია დამოკიდებული. მე აქ მხოლოდ ამ საკითხზე, განწყობის საკითხზე, მინდა შევჩერდე და ვცადო გავითვალისწინო, თუ რა შეიძლება დღეს, ჩვენი კათედრის გამოკვლევათა მიხედვით, სინამდვილის ამ მნიშვნელოვანი სფეროს შესახებ ითქვას. რასაკვირველია, ჩვენ ვერ შევძლებთ აქ, ამ ერთი წერილის ფარგლებში, დავასახელოთ თუნდ უმთავრესი იმ თეორიული იდეებიდან და ფაქტიური მასალიდან, რომელიც ამ წლების მანძილზე დავგვიგროვდა. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ შევუბოთ მხოლოდ იმას, რასაც ძირითადი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს და რასაც შეუძლია ჩვენი მუშაობისა და მიღწევების უმთავრესი ხაზები მაინც გავვითვალისწინოს.

### I

1. უშუალოდ განწყობის ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება 'ხუტატი' საბუნებისმეტყველო დარგების მძლავრი განვითარების პერიოდში ჩაი-



სახა, და გასაგებია, რომ იგი იმთავითვე მათი გაუყოფელი გავლენის ქვეშაა ექცა. ისე, როგორც იქ, მეცნიერული მუშაობის უდაო ამოცანად, აქაც იმ კანონების ნათელყოფა იქნა დასახული, რომელიც საკვლევი სინამდვილის თავისებურებათა საფუძვლად იგულისხმება. მიზეზობრიობის ბუნების-მეტყველური კონცეფცია შეუპოვებლად გადავიდა ფსიქოლოგიური აზროვნების ძირითადს მეცნიერულ ინვენტარში და მთელი მუშაობა იმთავითვე გარკვეული მიმართულებით წარმართა. იმდროინდელ ბუნებისმეტყველებაში კი, როგორც ცნობილია, მექანიკური მიზეზობრიობის ცნება ითვლებოდა იდეალად, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს ბუნებაში, უდაოდ მეორე ცვლილების უშუალო ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს. ისე, როგორც მოძრაობა გადადის უშუალოდ ერთი სხეულიდან მეორეზე, სწორედ ასეთს უშუალო ურთიერთობაში იმყოფება ყოველი მიზეზი თავის შედეგთან, და ამიტომაცაა, რომ მათ შორის მარად აუცილებელი, მარად ერთმნიშვნელოვანი კავშირი იგულისხმება. მექანიკური მიზეზობრიობის კონცეფცია კაუხალური კავშირის უშუალოების პრინციპზეა აგებული და საჭიროა, ეს გარემოება განსაკუთრებული ყურადღებით იქნას აღნიშნული, რაწამს საკითხი არა არაორგანული ნივთიერი სინამდვილის, არამედ ცოცხალი სინამდვილის შესახებ დადგება (31, 32).

კლასიკური ფსიქოლოგიის ერთ-ერთს განსაკუთრებით დიდი პრინციპული მნიშვნელობის შეცდომას ის გარემოება შეადგენს, რომ მან იმთავითვე, ყოველი შემოწმების გარეშე, შეიძლება ითქვას, სრულიად უკრიტიკოდ მექანიკური მიზეზობრიობის ეს უშუალოების პრინციპი მიიღო და მთელი თავისი მუშაობა ამ დოგმატური პოსტულატის მიხედვით წარმართა, რომ ეს ასეა, ეს კლასიკური ფსიქოლოგიის ყველა მნიშვნელოვანი დებულებიდან ჩანს.

როგორც ცნობილია, შეგვრძნების ცნება ტრადიციულ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს. გარე სინამდვილის ზემოქმედება სუბიექტზე პირველ რიგში შეგვრძნების სახით იჩენს თავს. მაშასადამე, ამ ცნების გარეშე არც ცოცხალი არსების ცნობიერების შესახებ შეიძლება ლაპარაკი და არც მისი ქცევის შესახებ. მაგრამ როგორ ჩნდება შეგვრძნება? ამ საკითხს არასდროს არავითარი ეჭვი არ გამოუწვევია: გარე სინამდვილე, გარკვეულ გამლიზიანებელთა სახით, გრძნობის-ორგანოებზე მოქმედებს და შედეგად შესაფერის შეგვრძნებას იწვევს — ჰაერის ტალღები ბგერის შეგვრძნებას, ეთერის ტალღები — სინათლისას. შეგვრძნება გამლიზიანებლის უშუალო ზემოქმედების პირობებში ჩნდება: შეგვრძნება უშუალოდაა გამლიზიანებელთან დაკავშირებული და ეს კავშირი, ტრადიციული ფსიქოლოგიის პრინციპული რწმენით, როგორც ეს განსაკუთრებით ვ. კელერმა დაასაბუთა, მყარისა და იძულებითი ბუნებისაა.

ამრიგად, ტრადიციული ფსიქოლოგიის მიხედვით, ფიზიკური სინამდვილე უშუალოდ მოქმედებს ფსიქიკაზე და მასში შეგვრძნებათა სახით თავის უშუალო შედეგებს წარმოშობს. ვებერ ფეხნერის სახელგანთქმული ფსიქოფიზიკური კანონი, ისე როგორც ი. მიულერის არანაკლებ ცნობილი „გრძნობათა ორგანოების სპეციფიკური ენერჯის კანონი“, თავის წინამძღვრად არსებითად ამ უშუალოების პოსტულატს გულისხმობს.

მაგრამ როგორია მიმართება თვით ფსიქიკურ მოვლენათა შორის ფსიქოლოგიური ფსიქოლოგია ყოველთვის ამაყოფნა. თითქოს მან ნამდვილი ფსიქოლოგიური კანონების აღმოჩენა შესძლო, კანონების, რომელნიც ფსიქიკურ მოვლენათა ურთიერთობას გვითვალისწინებენ. ამათ შორის პირველი ადგილი, რასაკვირველია, ე. წ. ასოციაციის კანონებს ეკუთვნის. მაგრამ რას წარმოადგენენ ეს კანონები ჩვენთვის ამჟამად საინტერესო თვალსაზრისით? საკმარისია ეს საკითხი წამოვაცინოთ, რათა იმწამსვე შევამჩნიოთ, რომ ასოციაციის კანონებს უდაოდ უშუალობის პრინციპი უდევს საფუძვლად: ერთი წარმოდგენა მეორეს უკავშირდება პირდაპირ, უშუალოდ, ყოველი შუაწევრის გარეშე, და ერთი წარმოდგენა მეორის რეპროდუქციას ახდენს ასევე პირდაპირ და ასევე უშუალოდ. წარმოდგენა უშუალოდ მოქმედებს წარმოდგენაზე და — ეს დებულება რომ განვაზოვადოთ — ფსიქიკური საზოგადოდ უშუალო გავლენას ახდენს სხვა ფსიქიკურ პროცესებზე. მოკლედ: ფსიქიკურ პროცესებს შორისაც უშუალო კავშირი არსებობს.

რა უნდა ითქვას ქცევის შესახებ ანდა — უფრო ელემენტურ პროცესებზე რომ ვილაპარაკოთ — მოტორული მოვლენების შესახებ? პასუხი აქაც იგივეა. მოტორული პროცესები ორგანოთა თანახმად ტრადიციულად განმტკიცებული შეხედულებისა: უნებური და ნებისმიერი.

პირველის ნიმუშს რეფლექსი წარმოადგენს, ე. ი. ისეთი მოტორული პროცესი, რომელიც ფიზიკური სტიმულის შემოქმედების უშუალო რეაქციად იგულისხმება: რეფლექსის შემთხვევაში ფიზიკური პირდაპირ უშუალოდ განსაზღვრავს მოძრაობას.

მაგრამ ადამიანს გაშუალებული მოძრაობაც აქვს, ე. წ. ნებისმიერი მოტორული აქტი. მიუხედავად ამისა, უშუალობის პრინციპი ამ უკანასკნელის მიმართაც ძალაში რჩება. საქმე ისაა, რომ მოტორულის განმსაზღვრელად აქ ფსიქიკური იგულისხმება. მაშასადამე, საკითხი აქ ფსიქიკურისა და მოტორული აქტის კავშირს ეხება. ეს კავშირი კი სრულიად უშუალოა: იგულისხმება, რომ ნებისმიერი მოძრაობების უშუალო სტიმულს განზრახვა, გადაწყვეტილება ან სხვა შესაფერი ფსიქიკური შინაარსი წარმოადგენს.

ამგვარად: ტრადიციული ფსიქოლოგიის ძირითადი რწმენით, იმ მოვლენათა შორის, რომელსაც ფსიქოლოგია სწავლობს, უშუალო კავშირი არსებობს. შეიძლება ითქვას: ტრადიციული ფსიქოლოგია მთლიანად უშუალობის პოსტულატის ნიადაგზეა აგებული.

მაგრამ რას ნიშნავს ეს? პირველ რიგში ეს იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული ფსიქოლოგია მთლიანად რეფლექსოლოგიად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე, ტყუილა ეწოდება რეფლექსოლოგია მხოლოდ იმ ფსიქოლოგიურ მიმართულებას, რომელსაც ადამიანის მთელი ქცევა ე. წ. რეფლექსებზე დაჰყავს და, მაშასადამე, ფსიქიკის შესწავლას ზედმეტად აღიარებს. რეფლექსოლოგიურად არა მარტო ბიჰევიორისტული ფსიქოლოგია უნდა ჩაითვალოს: რეფლექსოლოგიურია ემპირიული, სუბიექტური ფსიქოლოგიაც, მიუხედავად იმისა; რომ იგი რეფლექსოლოგიისა და ბიჰევიორიზმის ანტიპოდად იგულისხმება (31).





მართლაცდა, რაა სპეციფიკური რეფლექსისათვის? რასაკვირველია, ის გარემოება, რომ იგი მოტორულ აქტს წარმოადგენს: მოტორული აქტები სხვებიც არსებობს და პირველ რიგში ის მოტორული აქტები, რომელთაც რეფლექსის ცნება უპირისპირდება. ე. წ. ნებისმიერი მოტორული აქტები. არა რეფლექსისათვის უწინარეს ყოვლისა ისაა დამახასიათებელი, რომ იგი მოქმედი სტიმულის უშუალო საპასუხო რეაქციას წარმოადგენს — ყოველ შემთხვევაში, ასეთს უშუალო რეაქციად იგულისხმება: რეფლექსისათვის არსებითი და სპეციფიკური ეს მისი უშუალობაა.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ პრინციპულად სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა ხასიათის ან შინაარსისაა თვით სტიმული ან რეაქცია — ფსიქიკურია იგი თუ ფიზიკური, მოტორული თუ სენსორული ან ინტელექტუალური. საქმე მხოლოდ ისაა, თუ რა კავშირი არსებობს სტიმულსა და რეაქციას შორის. იქ, სადაც ეს კავშირი უშუალოა, ჩვენ მხოლოდ რეფლექსის შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

აქედან უდაო ხდება, რომ მთელი კლასიკური ფსიქოლოგია — არა მარტო ბიპევიორისტული, არამედ ემპირიული სუბიექტური ფსიქოლოგიაც, — რამდენადაც იგი სწორედ ასეთს უშუალო კავშირს გულისხმობს იმ მოვლენათა შორის, რომელთაც სწავლობს; ერთი სიტყვით, რამდენადაც იგი უშუალობის პრინციპს ეყრდნობა, არსებითად რეფლექსოლოგიად უნდა ჩაითვალოს.

ეს დებულება მკვეთრად მიუთითებს, რომ მთელი ე. წ. კლასიკური, ბურჟუაზიული ფსიქოლოგია, თავიდან ბოლომდე მექანიკურ პოზიციებზე დგას: რეფლექსის ცნება კაუზალობის წმინდა მექანიკური გაგების პროდუქტს, ნიუტონის მესამე კანონის ბიოლოგიური სინამდვილის თავისებურებებთან შეგუების ცდას წარმოადგენს.

თუ გარემო — ფიზიკური იქნება იგი თუ ფსიქიკური — უშუალოდ მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე, თუ ჩვენი მოტორული თუ ფსიქიკური პროცესებმათზე მოქმედი სტიმულების უშუალო პასუხს წარმოადგენენ, მაშინ გამოდის, რომ სინამდვილესთან ურთიერთობას სუბიექტი კი არა, მისი ფსიქიკა, ან კერძოდ, მისი მოტორიკა ამყარებს, რომ ჩვენი ქცევა თუ განცდა სუბიექტის არსებითი მონაწილეობის გარეშე ჩნდება და, მაშასადამე, მათზე მოქმედი სტიმულებით ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება. უშუალობის პოსტულატი შესაძლებლობას უსპობს კლასიკურ ფსიქოლოგიას ადამიანის ქცევის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრულობის იდეას თავი დააღწიოს: იგი იძულებული ხდება კონსტანტობის ჰიპოთეზი მართა შეგრძნებათა სამკვიდროთი კი არ შემოფარგლოს, არამედ მთელი ფსიქიკის, მთელი ქცევის სარბიელზე გაავრცელოს. ეს ერთ-ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო ნაკლია, რომელიც კლასიკურ ფსიქოლოგიას, როგორც უშუალობის ფსიქოლოგიას, ახასიათებს.

2. სუბიექტის ცნება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში. მაგრამ ხომ არ ვწამებთ ცილს კლასიკურ ფსიქოლოგიას? განა სუბიექტის, პიროვნების, ცნება მართლაც ეგოდენ უცხოა მისთვის და განა, მისი შეხედულებით, გარემოსთან ურთიერთობის პროცესში სუბიექტი მართლაც არავითარ როლს არ ასრულებს? განა კლასიკური ფსიქოლოგია მართლაც ადამიანი-





ძლება ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ კლასიკური ფსიქოლოგიის „სუბიექტის“ ნამდვილად სუბიექტს არ წარმოადგენს: იგი არაფერს არ შეიცავს ისეთს, რომ ცალკეული ფსიქიკური პროცესებისაგან რაიმე განსხვავებულს შეადგენდეს. როგორც დავრწმუნდით, იგი წარსულში მიღებულ განცდათა კვლის. ცალკეული წარმოდგენების მეტს არაფერს შეიცავს. იგი ამ ცალკეული შინაარსების ერთობას წარმოადგენს და მეტს სრულიად არაფერს. მაშასადამე, სუბიექტი კლასიკური ფსიქოლოგიისათვის მთლიანად ფსიქიკურ შინაარსებზე დაიყვანება. დასკვნა აქედან ცხადია, კლასიკური ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისათვის სუბიექტი, მე, პიროვნება ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებთან შედარებით არსებითად, ახალს სრულიად არაფერს იძლევა. ახალი აქ მხოლოდ სიტყვაა — სუბიექტი — თორემ შინაარსის მხრით ჩვენ კვლავ ფსიქიკასთან — და მხოლოდ მასთან — გვაქვს საქმე. მაგრამ, სინამდვილესა და ასე ვაგებულ სუბიექტს შორის ურთიერთობის ფაქტის აღიარება სრულიად არ ნიშნავს უშუალოდ პრინციპზე ხელის აღებას. არა! ეს პრინციპი ფაქტურად აქაც თავიდან ბოლომდე ხელუხლებელი რჩება, იმიტომ რომ ასეთს სუბიექტსა და სინამდვილეს შორის ურთიერთობა კვლავ ფსიქიკურ პროცესებსა და სინამდვილეს შორის ურთიერთობას ნიშნავს.

ამრიგად, სინამდვილესა და ფსიქიკას შორის უშუალო კავშირის პოსტულატი მთლიანად ძალაში რჩება, და სუბიექტის ცნება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში ფაქტიურად სრულიად არავითარ როლს არ ასრულებს.

ესეც არ იყოს, სუბიექტის ცნების უშინაარსობა, როგორც იგი კლასიკურ ფსიქოლოგიაშია წარმოდგენილი, სხვა მხრითაც ნათელია. მართლაც, თუ სუბიექტს გამოცდილება ჰქმნის, ე. ი. ის განცდები რომლებიც მას განსხვავებული სტიმულების ზეგავლენის შედეგად აქვს წარსულში მიღებული, ხოლო ახლა წარმოდგენათა სახით დაცული, მაშინ ცხადია, რომ სუბიექტი მეორადი მოვლენაა, მეორადი და ნაწარმოები მოვლენა, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ ჩნდება, რაც სტიმულმა უკვე გამოიწვია ის ფსიქიკური პროცესები, რომელთა ერთობლიობაც შედეგ მის განსაკუთრებულობას ჰქმნის. მაგრამ თუ ეს ასეა, ე. ი. თუ სტიმული სუბიექტის აღმოცენებამდე იწვევს ფსიქიკაში ცვლილებებს, მაშინ ცხადია, რომ კავშირი სტიმულსა და ფსიქიკას შორის, იმთავითვე უშუალო ყოფილა და, მაშასადამე, სინამდვილის ფსიქიკაზე ზემოქმედების პროცესში სუბიექტს პრინციპულად ახალი არაფერი არ ჰქონია გასაკეთებელი (32).

აქედან გასაგები ხდება, თუ რატომაა, რომ ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში სუბიექტი არსებითად მხოლოდ ნეიტრალური არის როლს ასრულებს — ნეიტრალური არისას, რომელზეც ფსიქიკური პროცესები სუბიექტის ყოველი ფაქტიური მონაწილეობის გარეშე ჩნდებიან და ასეთივე მონაწილეობის გარეშე ვითარდებიან. თუ კი ფსიქიკური პროცესები უშუალო კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან, თუ კი ყველაფერი, რაც მათში ხდება, ფსიქიკურის თუ ფიზიკური სტიმულის უშუალო ზემოქმედების შედეგს წარმოადგენს, მაშინ სუბიექტი მართლაც მხოლოდ როგორც ამ პროცესების საყრდენი, როგორც მათი მატარებელია საჭირო, რომელიც თვითონ თავის მხრით მათს ვითარებაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. განსაკუთრებით ნათელია ამ დებულების სისწო-

რე ასოციაციური ფსიქოლოგიის მიმართ. მაგრამ რადგანაც ფაქტიურად უკლებლივ მთელი ბურჟუაზიული ფსიქოლოგია იზიარებდა და ამიტომ იგი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მთლიანად რეფლექსოლოგიურ ან ასოციაციურ ფსიქოლოგიად უნდა ჩაითვალოს. ეს დებულება მთელი კლასიკური ფსიქოლოგიის მიმართ რჩება ძალაში.

მაგრამ თუ სუბიექტი მართლაც არავითარ გავლენას არ ახდენს თავისი ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობაზე, მაშინ უდაოა, რომ სუბიექტის ცნება ამ უკანასკნელის შესასწავლად ვერავითარ დახმარებას ვერ გაავიწევს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ კლასიკურ ფსიქოლოგიაში ამ ცნებას თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა. შეიძლება ითქვას, კლასიკური ემპირიული ფსიქოლოგია უსუბიექტო ფსიქოლოგიაა; იგი ცალკე პროცესების, ცალკე ფუნქციების ურთიერთმიმართების ფსიქოლოგიაა. ხოლო რაც შეეხება ამ პროცესების, ამ ფუნქციების სუბიექტს, ცოცხალ არსებას, რომელიც არა მარტო მატარებელია მათი, არამედ მათი განმკარგულებელიცაა, მის შესახებ ემპირიულ ფსიქოლოგიას სათქმელი არაფერი აქვს.

ბუნებრივი დასკვნა აქედან ისაა, რომ კლასიკური ემპირიული ფსიქოლოგია აბსტრაქტულ, მეტაფიზიკურ მეცნიერებად იქცევა: იგი ფსიქიკას როგორც ფსიქიკას სწავლობს, სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, და არა როგორც ცოცხალი ადამიანის, კონკრეტული მოთხოვნილებების მქონე აქტიური არსების „იარაღს“ ან „ორგანოს“, რომელსაც ეს უკანასკნელი თავისი კონკრეტული მიზნების მისაღწევად იმუშავებს და იყენებს. ამ მიზნის გამო ემპირიული ფსიქოლოგია თითქმის ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს იმ მეცნიერულ დარგებს, რომელთაც ცოცხალი ფსიქიკური სინამდვილის ცოდნა ესაჭიროებათ და ამას მართებულად ფსიქოლოგიისაგან მოელიან (31).

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ კლასიკური ბურჟუაზიული ფსიქოლოგია თავისი ძირითადი პოსტულატის — უშუალოდ პოსტულატის ზეგავლენით იძულებული ხდება ფსიქიკური ცხოვრების შესწავლისას სუბიექტის როლი ფაქტიურად სრულიად უგულებელჰყოს და იგი ისე აწარმოოს, თითქოს სინამდვილესთან თვით ფსიქიკა აწესებდეს უშუალოდ ურთიერთობას და არა სუბიექტი, ამ ფსიქიკის მატარებელი. კონკრეტი მოთხოვნილებებით ამოძრავებული ცოცხალი არსება.

## II

1. განწყობის ცნება. კლასიკური ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის უშუალოდ პოსტულატისა და მისგან გამომდინარე დასკვნების საწინააღმდეგოდ ჩვენ ხაზგასმით ვაყენებთ დებულებას, რომლის მიხედვითაც სინამდვილესთან ურთიერთობას ფსიქიკა კი არა, კონკრეტული სუბიექტი, გარკვეული მოთხოვნილებით აღჭურვილი ცოცხალი არსება აწესებს. თავისთავად იგულისხმება, ეს დებულება არც ახალია და არც სადაოა: უეჭველია, მის წინააღმდეგ თვით კლასიკური ფსიქოლოგიაც ვერაფერს იტყოდა. საქმე მხოლოდ ისაა, თუ რა კონკრეტული შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ ამ დებულებაში და როგორ უნდა მოვახერხოთ მისი რეალიზაცია.



როგორც დავრწმუნდით, კლასიკური ფსიქოლოგია, რამდენადაც უმჯობესი თავითვე უშუალოდ პრინციპის ზეგავლენის ქვეშ მოექცა, ფაქტიურად ყოველთვის ამ დებულების საწინააღმდეგო მიმართულებით მუშაობდა. მაშასადამე, თუ გვინდა კლასიკური ფსიქოლოგიის ბედი არ გავიზიაროთ, პირველ რიგში უშუალოდ პრინციპზე უნდა ავიღოთ ხელი. ეს იმას ნიშნავს, რომ იმთავითვე უნდა აღვიაროთ, რომ სუბიექტისა და სინამდვილის ურთიერთობის პროცესში ეს უკანასკნელი სუბიექტის ფსიქიკაზე თუ ქცევაზე კი არ ახდენს უშუალოდ გავლენას, არამედ თვითონ სუბიექტზე, როგორც ასეთზე — მის ნაწილობრივს კერძო ხასიათის პროცესებზე კი არ მოქმედებს უშუალოდ, არამედ მასზე, როგორც მთელზე. ამით ჩვენ მართო იმის თქმა როდი გვინდა, რომ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში პირველ რიგში სუბიექტში, როგორც მთელში, ჩნდება გარკვეული ცვლილება და არა მის ფსიქიკაში ან ქცევის აქტებში საზოგადოდ, არამედ იმისიც, რომ ეს მთლიანობითი ცვლილება, მისი ბუნება და მიმდინარეობა იმდენად სპეციფიკურია, რომ მის შესასწავლად არც ფსიქიკურის ჩვეულებრივი ცნებები და კანონზომიერებები გამოდგება და არც ფიზიოლოგიურის.

მაშასადამე, საჭიროა საგანგებო მუშაობა, რათა ამ პირველადის, მთლიანობითი ხასიათის სინამდვილის ბუნება და მოქმედების კანონზომიერება რაც შეიძლება სრულად იქნას გამოვლენილი და, ამრიგად, დაგროვილ იქნას მასალა, რომელიც კონკრეტი, მოქმედი სუბიექტის ქცევას, როგორც მეორადს, ამ პირველადს ცვლილებებზე აღმოცენებულ ფაქტს, გასაგებად გახდის. ჩვენი კათედრისა და ლაბორატორიის ძირითადი პრობლემა სწორედ ესაა, პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზეც ბევრის მხრით დამოკიდებულია ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის სიძნელეთა გადალახვისა და ახალის, არა უშუალოდ პოსტულატზე აღმართული ფსიქოლოგიის აგების შესაძლებლობა.

რა გაკეთდა დღემდე ამ მიმართულებით? როგორია დღევანდელი დღისათვის საკითხის მდგომარეობა?

ჩვენი ძირითადი დებულების სისწორე ჩვენს ხანაში არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საქმე ისაა, რომ დღეს — უმთავრესად გეზტალტ-თეორიის გამოკვლევათა წყალობით — უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს, ჯერ ერთი, რომ მთლიანი თავისი ნაწილების უბრალო ჯამს კი არა, სპეციფიკურს, დამოუკიდებელ რეალობას წარმოადგენს, რომლის დაყვანაც ნაწილების თვისებებსა და კანონზომიერებაზე სრულიად მოუხერხებელია; მეორე: რომ მთელი არც ჩნდება და არც იაზრება ნაწილების შეერთების შედეგად, რომ იგი, პირიქით, რეალობად და ლოგიკურადც წინ უსწრებს თავის ნაწილებს; და დასასრულ, მესამე: რომ მთელის რაგვარობა ნაწილებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ, პირიქით, ნაწილების რაგვარობაა მთელზე დამოკიდებული.

ამისდამიხედვით, ადამიანი, როგორც მთელი, ფსიქიკისა და სხეულის, ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის ჯამს როდი წარმოადგენს, მათს შენაერთს, ასე ვთქვათ, ფსიქოფიზიკურ არსებას, არამედ დამოუკიდებელს თავისებურ რეალობას, რომელსაც თავისი სპეციფიკური რომელობა და თავისი სპეციფიკური კანონზომიერება აქვს. და აი, როდესაც სუბიექტზე სინამდვილე მოქმედებს, იგი, როგორც მთლიანი, უპასუხებს მას, როგორც ეს სპე-

ციფიკური, ეს თავისებური რეალობა, რომელიც წინ უსწრებს კერძო ქიქურსა და ფიზიოლოგიურს და მათზე არ დაიყვანება.

გარდა ამისა, კერძო აქტებსა და მოვლენებს რომ ორგანიზმის გარკვეული მთლიანი მდგომარეობა უსწრებს წინ და რომ მათ მიმდინარეობას ეს მთლიანი მდგომარეობა განსაზღვრავს, ეს ჩვეულებრივი ყოველდღიური დაკვირვებებიდანაც საკმაოდ ნათლად ჩანს. ვის არ განუცდია, მაგალითად, რომ თითოეული ჩვენი ნაბიჯიც კი ორგანიზმის მთლიან ტონუსზეა დამოკიდებული. მაგ., კბენზე აღიხარ ან ჩაღიხარ, და ერთი საფეხური მეტი გეჩვენება: უკანასკნელი ნაბიჯის განცდის სპეციფიკური უხერხულობა, რომელიც ამ შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს, ნათლად ამტკიცებს, რომ თითოეულს ჩვენს ნაბიჯს ორგანიზმის საერთო მდგომარეობა უსწრებს წინ და რომ მას ეს საერთო მდგომარეობა განსაზღვრავს. მაგრამ თუ თითოეული კერძო ნაბიჯიც კი ორგანიზმის მთლიან მდგომარეობაზეა დამოკიდებული, არავითარი უფლება არა გვაქვს არ ვივულისებოთ, რომ ამავე მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი სხვა შემთხვევაშიც — ცოცხალ არსებაში ყოველი კერძო აქტი და მოვლენა ასეთსავე სპეციფიკურს მთლიან ფონზე უნდა იყოს აღმოცენებული.

ამრიგად, არსებობს საბუთების რიგი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში (1) პირველ რიგში სუბიექტი როგორც მთელი იცვლება და რომ (2) ეს მთლიანობითი ცვლილება, თავისებური, სპეციფიკური პროცესია, რომელიც ფსიქიკურის და მოტორულის თავისებურებებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ, პირიქით, თვითონ განსაზღვრავს მათ (21, 26, 30).

იბადება საკითხი: როგორია ეს პირველადი, მთლიანობითი ეფექტი? რას წარმოადგენს იგი არსებითად? მაგრამ სანამ ამ საკითხზე პასუხის გაცემა ვცდიდეთ, ვნახოთ, თუ რა პირობები უნდა იყოს დაცული, რათა სუბიექტს სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში ეს მთლიანობითი ხასიათის ცვლილება აღმოუცენდეს.

რასაკვირველია, ცოცხალი არსება მხოლოდ მოთხოვნის იმპულსით იწყებს კავშირის დაწესებას სინამდვილესთან. მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მიმართავს გარკვეული ქცევის აქტებს. მაგრამ ქცევისათვის მეორე პირობაც არის აუცილებელი: უნდა არსებობდეს სინამდვილე, რომელიც ამ მოთხოვნის პირდაპირის თუ არაპირდაპირის დაკმაყოფილების სიტუაციას წარმოადგენს; უამისოდ ქცევას კონკრეტული, გარკვეული სახე ვერ მიეცემოდა და იგი, როგორც კონკრეტული შინაარსის ქცევა, ვერ აღმოცენდებოდა. მაშასადამე, ორი პირობა, ან უკეთ ორი ფაქტორი მაინც, არსებობს, რომელიც ყოველი კონკრეტული ქცევის აღმოცენებისათვისაა აუცილებელი: სუბიექტური ფაქტორი (მოთხოვნისება) და ობიექტური ფაქტორი (სიტუაცია).

ამისდამიხედვით, როდესაც სუბიექტი რაიმე გარკვეულ მოთხოვნისებას განიცდის და შესაფერის სიტუაციაში მოექცევა, იგი გარკვეულ ქცევას იწყებს, ქცევას, რომელიც მისი მოთხოვნისებას დასაკმაყოფილებლადაა წარმართული. მაგრამ სანამ ეს ქცევა დაიწყებოდა, სუბიექტში სპეციფიკური, მთლიანობითი ხასიათის ცვლილება იჩენს თავს, რომელიც, როგორც ვიცით,



სინამდვილის — ამ შემთხვევაში, გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაციის, ზემოქმედების შედეგად ჩნდება. რამდენადაც აქ ჩვენ, ჯერ ერთი, გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაციასთან გვაქვს საქმე, და მეორე, რამდენადაც სუბიექტის მთლიანობითი ცვლილება ამ სიტუაციის უშუალო ზემოქმედების ეფექტს წარმოადგენს, არ შეგვიძლია არ ვიგულისხმობთ, რომ სუბიექტის მთლიანობითი ცვლილება — ვიმეორებთ, როგორც სიტუაციის ზემოქმედების უშუალო ეფექტი, — ამ სიტუაციის აქტუალური მოთხოვნების ფონზე ასახვას წარმოადგენს: უშუალო ეფექტი არ შეიძლება იმის მკაფიო დასს არ ატარებდეს, რისი უშუალო ეფექტიც არის იგი (21. 32).

მაგრამ ეს ასახვა ისეთი ასახვა როდია, როგორსაც ცოცხალი არსების ფსიქიკა ან მისი მოტორიკა იძლევა. ფსიქიკური ასახვა სინამდვილისა მისი, ასე ვთქვათ, ქვრეტითი, კონტემპლაციური ასახვაა. მაგრამ სინამდვილე შეიძლება არაკონტემპლატურადაც იყოს ასახული: როდესაც ჩვენი ქცევა, ჩვენი მოტორული აქტები მოცემული სიტუაციის შესატყვისად მიმდინარეობს, ჩვენ მაშინაც სინამდვილის ასახვასთან გვაქვს საქმე, მის არა ქვრეტითს, არამედ მოქმედებითს ანუ პრაქტიკულ ასახვასთან. რასაკვირველია, ის მთლიანობითი ეფექტი, რომელიც სუბიექტში სიტუაციის უშუალო ზემოქმედების შედეგად ჩნდება, არც ქვრეტითი ასახვა შეიძლება იყოს და არც მოქმედებითი. იგი ასახვის თავისებური, სპეციფიკური ფორმაა, ერთგვარი მთლიანობითი ასახვა, რომლის ნიადაგზეც, პირობების დამხედვეთ შეიძლება ან ქვრეტითი ასახვა აღმოცენდეს, ან მოქმედებითი. იგი მთლიანი სუბიექტის ისე მოწყობაში, ისე მომართვაში მდგომარეობს, რომ მასში სწორედ იმ ფსიქიკურმა თუ მოტორულმა აქტებმა იჩინონ თავი, რომელნიც სიტუაციის ადეკვატურს ქვრეტითს თუ მოქმედებითს ასახვას უზრუნველყოფენ. იგი, ასე ვთქვათ, განწყობითი ასახვაა, მთლიანი სუბიექტის გარკვეული სიტუაციის შესატყვისი პირველადი მოდიფიკაციაა, მოკლედ, შეიძლება, მას განწყობა ვუწოდოთ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, სუბიექტი გარკვეული მოთხოვნების ნიადაგზე გარკვეულ სიტუაციას უბირისპირდება. შედეგი ისაა, რომ მასში, სიტუაციის უშუალო ზეგავლენით, ერთგვარი მთლიანი, სპეციფიკური მოდიფიკაცია ჩნდება, რომელიც სიტუაციის თავისებურს პირველადს ასახვას, ასე ვთქვათ, განწყობითს ასახვას ანუ, მოკლედ, განწყობას წარმოადგენს. სუბიექტის ფსიქიკის და საზოგადოდ მთელი მისი ქცევის შინაარსი ამ განწყობის რეალიზაციად და, მამასადამე, მეორად მოვლენად უნდა აღვიაროთ.

აქედან ნათელია, თუ რაოდენ დიდი, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტალური როლი აქვს ადამიანის ცხოვრებაში დაკისრებული განწყობას — ამ სიტუაციის მნიშვნელობით, რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ და, მამასადამე, რაოდენ ნაკლოვანი უნდა იყოს ბურჟუაზიული ფსიქოლოგია, რომელიც, უშუალოდის პოსტულატის ზეგავლენით, სრულიად უგულებელყოფდა ამ ცნებას. აქედან ნათელია ისიც, თუ რაოდენ აუცილებელია სინამდვილის ამ შეუსწავლელი სფეროს სპეციალური კვლევა და აგრეთვე მთელი ფსიქოლოგიის შინაარსის განწყობის თვალსაზრისით გადასინჯვა და გადახალისება. კონკრეტი, ცოცხა-



ლი, მოქმედი ადამიანის ფსიქოლოგიის შექმნისათვის ყველაფერს აღიქვამდა, ლიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

2. განწყობის ცნება ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში. „განწყობის“ ცნება არც კლასიკური ფსიქოლოგიისათვის იყო უცხო. ყოველ შემთხვევაში, ეს ტერმინი ჯერ კიდევ XIX საუკ. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება (ფონ-კრიზი, გ. მიულერი). XX საუკუნეში იგი, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ ფსიქოლოგიურ ტერმინად იქცევა. ხოლო ზოგიერთი ფსიქოლოგისათვის ჩვენი მეცნიერების ერთ-ერთს ფუძემდებელ ცნებად (ბეცი, მიულერ-ფრაინფელსი, მარბე და სხვ.).

მიუხედავად ამისა, ტრადიციული ფსიქოლოგიის ფარგლებში იგი მაინც-დამაინც ნაყოფიერი ცნება ვერ აღმოჩნდა (26.32). ეს ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითადი დოგმა, უშუალოდ პრინციპი, ამ ცნების ნამდვილი შინაარსის გამოვლენის შესაძლებლობას არსებითად ეწინააღმდეგება; ამიტომ კლასიკური ფსიქოლოგიის „განწყობა“ თავისი შინაარსით ერთ-ერთს ჩვეულებრივ ფსიქოლოგიურ ცნებას წარმოადგენს. პრინციპულად იგი არაფრით არ განსხვავდება სხვა ფსიქიკური პროცესებისაგან — იგი ემოციური განცდაა ან მოტორული მდგომარეობა, რომელიც სხვა განცდებზე ან მოტორულ პროცესებზე მოქმედებს და მათზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. კლასიკურ ფსიქოლოგიას განწყობის ცნების შინაარსი ჩვეულებრივს ნაწილობრივ პროცესებზე — ფსიქიკურსა და მოტორულზე — დაჰყავს და ამით თავისი ძირითადი დოგმის, უშუალოდის დოგმის, მოთხოვნილებებს უქვემდებარებს. მაგრამ, როგორც ვიცით, ასე გაგებულს განწყობის ცნებას ბევრი არაფერი აქვს საერთო ნამდვილი განწყობის ცნებასთან. და ამიტომ საკვირველი არაა, რომ მან ძველს ფსიქოლოგიურ აზროვნებაზე ის ვაყენა ვერ მოახდინა, როგორც განწყობის მართებული ცნებისაგანაა მოსალოდნელი.

ამრიგად, განწყობა ძველი ფსიქოლოგიისათვის სბეციფიკური, რომელიც ბით განსხვავებული რეალობა კი არაა, იგი სუბიექტის მთლიანობითი მოდუსი კი არაა, იგი მისი ერთ-ერთი კერძობითი — ემოციური ან მოტორული, მაშასადამე, ფსიქიკური ან სხეტლებრივი ფაქტია. ცხადია, ასე გაგებულნი განწყობის ცნება ვერაფერს ახალს ვერ შეიტანდა მეცნიერებაში.

აქედან გამომდინარეობს მეორე თავისებურება, რომელიც აგრეთვე დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს განწყობის ძველი ცნებისათვის. თუ განწყობა ერთ-ერთი ჩვეულებრივი კერძობითი ხასიათის პროცესთაგანია — ფსიქიკური ან მოტორული — მაშინ ცხადია, რომ ის ამ კერძობითი პროცესების სიბრტყეში უნდა იქნას მოქცეული. მაშასადამე, შეუძლებელია იგი სინამდვილესა და ამ პროცესებს შუა მდებარე არედ ვიგულისხმოთ, არედ, რომელიც წინ უსწრებს და განსაზღვრავს მათ მიმდინარეობას.

განწყობის ცნების ამგვარი გაგება ოდნავაც ვერ არყევს ძველი ფსიქოლოგიის წინამძღვარს, რომლის მიხედვითაც სინამდვილე უშუალოდ მოქმედებს ფსიქიკაზე. ხოლო თუ სინამდვილე უშუალოდ მოქმედებს ფსიქიკაზე, მაშინ, ცხადია, ფსიქიკის მუშაობას მხოლოდეს სინამდვილე უნდა განსაზღვრავდეს. მაგრამ, ძველი ფსიქოლოგია, რომელიც იდეალისტური პოზიციებიდან





გაზორის, ამ დებულებას მაინცდამაინც დიდი ხალისით ვერ იზიარებდა. ამ შემთხვევაში მას განწყობის ძველი ცნება შველის. ეს ცნება, მისი ჩვეულებრივი გაგებით, სრულიად არ შეიცავს თავის შინაარსში ობიექტური სინამდვილის ასახვის მომენტს: იგი უფრო სუბიექტურ კატეგორიად იაზრება, რომელიც გაცილებით მეტად ასახავს სუბიექტის მდგომარეობას, ვიდრე ობიექტისას. ამიტომ ვასაგებია, რომ, ჩვეულებრივ, განწყობის ცნებას ობიექტურ სინამდვილის ადამიანის ცნობიერებაში ასახვის არაადექვატურობის ასახნელოდ იყენებენ.

მაშასადამე, სადაც ეს ცნება ადამიანის ცნობიერების თითქმის მთელი მუშაობის საფუძვლად ცხადდება (მარბე და სხვ.), იქ ამით აღიარებულია, რომ არსებითად ჩვენი ფსიქიკის წარმართველ ფაქტორს სუბიექტური ფაქტორი წარმოადგენს. განწყობის ჩვენი ცნებისათვის, წინააღმდეგ ამისა, პირველ რიგში ისაა დამახასიათებელი, რომ იგი სპეციფიკურს, მთლიანობით ასახავს წარმოადგენს ობიექტური სინამდვილისას და ამიტომ ვასაგებია, რომ ჩვენი ცნობიერების მუშაობას ობიექტური ვითარება განსაზღვრავს და არა პირიქით, ობიექტურ ვითარებას ცნობიერება.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ განწყობის ჩვენს ცნებას არსებითად თითქმის არაფერი აქვს საერთო განწყობის იმ ცნებასთან, რომელიც ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაშია ცნობილი.

### III

1. ფიქსირებული განწყობა. განწყობა ობიექტური სიტუაციის სუბიექტზე ზემოქმედების შედეგად ჩნდება, თუ კი ამ სიტუაციის რაიჰე დირებულება აქვს მოცემულ მომენტში სუბიექტისათვის. მთელი აზრი განწყობა ალმოცნებისა ისაა, რომ მის ნიადაგზე ამ სიტუაციის შესაფერი ქცევა გაიშალოს ყველა იმ მომენტით — მოტორულითა და ფსიქიკურით — რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელია ქცევისათვის.

მაშასადამე, შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ საკმარისია ესათუის განწყობა გაჩნდეს, რომ ამით შესატყვისი ქცევის ფაქტი უზრუნველყოფილად ჩაითვალოს, ანდა, სხვანაირად, რომ ყოველი განწყობა უთუოდ ქცევით უნდა დასრულდეს, რომ, მოკლედ, განწყობა რეალიზაციის გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ფაქტიურად ეს ასე არაა. არსებობს პირობათა მთელი რიგი, რომელიც განწყობის რეალიზაციას აფერხებს და ხშირად სრულიად გამორიცხავს. ამ პირობათა საგანგებო შესწავლა მომავლის საქმეა.

მაგრამ ზოგი რამ დღესაც შეიძლება ითქვას, ჯერ ერთი, შესაძლებელია განწყობა იძულებული გახდეს მხოლოდ ფსიქიკური რეალიზაციით დაკმაყოფილდეს. მაგრამ ეს რეალიზაცია სრული რეალიზაცია არაა: ის უფრო სუროგატია ასეთი რეალიზაციისა, იმიტომ რომ ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად წარმოსახული საშუალებები არ კმარა, ამისათვის მთი რეალური დაუფლებაა საჭირო. გარდა ამისა, ადამიანის მოთხოვნილებათა სირთულისა და სიმრავლის ფაქტი ვასაგებად ხდის ისეთ შემთხვევებსაც, როცა განსაზღვრულ პირობებში ალმოცნებული განწყობა თავისი ფსიქიკური



რეალიზაციის შესაძლებლობასაც მოკლებული ხდება. ფროიდის ბულ განცდათა“ ცნება არსებითად ასეთი განწყობის ფაქტზე მიუთითებს.

ერთი სიტყვით, ირკვევა, რომ არაიშვიათია შემთხვევა, როცა სუბიექტს განწყობა უჩნდება, მაგრამ ეს უკანასკნელი თავისი რეალიზაციის დონეს ვერ აღწევს (27. 32).

რა ემართება ასეთ განწყობას? ექსპერიმენტული დაკვირვება ამტკიცებს, რომ განწყობის ერთ-ერთს განსაკუთრებით მნიშვნელოვან თვისებას ის გარემოება შეადგენს, რომ, ერთხელ აღმოცენებული, იგი უშედეგოდ არ იკარგება. ეს იქიდან ჩანს, რომ, თუ სუბიექტს იმავე სიტუაციაში მოვაქცევთ, რომელშიც მას წინათ ესათვის განწყობა ჰქონდა შემუშავებული, ახლა ეს განწყობა პას შედარებით ადვილად უჩნდება, უფრო ადვილად, ვიდრე პირველად.

მაგრამ ყველა ძველი განწყობის შესახებ ეს ერთნაირად არ ითქმის. თუ სიტუაციას განსაკუთრებით დიდი ღირებულება ჰქონდა სუბიექტისათვის, მაშინ ასეთ პირობებში აღმოცენებული განწყობა იმდენად აგზნებადი ხდება, რომ საკმარისია სუბიექტი თუნდ ანალოგიურ სიტუაციაში მოექცეს, რომ მასში კვლავ ძველმა განწყობამ იჩინოს თავი. ასეთსავე ეფექტს ვაღწევთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუბიექტს ერთსადაიმთხვევე განწყობას რამდენიმეჯერ შევუქმნით: ასეთი განწყობაც ადვილად აგზნებადი ხდება.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს ყველა ამ შემთხვევაში განწყობის ფიქსაციის შესახებ ვილაპარაკოთ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ოღონდ, რომ ფიქსაციის შესახებ აქ მხოლოდ იმ აზრით შეიძლება ლაპარაკი, რომ განწყობა ადვილად აგზნებადი ხდება (32).

ამრიგად, ის განწყობები, რომლებიც ადამიანს ოდესმე ჰქონია, უმნიშვნელოდ და უგზოუკვლოდ არ იკარგება: ზოგი მათგანი ფიქსირდება და ჩვენს აწყობა-ქცევაზე ახდენს გავლენას. ასეთ ფიქსირებულ განწყობათა წრე საკმაოდ ფართოა: ხშირად არარეალიზებული განწყობებიც ამ წრეში შედის.

ფიქსირებული განწყობის ფაქტის დადგენას, სხვათა შორის, თვალსაჩინო მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ ფიქსაცია განწყობის ექსპერიმენტული კვლევის შესაძლებლობას იძლევა, რამდენადაც მის გამოვლენას გამოწვევას უზრუნველყოფს.

ექსპერიმენტული მეთოდიცა, რომელსაც ჩვენ განწყობის შესასწავლად ვხმარობთ, როგორც მოსალოდნელიც იყო, არაჩვეულებრივ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ მეთოდის აღწერაზე აქ არ შევჩერდები—მისი გაცნობა ჩვენი ლაბორატორიის თითქმის ყველა პუბლიკაციაში შეიძლება (30.34. 43). მე აქ მხოლოდ მთავარს, პრინციპული მნიშვნელობის შედეგებს ჰოვუყრი თავს.

2. განწყობის ირადიაციის ცნება. განწყობა სუბიექტს როგორც მთელს ეხება. ამისი ექსპერიმენტული საბუთი ასეთია: საკმარისია ც.პ.-ს ერთი რომელიმე ორგანოს გზით შეუშუშაო და განუმტკიცო განწყობა, რათა დანარჩენი ორგანოებიც ამავე განწყობის მიმართულებით შეცვლილი აღმოჩნდნენ. პირველად ეს ფაქტი ჰაბტურისა და ოპტიკურის სფეროების მიმართ იქნა დადასტურებული (29). შემდგომმა კვლევამ დაამტკიცა, რომ ამ დებულებას განსაზღვრულ ფარგლებში სხვა გრძნობის მოდალობათა მიმართაც აქვს ძალა (32. 2).



5. განწყობა და ცნობიერება. განწყობის თეორიის მეტად პრინციპულ პრობლემას განწყობისა და ცნობიერების ურთიერთობის პრობლემა წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ჯერჯერობით ბევრი არაფერი გვაქვს გაკეთებული: ის მდიდარი პრობლემატიკა, რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული, ჯერ კიდევ მომავალი კვლევის საგანს შეადგენს. მაგრამ ერთი რამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ძირითადი, ჩვენ უკვე გამოკვლეული გვაქვს. საკითხი ეხება განწყობის არა-ცნობიერი ბუნების ექსპერიმენტულ დასაბუთებას. ჩვენი ცდები, რომელიც ჰიპნოზის მდგომარეობაში მყოფ სუბიექტებზე იყო ჩატარებული, ამტკიცებენ, რომ ჰიპნოზური ძილის დროს შექმნილი განწყობა გამოვლენების შემდეგაც განაგრძობს არსებობას და მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტმა მის შესახებ სრულიად არაფერი იცის: პოსტჰიპნოზური ანენზიის გამო ჰიპნოზური ძილის განცდებიდან მას სრულიად აღარაფერი ახსოვს (28).

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ განწყობა ცნობიერების რომელიმე გარკვეული შინაარსის სახით არ გვეძლევა, მიუხედავად ამისა, ის მაინც ახერხებს ჩვენს ქცევაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს. მაშასადამე, ქცევის მოწესრიგებული, მიზანშეწონილი წარმართვა ცნობიერების უეჭველი მონაწილეობის გარეშეც ხდება.

6. განწყობაზე წარმოდგენის ზემოქმედების შესაძლებლობა. განწყობის ფიქსაცია ჩვეულებრივ, აქტუალური სიტუაციის ზემოქმედების პირობებში ხდება: ცდის პირზე პირდაპირ გამოქმედებთ სტიმულებს, რომელთაც განწყობის შესაქმნელად მივმართავთ. მაგრამ განა მართო აქტუალური სინამდვილის ზემოქმედების პირობებში ჩნდება განწყობა? ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ განწყობა წარმოსახული, წარმოდგენაში აგებული სინამდვილის ზემოქმედების შედეგადაც ჩნდება?

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ განწყობა ცნობიერების რომელიმე გარკვევითი გადაჭრის შემთხვევაში წარსულისა და მომავლის ცნობიერების როლი ჩვენთვის სრულიად გაუგებარი დარჩებოდა. სათანადო ცდების შედეგად გამოიჩინა, რომ განწყობა წარმოდგენილი სიტუაციის ზეგავლენითაც მუშავდება და თუ სათანადო პირობებს შევუქმნით, ფიქსირდება კიდევ, ოღონდ იგი შედარებით უფრო სუსტია და ნაკლებ გამოკვეთილი, ვიდრე აქტუალური სიტუაციის პირობებში აღმოცენებული და ფიქსირებული განწყობა (38). თავისთავად იგულისხმება, წარმოსახული სიტუაციის პირობებში განწყობის აღმოცენების შესაძლებლობის დადასტურება არ არის საკმარისი, საჭიროა ყველა იმ თავისებურების გათვალისწინება, რომელიც შესაძლოა ამ განწყობას ახასიათებდეს.

7. განწყობის აგებებადობა. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ისახება პირველად განწყობა. ჯერჯერობით არც ის ვიცით, თუ როგორ შეიძლება, მეთოდის თვალსაზრისით, ამ საკითხის შესწავლის წარმოება. მართალია, ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში მეთოდის საკითხი შეუდარებლად უფრო მარტივია, მაგრამ, ამის მიუხედავად, არც განწყობის ფიქსაციის პროცესი გვაქვს ჯერჯერობით საკმაოდ კარგად შესწავლილი.



დღესდღეობით ექსპერიმენტულად ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ განწყობის ფიქსაცია მისი განმეორებითი გემოწვევის რაოდენობაზე დამოკიდებულია. იმისათვის, რომ განწყობის ფიქსაციაზე დავიწყოთ ლაპარაკი, განმეორებათა რაღაც რიცხვია აუცილებელი. ოღონდ ეს რიცხვი კონსტანტური არაა, იგი რაღაც ფაქტორის ზეგავლენით, იცვლება. ჩვენ ვიცით, რომ ამ შემთხვევაში განსაკუთრებით თვალსაჩინო როლს ინდივიდუალური ფაქტორი ასრულებს: ზოგი ინდივიდისათვის განწყობის საფიქსაციოდ განმეორებათა მეტი რიცხვია საჭირო, ზოგისათვის კი ნაკლები. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ასაკსაც აქვს მნიშვნელობა: ბავშვის განწყობა უფრო ადვილად ფიქსირდება, ვიდრე ზრდა-დასრულებულის (40). დასასრულ, უთუოდ, როლს თამაშობს სუბიექტის ჯანმრთელობის მდგომარეობაც: ზოგი დაავადების შემთხვევაში (მაგ., მიზოფრენიის შემთხვევაში) განწყობის ფიქსაცია ძლიერ ადვილად ჩდება, ზოგის შემთხვევაში (მაგ., ფსიქასთენია) კი ან სრულიად არ ხერხდება, ანდა შედარებით ძნელად. როგორც ჩანს, განწყობის აგზნებადობა ფაქტორების მთელ რიგზე დამოკიდებული და მათი საგანგებო შესწავლა უთუოდ გადაუდებელი ამოცანაა.

8. განწყობის ჩაქრობის პროცესი. სამაგიეროდ შედარებით უფრო ნათელი სურათი გვაქვს ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის შესახებ -- არაადექვატური სტიმულების შემოქმედების პირობებში. როგორც ზემოთაღნიშნული აღნიშნული, ფიქსირებული განწყობა არაშესატყვის სიტუაციაშიც იჩენს თავს -- თუ რომ, რასაკვირველია, ეს არაშესატყვისობა დიდი არაა -- და სუბიექტზე შესაფერ გავლენას ახდენს, სახელდობრ, ეს სიტუაცია ფიქსირებული განწყობის შესაფერისად განიცდება. სიტუაციის განმეორებითი შემოქმედების შედეგად ბოლოსდაბოლოს სუბიექტმა უნდა შესძლოს, თავი დააღწიოს თავის ფიქსირებულ განწყობას და სიტუაციის ადექვატური განცდა მოახერხოს.

გამოირკვა, რომ ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი საფეხურებრივ მიმდინარეობს (34, 37). თავში ფიქსირებული განწყობის მოქმედება შტაკიცა, შემდეგ საფეხურზე იგი სუსტდება, მაგრამ არა იმდენად, რომ სიტუაციის არაადექვატობის შემჩნევ შესაძლებელი გახადოს, შემდეგ დროგამოშვებით აქა-იქ, სუბიექტი ადექვატურ რეაქციას იძლევა, და ბოლოს საკმაოდ ხანით ფიქსირებული განწყობა ადგილს უთმობს სიტუაციის შესატყვის ახალ განწყობას. მოკლედ: ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის პროცესი ოთხს თვალსაჩინოდ გამოვლენილ საფეხურს მაინც შეიცავს (32). მაგრამ საგულისხმოა, რომ საკმაოდ ხანგრძლიობის შესვენების შემდეგ (რამდენიმე საათის შემდეგ, მეორე დღეს და ა. შ.) ფიქსირებული განწყობა კვლავ იჩენს თავს (35). რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად ფიქსირებულ განწყობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ალბათ არა მარტო ამას: მომავალ კვლევას აქაც პრობლემების მთელი რიგი აქვს გადასაწყვეტი.

9. დინამიკური და სტატიკური, პლასტიკური და ტლანქი განწყობა. ამ მონაცემების მიხედვით ჩვენ უფლება გვქმნება ფიქსირებული განწყობის დინამიკურობისა და მისი პლასტიკურობის შესახებ ვილაპარაკოთ. დინამიკურობის ცნება აქ იმ გარემოების აღსანიშნავად არის შემოღებული, რომ განწყობა, მიუხედავად მისი ფიქსირ-

ზულობისა, ცვალებას განიცდის და ბოლოს, ახალს აქტუალური სიტუაციის შესატყვის განწყობას უთმობს ადვილს. რაც შეეხება განწყობის პლასტიკურობის ცნებას, იგი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ფიქსირებული განწყობის აღკვეთა ერთბაშად როდი ხდება, არამედ მისი თანდათანობითი დასუსტების შედეგად იჩენს თავს (29. 32).

მაგრამ ეს თვისებები განწყობის მხოლოდ ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, ნორმალური შემთხვევებისთვისაა დამახასიათებელი. უთუოდ უნდა არსებობდეს ფაქტორების რიგი, რომელიც განწყობის ამ თვისებებზე ახდენს გავლენას და ცვლის მათ განსაზღვრულ ფარგლებში. ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ზოგ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობა სრულიად მოკლებულია დინამიკურობას და სუბიექტი ერთხელ განმტკიცებული განწყობის უცვლელი გავლენის ქვეშ რჩება (34.37). ასეთ შემთხვევაში ჩვენ სტატიკური განწყობის შესახებ ვლაპარაკობთ.

საგულისხმოა, რომ არც პლასტიკურობა წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის უცვლელ თვისებას: არსებული მასალების მიხედვით, ჩვენ იძულებული ვართ განწყობის პლასტიკურობის მეტნაკლებობისა და ბოლოს სრული აღკვეთის შესახებ ვილაპარაკოთ. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ ტლანქან ინერტულ განწყობასთან გვაქვს საქმე. იგი იმით ხასიათდება, რომ მისი ჩაქრობა ერთბაშად ხდება, თავდაპირველად გამოვლენილი მდგომარეობიდან პირდაპირ ჩაქრობის საფეხურზე გადადის. რაც შეეხება პლასტიკურობის მეტნაკლებობას, იგი განვილილ საფეხურთა რაოდენობით გაიზომება. მხედველობიდან არ უნდა იქნას გამვებული, რომ პლასტიკურობის თვალსაზრისი არა მარტო დინამიკურ განწყობას ეხება, არამედ სტატიკურსაც: ორივე შემთხვევაში საკითხს განწყობის დასუსტების განვილილ საფეხურთა რაოდენობა წყვეტს (32).

10. განწყობის კოსტანტობა და სტაბილობა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფიქსირებული განწყობის კოსტანტობისა და სტაბილობის ცნებები (29. 32). საქმე ისაა, რომ ყოველთვის შეიძლება დაისვას საკითხი: რას წარმოადგენს ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ტიპი: ამათუიმ სუბიექტის მტკიცე, ინდივიდუალურ თვისებებზე, მასზე რაიმე ფაქტორის შემთხვევითი ზემოქმედების პროდუქტს, თუ ორივეს ერთად? ყოველ შემთხვევაში განწყობის ბუნების გაშუქებისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმის გამოკვევას, თუ რაზეა საზოგადოდ დამოკიდებული ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის ტიპი. რა არის, რომ განწყობას სტატიკურ მდგომარეობად აქცევს ან მას პლასტიკურობას უქვეითებს და უსპობს?

ყველა ამ საკითხზე პასუხის გასაცემად საჭირო მასალა ჯერ კიდევ არ არის ჩვენს ხელთ. მაგრამ არსებული გამოკვლევების მიხედვით ერთი რამ უთუოდ შეიძლება ითქვას: განწყობის ჩაქრობის ტიპი, რომელიც ამათუიმ სუბიექტს ახასიათებს, როგორც წესი, საკმაოდ მოზრდილი დროის მანძილზე (დღეები, კვირები, თვეები) კონსტანტური რჩება, იმდენად კონსტანტური, რომ ჩვენ უფლება გვაქვს მოცემული სუბიექტის ინდივიდუალურ თვისებებზე



რებაზე ვილაპარაკოთ. ნორმალურ შემთხვევაში განწყობის კონსტანტობა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ გვხვდება ისეთი პირებიც, რომელთა განწყობის ჩაქრობის ტიპი საკმაოდ ფართო ფარგლებში ცვალებადობს (ვარიაციული განწყობა): ესენი დღეს რომ განწყობის ერთ ტიპს იძლევიან, ხვალ, ან ზოგჯერ რამდენიმე საათის შემდეგ, სულ სხვაზე გადადიან. ჩვენ ვიცით, რომ განწყობის ტიპის შეცვლა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული; ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამათუმი შემთხვევაში განწყობის ვარიაცილობის დადასტურება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სუბიექტის მყარს ინდივიდუალურ თავისებურებასთან გვაქვს საქმე: ადვილი შესაძლებელია, რომ მოცემულ მომენტში განწყობის მოქმედების ტიპის შეცვლა შემთხვევითი ხასიათის იყოს, რომელიმე შემთხვევითი ფაქტორის ზემოქმედების შედეგი იყოს.

რაც შეეხება სტაბილობას, იგი ფიქსირებული განწყობის დროში გამძლეობის ხარისხს გამოხატავს. კონსტანტობის დასადგენად განწყობის ფიქსაციისა და ჩაქრობის ცდები დროის განსაზღვრული ხანგრძლიობის მონაკვეთებში მეორდება. სტაბილობის გამოსარკვევად განწყობის ფიქსაციის ცდებს (ე. წ. საგანწყობო ცდებს) აღარ ვიმეორებთ. ტარდება მხოლოდ კრიტიკული ცდები. ზოგ ცდის პირს მალე უქრება ფიქსირებული განწყობა (რამდენიმე საათში, დღე-ღამეში და ა. შ.), ზოგს დიდხანს რჩება (74) ან უცვლელი სახით (კონსტანტურ-სტაბილური) და ან შეცვლილით (ვარიაციული-სტაბილური ტიპი) (32).

უნდა აღინიშნოს, რომ განწყობის ფსიქოლოგიის ცნებათა ინვენტარში სტაბილობისა და კონსტანტობის ცნებებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. მათი შემდგომი, გაღრმავებული შესწავლა ჩვენს ერთ-ერთს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

#### IV

როგორც ვხედავთ, განწყობის თეორია ჩვენს წინაშე მრავალს ახალ პრობლემას აყენებს. შევჩერდეთ ახლა იმ პრობლემების განხილვაზე, რომელიც დიდხანსა ჩვენს მეცნიერებაში დგას, მაგრამ დღემდე გადაწყვეტილად არ ითვლება. განწყობის თეორიის თვალსაზრისით, ბევრი მათგანი სრულიად ახალ შუქში გვევლინება. ამ პრობლემათა შორის დავასახელებ რამდენიმეს, სახელობრ იმათ, რომელთა შესახებაც შედარებით მეტი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

1. ქცევის პრობლემა. ცოცხალი არსებისათვის მიზანშეწონილი ქცევა დამახასიათებელი. ხშირად ჩვენი ქცევა საკმაოდ რთულ მოქმედებათა თანამიმდევრობას შეიცავს; მიუხედავად ამისა, იგი მოწესრიგებული და ორგანიზებულია. ბუნებრივად იბადება საკითხი: რას შეაქვს ქცევაში წესი და რიგი? რა ჰქმნის მის მიზანშეწონილობას? ეს ძველი საკითხია, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ ჩვენს წინაშე იმ შემთხვევაში დგება, როდესაც არა გვაქვს საბუთი ეს მომწესრიგებელი ძალა ცნობიერებას მივაწეროთ. რასაკვირველია, პირველ რიგში ეს ცხოველის ქცევის შესახებ ითქმის. მაგრამ განა ყოველი ჩვენი

ნაბიჯი, ჩვენი ქცევის ყოველი კერძო მომენტი უთუოდ ცნობიერების ჩარევას გულისხმობს? რასაკვირველია, არა. არც ადამიანის ქცევის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოვლენილი ცნობიერების პერმანენტული ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარეობდეს. ასე რომ საკითხი ადამიანის ქცევის მიმართაც ძალაში რჩება, ე. წ. ნებისმიერი ქცევის შემთხვევათა მიმართაც კი.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია არა ერთი ცდა ამ საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრისა. რაც შეეხება ცხოველის ქცევას, აქ იმთავითვე ე. წ. ინსტინქტის ცნებას აქვს გადამწყვეტი როლი დაკისრებული, ინსტინქტის ცნებას, რომელიც იმდენად გაურკვეველია, იმდენად ბუნდოვანი და უშინაარსო, რომ მისი ზუსტი განსაზღვრა დღესაც მომავლის საქმედ ითვლება. ადამიანის ქცევის მიმართ ჩვენს ხანაში ასეთსავე როლს „ველი ა ვექტორების“ (ლევინი) ან „დეტერმინაციის ტენდენციის“ (ნ. ახ-ი) ცნებებს აკუთვნებენ. მაგრამ ორივე ეს ცნება უშუალოდ პოსტულატის გავლენის დას ატარებს და ამიტომ ყველა იმ ნაკლს იზიარებს, რომელიც საზოგადოდ ამ პოსტულატის საფუძველზე აგებულ ცნებას ახასიათებს.

განწყობის ცნებას ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი როლის შესრულება შეუძლია. როგორც ვიცით, ამ ცნების ნამდვილი აზრი ასეთია: როდესაც ცოცხალ არსებას — ადამიანი იქნება ის, თუ ცხოველი — რაიმე მოთხოვნილება აღეძვრის და იგი ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაში მოხვდება, მასში გარკვეული, ამ სიტუაციისა და არსებული მოთხოვნილების შესაფერისი ქცევის განწყობა ჩნდება, რომელიც შემდეგ კონკრეტულ მოქმედებათა სახით რეალიზირდება: ქცევა განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აზრიან ქცევას, რომელსაც ყველგან მოწესრიგებული მიმდინარეობა აქვს, ყოველთვის განწყობა უნდა ედოს საფუძველად.

მართლაცდა, გარე მეთვალყურისათვის ინსტინქტურის, იმპულსურის და ნებისმიერი ქცევის მიმდინარეობათა შორის არავითარი განსხვავება არ ჩანს. ყველა შემთხვევაში მოძრაობათა მეტადთუნაკლებად რთულ სისტემასთან გააქვს საქმე, რომელსაც ყოველთვის ორგანიზებული და მიზნისმიმართი მიმდინარეობა აქვს. მაშ, რა გვიშლის ხელს ქცევის საფუძველად ყველგან განწყობა ვიგულისხმოთ? მაშინ ცხოველისა და ადამიანის ქცევათა შორის არავითარი უფსკრულის აღიარება არ დაგვეჭირებოდა და, მასმასადამე, მათი განვითარების თვალსაზრისით შესწავლა თვალსაჩინოდ გაგვიადვილდებოდა.

ამრიგად, ინსტინქტი, იმპულსური ქცევა და ნებისმიერი ქცევა განვითარების ერთ ხაზზე ლავდება. ძირითად როლს ყველგან განწყობა ასრულებს. ოღონდ განვითარების თითოეულ საფეხურზე თავისებურს სპეციფიკურად განსხვავებულ ფორმებში (32).

2. ინსტინქტის პრობლემა. ამ კონცეფციის ჩარჩოებში პირველ რიგში ინსტინქტის პრობლემა წყდება. ეს ცნება თავის მისტიკურ ხასიათს ჰკარავს და ყველა ის გადაუწყვეტელი საკითხი, რომელიც ინსტინქტის ცნებასთანაა დაკავშირებული, იხსნება. როგორც ყალბი წინამძღვრების ნიადაგზე აღმოცენებული, უქმი საკითხი. თუ არაფერია იმაში საკვირველი, რომ ცხო-





ველს გარკვეული მოთხოვნები აქვს და იგი მათ დაკმაყოფილებას  
 ესწრაფის, რად უნდა იყოს საკვირველი, რომ, როდესაც იგი ამ მოთხოვნება-  
 თა დაკმაყოფილების სიტუაციაში ხვდება. ის, როგორც მთელი, როგორც სუბი-  
 ექტი, ამ სიტუაციისა და თავისი აქტუალური მოთხოვნების შესატყვისად იც-  
 ვლება, მოკლედ, რომ მას შესაფერი ქცევის განწყობა უჩნდება, რომელიც შექ-  
 დევ—ყოველგვარი წინასწარი მოსაზრების გარეშე—გარკვეული, მიზანშეწონი-  
 ლი ქცევის სახით რეალიზირდება. ამ პრობლემაში რაღა აზრი შეიძლება ჰქონდეს  
 ინსტინქტის ცნებას? განწყობის თეორიის ფარგლებში მას ადგილი აღარ  
 რჩება და შესაძლებელი ხდება იგი საზოგადოდ განიხილოს მეცნიერებიდან.  
 ინსტინქტური ქცევა ნამდვილად განწყობის საფუძველზე მოწესრიგებულ  
 ქცევას წარმოადგენს და მეტს არაფერს. ძალიან სიმპტომატურია, რომ ე. წ.  
 ინსტინქტური ქცევა მხოლოდ შესაფერი მოთხოვნების დაუკმაყოფილე-  
 ბლობის შემთხვევაში იჩენს ხოლმე თავს: როგორც ვიცით, მოთხოვნებმა  
 განწყობის აღმოცენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს (26. 32).

3. ნებელობის პრობლემა. განწყობის თეორიის ნიადაგზე ნებე-  
 ლობის პრობლემაც საყურადღებო გადაწყვეტას პოულობს. ირკვევა, რომ  
 განწყობას აქაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ისე, როგორც იმპულსური  
 ქცევის შემთხვევაში, იგი ნებელობის შემთხვევაშიც მომწესრიგებელ როლს  
 ასრულებს. განსხვავება ამ მომენტში ქცევის ამ სახეობათა შორის მხოლოდ  
 ისაა, რომ მაშინ, როდესაც იმპულსური ქცევის შემთხვევაში განწყობას აქ-  
 ტუალური მოთხოვნები და აქტუალური სიტუაცია ჰქმნის, ნებელობის შემ-  
 თხვევაში იგი წარმოასახული, მოაზრებული, გაცნობიერებულ  
 სიტუაციის ზემოქმედებით ჩნდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მო-  
 ტივის ცნება და გადაწყვეტის აქტი სრულიად ახალ გაშუქებას  
 პოულობს.

რა არის მთავარი ნებელობის ფსიქოლოგიაში? მე მგონია, განსაკუთრებით  
 ორ მომენტს აქვს აქგადამწყვეტი მნიშვნელობა. პირველი: ნებელობის აქტისა-  
 თვის პირველ რიგში ის გარემოებაა დამახასიათებელი, რომ იგი, ე. ი. ნებე-  
 ლობის აქტი, იმას კი არ ეხება, რაც სუბიექტს ამჟამად უნდა, რისი  
 აქტუალური მოთხოვნებაც მას აქვს, არამედ იმას, რაც მას  
 ამჟამად, უშუალოდ არ უნდა—რისი მოთხოვნებაც მას ამჟამად არა-  
 აქვს ან ნაკლებ აქვს; და აი ჩნდება პრობლემა: როგორ ახერხებს სუბიექტი  
 ამას? როგორ ახერხებს იგი იმის გაკეთებას, რაც არ უნდა, ნაცვლად იმისა,  
 რაც უნდა? მეორე პრობლემა: მას შემდეგ, რაც სუბიექტი რაიმე გადაწყვე-  
 ტილებაზე შეჩერდება, შესრულების პროცესი შედარებით ადვილად მიმდი-  
 ნარეობს და ამასთანავე მოწესრიგებულად, ორგანიზებულად და მიზანშეწონი-  
 ლად. როგორ ხდება ეს? რა ხდება გადაწყვეტის მომენტში ისეთი, რომ შეს-  
 რულების პროცესს კიდევ ადვილებს და კიდევ აწესრიგებს?

ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ამ საკითხზე: აღვნიშნავთ მხო-  
 ლოდ, რომ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, თუ გადაწყვეტილების შესრუ-  
 ლების საფუძველად განწყობას ვიგულისხმებდით. მაშინ ამ პროცესის მოწესრი-  
 გებული და მიზანშეწონილი ხასიათი, ცნობიერების ყოველ ნაბიჯზე ჩარევის

გარეშეც, სრულიად ადვილი გასაგები იქნებოდა. მაშასადამე, გასაგები გახდებოდა ისიც, თუ რა არის გადაწყვეტის აქტის აზრი და რატომაა, რომ მტკიცედ და ნამდვილად გადაწყვეტილის სისრულეში მოყვანა ადვილი ხდება. სახელდობრ: ნათელი შეიქნებოდა, რომ გადაწყვეტილების გამოტანა იმ განწყობის შექმნის აქტს ნიშნავს, რომელიც ნებისმიერ ქცევას უდევს საფუძვლად, მის მიმდინარეობას განსაზღვრავს და მას ადვილებს: მოქმედების შესრულება უფრო ადვილია, როდესაც მისი განწყობა გაქვს, ვიდრე მაშინ, როდესაც ეს განწყობა ჯერ კიდევ არა გაქვს (26. 32).

მაგრამ განწყობის შესაქმნელად, როგორც ვიცით, ორი რამ მაინც აუცილებელია: სუბიექტი მოთხოვნილებას უნდა განიცდიდეს და ამ უკანასკნელის დაკმაყოფილების სიტუაცია უნდა იყოს მოცემული. როგორ არის ეს პირობა ნებისყოფის აქტის შემთხვევაში დატული? როგორც ვიცით, დამახასიათებელი ნებელობისათვის სწორედ ისაა, რომ იგი სუბიექტის აქტუალურ მოთხოვნილებას ანგარიშს არ უშვებს: იგი სხვა მოთხოვნილებას ემსახურება — იმას, რომელიც ობიექტურად შეიძლება სასურველად და მიზანშეწონილად ჩაითვალოს, მაგრამ სუბიექტურად ამჟამად ნამდვილ მოთხოვნილებას არ წარმოადგენს და, მაშასადამე, სათანადო მიმზიდველობას მოკლებული უნდა იყოს.

ამიტომაც იბადება საკითხი: როგორ ახერხებს ნებელობა, რომ ის, რაც მხოლოდ ობიექტურად წარმოადგენს ღირებულებას, სუბიექტისათვისაც აქტუალურ ღირებულებად, ნამდვილ მოთხოვნილებად იქცევა? რით აღწევს სუბიექტი იმას, რომ მასში სწორედ ამ, ასე ვთქვათ, განყენებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების განწყობა გაჩნდეს? ჩვენი პასუხი ასეთია: ობიექტურ ღირებულებას აქტუალურ ღირებულებად სუბიექტისათვის მოტივი იქცევს. იგი იმ მოქმედებას, რომელიც სუბიექტისათვის ამჟამად არაფერს მიმზიდველს არ შეიცავს, ფსიქოლოგიურად ისეთ მოქმედებად გარდაქმნის, რომელიც მისთვის აქტუალური ღირებულების მატარებლად იქცევა. მოკლედ: მოთხოვნილებას, რომელიც ნებისმიერი ქცევის საფუძველზე მდებარე განწყობის აღმოსაცენებლადაა საჭირო, მოტივი იძლევა (76).

4. შთაგონების პრობლემა. საყურადღებო გადაწყვეტას პოულობს განწყობის თეორიის ნიადაგზე შთაგონების პრობლემაც. როგორც ჩვენი პოსტპიპნონზური შთაგონების ცდებიდან გამოირკვა, სრულიად უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს, რომ განწყობის შექმნა პიპნონზური ძილის დროსაც ხერხდება და რომ შესაძლოა, ეს განწყობა გავიძიების შემდეგაც მოქმედებდეს. მაშასადამე, პოსტპიპნონზურ შთაგონებას რომ განწყობა უდევს საფუძვლად, ეს ჩვენი ცდების შემდეგ თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ შთაგონება საზოგადოდ — პიპნონზის დროს იქნება იგი წარმოებული თუ სხვა მდგომარეობაში, სულერთია — განწყობის შექმნის მეტს არაფერს წარმოადგენს. ამიტომაც, რომ სუბიექტმა თავისი ქცევის ნამდვილი მიზეზი არ იცის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ისე იქცევა, როგორც ეს შთაგონების აზრს შეეფერება, და დარწმუნებულია, რომ ეს ქცევა მისი საკუთარი ნებაყოფლობის ნიადაგზეა აღმოცენებული. შემდგომში



კვლევამ პირველ რიგში უნდა ნათელჰყოს, შთაგონების რა და რა შემთხვევებში არსებობს და რაა სპეციფიკური იმ განწყობის აღმოცენების პირობებში, რომელიც შთაგონებულ პროცესებს ედება საფუძვლად.

5. დარწმუნებულობის პრობლემა. უთუოდ ერთ-ერთს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონე, პრობლემად ჩვენს მეცნიერებაში დარწმუნებულობის პრობლემა უნდა ჩაითვალოს. იგი არსებითს კავშირში იმყოფება ალქმის, მსჯელობის, მოგონების პრობლემებთან. მეტიც შეიძლება ითქვას: თვით ნებელობის პრობლემაც არაა სულ თავისუფალი დარწმუნებულობის პრობლემაზე დამოკიდებულებისაგან. რატომაც, რომ მე *implicite* დარწმუნებული ვარ ჩემი ალქმის შინაარსის რეალობაში, ჩემი მსჯელობის ჭეშმარიტებაში, ჩემი მოგონების სისწორეში, ჩემი გადაწყვეტილების მართებულობაში? როდესაც მე რასმე აღვიქვამ, რამეზე ვმსჯელობ, რასმე ვიგონებ, ეს რამე მე ხომ მხოლოდ ალქმაში, მსჯელობაში, მოგონებაში მაქვს მოცემული. მაშ, საიდან მაქვს რწმენა, რომ ჩემი ალქმა, მსჯელობა, მოგონება ამ „რამეს“ სწორად ასახავს? სულ სხვა იქნებოდა, რომ მე ორივე მქონოდა მოცემული — რამეც და მისი ფსიქიკური ასახვაც (ალქმა, მსჯელობა, მოგონება): მაშინ მე შესაძლებლობა მექნებოდა, იგინი ურთიერთისათვის დაპერიდაპირებია, მათი შესატყვისობა განმეცადა. მაგრამ „რამე“ ან ობიექტური ვითარება, თანახმად ჩვეულებრივი, საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული შეხედულებისა, ჩვენ მხოლოდ ფსიქიკაში ასახული გვეძლევა. ამიტომ გასაგებია, რომ ამ პირობებში დარწმუნებულობის პრობლემის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა დღემდე ვერ მოხერხებულა.

სამაგიეროდ განწყობის თეორიისათვის აქ არავითარ სიძნელეს არა აქვს ადგილი. საქმე ისაა, რომ ამ თეორიის ძირითადი აზრის მიხედვით, ობიექტური ვითარების არა მხოლოდ ფსიქიკური ასახვა, არამედ მთლიან პიროვნული, სახელობრ, განწყობითი ასახვაც არსებობს. მაშასადამე, ობიექტური ვითარება უკვე აქვს სუბიექტს თავის განწყობაში ასახული, სანამ იგი მას თავის ალქმაში, მსჯელობაში, მოგონებაში ასახავდეს.

მაგრამ ჩვენი ფსიქიკის მუშაობა ჩვენი განწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, და როდესაც ეს დაუბრკოლებლივ ჩერხდება, როდესაც ფსიქიკა იმას ასახავს, რაც განწყობაშია ასახული, ბუნებრივია, რომ ჩვენ ჩვენი ფსიქიკური მუშაობის სისწორეს განვიცდით, გვიჩნდება დარწმუნებულობა, რომ ჩვენი ალქმა, მსჯელობა, მოგონება ობიექტურ ვითარებას ასახავს.

რომ ეს ასეა, რომ ჩვენი დარწმუნებულობის საფუძვლად მართლაც განწყობა უნდა ჩაითვალოს, ეს ექსპერიმენტულადაც შეიძლება დავსაბუთოდე. ცდის პირს რომ ჰინოზურ ძილში გაღვიძების შემდეგ გარკვეული მოქმედებისადმი განწყობა შეუქმნა, იგი მართლაც ამ განწყობის მიხედვით იმოქმედებს და მას — რაც უმთავრესია ამ შემთხვევაში — თავისი ქცევის მართებულობის ურყევი რწმენა გაუჩნდება: შთაგონების აზრი საზოგადოდ ხომ სწორედ ასეთი რწმენის გამოწვევაში მდგომარეობს.

რასაკვირველია, დარწმუნებულობის პრობლემატიკა ამით ამოწურულა.

ლი არაა. სამაგიეროდ ძირითადი საკითხი მაინც გადაწყვეტილია, რომ ძველი კვლევების მიმართულებას მიმცემი მნიშვნელობა აქვს.

6. ფანტაზიის პრობლემა. როდესაც სუბიექტი გარკვეულ სინამდვილესთან ამყარებს კავშირს, როდესაც იგი აქტუალურ სიტუაციაში იმყოფება, მაშინ გასაგებია, თუ როგორაა, რომ იგი ამ სინამდვილეს განიცდის: ობიექტური ვითარება სათანადო განწყობას ჰქმნის მასში და შედეგად სინამდვილის გარკვეული სახით განცდას ვღებულობთ: სუბიექტი აღიქვამს ან აზროვნობს ობიექტურ სინამდვილეს. მოკლედ: აღქმისა და აზროვნების შემთხვევაში საკითხი შედარებით მარტივად წყდება — ობიექტური ვითარება განწყობას იწვევს და ეს უკანასკნელი განცდილი სინამდვილის სახით რეალიზირდება ცნობიერებაში.

მაგრამ როგორაა საქმე წარმოდგენის შემთხვევაში? სინამდვილე, რომელიც წარმოდგენის საგანს შეადგენს, აქტუალური არაა, რომ სუბიექტზე იმოქმედოს და მასში შესაფერი განწყობა გამოიწვიოს, რათა შემდგომ ამ უკანასკნელის ფონზე სინამდვილის წარმოდგენა აღმოცენდეს. მიუხედავად ამისა, სუბიექტს მაინც აქვს წარმოდგენა, იგი გარკვეულ სინამდვილეს განიცდის.

როგორაა ეს შესაძლებელი? რამდენადაც ჩვენი განცდა, ჩვენი ცნობიერების შინაარსის ვითარება, ყოველს მოცემულ მომენტში ჩვენს განწყობაზეა დამოკიდებული, უნდა ვიფიქროთ, რომ არც წარმოდგენა შეიძლება ამ შემთხვევაში გამოწვევის შედეგად განიცდეს. მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენი წარმოდგენებიც განწყობის რეალიზაციად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ რომელი განწყობის რეალიზაციად? საიდან უნდა გვეჩვენოს ჩვენ ეს განწყობა, თუ რომ ობიექტური სინამდვილე, რომელიც ამ განწყობას გამოიწვევდა, ამჟამად ჩვენზე არ მოქმედებს?

ზემოთ ჩვენ უკვე გვეჩვენა აღნიშნული, რომ ჩვენი განწყობა ყოველთვის არ რეალიზირდება — სხვადასხვა მიზეზის, განსაკუთრებით კი მოთხოვნილებათა სირთულისა და კონფლიქტების გამო. იმისდამხედვით, თუ რა პერსონალური წონის მოთხოვნილებასთან იყო დაკავშირებული, ეს განწყობა მეტად-თუნაკლებად ფიქსირებულ განწყობად იქცევა და ამ მოთხოვნილების აქტუალიზაციის შემთხვევაში თავისი რეალიზაციის დასრულებისაკენ ისწრაფის. სათანადო პირობებში ეს მისწრაფება უშედეგოდ არ რჩება და განწყობა თავის რეალიზაციას წარმოდგენაში პოულობს. ასე ჩნდება წარმოდგენილი სინამდვილე.

როგორც ვხედავთ, აქ განცდილი (წარმოდგენილი) სინამდვილე ობიექტური ვითარების შემოქმედების შედეგად შექმნილი განწყობის რეალიზაციას და, მაშასადამე, ამ ობიექტური ვითარების განცდას როდი წარმოდგენს: არა, იგი, ასე ვთქვათ, ძველი განწყობის ნიადაგზე ჩნდება, რომელიც შესატყვისი ობიექტური სინამდვილის აქტუალური წნევის ქვეშ არ იმყოფება და ამიტომ რეალიზაციის შედარებით თავისუფალ ფორმებს ღებულობს.

ასე ჩნდება ადამიანის ფანტაზიის პასიური გამოვლენის ფორმები: ოცნება და სიზმარი. ასე ჩნდება ხელოვნებაც, როგორც ფანტაზიის აქტიური გამოვლენის ფორმა. რასაკვირველია, თითოეულს ამ ფორმას თავისი



სპეციფიკური თავისებურებები აქვს, და ზოგიერთ შემთხვევაში — უმთავრესად — ცოცხალი ხელოვნების შემთხვევაში — ეს თავისებურება ძალიან შორის მიდის. მაგრამ მისი საწყისი მაინც ყველგან ეს არის: არა რეალიზებული განწყობა, რომელიც ხელოვნების შემთხვევაში წარმოდგენის საზღვრებს არღვევს და ხელსახებს, ობიექტურ სინამდვილეს ჰქმნის (27. 32).

რასაკვირველია, განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მეხსიერების წარმოდგენათა შემთხვევაში. მეხსიერება, რა თქმა უნდა, იმას ეხება, რაც ოდესმე გაცდილი გექონია. მაშასადამე, იგი არარეალიზებულს კი არა, უსათუოდ რეალიზებულ განწყობას გულისხმობს: მას წარსულში რეალიზებული განწყობა უღვეს საფუძვლად. ეს ძირითადი გარემოება გასაგებად ხდის იმ განსხვავებას, რომელიც ფანტაზიისა და მეხსიერების წარმოდგენათა შორის განიცდება.

7. ქარაქტეროლოგიის პრობლემა. სრულიად უდაოდ უნდა ჩათვალოს უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც განწყობის ცნებას ქარაქტეროლოგიის პრობლემატიკის წრეში ეკუთვნის. განა უეჭველი არაა, რომ ადამიანის ქცევისა და გაცდის თავისებურებათა დადგინების პროცესში მისი განწყობის თავისებურება სრულიად განსაკუთრებულ როლს უნდა ასრულებდეს! განწყობის თეორიის ძირითადი დებულება ხომ ისაა, რომ ადამიანის განცდა და ქცევა მისი განწყობის ნიაღვრეა აღმოცენებული. მაშასადამე, რაღა ეჭვი შეიძლება გექონდეს, რომ ადამიანთა ტიპების დადგენისა და დასაბუთების პრობლემათა გადაწყვეტა განწყობის კვლევის გარეშე არ შეიძლება!

ფიქსირებული განწყობის კვლევის შედეგებიდან ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მთელი რიგი ცნებები, რომელიც განწყობის მოქმედების დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათების შესაძლებლობას გვაძლევს (იხ. ზემოთ გვ. 17). მაშასადამე, ჩვენ უკვე გვაქვს შესაძლებლობა ტიპოლოგიის, ქარაქტეროლოგიისა და კონსტიტუციის საკითხებს დღესვე მოვკიდოთ ხელი და, რაც უმთავრესია, მათი გადაწყვეტა ექსპერიმენტული გზით ვცადოთ. პირველი საკითხი, რომლის გადაჭრაც ახლავე შეიძლებოდა გვეცადნა, ასეთი იქნებოდა: როგორია ფიქსირებული განწყობის „მექანიზმი“ სხვადასხვა მკვეთრად განსხვავებული კონსტიტუციისა და მკვეთრად განსხვავებული ხასიათისა და ტემპერამენტის მქონე ადამიანთა შემთხვევებში? თეორიულ და ემპირიულ მოსაზრებათა რიგი გვაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებით მდიდარი, მნიშვნელოვანი მასალის დაგროვება შეიძლება.

8. ფსიქოპათოლოგიის პრობლემა. განწყობის თეორია ნაყოფიერი აღმოჩნდა ფსიქოლოგიის მოსაზღვრე დისციპლინების — პირველ რიგში, ფსიქოპათოლოგიის პრობლემატიკის არეშიც. ყველგან, სადაც გადახრა ან დაშლა ქცევის ეხება (ნევროზის, ფსიქოპათიის, ფსიქოზის შემთხვევებში), ჩვენი თეორიის მიხედვით, ყველგან განწყობის „მექანიზმის“ თავისებური მოქმედებაა მოსალოდნელი.

ამ დებულების სარეალიზაციოდ მიმდინარე კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ განწყობის თეორიის მოლოდინი აქაც არაჩვეულებრივი სიზუსტით მართლდება. ჩვენი თანამშრომლების მიერ ექსპერიმენტულად შესწავლილს პა-

თოლოგიურ შემთხვევებში ყველგან განწყობის თავისებურ გადახრას პქონ-  
და ადგილი, თავისებურ გადახრას, რომელიც ზუსტად შეესატყვისე-  
ბოდა ამ პათოლოგიური შემთხვევების კლინიკას და გასაგებად ხდიდა მას.  
დღესდღეობით ჩვენ შედარებით ნათელი სურათი გვაქვს მიღებული ეპი-  
ლეფსიის (48), შიზოფრენიის, ისტერიის, ფსიქოპათიის (14, 15, 16, 17, 50), ტრავმატული ნევროზების (52), კლიმაქ-  
ტერიული ნევროზის (10) და სხვ. შესახებ. ამ სურათის აღწერაზე მე  
აქვერ შევჩერდები, მით უმეტეს, რომ მთელი ეს ფსიქოპათოლოგიური მუ-  
შაობა უნივერსიტეტის ლაბორატორიის გარეთ არის ჩატარებული.

9. პედაგოგიკა და განწყობის თეორია. არანაკლები ნაყოფიერება განწყობის თეორიისაგან მოსალოდნელი პედაგოგიკაში. როგორც ცნობილია, პედაგოგიკას განსაკუთრებით აწლო კავშირი აქვს ფსიქოლოგიასთან და მასსავით მწვავედ ამ უკანასკნელის ნაკლოვანებას არცერთი სხვა მონათესავე მეცნიერული დისციპლინა არ განიცდის.

კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითადი მანკი — უშუალოდის პოსტულატი — ყველაზე მტკივნეულად სწორედ პედაგოგიკაში იგრძნობა. აქ ხომ საკითხი ადამიანის აღზრდას ეხება — „მთლიანი ადამიანისას“, როგორც ამას პედაგოგიკის თითქმის ყველა კლასიკოსი აღნიშნავდა. მაგრამ მთლიანობის ქვეშ აქ ყოველთვის მხოლოდ სისრულეს, მხოლოდ ყოველმხრიობას გულისხმობდნენ: იმას, რომ აღზრდა არა მარტო ინტელექტს უნდა ეხებოდეს, ან გრძნობას, ან ნებელობას, არამედ ყველას ერთად, და არა მარტო ამათ, არამედ სხეულსაც. მოკლედ: მთლიანი ადამიანის აღზრდა ნიშნავს აღზრდას გონებრივს, ზნეობრივს, ესთეტიკურს, ფიზიკურს. მაგრამ ასეთი მთლიანობა — მთლიანობა, როგორც სისრულე — მეცნიერულ პრობლემას არ წარმოადგენს: არავის იგი სადაოდ არ მიაჩნია.

პრობლემა სულ სხვას ეხება, სახელდობრ იმას, თუ როგორ წარმოებს აღზრდის პროცესი თითოეულს კერძო შემთხვევაში — როგორ წარმოებს იგი გონებრივის, ზნეობრივის თუ ესთეტიკური აღზრდის კერძო შემთხვევებში. კლასიკური ბურჟუაზიული პედაგოგიკის ძირითადი მანკი, რომელსაც იგი ფსიქოლოგიისგან ლებულობს მემკვიდრეობით, სრული სიცხადით სწორედ აქ იჩინს თავს: ყოველი აღმზრდელითი ზომა, რამდენადაც იგი ფსიქოლოგიურად საბუთდება, ისე უნდა იყოს აგებული, რომ იგი უთუოდ აღსაზრდელი ფუნქციის თავისებურებას, მისი განვითარების კანონზომიერებას ეყრდნობოდეს — უამისოდ იგი ეფექტურად არ ითვლება. პედაგოგიკის ძირითადი რწმენა ასეთია: პედაგოგიკური ღონისძიება მხოლოდ მაშინაა ეფექტური, თუ იგი აღსაზრდელი ფუნქციის, მაგ., ინტელექტის, თავისებურებას უწყევს ანგარიშს. მაშასადამე, იგულისხმება, რომ პედაგოგიკური ღონისძიებანი უშუალოდ მოქმედებენ ამათუიმ ფუნქციაზე, უშუალოდ აქტივებენ ან აფერხებენ მას, უშუალოდ განსაზღვრავენ მის განვითარებას ან ჩამორჩენას. გამოდის, რომ ამათუიმ პედაგოგიკური ღონისძიების ფსიქოლოგიურად დასასაბუთებლად მხოლოდ ამ კერძოულ კანონზომიერებათა გათვალისწინებაა საკმარისი: სხვა რამ ამაზე მეტი ან ამისგან განსხვავებული ან სულ არ არსებობს ანდა თუ არსებობს, მოკლებუ-



ლია ყოველ მნიშვნელობას და, მამასადამე, სრულიად არაა მხედველობა მისაღები.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს დებულება მხოლოდ უშუალოდ პოსტულატის ნიადაგზეა აღმოცენებული. ჩვენ ვიცით, რომ, თანახმად განწყობის თეორიისა, ყოველი ზემოქმედება, რომელსაც ადამიანი განიცდის, ჯერ მას, როგორც მთლიანს, ეხება და ყველაფერს დანარჩენს—მის ცალკე ფუნქციებს—მხოლოდ იმ ეფექტის შუალობით, რომელსაც იგი ამ მთლიანში იწვევს. მამასადამე, ამათუიმ პედაგოგიურ ზემოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ნამდვილი პედაგოგიური მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ იგი პირველ რიგში მოზარდს, როგორც მთელს, ეხება, მასში, როგორც მთელში, იწვევს სათანადო ეფექტს.

აქედან დასკვნა ნათელია: იმისათვის, რომ პედაგოგიკა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს, აუცილებელია, უშუალოდ პოსტულატს თავი დააღწიოს და თავისი ზომების დასაბუთებისას განსაკუთრებით იმ კანონზომიერებით იხელმძღვანელოს, რომელიც ადამიანს, როგორც მთლიანს, ახასიათებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენ უპირატესობას შეიძენდა ამ შემთხვევაში პედაგოგიკა, რამდენად გაუადვილებოდა მას ნამდვილი, ცოცხალი ადამიანის კონკრეტული აღზრდის მეცნიერებად გადაქცევა.

ამრიგად, ცხადი ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ის ამოცანები, რომელსაც პედაგოგიური საკითხების მომავალ მკვლევარს განწყობის თეორია უყენებს.

## ლიტერატურა განწყობის შესახებ

### I. კათედრის წევრები:

#### ნ. ადამაშვილი

1. „ილუზიური აღქმის განმაწყობელი მოქმედება“ (წაკ. ფსიქ. კათედრ. ლია სხდომაზე 1927 წ.).
2. „განწყობის ირადიაციის საკითხისათვის“, თ.ს.უ. შრომები, XVII.
3. „განწყობის სიმტკიცე და ირადირებულობა“, იქვე.

#### აკ. ავალიშვილი

4. „განწყობის ტიპის ინტერმოდალური კონსტანტობის საკითხისათვის“, თ.ს.უ. შრომები, XVII.
5. „კრიტიკულ ექსპოზიციათა განმაწყობელი როლის საკითხისათვის, 1940 წ. სახ. უნ. (ხელნ.).“

#### ა. ბოჭორიშვილი

6. „სიმძიმის ილუზიის ანალოგი წნევის არეში“, თბ. უნ.ტის მოამბე, VII, 1927 წ.).“

**ქ. ზავუა**

7. „განწყობის მოქმედება ხანგრძლივ ექსპოზიციის პირობებში“, 1940 წ. (ხელნ.).

**ნ. ელიავა**

8. „განწყობის გადანაცვლების საკითხისათვის“, 1940 წ. (ხელნ.).  
9. „წმინდა მიმართებაზე შექმნილი განწყობის აღკვეთის პროცესი“ (წაკითხულია 1940 წ. თბ. უნ-ტის ფსიქ. ლაბორ. ღია სხდომაზე).  
10. „ფიქსირებული განწყობა კლიმაქტერიული ნევროზის შემთხვევებში“ (წაკითხ. ფუნქ. დაავ. ინსტ. სამეცნ. კონფერ.), 1939 წ.

**ელ. კეფერაძე**

11. „განწყობის გავლენა რეპროდუქციაზე“, 1940 წ. (ხელნ.).

**ქ. მდივანი**

12. „ილუზიის ჩაქრობის პროცესი ხანგრძლივი ექსპოზიციის პირობებში“, თ.ს.უ. შრომები, XVII.  
13. „ილუზიის დასუსტების პროცესი კრიტიკულ ცდებში“ (ხელნაწერი).  
14. „განწყობის ილუზია ისტერიის შემთხვევებში“, ფუნქ. დაავ. ინსტ. შრომები, 1935 წ.  
15. „ფიქსირებული განწყობა შიზოფრენიით დაავადებულთა შორის“ (მოხსენებულია ფუნქ. დაავ. ინსტ. სამეც. კონფერ., 1935 წ.).  
16. „ფიქსირებული განწყობა შიზოფრენიით დაავადებულთა შორის (მოხსენ. იქვე, 1936 წ.).  
17. „ფიქსირებული განწყობა ფსიქასთენიის შემთხვევებში“ (მოხს. იქვე, 1938 წ.).

**რ. ნათაძე**

18. „ტოლოზის ფიქსირებული განწყობა“, თ.ს.უ. შრომები XVII, 1940 წ.  
19. „წარმოდგენის სტიმულაციით განწყობის ფიქსაციის საკითხისათვის, 1940 წ. (ხელნ.).

**დ. უზნაძე**

20. „Impersonalia“. ჩვენი მეცნიერება, I, 1922 წ.  
21. „ქვეფსიქოთროს ცნება“. ექსპერ. ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1925 წ.  
22. „აღქმა და წარმოდგენა“, 1926 წ., თბ. უნივ. მოამბე, VI.  
23. „Einstellungsumschlag als Grundlage der Kontrasttäuschungen“. Ninth Intern. Congress of Psychology. 1929.  
24. „Об основном законе смены установки“. Ж. Психология, 1930. (იგივე ქართულად. მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის I, (თბილისი, 1938 წ.).  
25. „Ueber Gewichtstäuschung und ihre Analoga“ Psych. Fo. XIV, 1931.  
26. „განწყობის ცნების თეორიული შინაარსი“, 1932 წ. (ხელნ.).  
27. „ძილი და სიზმარი“, 1935 წ.  
28. „პოსტპიპნოტური შთავგონების თეორიისათვის“, ფუნქ. დაავ. ინსტ. შრომები I.





ქართული  
საქმიანობა

29. „განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, თ. ს. უ. შრომები, VII. 1836 წ.
30. „Untersuchungen zur Psychologie der Einstellung. Acta Psychologica Haag, 1939.
31. „განწყობის ცნების ადგილი ფსიქოლოგიაში“, თბ. უნივერ. I სამეცნიერო სესია, 1940 წ.
32. „განწყობის ფსიქოლოგია“. ზოგადი ფსიქოლოგია, კარი III. 1940 წ. თბილისი.
33. „Об актуальных задачах психологии профессии, 1935.

38. И. Беритов, О процессах возбуждения, торможения и облегчения в спинном мозгу: Тезисы докл. 6-го Совещания по физиол. проблемам, 10—12 дек. 1939 в Л-де, стр. 8—13.
39. И. Беритов и А. Бакурадзе, О действии химич. веществ на спинной мозг: Тезисы докладов 6-го Совещания по физиол. проблемам, 10—12 дек. 1939 в Л-де, стр. 13—16.
40. Н. Дзидзишвили, Влияние экстероцептивных раздражений на двигательные реакции кролика: Тезисы докл. 6-го Совещания по физиол. проблемам, 10—12 дек. 1939 в Л-де, стр. 21—25; Тр. Физиол. инст. при Тбилисск. гос. унив. им. Сталина, т. IV, 1941.
41. J. Beritoff a. A. Bakuradze, On the action of Acetylcholine upon the Central Nervous Process of the Spinal Cord: Acta Medica URSS, 1939, vol. 2, N. 3, pp. 371—383.
42. И. Бериташвили, Новейшие данные о структуре коры большого мозга и их отношение к индивидуально-приобретенной рефлекторной деятельности: Сообщ. груз. фил. Ак. Наук СССР, т. I, стр. 71—79, 1940.
43. И. Бериташвили, Новейшие данные о структуре коры больш. мозга и их отношение к индив. приобрет. рефлекторной деятельности: Сообщ. Груз. фил. Ак. Наук СССР, 1940, т. I, № 2, стр. 149—156; Тр. Физиол. инст. при Тбилисск. гос. унив. им. Сталина, 4, 1941.
44. И. Беритов и А. Бакурадзе, О действии ацетилхолина на спинной мозг: Физиол. журн. СССР, 1940, т. XXVIII, вып. 1, стр. 3—17.
45. И. Беритов и А. Бакурадзе, О действии механич. раздражения на спинной мозг: Физиол. журн. СССР, 1940, т. XXVIII, стр. 18—24.
46. Н. Дзидзишвили, Явления общ. торможения при темпер. раздражениях кожи: Сообщ. Груз. фил. Акад. Наук СССР, т. I, № 3, 1940, стр. 217—224.
47. N. Dzidzischwili, Ueber die Tätigkeit der Mechanorezeptoren d. Haut: Сообщ. Груз. фил. Ак. Наук СССР, 1940, т. I, стр. 301—308.
48. И. Беритов и А. Бакурадзе, О торможении в спинном мозгу: Докл. А. Н. СССР, 1940, т. XXVI, № 9, стр. 956—960.
49. И. Беритов и А. Бакурадзе, О зависимости спинно-мозгового торможения от силы, частоты и длительности раздражения: Докл. Ак. Наук СССР, 1940, т. XXVI, № 9, стр. 961—964.
50. Н. Дзидзишвили, Влияние слуховых и зрительных раздражений на рефлекторные двигательные реакции: Сообщ. Груз. фил. А. Н. СССР, 1940, т. I, № 6, стр. 461—468.

- 50а. Л. Цкипуридзе, Об электротонических явлениях в нерве: Тр. Физиол. инст. при Тбилисск. гос. универс., т. III, стр. 331, 1937.
- 50б. Д. Гелеванишвили, Тр. Физiol. инст. при Тбилисск. гос. универс. им. Сталина, т. IV, 1941.
51. И. М. Сеченов, Об электрич. и химич. раздражении чувствительных нервов лягушки. Петербург, 1868
52. Н. Е. Введенский, Возбуждение, торможение и наркоз. Петербург, 1901: Работы физиол. лабор. Петербург. универс., 1, 1906
53. A. Samojloff u Kisseieff: Pfl. Arch., 215, 698, 1927.
54. C. S. Sherrington: Proc. Roy. Soc. B, 97, 519, 1926.
55. O. Loewi: Pfl. Arch., 189, 239, 1921; 193, 201, 1921.
56. E. D. Adrian, Brain, 47, 399, 1924.
57. J. E. Fulton a E. G. T. Liddell: Proc. Roy. Soc. B. 93, 214, 1925.
58. М. Киселев: Казанск. мед. журн., № 4—5, стр. 389, 1931.
59. Е. Бабский и А. Кириллова: Ученые записки каф. физиол. Моск. гос. педаг. инст., т. I, 123, 1938.
60. A. Schweitzer a S. Weight: Journ. Physiol., 88, 459, 1927; *ibid.* 89, 169, 1937.
61. V. Bonnet a F. Bremer: Journ. Physiol., 90, 1937 (Proc. Physiol. Soc. p. 5).
62. А. Зубков: Усп. совр. биол., 12, 350, 1900.
63. O. Loewi: Pfl. Arch., 239, 430, 1937.
64. Feldberg a Schriever: Journ. Physiol., 86, 277, 1936.
65. Quastel, Tennenbaum a Weatley: Bioch. Journ., 30, 1168, 1938; Mann Tennenbaum a. Quastel: Bioch. Journ., 32, 243, 1938.
66. Е. Бабский, Сборн. докл. 6-го Вс. съезда физиол., стр. 189, 1937.
67. А. Блинова, Сборн. докл. 6-го Вс. съезда физиол., стр. 206, 1937.
68. О. Альнери и Т. Фесенко: Арх. биол. наук, 51, 60, 1938.
69. Herrick C. Judson: Journ. Comp. Neur. Psych., 59, 93, 1934; *ibid.* 59, 233, 1934; *ibid.* 58, 481, 1933; Science, 78, 439, 1933.
70. Lorente de No: Arch. Neur. Psych., 90, 245; Journ. Psych. Neur., 45, 385, 1933; *ibid.* 46, 113, 1934.
71. Ch. Umrath u. K. Umrath: Pfl. Arch., 234, 582, 1934.
72. В. Н. С. Matthews: Proc. Roy. Soc. B., 123, 416, 1937.
73. D. H. Barron a. В. Н. С. Matthews: Journ. Physiol., 92, 276, 1938. *ibid.* 94, 27, P. 1939.
74. T. Hughes a. H. S. Gasser: Am. J. Physiol., 108, 345, 1934; 108, 307, 1934.
75. V. Bonnet et F. Bremer: C. r. Séances Soc. Biol., 128, p. 876 et 812, 1938.
76. E. D. Adrian a. E. J. J. Buytendijk: J. Physiol., 71, 121, 1931.
77. А. Коган, О применении электроэнцефалографии в исследов. подкорковой области, 1938.
78. Dusser de Barenne J. G. a. W. S. McCulloch: Journ. Neurophysiol., 2, 319, 355, 1939.
79. E. D. Adrian: Journ. Physiol., 88, 127, 1936.

ალ. ჯანელიძე

## ქართული გეოლოგიის XX წელიწადი

გეოლოგია იკვლევს მიწის ქერქის შედგენილობას, აგებულებასა და წარსულს. მაგრამ მიუხედავად ბურღვის ტექნიკის სწრაფი განვითარებისა, მიუხედავად კვლევის გეოფიზიკური მეთოდების მნიშვნელობის უჩვეულო ზრდისა, ღრესაც კი გეოლოგის დაკვირვება ქერქის ზედა ფენას ვერ გასცილება. ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენს მთები, სადაც მიწის ქერქის ღრმა ნაწილები თვით ბუნებას ზევით ამოუტანია, შემდეგ გადარეცხვას გაუშისვლელია და დაკვირვებისთვის მისაწვდომი გაუხდია. ამიტომ ვასაუბრობი არის, რომ მთები გეოლოგიური კვლევის რჩეულ ობიექტს წარმოადგენენ და იმთავითვე გეოლოგების ყურადღების ცენტრში მოექცნენ.

ასეთივე უნდა ყოფილიყო კავკასიონის ბედიც, მაგრამ უკუღმართი პოლიტიკური პირობების გამო დიდ ხანს ჩვენში გეოლოგის მუშაობა შეუძლებელი იყო და კავკასიონის შესწავლა დიდი დაგვიანებით დაიწყო. კავკასიის გეოლოგიის პირველ მკვლევარად სამართლიანად ითვლება ფრანგი მეცნიერი Dubois de Montpéroux, რომლის მოგზაურობა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებს ეკუთვნის. ამას მოჰყვა კარგად ცნობილი პ. აბიხის ხანგრძლივი მუშაობა და ისევ ფრანგების ე. ფავერის და ე. ფურნიეს ხანმოკლე საკვლევო მოგზაურობანი. ეს არის კავკასიის გეოლოგიის განვითარების პირველი ეტაპი. როდესაც მუშაობა ძირითადად უცხოელების ხელში იყო.

ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს ეტაპი დასრულდებოდა, დაიწყო შემიღებელი ეტაპიც, რომლისთვისაც რუსეთის გეოლოგების წამყვანი როლი არის დამახასიათებელი. ამ დროს შეიძლება გავარჩიოთ, ერთი მხრივ, თბილისის სამთო სამმართველოს გეოლოგების მუშაობა, რომელიც სამოცდაათიან წლებში იწყება და რომლის მნიშვნელობა პირველი კულმინაციის შემდეგ თანდათან მცირდება, და, მეორე მხრივ, ლენინგრადისა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქების მეცნიერთა კვლევა, რომლის შეფარდებითი მნიშვნელობა, დასაწყისში, მცირე, დღითიდღე მატულობს.

მესამე ეტაპი ოქტომბრის რევოლუციით იწყება. ამ საბჭოთაო ხანისათვის დამახასიათებელი არის გეოლოგიური მუშაობის უმაღალითო სისწრაფით ზრდა და გეოლოგიური მეცნიერების განვითარება ეროვნულ ნიადაგზე, როგორც საქართველოში, ისე ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში.



კავკასიის გეოლოგიის განვითარების პირველ ეტაპზე უკვე არის სიის გეოლოგია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გეოლოგია კავკასიაში.


მეორე ეტაპზე ჩაისახა გეოლოგიური საკვლევო დაწესებულება თბილისში, მაგრამ იგი ნიადაგისათვის უცხო და ზრდის უნარს მოკლებული აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ აბიხს არ დაუტოვებია არც ერთი მოწიფე და მისი მუშაობის გამავრცელებელი და კავკასიის სამთო სამმართველოს გეოლოგიური განყოფილებაც უშუამომავლოდ გადავიდა.

მხოლოდ საბჭოურ პერიოდში, ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის პირობებში წარმოიშვა ქართული გეოლოგია და ამიერიდან ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს არამარტო კვლევის ობიექტს, არამედ სუბიექტსაც.

\*  
\* \*

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში ორი-სამი გეოლოგი თუ იყო. ხოლო საკვლევო მუშაობა პრაქტიკულად არავითარი არ წარმოებდა. დღეს, უმაღლესი სასწავლებლების გეოლოგიური კათედრები რომ არ ჩავთვალოთ, მარტო თბილისში 10 გეოლოგიური საკვლევო დაწესებულება გვაქვს, ხოლო ჩვენში მომუშავე გეოლოგების რიცხვი 200-ს აღემატება. მათ შიერ ჩატარებულა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა: შესწავლილ იქნა ძველად ცნობილი საბადოები და მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი მარაგი (ჭიათურა, ტყიბული, ტყვარჩელი და სხვ.), აღმოჩენილ იქნა ახალი საბადოები (ნავთი, დარიშხანი, იშვიათი ლითონები, ოქრო და სხვ.), რომელთაგან ბევრი უკვე წარმოებას გადაეცა; შესწავლილ იქნა ჩვენი მინერალური წყლები (ბორჯომის, წყალტუბოსი, მენჯის და სხვ.); უზრუნველყოფილ იქნა ფართოდ გაშლილი ჰიდროელექტრული მშენებლობის და სამელიორაციო სამუშაოთა გეოლოგიური საფუძველი; დიდი მუშაობა ჩატარდა ჰიდროგეოლოგიასა და საინჟინერო გეოლოგიაში... ამ მრავალმხრივი მუშაობის პროცესში გაიზარდა ქართული გეოლოგიაც, როგორც მეცნიერება: საბჭოთა მეცნიერება მშრომელი ხალხის მეცნიერება არის, იგი განუყოფელად არის დაკავშირებული სოციალისტურ პრაქტიკასთან, სოციალისტურ მშენებლობას ემსახურება და ამავე მშენებლობაში პოულობს უმაგალითოდ სწრაფი განვითარების პირობებს. ასეთი უნდა ყოფილიყო გეოლოგიის ბედიც.

შეუძლებელი არის ამ მოკლე წერილში გეოლოგიურ მეცნიერებათა ყველა დარგის განვითარების პროცესი ავსახოთ. ჩვენს ამოცანას გაცილებით უფრო ვიწროდ შემოვფარგლავ და ზოგადსა და რეგიონულ გეოლოგიაზე შევჩერდები. ამ მიმართულებით ჩვენში სამი დაწესებულება მუშაობდა და მუშაობს: გეოლოგიური ინსტიტუტი; გეოლოგიური სამმართველო და საქართველოს ნავთი. უკანასკნელი დაწესებულება, რომელსაც დიდი მუშაობა აქვს ჩატარებული ნავთიან რაიონებში, ბოლო დრომდე თავისებურ გზას ადგა. იგი ადგილობრივ მუშაებს სისტემურად ვერ დაუფელიდა და დროებით მოწვეულ თანამშრომლებს ეყრდნობოდა. ასეთ პირობებში ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და ადგილობრივ საკვლევო აპარა-



ტის შექმნის ამოცანა უგულვებელყოფილი რჩებოდა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში გამოიცვალა ამ მხრივ მდგომარეობა და დღეს საქნავოსაც ჰყავს საკუთარი გეოლოგების კარგი ბირთვი (ლალაიევი, ვახანია, ძველაია და სხვ.), რომელიც მასზე დაკისრებულ პასუხსავებ საქმეს, უეჭველია, თანდათან უფრო მეტი წარმატებით გაუძღვება.

გეოლოგიური ინსტიტუტისა და გეოლოგიური სამმართველოს მუშაობა, პირიქით, იმთავითვე შეთანხმებულად მიმდინარეობდა ეიწრო თანამშრომლობაში, რომელიც ორივე მხარისათვის და ქართული გეოლოგიისთვის უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ჩვენი მიმოხილვაც არსებითად ამ ორი დაწესებულების მუშაობის ანალიზი იქნება.

\*  
\* \*

1924 წელს ფერომარგანცის კომისია დიდ საკვლევო მუშაობას აწარმოებდა. კერძოდ, საჭირო იყო სხვადასხვა განზრახული ჰიდროელექტროსადგურის გეოლოგიური პირობების შესწავლა. კომისიამ მუშაობაში ჩააბა ყველა ჩვენი გეოლოგები, რომელთა რიცხვი ოთხს არ აღემატებოდა. ამ კვლევის დროს ყურადღება მიექცა თავისებურ ქანებს, რომელნიც რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში არიან განვითარებული და მანამდე მრავალ გაუგებრობას იწვევდნენ. მათ გეოლოგები ხან ლიასურ ასაკს მიაწერდნენ, ხან ზედა იურულს, ხოლო ფორმაციაში გავრცელებულ პორფირიტებს ინტრუზიულ სხეულებად სთვლიდნენ.

ამ შეხედულებათა წინააღმდეგ აღინიშნა ფორმაციის ერთობლივობა, მისი ვულკანოგენური წარმოშობა და დანაოქებული ბუნება, და წყებას პორფირიტული ეწოდა (84). მისი ასაკი განსაზღვრულ იქნა როგორც ბაიოსური. მალე ყოფ, გეოლოგიური კომიტეტის უფროსი გეოლოგის მეფერტის მიერ ნაპოვნმა ნამარხებმა ეს დასკვნა თითქო სავსებით დაადასტურა. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა: პალეოპროტანიკოსებმა (პრინადა) და გეოლოგებმა (ი. კუხნეცოვი, მოკრინსკი და სხვ.) წყება ლიასურად გამოაცხადეს. წარმოიშვა ხანგრძლივი და მწვავე მეცნიერული დავა.

ოკრიბაში ოზოკერიტის საბადოს ძიებამ საშუალება მოგვცა პორფირიტულ წყებაში მდიდარი ფაუნა დაგვეგროვებია. ფაუნა მონოგრაფიულად იქნა დამუშავებული გეოლოგიურ ინსტიტუტში და ამრიგად არა თუ წყების უცილოდ ბაიოსური ასაკის დამტკიცება, არამედ შიგ ცალკეული ზონების გარჩევაც მოხერხდა (38). სხვადასხვა გეოლოგიური პარტიის მიერ დავროვილმა მასალამ შესაძლებელი გახადა ეს დასკვნა ჯერ საქართველოს ყველა კუთხეზე და შემდეგ მთელ ამიერკავკასიაზეც გავვევრცელებია.

ამრიგად გადაწყდა საკითხი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის გეოლოგიური აგებულებისა და წარსულის შესწავლისათვის და რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ღია რჩებოდა. ამით შუქი მოეფინა ჩვენი ბარიტის, პოლიმეტალური საბადოების და იურული ნახშირის განვითარების პირობებს და შესაძლებელი შეიქნა მათი ძიების რაციონალურ დაუძღველზე დაყენება.

მაღე გამოიკვია, რომ მიღებული შედეგის მნიშვნელობა საკუთრივ





ამიერკავკასიით არ განისაზღვრება. ახალგაზრდა თბილისელმა გეოლოგმა (შონია, ჭიჭინაძე, პეტროვი), რომელიც მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, შესძლეს დაემტკიცებინათ, რომ კავკასიონის სამხრეთი ფერდის დიაბაზური წყება, რომელსაც ყველა გეოლოგი ლიასურად სთვლიდა, ნამდვილად პორფირიტული წყების ფაციესურ ეკვივალენტს წარმოადგენს. ამით სავსებით დადასტურდა ადრევე გამოთქმული მოსაზრება და თან კავკასიონის გეოლოგიის სქემაში მოულოდნელი წესრიგი იქნა შეტანილი. ამოივსო ხარვეზი ლიასა და ზედა იურას შუა და გაქარწყლდა ამ ხარვეზზე აგებული ტექტონიკური წარმოდგენები.

პორფირიტული წყების ეს მოკლე ისტორია ახალგაზრდა ქართული გეოლოგიის მნიშვნელოვან გამარჯვებას წარმოადგენს, მაგრამ აქ იმდენად შედეგი არ არის საგულისხმო, რამდენადაც გზა, რომლითაც იგი მიღებულ იქნა.

თეორიული საკითხების კვლევა წარმოებდა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, სამეურნეო ორგანოებთან თანამშრომლობის პირობებში.

დარგოვილ იქნა მდიდარი ფაუნისტური მასალა. ეს მასალა დღეს დამუშავებული არის და გამოფენილი გეოლოგიური ინსტიტუტის მუზეუმში. მასი სადარი კავშირში მეორე არ მოიპოვება და იგი ძვირფას იარაღს წარმოადგენს შემდეგი კვლევისათვის.

გამოქვეყნდა გეოლოგიური ინსტიტუტისავე მოამბეში ამ ფაუნის მონოგრაფიული აღწერა. თუ ავსტრიელი გეოლოგების ნოიმაარისა და ულიგის შრომას არ მივიღებთ მხედველობაში, რომელიც საქართველოსაც ეხება, ასეთი მონოგრაფიები ახალი მოვლენა არის არა მარტო ბაიოსისათვის, არამედ საქართველოს გეოლოგიისათვის საერთოდ. ესეც უფრო მომავალი კვლევის საფუძველია, ვიდრე ჩატარებული მუშაობის დაგვირგვინება.

აღიზარდა ამ დარგში მომუშავე სპეციალისტები, შეიქმნა ისეთი პირობები, რომ ამჟამად მთელი ამიერკავკასიიდან, საცა უნდა დაისევას პორფირიტული წყებასთან დაკავშირებული რამ საკითხი, საკონსულტაციოდ თბილისს მომართავენ.

პორფირიტული წყების მავალითი გამონაკლისს როდი წარმოადგენს. მსგავსსავე პირობებში, მსგავსი მეთოდით წარმოებდა ჩვენში ცნობილი ყველა გეოლოგიური ფორმაციის კვლევა და დღეს არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი გეოლოგიური სართული, რომ მის შესწავლაში ჩვენს გეოლოგებს მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანათ. ასეთია ლიასი (1, 3, 6, 41, 44, 96), ბათური (40, 42, 43, 96), კალციური (44, 47, 84, 88, 89, 96), ოქსფორდული (44, 47, 87, 89, 96), ფერადი წყება (44, 47, 69, 96), ნეოკომური (1, 2, 28, 44, 84, 93, 96), აბტური (2, 8, 44, 50-53, 84, 96), ალბური (5, 9, 44, 87, 93, 96), სენომანური (5, 9, 96, 2, 6), ტურონულ-სენონური (1, 2, 5, 24, 37, 38, 44, 54, 70, 71, 96), პალეოცენი (5, 29-36, 44, 82, 96, 99), ნეოცენი (2, 5, 10-12, 25-28, 37, 39, 44, 72-76, 80, 81, 84, 96).

\*  
\*  
\*

სტრატეგრაფიული პალეონტოლოგიის გვერდით გეოლოგიის მეორე აუ-



ცილებელ დასაყრდენს პეტროგრაფია წარმოადგენს. ჩვენი პეტროგრაფიული ფეხის ყურადღება პირველ რიგში კრისტალურმა ქანებმა მიიპყრო, ხოლო ამ თვალსაზრისით ძირულის მასივი კვლევის უაღრესად მიმზიდველ ობიექტს წარმოადგენს, როგორც თავისი პეტროგრაფიული შედგენილობის მრავალფერობით, ისე გეოტექტონიკური მნიშვნელობითაც.

მთელი რიგი წლების განმავლობაში ჯერ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, შემდეგ გეოლოგიური ინსტიტუტის დავალებით იქ სისტემურად მუშაობდნენ სხვადასხვა გეოლოგიური პარტიები, რომელთაც საქართველოს ტერიტორიის ეს ნაწილი საუკეთესოდ შესწავლილთა შორის მოათავსეს. პროფ. პროფ. ა. თვალჭრელიძის და გ. სმიროვის მოწაფეებმა დეტალურად შეისწავლეს ძირულის მასივის გრანიტები და მასთან დაკავშირებული მყავე და ფუქე ძარღვები (13, 16, 23, 45, 57-59), არკვევენ მათ ურთიერთობას და ასაკს, დაადგინეს მთელი რიგი ნეოინტრუზიები (57, 13, 22) და სხვ.

ბუნებრივად ეს კვლევა გადატანილ იქნა მთავარი კავკასიონის კრისტალურ ქანებზეც (17, 68) და საქართველოს ტერიტორიის სხვა ნაწილებში (14, 22, 56, 60, 62, 63, 78), ხოლო ბოლო დროს რეგიონულის გვერდით თანდათან მეტი ადგილი ეთმობა თემობრივ კვლევას: ამის მაგალითი არის ნეოინტრუზიებისა (13) და ტეშენიტების (60) შესწავლა.

სწორედ თემობრივი მიდგომით იქნა შესწავლილი პორფირიტული წყების პეტროგრაფიაც (78). ეს ვულკანოგენური ფორმაცია ერთგვარად მოითხოვს როგორც პეტროგრაფიული, ისე გეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებას და ამ ორი მეცნიერების მჭიდროდ დამაკავშირებელ ობიექტს წარმოადგენს. უნდა ვიფიქროთ, რომ დაწყებული მუშაობა სისტემურად გაგრძელდება და ასეთისავე ყურადღების საგანი გახდება იან შუა ცარცის და პალეოგენის ვულკანოგენური წყებებიც.

დანალექი ქანების შესწავლა ამავე დონეზე არა დვას, მაგრამ დავიწყებული არც ის დარჩენილა. ამ დარგში განსაკუთრებით საქართველოს ნავთის გეოლოგები მუშაობენ და გეოლოგიურ ინსტიტუტსაც ჰქონდა სათანადო სექცია. ცნობილია, რომ დანალექი ქანების კვლევის მეთოდები დიდ როლს თამაშობენ ნავთის ძიების საქმეში. მაგრამ უდავოა, რომ მათ შეუძლიათ ზოგად გეოლოგიასაც კარგი სამსახური გაუწიონ. ამის საუკეთესო საბუთს საქავშირო მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგების შრომები იძლევიან.

\*  
\* \*

ტყიბულისა და გელათის ნახშირის საბადოების კვლევამ გეოლოგების წინაშე დააყენა ნახშირის შემცველი ნალექების, ე. ი. ბათური ნალექების ფაციესის საკითხი. შენიშნულ იქნა, რომ ეს ნალექები პელოიტური მასალით იწყება და ფსამიტური სტადიის შემდეგ კონგლომერატით თავდება: მეორე მხრით, წყებას ქვეშ ნორმული ზღვიური ფაუნის შემცველი ზედა ბაიოსური შრეები არის, წყების ქვედა ნაწილში, ფურცელა ფიქლებში, აღმოჩენილ იქნა მტკნარი წყლის მოლუსკები, ხოლო ზედა ნაწილი — საკუთრივ ნახშირიანი



წყება — ხმელეთის მცენარეების ნაშთებით არის სავსე. ამრიგად ნაქველანაობა ბათური სართულის რეგრესიული ხასიათი ოკრიბაში.

კიდევ უფრო ადრე ხიდისკართან განზრახული საეგუბარის გეოლოგიური კვლევის დროს რაჭაში აღმოჩენილ იქნა კალოვიური სართული და აღინიშნა მისი ტრანსგრესიული განლაგება ბაიოსურზე. ბუნებრივი იყო ამის მიხედვით ახალი ოროგენეტიური ფაზისის არსებობა დაგვეშვა ჩვენში, მაგრამ კალოვიური ტრანსგრესიის იდეაც მკაცრ წინააღმდეგობას შეეჯახა. მიუხედავად ამისა, ჩვენი გეოლოგების მუშაობამ მალე დაამტკიცა ამ ტრანსგრესიის რეალობა და მის წინა დანაოჭების დიდი ინტენსივობა. კიდევ უფრო ადრე გამოირკვა „კალოვიურისწინა“ ფაზისის დიდი მნიშვნელობა ჩრდილო კავკასიაში, ხოლო შემდეგ შუა აზიაშიც და, მამასადამე, თბილისელი გეოლოგების პოზიცია ამ შემთხვევაშიც სავსებით გამართლდა.

მხოლოდ, საყურადღებო მარტო ეს როდია. „კალოვიურისწინა“ ფაზისის ასეთ სახელს იმიტომ უწოდებენ, რომ ფიქრობენ, რომ დანაოჭება ბათურისა და კალოვიურის საზღვარზე უნდა მდებარეობდეს. ასეთი არის ოროგენეტიური ფაზისების დათარიღების შტილეს მიერ დაკანონებული მეთოდის შედეგი. მართალია, ბოლო დროს შტილეს შეხედულებას მრავალი კრიტიკოსიც აღმოუჩნდა, მაგრამ ისინი ოროგენეტიური ფაზისების სრული უარყოფის პოზიციებზე დგებიან და მეთოდში ახალი არაფერი შეაქვთ.

დაკვირვებულმა კვლევამ გამოარკვია, რომ ოკრიბაში ბათური ნალექების გავრცელებას ზონური ხასიათი აქვს და ეს ზონურობა დანაოჭებასთან არის დაკავშირებული. მეორე მხრით, რაჭის კალოვიურის ტრანსგრესია უკვე დასრულებული დანაოჭების ფონზე ხდება. ამ მოვლენების და მათთან დაკავშირებული სხვა ფაქტების შესწავლის საფუძველზე მოხერხდა დამტკიცებულყო, რომ დანაოჭება პაროქსიზმული, მაგრამ მაინც ხანოერი პროცესი არის; რომ იგი დაკავშირებული არის რეგრესიასთან და არა ტრანსგრესიასთან; რომ დანაოჭების ზუსტი დათარიღება რეგრესიული ნალექების მიხედვით უნდა ხდებოდეს; რომ რეგრესიული ნალექების ზედა ნაწილი შესაძლებელი არის ოროგენეტიურ ფაზისზე უფრო ახალგაზრდა იყოს, ხოლო მათი მომყოლი ტრანსგრესია სხვადასხვა ასაკისა, რაც ტრანსგრესიის თანდათანო განვითარებით აიხსნება (92, 96). ამით არსებითი შესწორება იქნა შეტანილი შტილეს თეორიასა და მეთოდში.

ახალი მეთოდის ღირებულება ფერადი წყების მავალითზე იქნა მალე შემოწმებული. ამ წყებასთან, რომელიც დასავლეთ საქართველოს იურულ ფორმაციაში ისეთ დიდ როლს თამაშობს, მრავალი გაუგებრობა იყო დაკავშირებული. ბოლო დროს მას ანდური ფაზისის მომყოლ ტრანსგრესიასთან აკავშირებდნენ და ტიტონურად ათარიღებდნენ. ფიქრობდნენ, რომ ქვედა ცარცულა კირქვები მას სრული თანხმობით განაგრძობენ.

ისევ ოკრიბის ნახშირიან რაიონში ჩატარებულმა მუშაობამ გამოარკვია, რომ ფერად წყებასა და ქვედა ცარცს შუა მკაფიო უთანხმოება არის. ეს უთანხმოება, ცხადია, ანდური ფაზისის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს. მამასადამე, იმავე მსჯელობის მიხედვით ფერადი წყების ასაკი ტიტონურზე ძველი უნდა იყოს.

ოკრიბაში ფერადი წყება ტრანსგრესიულად არის განლაგებული. ტიტონური უთანხმოებით. ბათურს ან ბაიოსურ ნალექებზე. შტილეს მეთოდის მიხედვით აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ეს უთანხმოება ოროგენეტიკურ ფაზისთან არის დაკავშირებული, და ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს „კალოვიური-ფინა“ ფაზისთან.

ნამდვილად მდგომარეობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. რაჭის ზედა იურის შესწავლამ ნათელჰყო, რომ ფერადი წყება კარგად დათარიღებულ ლუზიტანიურს ადევს თავზე სრული თანხმობით. მაშასადამე, მისი ასაკი კიმერიჯულ უნდა იყოს, რასაც ფაუნა, მართალია, ძლიერ ლარბიბი, საკმაოდ ადასტურებს. მეორე მხრით, რაჭის კალოვიური, ოქსფორდული და ლუზიტანიური ნორმული ზღვიური ფაციესით არის წარმოდგენილი (ამონიტებიანი ქვიშაქვები და თიხები, მარჯნიანი კირქვები). ფერადი წყება კი თაბაშირის ფენებს შეიცავს და ცხადად ლაგუნურია და რეგრესიული. ზემოთქმულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი დაკავშირებულია ანდურ ანუ ტურონურისწინა დანაოჭებასთან. ფერადი წყების ტრანსგრესიული განლაგება ოკრიბაში შედეგი არის დანაოჭების თანამგზავრი მოძრაობისა და არა დანაოჭების მომყოლი ტრანსგრესიისა. ამიტომ აქვს წყებას ზონური გავრცელება სინკლინების მიხედვით.

რაც შეეხება ასაკს, შტილეს მეთოდის მიხედვით უნდა გვეთქვა, რომ იგი აუცილებლად ტიტონურისწინა უნდა იყოს. ზემოხსენებული შესწორების შემდეგ კი ვიტყვით, რომ ამ რეგრესიული წყების ზედა ნაწილი, შესაძლებელია, ტიტონურსაც წარმოადგენდეს, ე. ი. დანაოჭების შემდეგი დროისა იყოს.

ადილი იდასახანავია, რომ დღემდე გაბატონებული შეხედულების თანახმად ოკრიბის ტრანსგრესიული ფერადი დანაოჭების შემდგომ ტრანსგრესიას უნდა გამოხატავდეს. ხოლო რაკი წყების ასაკი, როგორც რაჭაში ირკვევა, კიმერიჯული არის, ან ეს ტრანსგრესია კალოვიური ტრანსგრესიის დაგვიანებულ გამოძახილად უნდა ჩავთვალოთ და ან ახალი „კიმერიჯულისწინა“ ფაზისი დაეწმეთ. ასევე, თუ ფერადი წყების ზედა ნაწილში ტიტონურის ელემენტური აღმოჩნდა, იძულებული ვიქნებით ტიტონურის შემდგომი „ვალანჯინურისწინა“ ფაზისიც მივიღოთ. ამგვარად უკრიტიკოდ წარმოებს კიდევ ახალი ფაზისების რიცხვის უსაფუძვლო გამრავლება.

\*

\* \*

საერთოდ, ფაციესების შესწავლა მრავალი მხრით გამოდგა ნაყოფიერი. კერძოდ, გამოირკვა, რომ მრავალი სტრატეგრაფიულ ერთეულად მიჩნეული წყება (გლაუკონიტანი ქვიშაქვა, „მთავარის წყება“ და სხვ.) ნამდვილად ფაციესს წარმოადგენს და სხვადასხვა სტრატეგრაფიულ დონეს უნდა მიეკუთვნოს. ამიტომ ზუსტ სტრატეგრაფიულ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ესაძლევა (96.9). მით უმეტეს, რომ სინამდვილის გამოხატველი ტექტონიკა მხოლოდ ასეთ სტრატეგრაფიაზე შეიძლება იყოს აგებული.

„სინამდვილის გამოხატველი ტექტონიკა“ შემთხვევითი გამოთქმა არ არის. არსებობს სხვაგვარი ტექტონიკაც, ტექტონიკა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად მისაღებ კონცეფციებზე არის აგებული და არა შემოწმებულ დაკვირვებ-



ბებზე. ამ ორ ტექტონიკას შორის ქართველი გეოლოგების არჩევანზე უკვე ვსაუბრობდით. გადაწყვეტილი იყო. ისინი თეორიისაკენ პრაქტიკის გზით მიდიოდნენ და ტექტონიკის ამოცანას მათთვის უწინარეს ყოვლისა კონკრეტულ ურთიერთობათა კვლევა წარმოადგენდა. შედეგებმა ასეთი მეთოდი სავსებით გაამართლა. ურთულეს პირობებში ძირულის მასივის პერიფერიებზე, თრიალეთის ქედზე, ოკრიბასა და რაჭა-ლეჩხუმში, აფხაზეთში თუ სხვაგან გეოლოგიურ სტრუქტურათა ახალი სურათი იქნა მოცემული. ყველგან ეს სურათი მეტად თუ ნაკლებად რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა ადრინდელ კონცეფციებს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა არაერთი ცხარე მეცნიერული კამათი, და დავა ყველა შემთხვევაში ჩვენი გეოლოგების სასარგებლოდ თავდებოდა.

თუმცა ეს კვლევა თავისი ყურადღების ცენტრში კონკრეტულ ურთიერთობათ ათავსებდა, იგი სრულიადაც არ იყო თეორიულ გაქანებას მოკლებული და ფანტაზიის შემოქმედებითი როლის უარისმყოფელი. მხოლოდ, ფანტაზიას სინამდვილით შეზღუდული იგულისხმებოდა.

მაგალითად, აჯამეთის შავიქვიანი რაიონის კვლევამ გამოარკვია, რომ შავიქვის გამოსავლები დაკავშირებული არიან მეტად თავისებურ სტრუქტურასთან. ეს არის მონოკლინური ნაოჭი, რომელიც სოფ. კვახვირთან იწყება და სიმონეთის ჩრდილოეთით მოვლით შორს ვრცელდება აღმოსავლეთისაკენ. ჯერ ნორმულად დახრილი, შემდეგ ეს ნაოჭი სამხრეთისაკენ არის ვადმოწეული და ბოლოს საქმე გაწყვეტამდე და ჩრდილო ფრთის სამხრეთისაკენ შემოცოცხვამდე მიდის (67). მაშასადამე, თითქო სამხრეთისაკენ მიმართული მოძრაობა უნდა გვქონდეს, რაც რაიონის ტექტონიკის საერთო პირობებს სავსებით ეწინააღმდეგება. ეს მოვლენა ჩვეულებრივი ტექტონიკური წარმოდგენების საფუძველზე გაუგებარი უნდა დარჩენილიყო.

მაგრამ იმავე დროს რაჭაში ასფალტის საბადოს ძიების დროს გამოიკვია, რომ სამხრეთისაკენ მიმართული გრანდიოზული შემოცოცხვანი, რომელთაც იქ გეოლოგები აღნიშნავდნენ, სინამდვილეში არ არსებობენ და ელემენტურ შეცდომებზე და ცხადი ფაქტების უგულებელყოფაზედ არიან აგებული. სამაგიეროდ აქ გვაქვს მეტად საგულისხმო მოვლენა, რომელიც შეიძლება დეტალურად შესწავლილ იქნას მშვენიერ ბუნებრივ ჭრილში. ცარცის სამხრეთისაკენ დაქანებული კირქვები, რომელთა შრეები გადაარეცვის გამო თავისუფლად თავდებიან. ჩრდილოეთისაკენ არიან პორფირიტულ წყლებზე შეცოცხვებული შრეებრივობის გასწვრივ, შეცოცხვას გამოუწვევია უკუნაოჭი, რომელიც ზედმიწევნით იმეორებს ჩხარის რაიონის მონოკლინური ნაოჭის ფორმებს. აქაც ნაოჭი სამხრეთისაკენ ვადმოწოლილი და გაწყვეტილი არის.

ცხადი შეიქნა და კვლევამ დაადასტურა, რომ არგვეთის ცარცი და მესამეულიც შეცოცხვებული არის ოკრიბის იურაზე და ხსენებული მონოკლინური ნაოჭი ამ შეცოცხვასთან დაკავშირებულ უკუნაოჭს წარმოადგენს.

ამრიგად წარმოიშვა და შემდეგ ჩამოყალიბდა კიდური შეცოცხვების თეორია (96), რომლის ნაყოფიერება დღეს უკვე კარგად შემოწმებული არის. შეიძლება ითქვას, რომ ამ კონცეფციის გარეშე კავკასიონის კირქვიანი წინამთების აგებულების სწორი გაგება შეუძლებელი იქნებოდა. მისი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, კავკასიით არ განისაზღვრება.

\*

\* \*

ტექტონიკას ჩვენი გეოლოგები აუცილებლად გეოტექტონიკაში დე-  
უნდა მიეყვანა. ამ მხრივ საქართველოსათვის და ამიერკავკასიისათვის საერთოდ  
კავკასიონის და ანტიკავკასიონის დანაოჭებული ზოლების ურთიერთობის სა-  
კითხი ძირითადი საკითხი არის.

უკვე სოფ. შროშის რაიონის საბადოების (ცეცხლვამძლე თიხა, პეგმატი-  
ტის მარტვები) ძიების დროს დადგენილ იქნა (2, 6), რომ აჭარა-იმერეთის ქე-  
დი ძირულის კრისტალურ მასივზე არის ჩრდილოეთისაკენ შეცოცხებული. მეო-  
რე მხრით, წინათაც ცნობილი იყო (ფურნიე), რომ თრიალეთის ქედი ჩრდი-  
ლოეთისაკენ არის გადაწოლილი. შემდეგმა დაკვირვებებმა ეს დასკვნა ანტიკავ-  
კასიონის მთელ ჩრდილო პერიფერიაზე გაავრცელეს, გურიიდან დაწყებული,  
მცხეთის მიდამომდე.

ამავე დროს აბიხის შემდეგ ცნობილი არის, რომ კავკასიონი სამხრე-  
თისაკენ არის გადმოწოლილი. ერთიმეორის გვერდით ამ ორი საწინააღმდეგო  
და თან ერთდროული მოძრაობის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, თუ შუა-  
ში რაიმე უცხო სხეულს არ წარმოვიდგენთ. ასეთი სხეული კი შეიძლება იყოს  
მხოლოდ ძირულის კრისტალური მასივი და მისი მიწისქვეშა გავრცელება და-  
სავლეთისკენ და აღმოსავლეთისკენ. ამრიგად წარმოიშვა საქართველოს უდრე-  
კი ბელტის პრობლემა.

საქართველოს ბელტის როლი კავკასიონისა და ანტიკავკასიონისა  
ნაოჭების ურთიერთობაში ცხადი გახდა ნატახტარის წყაროების რაიონში ჩა-  
ტარებულმა კვლევამ (97; მოხსენებები გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო  
სხდომებზე). ამ წყაროების გეოლოგიური ბუნების შესასწავლად წარმოებულ-  
მა ხანმოკლე მუშაობამ გამოარკვია, რომ არავის მერიდიანამდე ორივე ზონის  
ნაოჭები თავისუფლად არიან განვითარებული და ერთიმეორისაგან მათათშუე-  
თით, ამ შემთხვევაში მუხრანის ველით, გაყოფილი. არავის აღმოსავლეთით  
მათათშუეთი ისოლება და კავკასიონის ზოლი უშუალოდ ეჯახება ანტიკავკა-  
სიონისას, ორ ანტაგონისტურ მოძრაობას შორის უპირატესობა კავკასიონი-  
სას რჩება და თრიალეთის ქედის ნაოჭები ძირითად ცვლილებას განიცდიან.

პირველ რიგში ხდება ნაოჭების ღერძების გადახრა. ნაოჭები იძულებული  
არიან კავკასიონური მიმართება გაიზიარონ და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გა-  
დაიხარონ. რადგან დანაოჭებულ შრეებს შესაფერი მოქნილობა უკვე აღარა-  
აქვთ, მიმართულების შეცვლა გადატეხის სახით ხდება. ამით აიხსნება მიმარ-  
თების უეცარი ცვლა არავის მარჯვენა და მარცხენა ნაპირთა შორის. ასეთ-  
სავე მოვლენას ვხედავთ მტკვრის გასწვრივაც მცხეთის სამხრეთით თბილისამ-  
დე. ორივე მდინარეს სწორედ ეს გადატეხის ხაზი გამოუყენებია ხეობის გასა-  
კვეთად და ის ნაპრალებიც, რომელნიც თბილისის თერმებს ასაზრდოებენ, ამ  
ზოლთან არის დაკავშირებული.

მსგავსი გადატეხა აღმოსავლეთით, იორის ხეობაში, არაერთხელ მეორდება  
და თანდათან უფრო სამხრეთით მდებარე ნაოჭებზე ვრცელდება: კავკასიონის  
გავლენა უფრო შორსმწვდომი ხდება.



ღერძების გადატეხასთან დაკავშირებული არის მეორე მოვლენის კონკრეტული მოძრაობის ხასიათს და მიზეზს კიდევ უფრო ნათელს ხდის. ჩრდილოეთიდან მოწოლის გავლენით მცხეთასა და თბილისს შუა მტკვრის მარცხენა ნაპირზე თრიალეთის სისტემის ნაოჭები იზოკლინურ ხასიათს ღებულობენ და საპირეთისაკენ არიან გადაწოლილი. ზემოაგვალაში ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს. ის დიდი განსხვავება, რომელიც თბილისის მიდამოში მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის ტექტონიკურ აგებულებას შორის არსებობს, ამით აისხნება.

თუ ამრიგად ცხადად ჩანს, როგორ მოვლენებს იწვევს არაგვის აღმოსავლეთით კავკასიონისა და ანტიკავკასიონის ნაოჭების უშუალო შეყრა, ეს საკმაოდ დამაჯერებელი საბუთი არის იმისა, რომ დასავლეთით ამ ორ სისტემას შორის უცხო სხეული უნდა არსებობდეს.

დასავლეთისკენ საქართველოს ბელტი თანდათან ფართოვდება. ხოლო ადვილად გასაგები მიზეზების გამო საზღვარი მასა და მეზობელ დანაოჭებულ ზონებს შორის ყოველთვის მკაფიო არ არის. სამხრეთით გურია-იმერეთ-თრიალეთის ქედი ბელტზე შემოცოცებულია და მისი კიდე დაუფარავს. ჩრდილოეთისკენაც მგავსი მოვლენები შესაძლებელი არის, განსაკუთრებით ძირულას მასივის აღმოსავლეთით. იმავე მასივის მეორე მხარეზე კი რაჭა-ლეჩხუმის აუზის აგებულებისა და ისტორიის შესწავლამ (96) ნათელჰყო, რომ საზღვარი დაახლოებით ამ ზოლს უნდა მიჰყვებოდეს.

უფრო დასავლეთისაკენ ასხის მთის კომპლექსის ბელტური ტექტონიკა ამტკიცებს, რომ აქ საქართველოს ბელტის განაპირა ნაწილთან გვაქვს საქმე (94, 95).

კიდევ უფრო მეტყველი არის სამეგრელოს გეოლოგიური აგებულებას შესწავლის შედეგები. ფურჩიეს მიხედვით სამეგრელოს, საკუთრივ კავკასიონიდან ეკის მთამდე, გუმბათური ტექტონიკა ახასიათებს, ხოლო ეკის მთასა და გურიის მთებს შუა მოთავსებულია სინკლინური აუზი. მეფერთი, პირიქით, ფიქრობს, რომ ეკის მთასა და გურიის მთებს შუა მდებარე ზოლი ბელტური ბუნებისა არის, ხოლო ოდიში ეკის მთასა და კავკასიონს შუა ვრცელ სინკლინურ აუზს წარმოადგენს.

იკვება, რომ ორივე შეხედულება მცდარი არის.

მენჯის მინერალური წყლების კვლევის დროს შედგენილი დელატურა გეოლოგიური რუკა (37) გვიბტკიცებს, რომ თამაკონ-ეკის რკალი, რომელიც „სამეგრელოს სინკლინს“ სამხრეთისაკენ საზღვრავს, რამდენიმე ბრაქინტიკლონისგან შედგება, რომელნიც შენაცვლების წესით არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული. წინააღმდეგ მეფერთის კონცეფციისა, რამდენიმე ასეთივე რკალი თვით სინკლინშიც არის, დასასრულ, თამაკონ-ეკის რკალის სამხრეთ-აღმოსავლეთით მათხოჯის მონასტერთან ცხადად ჩანს კიდევ ერთი რკალის დასაწყისი, რომელსაც ნაოჭების იმავე შენაცვლების წესით დაკავშირება ანასიათებს, ყველა ამ რკალის ზეწრული ხასიათი სრულიად ცხადი არის და ეჭვი არ შეიძლება, რომ ისინი შედარებით უდრეკ სუბსტრატზე არიან განვითარებული: საქართველოს ბელტს უჭირავს მთელი სივრცე კავკასიონის კირქვიანი წინამთებიდან გურიის მთებამდე. ამ დასკვნას კარგად ეთან-



ხმება კირქვიანი კავკასიონის ის უეცარი მუხლებირვი გადატეხაც, სამეგრელოს მესამეულ აუზს ესაზღვრება და უკვე აბიხის მიერ იქნა შეიშნული.

ამავე დასკვნას ადასტურებს ნალექების ხასიათის ანალიზიც, რადგან კავკასიონის ზოლსა და საქართველოს ბელტს შუა განსხვავება უფრო ცხადო არის, შევადაროთ ერთმანეთს ბელტი და ანტიკავკასიონის ზოლი. ცარცული ნალექების სისქე ბელტზე რამოდენიმე ასეულ მეტრს არ აღემატება და შუა ცარცის ვულკანოგენური წყების სისქე შედარებით მცირეა. — თრიალეთის ქედზე, სადაც ანტიკავკასიონის ცარცი გამოშვლებული არის, მისი სისქე რამდენიმეჯერ უფრო დიდია და მარტო ვულკანოგენური წყება ათას მეტრზე ნაკლები არ იქნება. ეოცენი ბელტზე კარბონატული ფაციესით არის წარმოდგენილი, — გურია-იმერეთ-თრიალეთის ზოლში ფლიშით და ვულკანოგენური წყებით. ბელტზე მისი სისქე, ისევე როგორც ოლიგოცენისა, უმნიშვნელო არის, — გურია-იმერეთ-თრიალეთის ზოლში ორი-სამი ათეული მეტრი იქნება. ნეოგენი ამ ზოლში სრულიად არ არის, — ბელტზე კი თავიდან ბოლომდე არის განვითარებული ბაქური ფაციესების სახით. ამ ფაქტების მნიშვნელობის განმარტება ზედმეტი არის.

ასე მარტივად წყდება თანამიმდევრობითი მუშაობისა და აუქციონებელი სინთეზის პირობებში სავიხი, რომლის შესახებ იმდენი ნასწრაფევი თეორია შეთხზულა.

საქართველოს ბელტი არ შეიძლება იმ დიდი კონტინენტური ფარების მსგავსად წარმოედგინოთ, რომელნიც პროტეროზოულ დროს აქეთ თითქმის სრულიად უცვლელი დარჩენილან. ორ დიდ ოროგენურ ზოლს შუა მოქცეული ეს პატარა სხეული ტექტონიკური ძალების გავლენას საკმაოდ თვალსაჩინოდ განიცდიდა. განსაკუთრებით თავის ვიწრო ნაწილში. თანაც პირობების მიხედვით შესაძლებელი ხდებოდა ერთსადაიმავე ადგილას ხან კავკასიონის გავლენა ყოფილიყო გაბატონებული, ხან ანტიკავკასიონის. ეს კარგად გამოაჩინა ოკრიბისა და რაჭის ტექტონიკის შესწავლამ, სადაც ადრინდელ კავკასიონურ სტრუქტურაზე უფრო ახალგაზრდა ანტიკავკასიური სტრუქტურა არის დამთხვეული (96).

ეს გარეგნობა მარტო ბელტის შედარებითი ლაბილობის თვალსაზრისით არ არის საგულისხმო. ტექტონიკურ სტრუქტურათა შესწავლა, როგორც დროის ფუნქციისა, საერთოდ მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ოკრიბაში და რაჭაში ცარცისწინა და ცარცისშემდეგი ნაოჭების გარჩევას შედეგად მოჰყვა იურული ოროგენეზის დიდი მნიშვნელობის აღმოჩენა (96). ამ მიმართულებით წარმოებს დღეს კვლევა სხვა რაიონებშიაც (44, 69) და, ეჭვი არ არის, საქართველოს ბელტის წარსულიც ამავე მეთოდით უნდა იქნას შესწავლილი (95).

\*

\* \*

ეგზოტექტონიკური ანუ მეწყრული მოვლენები ჩვეულებრივ გეოლოგის ყურადღების გარეშე რჩებიან და შეიძლება ითქვას, რომ გეოლოგების დიდი უმრავლესობა ამ მოვლენებს ვერც იცნობს. აღსანიშნავია, რომ მეც-





ნიერგები, რომელნიც, მოდური თეორიებით გატაცებულნი, საერთოდ წარმოშობას ოსცილაციითა და მეწყრული დაცოცებით ხსნიან, რეალური პატარა მეწყრის წინაშე უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან და მის დანახვაზე უარს ამბობენ. სანამ რაიმე კატასტროფა ან ავარია არ მოხდება. მაგრამ მოკრავი მეწყრის დანახვა ხომ არაგეოლოგსაც კარგად შეუძლია. გეოლოგის აპოკანა სწორედ ის არის, რომ მდგარი მეწყერი შეამჩნიოს და მისი მოსალოდნელი ამოძრავების მიმართ მშენებელი გააფრთხილოს. ეს არის უაღრესად პრაქტიკული პრობლემა, რომელსაც გეოლოგიის წინაშე ჩვენი მშენებლობის უჩვეულო განვითარება აყენებს. ზოგიერთი ჰესის ძლიერ მტკივნეული გამოცდილება საკმაოდ ნათელს ხდის ამ პრობლემის მნიშვნელობას, თუმცა, სამწუხაროდ, ყველასთვის მაინც არა.

ქართველი გეოლოგები, რომელთა მუშაობის საწყისი ყოველთვის სახალხო მეურნეობის პრაქტიკა იყო, ცხადია, ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლიდნენ. აქაც მათ ახალი გზების გაკვლევა მოუხდათ.

განსაკუთრებით რთული არის მეწყრის დიაგნოსტიკა იმ შემთხვევებში, როდესაც შრეებრივობის ან სხლეტის ზედაპირის გასწვრივ მოძრაობასთან გვაქვს საქმე. ასეთ პირობებში გეოლოგები ისევ და ისევ იმეორებენ ხოლმე „ტექტონიკურ“ ახსნას. მეწყერი ხან ნასხლეტი გამოდის, ხან შესხლეტა, ხან დაწოლილი ნაოჭი. რამდენიმე მაგალითი:

თვით ქალაქ თბილისში, ძველ ვერის ხიდან, აბრეშუმისსახევე ფაბრიკასთან რომ არის, ქუჩის ზევით აწევამდე კარგად ჩანდა ქვიშაქვის შრეები მდინარისაკენ გადაწოლილი ფლექსურესებური ნაოჭი. ეს მოვლენა ფურნაიესაც შეუშინავს და აწერილი აქვს, როგორც ტექტონიკური დაწოლილი ნაოჭი, იმავე რიგისა, როგორც თრიალეთის ქედის ჩრდილოეთისაკენ გადაწოლილი ნაოჭი, მცხეთასთან რომ არის.

ამ მოვლენის გაკვლევამ ვერის ნაპირის გასწვრივ გამოარკვია, რომ იგი მეწყერს წარმოადგენს და საკმაოდ ახლო წარსულში მას გამოუწვევია მდინარე ვერის დაგუბება (85). ამის შედეგი არის იმ ტბიურ ნალექების წარმოშობა, რომლებზეც აგებულია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და ახალი ცირკის შენობა.

ტიბულის რაიონში სოფ. ძუკნურის სამხრეთით მდებარე სერზე, სრულიად მოულოდნელ პირობებში, კირქვის საკმაოდ მოზრდილი ნაწყვეტი გვხვდება. გეოლოგმა მეფერთმა, რომელმაც ეს კირქვა პირველმა შეამჩნია, მის ასახსნელად ისევ ტექტონიკას მიმართა. ამრიგად წარმოიშვა რეგიონული ხასიათის ნასხლეტი, რომელიც მთელ ოკრიბას ორად ჰყოფს და მთელი მხარის გეოლოგიურ აგებულებას თავისებურად სცვლის. მოვლენის გულდასმით შესწავლამ აქაც გამოარკვია, რომ ჩვენს წინაშე არის უეჭველი მეწყერი, მაგრამ აწინდელისაგან ძირითადად განსხვავებულ ტოპოგრაფიულ პირობებში წარმოშობილი მეწყერი (96). ამრიგად შემუშავებულ იქნა ძველი მეწყრის ცნება.



მეწყერი აღმოჩნდა ის გრანდიოზული „შარიაუცი“, რომელსაც ლეჩხუმში აგვიწერდნენ სოფ. ორხვსა და დღნორისას შუა (96) და ა. შ.

რასაკვირველია, ასეთი შეცდომები გეოლოგებს მარტო ჩვენში არ მოსდით



და ეჭვი არ არის, მეწყურული მოვლენების უკეთესი გაცნობა ბევრი ტექნიკური ღონისწარმოდგენებს შესცვლიდა.

ჩვენშიც მეწყურული მოვლენების გეოლოგიური შესწავლა მხოლოდ დაწყებული არის. მაგრამ მაინც შეიძლება აღვნიშნოთ ამ მუშაობის საფუძველზე ცდის სახით მოცემული კლასიფიკაცია (91).



\*  
\* \*

გეომორფოლოგია გეოლოგიური კვლევის აუცილებელი საწყისიც არის და მისი დაგვირგვინებაც. გეოლოგიურ დაკვირვებათა სწორი წარმოება მხოლოდ გეომორფოლოგიურად გაწვრთნილ მკვლევარს შეუძლია და, მეორე მხრით, გეომორფოლოგიურ მოვლენათა გენეტიური ახსნა გეოლოგიის გარეშე უიმედო საქმეა.

რომ გეომორფოგენიის პრობლემებს ქართველი გეოლოგებიც გვერდს ვერ

აუვლიდნენ. ეს თავისთავადაც გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, რომ თი წინამძღოლი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა იყო.

ცნობილია, რომ მდ. ტყიბულა, რომელიც ნაჭერალის კალთებიდან იკრება წყალს. სოფ. ახალსოფელთან კირქვებში იკარგება და შემდეგ მხოლოდ სოფ. ძეგრთან ამოდის ისევ ზედაპირზე მდ. ძეგრულის სახით. ტყიბულაზე განზრახული ელექტროსადგურის პროექტთან დაკავშირებით საჭირო შეიქნა ამ მდინარის აუზის გეოლოგიის შესწავლა. ახალსოფლის ტაფობი, სადაც საგუბარა უნდა აგებულყო, ძლიერ თავისებურსა და ძნელად ასახსნელ მოვლენას წარმოადგენს. ერთი მხრით, იგი უტყველად ეროზიული წარმოშობისა არის, მაგრამ, მეორე მხრით, ერთადერთი მდინარე, რომელიც აქ გვაქვს, მხოლოდ დაგროვებას აწარმოებს და კარსტული განვითარების პირობებში არც შეიძლება სხვაგვარად იყოს. ეს წინააღმდეგობა, როგორც საბჭოთა გეოლოგებისთვის (კონუ შევსკი, მეფერი), ისე უცხოელი კონსულტანტისთვის (ვილზერი) გაუგებარი რჩებოდა და, რაკი ტაფობის ხასიათი გაურკვეველი იყო, მისი პრაქტიკული შეფასებაც დავას იწვევდა.

ამ სპეციფიკური ამოცანის გამოსახსნელად საჭირო შეიქნა შესაფერი მეთოდოკა. გეოლოგიური პირობების დეტალური შესწავლა და მდინარის მოქმედების გათვალისწინება საკმაო არ გამოდგა და ეს იმიტომ, რომ მდინარის განვითარების მანძილზე გეოლოგია უცვლელი იგულისხმებოდა. საჭირო იყო გეოლოგიური აგებულების და რელიეფის განვითარების განხილვა, როგორც ორი ერთდროულად ცვალებადი ფუნქციისა. ამ მეთოდმა სრულიად ახალი და იმავე დროს დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა (86,96). აღმოჩნდა, რომ ტყიბულის აუზის განვითარების პირველი ნაწილი სხვა პირობებში მიმდინარეობდა. შემოსხნებული სამხრეთ ოკრიბის კიდური შეცოცება ჯერ კიდევ არ არსებობდა და ტყიბულა მთლიანად მიწისზედა მდინარეს წარმოადგენდა. ამ დროს წარმოიშვა ახალსოფლის ტაფობის ეროზიული ფუძე. შემდეგ მოხდა კირქვების შემოცოცება. ახალსოფლის ქვევით ხეობა დაიკეტა და მდინარეს მარტო კარსტული გზები-ლა დარჩა. დაიწყო დაგროვებითი მუშაობა და წარმოიშვა თანამედროვე რელიეფი.

ამ მოულოდნელმა შედეგმა არა მარტო ახალსოფლის ტაფობის გენეზისის პრობლემას მოჰფინა შუქი, არამედ ცხადი გახდა მნიშვნელოვან ტექტონიკურ მოძრაობათა სრულიად ახალგაზრდა ასაკი ჩვენში, რაც იმ დროს ჯერ კიდევ უცხო ამბავი იყო.

ახალსოფლის ტაფობის წარმოშობის ახსნა მალე მშვენივრად დაადასტურა მდ. შაორის ტაფობის შესწავლამ (100) და ამით თვით მეთოდის ღირებულებაც ეჭვის გარეშე დააყენა. ამავე გზით ხერხდება წალკის ტაფობის თავისებურებათა ახსნაც.

\*

\* \*

ზემოთ დასახელებული რამდენიმე მაგალითი საკმაო წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი იყო გეოლოგიის განვითარების გზები ჩვენში. ამ მეთოდებით და ამ მიმართულებით ჩატარდა მუშაობა, რომელიც თანდათან მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა. მეტი თუ ნაკლები დეტა-

ლობით ამრიგად შესწავლილ იქნა აფხაზეთი (12, 14, 27, 28, 68, 69), მთიანეთი (3, 4), სამეგრელო (25, 37, 65, 66, 72—76), რაჭა-ლეჩხუმი (17, 33, 36, 78, 84, 88—90, 93—95, 98, 99), ოკრიბა (8, 9, 96), არგვეთი (67, 96), ძირულის მასივი (2, 6, 13, 16, 23, 57-59), სამხრეთ-ოსეთი (44, 47, 48), შუა ქართლი (7, 34, 80—82), თრიალეთის ქედი (5, 15, 18, 29, 30, 49, 56, 83, 61, 62, 85, 97), სომხითი (1, 5), ჯავახეთ-მესხეთი (32, 29), აჭარა-იმერეთის ქედის ნაწილი (2, 6, 22, 64) და სხვ.

ამჟამად გეოლოგიური სამმართველო აწარმოებს მუშაობას, რომელმაც მთელი ჩატარებული კვლევის შეჯამება უნდა მოგვეცეს. ეს არის საქართველოს გეოლოგიური რუკის შედგენა 1:200.000-იან მასშტაბით. რამდენიმე პლანშეტი უკვე მზად არის, ხოლო მთელი მუშაობა 1942 წელს უნდა დასრულდეს. ეს დიდი საქმე მარტო შესრულებული მუშაობის შეჯამება არ იქნება. იგი გამოავლენს ჩვენი გეოლოგიის ყველაზე უფრო აქტუალურ ამოცანებს და მომავალ კვლევას გზებს დაუსახავს.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, საკმაო არის, რათა ნათელი შეიქნას ის მჭიდრო კავშირი, რომელიც გეოლოგიურ მეცნიერებასა და გეოლოგიურ პრაქტიკას შორის არის. მაგრამ ეგებ ვინმემ იფიქროს, რომ გეოლოგიური თეორიები მხოლოდ ლამაზი ყვავილი არის პრაქტიკის მძლავრ ხეზე გამოსხმული. მას უნდა მოვავიწოთ, რომ ეს ყვავილები ძვირფას ნაყოფს იძლევიან.

რომ ზუსტი გეოლოგია და გეოლოგიური რუკა მშენებლობის ყველა დარგისათვის სრულიად აუცილებელი დასაყრდენი არის, ეს ჩვენს ქვეყანაში განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ დავასახელოთ ზოგი რამ სხვა მაგალითი.

ინტრუზიული სხეულების პეტროგრაფიული კვლევა თითქო მხოლოდ თეორიული საკითხი უნდა იყოს, მაგრამ ამ კვლევამ ახალი გზები დაუსახა იშვიათი ლითონების ძებნას.

იურული ნალექების სტრატეგრაფიული სვეტის დადგენაც თითქო არავითარ პრაქტიკულ საკითხთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ ამ კვლევამ შუქი მოჰვინა იურული ნახშირების ბუნებასა და შემოფარგლა მათი ძებნა-ძიების პერსპექტივები; რაციონალურ ნიადაგზე დააყენა ბარიტის ძიება და სხვ.

როდესაც ოკრიბის ოზოკერიტის ძიების დროს გამოირკვა, რომ წინააღმდეგ კატეგორიული უარყოფისა იურული ნავთის არსებობა ჩვენში ექვს გარეშე არის, ამას მაშინ მარტო თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ დღეს იურული ნავთის ძიება უკვე პრაქტიკულ ამოცანად იქცა.

მეწყობის ახალი ტიპის დადგენამ ტყიბულის საბადოს აგებულების გარკვევა შესაძლებელი გახადა და ძიებას დასაყრდენი მისცა.

როდესაც ინჟ. გ. ხიზანიშვილის მიერ ნატახტარის წყაროებზე ჩატარებული ძიების საფუძველზე გამოითქვა აზრი, რომ სოფ. ნატახტარის ზემოთ მიწისქვეშა არაგვი მიწისზედა მდინარეს მოწყვეტილი უნდა იყოს (101), ამასაც თითქო მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მალე გამოირკვა მისი უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა. როდესაც სოხუმის წყლით მომარაგების საკითხი დაისვა და გუმისტის ალუვიონში გაჭრილ შურფებში წყალი არ აღმოჩნდა, ჰიდროგეოლოგიის ავტორიტეტებმა დასკვნეს, რომ იქ

მიწისქვეშა წყალი არ არის. ნამდვილად კი მიწისქვეშა ნაკადი ცოტა უფრო ღრმად მდებარეობს, მიწისზედა ნაკადს მოწყვეტილი, და უფრო ქვემოთ ზედაპირზე ამოდის ნატახტარის მსგავსად, რაც შემდეგმა ძიებამ (ინჟ. ინჟ. ნაცვლიშვილი და ვარაზაშვილი) საესებით დაადასტურა, და ა. შ.

ხოლო მინერალურ სიმდიდრეებს რომ ბუნებასთან ერთად მეცნიერება ჰქმნის ეს თავისაბანი მიწის („გუმბრინის“) მაგალითზე მშვენივრად დამტკიცა პროფ. ალ. თვალჭრელიძემ.

\*  
\* \*


ასეთი არის ქართული გეოლოგიის განვითარების გზები და მისი მიღწევები. გეოლოგიური მეცნიერება საქართველოში წარმოიშვა როგორც საბჭოთა გეოლოგიის ერთი შტო, გაიზარდა რუსეთის გეოლოგებთან თანამშრომლობაში და თანდათან მეტი წვლილი შეაქვს საერთო საღაროში.

მაგრამ განვითარების ეს გზა მარტო მიღწევებით არ არის მოფენილი. ერთი ჩვენი მიღწევა, თუ გნებავთ, ისიც იქნება, რომ ნათლად ვხედავდეთ, თუ რამდენად მცირეა ის, რაც ვაკეთდა, რამდენად დაშორებულია ჯერ კიდევ გეოლოგიური მეცნიერება ჩვენში სასურველ დონეს, რამდენად ნაკლებია მუშაობა, რომელშიაც ზოგი დარგი სრულიად წარმოდგენილი არ არის. ქართული გეოლოგია უკვე გასცილდა ბავშვობის იმ ხანას, როდესაც ყოველი გადადგმული ნაბიჯი შინაურთა მოყვარულ თვალს სასწაულად უჩანს.

რომ მუშაობის ხარისხის შემდეგი ამაღლება დიდად და დიდად საჭირო არის, ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ საჭირო არის მუშაობის მეთოდების გამოცვლა: დროა ადგილობრივი საკითხებიდან უფრო ზოგადზე გადავიდეთ და შედარებითი მეთოდის გამოყენებით მეზობელი რაიონების შემდეგ თანდათან უფრო შორეულნიც მოვაქციოთ ჩვენი ყურადღების ფარგლებში; საჭიროა მეტი ადგილი დაეთმოს ცალკეული პრობლემების უფრო სისტემურ კვლევას; უნდა მოგვარდეს იმ დარგების საქმე, რომელნიც ჩვენში წარმოდგენილი არ არიან ან სუსტად არიან წარმოდგენილი (გეოქიმია, დანალექი ქანების პეტროგრაფია და სხვ.); დასასრულ, კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დამყარდეს თეორიულსა და პრაქტიკულ მუშაობას შორის: მე ვგულისხმობ არა მარტო თეორეტიკოსების კავშირს პრაქტიკოსთან, არამედ კიდევ მეტად პრაქტიკოსების შეიარაღებას თეორიით, ამ მიმართულებით უნდა იქნას გამახვილებული ქართველი გეოლოგების ყურადღება, ამ ამოცანების დასაძლევად უნდა მოიკრიფონ მათ შთელი თავისი ძალღონე.

## მოცხენიებული ზრომების სია

4. ალ. ჯანელიძე, გეოლოგია ტფილისის უნივერსიტეტში: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. III, ნკვ. 2, თბილისი.
- ვ. არევაძე, იხ. სმირნოვი.
1. კ. გაბუნია და პ. გამყრელიძე, ბორჩალოს რაიონის სამხრეთი ნაწილის გეოლოგია (გამზადებულია დასაბეჭდავად).
2. პ. გამყრელიძე, Геологическое описание части долин рр. Дзирулы и Чхеримелы. საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. I, ნკვ. 2, ტფილისი 1932.
3. პ. გამყრელიძე, Лейасовая фауна в основных (глинистых) сланцах Сванетии и Абхазии. სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 3, თბილისი 1940.
4. პ. გამყრელიძე, Отчет Абхазской геолого-съёмочной партии. 1935. (ხელნაწერი).
5. პ. გამყრელიძე და ვ. ედილაშვილი, Геологическое описание тбилисского листа геологической карты Грузии в масштабе 1:200000 (ხელნაწერი).
6. პ. გამყრელიძე და ს. ჩიხელიძე, ძირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიისათვის: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. I, ნკვ. 2, ტფილისი 1932.
- პ. გამყრელიძე, იხ. გაბუნია.
7. თ. დვალის, ხმელთაშუა ზღვის ფაუნის ელემენტები გორის მიდამოების შუა მიოცენში: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 5, თბილისი 1940.
- ვ. ედილაშვილი, იხ. გამყრელიძე.
8. მ. ერისთავი, Новые данные по стратиграфии средней части меловых отложений окрестностей Кутаиси: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 4, თბილისი 1940.
9. მ. ერისთავი, ქუთაისის მიდამოების ცარცის შუა ნაწილის სტრატეგრაფია, 1940 (საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი).
10. ე. ვახანია, Нефтепроявления верхнеплиоценовых отложений в горной Кахетии: Нефтяное хозяйство, № 4—6, Москва 1937.
11. ე. ვახანია, Сарматские отложения в южной Кахетии, как объект разведки на нефть: Азерб. нефт. хозяйство, № 7, Баку 1937.
12. ე. ვახანია, Геологические исследования в приморской зоне Абхазии: Тр. Г. П. К. Грузнефти, № 2, Тбилиси 1940.



13. გ. ზარბიძე, Хевская неинтрузия в Дзирульском массиве: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. IV, ნკვ. 1, თბილისი 1938.
14. გ. ზარბიძე, Габбро-диоритовая неинтрузия по Военно-Сухумской дороге у устья р. Зима: Тр. СОПС, Серия закавказская, вып. 24, стр. 164—166. Москва 1940.
- გ. ზარბიძე, იხ. სმირნოვი.
15. კ. თათარიშვილი, გონზარის მდამოვების მოკლე ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III, ტფილისი 1927.
16. ბ. თათარიშვილი, Геолого-петрографический очерк юго-восточной части Дзирульского кристаллического массива. Тр. Груз. отд. В. Н. И. И. Мин. Сырья, вып. 2, Тбилиси 1938.
17. ნ. თათარიშვილი, Петрографическое описание южного склона Кавказского хребта в пределах Верхней Рачи (საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი).
- ბ. თათარიშვილი, იხ. სმირნოვი.
18. ალ. თვალჭრელიძე, Вулканы и минералы Телетского хребта. Лп: Путеводитель по Тифлису и его окрестностям, Тифлис 1925.
19. ალ. თვალჭრელიძე, Флоридиновая глина из окрестностей сел. Гумбри: Мин. Сырье, № 6—7, Москва 1927.
20. ალ. თვალჭრელიძე, Цеолизированные породы окрестностей Тбилиси и возможность их технического использования: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 1, თბილისი 1940.
21. ალ. თვალჭრელიძე, Краткий очерк отбеливающих глин Грузинской ССР. Ип: Геология Союза ССР, т. X, Москва 1940.
22. პ. თოფურიძე, Неинтрузии ущелья р. Супсы (восточная Гурия): Тр. Груз. отд. В. Н. И. И. Мин. Сырья, вып. 2, Тбилиси 1938.
23. პ. თოფურიძე, Рквийский интрузив порфировидного гранита в Дзирульском массиве: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. III, ნკვ. 4, თბილისი 1938.
- პ. თოფურიძე, იხ. ყაზახაშვილი.
24. ბ. იოსელიანი, О рудистах меловых отложений Грузии: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 9, თბილისი 1940.
- ბ. კანდელაკი, იხ. კახაძე.
25. ი. კაჭარავა, მასალები სამეგრელოს გეოლოგიისათვის: ტფილ. უნ-ტის მოამბე, ტ. VII, ტფილისი 1926.
26. ი. კაჭარავა, რაჭის მესამეულის განაკვეთი სოფ. ამბროლაურთან: Ib., ტ. VIII, ტფილისი 1928.
27. ი. კაჭარავა, მასალები სამურზაყანოს გეოლოგიისათვის: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, ტფილისი 1929.
28. ი. კაჭარავა, ტყვარჩელის რაიონის გეოლოგია: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. I, ნკვ. 2, ტფილისი 1932.
29. ი. კაჭარავა, ტფილისის მდამოვების პალეოგენი: Ib., ტ. II, ნკვ. 1, 1937.




30. ი. კაჭარავა, Геологическая экскурсия в окрестностях Тбилиси. Междун. геол. конгресс, XVII сессия. Экскурсия по Кавказу. Ленинград—Москва 1937.
31. ი. კაჭარავა, სამეგრელოს სამხრეთი კირქვიანი ზოლის ნაწილის გეოლოგია: საქ. გეოგრ. საზ. შრომები, თბილისი 1939.
32. ი. კაჭარავა, ახალციხის arquatus-იანი ქვიშაქვები და მათი მოსაზღვრე ნალექები: საქ. მუზ. მოამბე, ტ. X, თბილისი 1940.
33. ი. კაჭარავა, ლეჩხუმის ზედა ექინოკორისიანი ჰორიზონტის ასაკის საკითხისათვის: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 9, თბილისი 1940.
34. ი. კაჭარავა, ქართლის „ბაქანი“ ქვედა პალეოგენში: Ib., ტ. I, № 3.
35. ი. კაჭარავა, საქართველოს შუა ნაწილის ქვედა ოლიგოცენის საკითხი: Ib., ტ. I, № 7.
36. ი. კაჭარავა, რაჭა-ლეჩხუმის აუზი პალეოგენში (გამზადებულია დასაბეჭდავად).
37. ი. კაჭარავა, სამეგრელოს სამხრეთი კირქვიანი ზოლის გეოლოგია (ხელნაწერი, გეოლოგიური რუკით).
38. ი. კახაძე, დასავლეთ საქართველოს ბაიოს. ამონიტები: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. II, № 2, ტფილისი 1937.
39. ი. კახაძე, Melanopsis-იანი შრეები ძირულის მასივის ჩრდილო პერიფერიის შუა მიოცენურ ნალექებში: კიროვის საზ. საქ. ინდ. ინსტ. მოამბე, № 12, თბილისი 1940.
40. ი. კახაძე, Пресноводные и нормальные морские отложения батского яруса в Зап. Грузии: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, № 4, 1940.
41. ი. კახაძე, Фации среднего лейса Грузинской глыбы: Ib., ტ. I, № 2, 1940.
42. ი. კახაძე, საქართველოს შუა იურული ფაუნა და სტრატეგრაფია. 1939 (ხელნაწერი).
43. ი. კახაძე, ოკრიბის ბათურის მტკნარი წყლის მოლუსკები (გამზადებულია დასაბეჭდავად).
44. ი. კახაძე და ნ. კანდელაკი, Геологическое строение части бассейнов рр. Дзеджоры и Квирилы (ხელნაწერი).
45. ჰ. კილასონია, Петрографическое описание юго-восточной части Дзирульского массива (საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი).
46. ა. კობახიძე, Геологические исследования в районе Карчахи: Тр. Г.П.К. Грузнефти, № 2, Тбилиси 1940.
47. ა. ლალიევი, Геологические исследования в NW части Юго-Осетии и в Верхней Раче. Ib.
48. ა. ლალიევი, Проблема юрской нефти в центральной части южного склона Главного Кавказского хребта: Нефтяное хозяйство, № 2, Москва 1936.





49. გ. ლოლაძე, Геолого-петрографический очерк части Тедзამского ущелья: Тр. Груз. Отд. В.Н.-И.И. Мин. Сырья, вып. 2, Тбилиси 1938.
50. ი. რუხაძე, Notice sur les Belemnites et les Nautilus de l'Aptien de Koutais: საქ. მუზ. მოამბე, ტ. VI, ტფილისი 1930.
51. ი. რუხაძე, Les Ammonites aptiennes de la Géorgie occidentale: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. I, ნკვ. 3, ტფილისი 1933.
52. ი. რუხაძე, საქართველოს ზოგიერთი ახალი ან ნაკლებ ცნობილი აპტური ცეფალოპოდები. Ib., ტ. III, ნკვ. 2, 1938.
53. ი. რუხაძე, ჩრდილო კავკასიის აპტური ამონიტები; Ib., ტ. IV, ნკვ. 2.
54. ი. რუხაძე, საქართველოს ცარცის ზღარბები: საქ. მუზ. მოამბე, ტ. X, თბილისი.
55. გ. სმირნოვი, Из геологических наблюдений в восточной части Шорапанского уезда: Зак. краевед. сборник, Естествознание, Тифлис 1930.
56. გ. სმირნოვი და ვ. არევაძე, Туфы и туфовые лавы Телетского хребта (იბეჭდება).
57. გ. სმირნოვი და გ. ზარიძე, Неоинтрузия в Дзирульском кристаллическом массиве: Докл. Ак. Н. СССР, т. II, № 1, Москва 1936.
58. გ. სმირნოვი, თ. ყაზახაშვილი და ნ. თათრიშვილი, Геолого-петрографический очерк северо-восточной части Дзирульского кристаллического массива: Тр. Петрограф. Инст. Ак. Н. СССР, вып. II, Москва 1937.
59. გ. სმირნოვი, თ. ყაზახაშვილი და ნ. თათრიშვილი, Геолого-петрографический очерк юго-восточной части Дзирульского кристаллического массива: Тр. Груз. отд. В.Н.-И.И. Мин. Сырья, вып. 2, Тбилиси 1938.
60. ნ. სხირტლაძე, დასავლეთ საქართველოს ტემენიტები. 1940. (საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი).
61. ნ. ქებაძე, Геологические исследования по Кавтис-хевскому месторождению нефти: Тр. Г.П.К. Грузнефти, № 2, Тбилиси 1940.
62. თ. ყაზახაშვილი, Храмский кристаллический массив. (იბეჭდება).
63. თ. ყაზახაშვილი, Геолого-петрографический очерк Храмского кристаллического массива (იბეჭდება).
64. თ. ყაზახაშვილი და პ. თოფურიძე, Неоинтрузии ущелья р. Сунсы (восточная Гурия): Тр. Груз. Отд. В.Н.-И.И. Мин. Сырья, вып. 2, Тбилиси 1938.
- თ. ყაზახაშვილი, იხ. სმირნოვი.
65. ნ. ყიფიანი, დასავლეთ საქართველოს გეოლოგიური მასალები: საქ. მუზ. მოამბე, ტ. I, ტფილისი 1922.
66. ნ. ყიფიანი, დასავლეთ საქართველოს გეოლოგიის მასალები: Ib., ტ. II-



67. ს. ჩიხელიძე, ჩხარ-აჯამეთის გეოლოგიური პარტიის ანგარიში (ხელნაწერი).
- ს. ჩიხელიძე, იხ. გამყრელიძე.
68. გ. ჩხობუა, К петрографии древних основных и ультра-основных пород верховьев р. Кодора в Абхазии: საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. III, ნკვ. 1, თბილისი 1938.
69. გ. ჩხობუა, Очерк геологического строения бассейна р. Джемал и правобережья рр. Чхалты и Кодора. 1940. (ხელნაწერი).
70. ა. ცაგარელი, Меловые иноцерамы Грузии: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, ნკვ. 3, თბილისი 1940.
71. ა. ცაგარელი, დასავლეთ საქართველოს ცარცული ინოცერამები. 1940. (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი).
72. მ. ძველაია, О конкско-фолადовых слоях Мингрели: Новости нефтяной геологии, № 12, Баку 1936.
73. მ. ძველაია, Геологические исследования в Мегрелии летом 1936 г. Тр. Г. П. К. Грузнефти, № 2, Тбилиси 1940.
74. მ. ძველაია, К стратиграфии миоцена Мегрелии: Изв. Ак. Н. СССР, серия геологии, вып. 4, Москва 1940.
75. მ. ძველაია, О проявлении предпонтической орофазы в центральной Мегрелии: Новости нефт. техники, № 7, Баку 1937.
76. მ. ძველაია, Предмайкопское движение земной коры в Мегрелии: Советская геология, № 7, Москва 1939.
78. გ. ძოწენიძე, მასალები პორფირიტული წყების პეტროგრაფიისათვის (ზემო-რაჭა და სამხრეთ-ოსეთი): საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. III, ნკვ. 3, თბილისი 1938.
79. ვ. ჯანიშვილი და მ. ძველაია, О присутствии онкофоровых слоев в Гурии: Докл. Ак. Н. СССР, т. XXVII, № 9, 1940.
80. გ. ხარატიშვილი, Геология долины р. Куры между г. Гори и ст. Мцхета. СОПС Ак. Н. СССР, серия закавказская, вып. 20, Москва 1936.
81. გ. ხარატიშვილი Средиземноморская сарматская фауна: Ib., вып. 22, 1937.
82. გ. ხარატიშვილი, Находка остатков хвойного растения в верхнемайкопских отложениях долины р. Куры близ Тбилиси: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ. I, ნკვ. 3, თბილისი 1940.
83. ალ. ჯანელიძე, ტფილისის მიდამოების ჰიდროგრაფიისათვის: ტფილისის უნ-ტის მოამბე, ტ. V, ტფილისი 1925.
84. ალ. ჯანელიძე, გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი: Ib., ტ. VI, 1926.
85. ალ. ჯანელიძე, მდ. ვერის ხეობა ტფილისის მიდამოებში: საქ. მეზ. მოამბე, ტ. III, ტფილისი 1926.



86. ალ. ჯანელიძე, მდ. ტყიბულის ჰიდროელექტრულად გამოყენების შესახებ; *Ib.*, ტ. IV, 1928.
87. ალ. ჯანელიძე, Б. Мефферт: Геологические исследования в Рачинском уезде Зап. Грузии в 1928 г. კრიტიკა: *Ib.*, ტ. V, 1930.
88. ალ. ჯანელიძე, Le Callovien de Tsessi: *Ib.*, ტ. V, 1930.
89. ალ. ჯანელიძე, Les Ammonites jurassiques de Tsessi საქ. გეოლ. ინსტ. მოამბე, ტ. I, ნკვ. 1, ტფილისი 1932.
90. ალ. ჯანელიძე, La faune jurassique de Kortha et son âge. *Ib.*
91. ალ. ჯანელიძე, მეწყერების გეოლოგიური კლასიფიკაცია. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია. მოხსენებათა თეზისები. თბილისი 1940.
92. ალ. ჯანელიძე, К вопросу об орогенетических фазах: Советская геология, № 5, Москва 1940.
93. ალ. ჯანელიძე, ქვედა ცარცის ამონიტებიანი ფაციესი რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილ. მოამბე, ტ I, № 2, თბილისი 1940.
94. ალ. ჯანელიძე, რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის გაგრძელება დასავლეთისკენ: *Ib.*, ტ. I, № 10.
95. ალ. ჯანელიძე, ასხის მთის გეოლოგიური კომპლექსი: *Ib.*, ტ. II, № 1-2, 1941 (იბეჭდება).
96. ალ. ჯანელიძე, Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и, Лечхума: სსრკ მეცნ. აკ. საქ. ფილიალის გამოცემა. თბილისი 1941.
97. ალ. ჯანელიძე, ნატახტარის წყაროების რაიონის გეოლოგია და ჰიდროგეოლოგია. 1927. (ხელნაწ.).
98. ალ. ჯანელიძე, Геологическое описание долины р. Рион от сел. Чребало до г. Они. 1933. (ხელნაწ.).
99. ალ. ჯანელიძე, Геологические условия проектируемых на рр. Ладжануре и Цхенис-цхали гидроэнергетических сооружений. 1934 (ხელნაწ.).
100. ალ. ჯანელიძე, შაორის ტაფობის გენეზისი (ტაფობის დაშრობის პროექტთან დაკავშირებით). 1936. (ხელნაწ.).
101. ალ. ჯანელიძე, დიდი ნატახტარის ჰიდროგეოლოგიური პირობები. 1938. (ხელნაწ.).
- 46ა. ვ. კუროჩკინი, Очерк геологического строения части Гагринского и Гудаутского районов АССР Абхазии. 1939. (ხელნაწერი).

ალ. ჯაბახიშვილი

## გეოგრაფიული მეცნიერება საბჭოთა საქართველოში

### 1. გეოგრაფიული მეცნიერების მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და მის შემდეგ

გეოგრაფია, როგორც მეცნიერება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩნდება. ამ დრომდე კი იგი წარმოადგენდა მხოლოდ ცოდნის დარგს. ამნაირი ხასიათი ჰქონდა გეოგრაფიის საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ამნაირივე ხასიათი შეინარჩუნა მან შემდეგაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. გეოგრაფია, როგორც ცოდნის დარგი, ამათუიმ ქვეყნის უბრალო გეოგრაფიული აღწერილობით კმაყოფილდებოდა. გეოგრაფიული მეცნიერება კი მოითხოვს გეოგრაფიულ აღწერილობას, ახსნითს-განმარტებითს, იგი არ კმაყოფილდება ფაქტების უბრალო აღნიშვნით ან მათი აღწერებით, არამედ იგი მოითხოვს ამ ფაქტების ახსნა-განმარტებას. მართალია, გეოგრაფიამ დღესაც ვერ შესძლო თავის ყველა ცალკეულ დარგში დაემკვიდრებინა აღწერილობის მეცნიერული მეთოდი, და ზოგიერთი მისი დარგი ჯერ კიდევ ცოდნის დარგის მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საბჭოთა საქართველოში გაბატონებულია გეოგრაფიაში ძირითადად აღწერილობის მეცნიერული მეთოდი, და გეოგრაფია ცოდნის დარგიდან გადაიზარდა გეოგრაფიის მეცნიერებად.

გეოგრაფიის, როგორც ცოდნის დარგის, საგანი და ამოცანები არ იყვნა თვალად და მკაფიოდ განსაზღვრული; გეოგრაფიის მეტწილად უფრო ქვეყანათმცოდნეობის მიზანდასახულობა ეძლეოდა, ამასთანავე მას არ ჰქონდა თავისი საკუთარი სპეციალური დაწესებულებანი. რუსეთის მეცნიერ. აკადემია გეოგრაფიას მეცნიერების დარგად არ სცნობდა და აკადემიის სისტემაში გეოგრაფიის არც ჰქონია ადგილი დათმობილი. გეოგრაფიის სწავლება რუსეთის უნივერსიტეტებში დაშვებულ იქნა მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში და ისიც მხოლოდ, ზოგიერთ უნივერსიტეტში. გეოგრაფიული ხასიათის მასალა გროვდებოდა და გეოგრაფიული ცოდნა იზრდებოდა ზოგიერთი სახელმწიფო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი დაწესებულების მუშაობის წყალობით, საქართველოში, მაგალითად, კავკასიის სამხედრო ოლქთან არსებულ ტოპოგრა-



ფული განყოფილების და მისი კარტოგრაფიული ნაწილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამთო სამმართველოს, თბილისის ბოტანიკური ბაღის, წყალთა სამმართველოს, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების და სხვათა დაწესებულებებში, რომლებიც დაარსდა დაახლოებით 60-იან წლებში. გეოგრაფიას არ ჰყავდა არც თავისი საკუთარი სპეციალური კადრები. გეოგრაფიის ცოდნის და მეცნიერების მესვეურებად გამოდიოდნენ ისტორიკოსები, ეკონომისტები, ბოტანიკოსები, გეოლოგები, ნიადაგმცოდნეები და სხვანი, რომელნიც გეოგრაფიულ მუშაობასაც ეწეოდნენ სხვათა შორის ან მხოლოდ თავიანთ საკუთარ სპეციალურ ამოცანებთან დაკავშირებით, და, აი, ამათი მუშაობითაც საზრდოობდა და იზრდებოდა გეოგრაფიული ცოდნა. სკოლაშიც კი გეოგრაფიას არ ჰყავდა თავისი საკუთარი კადრები; მას ასწავლიდა ისტორიის მასწავლებელი ან სხვა შემთხვევითი პირი.

გეოგრაფიის ასეთი მდგომარეობიდან გამოსაყვანად საჭირო იყო განსაკუთრებული გარემოებები და ასეთ გარემოებად ხდება ოქტომბრის დიდი რევოლუცია თავისი ცხოველყოფილი შედეგებით. არსდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1920 წლის შემოდგომიდან მასთან ეწყობა გეოგრაფიის კათედრა. ეს პირველი კერა გეოგრაფიული მეცნიერების საქართველოში. ამ კათედრის წინაშე დგება საკითხი გეოგრაფიის მეცნიერების საგნის, მიზნებისა და მეთოდების შესახებ, მისი დამოკიდებულების შესახებ მეცნიერების სხვა დარგებთან, მისი ადგილის შესახებ უნივერსიტეტის სისტემაში, მისი მნიშვნელობისა და როლის შესახებ საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა შესრულების საქმეში. ასეთი საკითხების წამოყენებას იწვევდა ის გარემოება, რომ აღნიშნული საკითხები გეოგრაფიის მიმართ ჯერ კიდევ გადაუჭრელი იყო თვით რუსეთშიც, რადგან რუსეთის უნივერსიტეტებს არ ჰქონდათ გამოუმუშავებული გარკვეული, ნათელი და მტკიცე შეხედულებები გეოგრაფიის მეცნიერებაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრა იძულებული იყო თვით გადაეწყვიტა ეს საკითხები, და კათედრა ასეც მოიქცა.

ამასთან დაკავშირებით ამ კათედრის ხელმძღვანელი, ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ცდილობს საჯაროდ გააშუქოს გეოგრაფიის მეცნიერების არსებითი საკითხები, კითხულობს მოხსენებებს და ბეჭდავს წერილებს გეოგრაფიაში ახალი მიმართულების შესახებ, გეოგრაფიისა, როგორც მეცნიერების შესახებ, მისი საგნის, მიზნებისა და მეთოდების შესახებ, მისი დამოკიდებულების შესახებ მეცნიერების სხვა დარგებთან და სხვ. ახალ შეხედულებათა საფუძველზე კათედრამ თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიული სპეციალობისთვის შეიმუშავა სასწავლო გეგმა, რომელიც 1936 წლიდან საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების გეოგრაფიული ფაკულტეტების სტაბილურ სასწავლო გეგმას.

ამრიგად, მომზადებულ იქნა სწორი საფუძველი გეოგრაფიის მეცნიერების განვითარებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამასთანავე მთელ საბჭოთა საქართველოშიც. გეოგრაფიის კათედრის მუშაობას ამ მიმართულებით ზურგი მტკიცედ გაუმაგრა ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 15 მაისის ისტორიულმა დადგენი-



ლებამ გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლების შესახებ. ამის შემდეგ თაისი მუშაობა კიდევ უფრო გააძლიერა, რის შედეგადაც დღეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში გეოგრაფიულ განყოფილებას საკმარისად საბატიო ადგილი უკავია.

საბჭოთა საქართველოში, რასაკვირველია, აღნიშნული გეოგრაფიული დაწესებულებით არ განისაზღვრება გეოგრაფიის მეცნიერების მომსახურება. რასაკვირველია, მას არ შეუძლია მთლიანად გაუძღვეს თუნდა იმ მუშაობასაც კი, რომელიც მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიულ შესწავლას ისახავს მიზნად. საქართველოს მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებები და უწყებებიც აწარმოებენ მუშაობას. ამ დაწესებულებებს მიეკუთვნებიან საქართველოს ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოსთან არსებული კლიმატოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა განყოფილებანი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, გეოლოგიურ ძიებათა სამმართველო, ბოტანიკური ბაღი და სხვ. ამის გარდა, საქართველოს და დანარჩენი კავკასიის გეოგრაფიული კვლევის და შესწავლის საქმეს დიდ სამსახურს უწევენ საკავშირო სამეცნიერო-კვლევით გეოგრაფიულ დაწესებულებათა სპეციალისტები, რომელთა რიცხვი საბჭოთა კავშირში სწრაფად გაიზარდა და გამრავლდა.

საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განასხვავებს გეოგრაფიული ცოდნის მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გეოგრაფიული მეცნიერების მდგომარეობისაგან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. წინათ გეოგრაფიული ცოდნის განვითარება არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფოებრივი მზრუნველობით, იგი ქველმოქმედების საშუალებებით საზრდოობდა და უფრო თვითღინებანე იყო მიხდობილი. საბჭოთა კავშირში კი გეოგრაფიული მეცნიერების განვითარება სახელმწიფოს კულტურული განვითარების ერთ-ერთი ამოცანათაგანია, უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი მზრუნველობით, სპეციალური გეოგრაფიული მეცნიერული დაწესებულებების მოწყობით, გეოგრაფიული სპეციალობის კადრების მომზადებით და, რაც მეტად დამახასიათებელია საბჭოთა ქვეყნისათვის, ყველა ეროვნებისთვის შექმნილია მეცნიერების განვითარების და სპეციალისტთა კადრების მომზადების პირობები.

## 2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გეოგრაფიული მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

**გეომორფოლოგია.** გეოგრაფიული მეცნიერების ეს ახალგაზრდა დარგი ჯერჯერობით მდიდარი არ არის კვლევითი ხასიათის ლიტერატურით; მაგრამ მაინც, თუ ოქტომბრის რევოლუციამდე ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, უკანასკნელ დროს გეომორფოლოგიურ კვლევით მუშაობას გარკვეულად ემჩნევა გაცხოველება.

საქართველოს და დანარჩენი კავკასიის გეომორფოლოგიური შესწავლის საგანს ამჟამად შეადგენს: ამ ტერიტორიების დაყოფა გეომორფოლოგიურ ნაწილებად, მათი გეომორფოლოგიური განსხვავებების მიხედვით, საქართველოს



ცალკეული მხარეების გეომორფოლოგიური აღწერილობა და დახასიათება და ცალკეული გეომორფოლოგიური პროცესების და ობიექტების შესწავლა.

საქართველოს და კავკასიის გეომორფოლოგიური დაყოფის საკითხი, ბუნებრივად, ამ მხარეთა გეომორფოლოგიური შესწავლის ძირითად საგნად ხდება, რადგან ამ მხარეების გეომორფოლოგიური შესწავლის დაწყებისას მკვლევრები ცდილობენ ამ გზით პირველ რიგში ზოგადი საორიენტაციო წარმოდგენა გამოიშველიონ მაკრორელიეფური მასშტაბით, რომ შემდგომ შესაძლებელი გახდეს მიკრორელიეფური მასშტაბით გეგმიანად უფრო დეტალური გამოკვლევების წარმოება.

კავკასიის მორფოლოგიური დაყოფის პირველი ცდა ეკუთვნის ა. რეინგარდს (1917 წელს). თავისი დაყოფის საფუძვლად იგი იღებს გეოლოგიურ აგებულებას, მთის ქანების პეტროგრაფიულ შედგენილობას, კლიმატურ თავისებურებებს, ეპეიროგენულ მოძრაობათა მდგომარეობას, ეკზოგენურ პროცესთა მიმართულებას და მცენარეული სამოსელის ხასიათს. გამოყოფილი გეომორფოლოგიური რაიონების სახელწოდებები მეტწილად ან მათ მორფოგრაფიულ თვისებებს გამოხატავენ, ან მხოლოდ ადგილის საკუთარ სახელს აღნიშნავენ, და მორფოგენეტიურ ხასიათს არ იგულისხმებენ.

1926 წელს ი. შჩუკინი იძლევა უფრო დაწვრილებითს მორფოლოგიურ დახასიათებას კავკასიონის მხარისას, რომელსაც იგი ჰყოფს 13 მხარედ. ი. შჩუკინის გეომორფოლოგიური დაყოფის საფუძველი თითქმის იგივეა, როგორც ა. რეინგარდისა, ხოლო კავკასიონის მორფოლოგიურ დახასიათებას წინ წარუძღვარებს ჯერ მთელი კავკასიის ზოგად მიმოხილვას და შემდეგ კავკასიონის მორფოგენეტიური ფაქტორების უფრო დაწვრილებითს აღწერილობას. შრომის ბოლოში მოყვანილ რუკაში კი, გარდა კავკასიონის მორფოლოგიური მხარეებისა, აღნიშნულია მთელი კავკასიის გეომორფოლოგიური მხარეებიც.

1926 წელსვე იბეჭდება ალ. ჯავახიშვილის საქართველოს გეომორფოლოგიური აღწერილობა, რომელიც წარმოადგენს საქართველოს რელიეფის აღწერილობის პირველ ცდას ახსნა-განმარტებითი მეთოდით. რელიეფის ფორმათა თავისებურებების ასახსნელად იგი შედევლობაში იღებს რელიეფის ოროგრაფიულ და ჰიფსომეტრიულ თავისებურებებს, რელიეფის ფორმათა განლაგების ხასიათს, რელიეფის დანაწევრების ხასიათს და მისი ცალკეული ნაწილების გამოყოფილობას, რელიეფის სტრუქტურას, ლითოლოგიურ შედგენილობას და რელიეფის ხნოვანობას. რელიეფის დახასიათებიდან გამომდინარეობს საქართველოს ტერიტორიის დაყოფა მორფოლოგიურ ნაწილებად. ავტორი გამოჰყოფს ჯერ სამ მორფოლოგიურ ზონას: კავკასიონისას, სამხრეთ-კავკასიის მთიანეთისას და ბარისას, ანუ ვაკეთა მხარისას. ამ ზონების ცალკე მხარეებად დაყოფის დროს ძირითადად შეხედველობაში მიღებულია რელიეფის მორფოგრაფიული თავისებურებები. ამ შრომასთან და აგრეთვე საერთოდ საქართველოს გეოგრაფიულ კვლევებთან დაკავშირებით ა. ჯავახიშვილმა, ს. ცხაკაიასთან ერთად, კავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილი ტოპოგრაფიული განყოფილების რუკების საფუძველზე შეადგინა საქართველოს ოროგრაფიული და ჰიფსომეტრიული რუკის საფუძველი მასშტაბით 1:400.000 და 1:200.000,

რომლებზეც შემდეგ მან ასახა საქართველოს გეომორფოლოგიურ დაყოფას და გავრცელებას. ეს რუკები შემდეგ შეიქმნა საფუძვლად სხვა სპეციალისტების (გეობოტანიკოსთა, ნიადაგთმცოდნეთა და სხვათა) რუკების შესადგენად.

1930 წ. ბ. ყავრიშვილი თავისი რეფერატით რუსულ ენაზე აცნობს საზოგადოებას ა. ჯავახიშვილის შრომას საქართველოს გეომორფოლოგიის შესახებ, ხოლო 1935 წ. შემოსენებულ მკვლევართა შრომების გაერთიანების საფუძველზე ბ. ყავრიშვილი, ი. შაქარიშვილი და ვ. ხახაროვი აღდგენენ ამიერკავკასიის რელიეფის დახასიათებას და ახდენენ მის გეომორფოლოგიურ დაყოფას, რისთვისაც ბ. ყავრიშვილი აღდგენს ამიერკავკასიის გეომორფოლოგიურ რუკას მასშტაბით 30 კმ 1 სანტიმეტრში.

ამიერკავკასიის გეომორფოლოგიური დანაწილების თავის ცდაში ს. კუზნეცოვი 1938 წელს მიმართავს კიდევ სხვა მეთოდს. იგი ძირითადად ყურადღებას აქცევს რელიეფის ვენეზის და განვითარებას, ე. ი. დროის ფაქტორს, იგი ამიერკავკასიისთვის გამოჰყოფს რელიეფის შემდეგ ვენეტურ ტიპებს: კაინოტიპურს და პალეოტიპურს, ტექტონომორფულს, პენეპლენირებულს, პეტრომორფულს, ვულკანოგენურს, გლაციოგენურს, პედოგენურს, ჭარბი დენუდაციის და ჭარბი აკუმულაციისას. ეს ავტორიც ამიერკავკასიის მსხვილ მორფოლოგიურ ნაწილთა შორის განასხვავებს სამ ზონას: ანტი-კავკასიისას, ანუ სამხრეთ-კავკასიის ძვინეთისას, კავკასიონის სამხრეთი კალთისას და მთათაშორის ზონას, ანუ ბარის ზონას; აღნიშნულ მეთოდურ საფუძველზე დასახელებულ ზონებს ავტორი ჰყოფს მხარეებად და ამ უკანასკნელთ კიდევ რაიონებად. ს. კუზნეცოვის ამიერკავკასიის მორფოლოგიური დანაწილების ცდაში, უდაოდ, უფრო მეტად არის გამახვილებული ყურადღება რელიეფის ვენეტურსა და განვითარების მხარეზე, და ეს ცდა იძლევა ამიერკავკასიის მორფოლოგიური შედგენილობის უფრო მწყობრსა და მთლიან სისტემას, მაგრამ ამასთანავე ამ ცდაში დაჩრდილულია რელიეფის მორფოგრაფიული სახეობა.

დაახლოებით ამავე დროს, 1937 წელს, ბ. დობრინინი ათავსებს მსოფლიოს საბჭოთა დიდ ატლასში კავკასიის გეომორფოლოგიურ რუკას. ამ რუკის ლეგენდა იძლევა წარმოდგენას ავტორის გეომორფოლოგიური დარაიონების მეთოდზე. 1940 წელს კი ბ. დობრინინი სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში იძლევა ამიერკავკასიის თვით გეომორფოლოგიურ დახასიათებას. კავკასიის მორფოლოგიური დაყოფის ეს ცდაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოაღნიშნულებისაგან. ბ. დობრინინი თავის შრომაში ცდილობს აიცილოს ის ცალმხრივობა, რომლითაც რელიეფის მორფოლოგიური დახასიათების დროს ან მორფოგრაფიულ, ან მორფოგენეტურ მხარეს ენიჭება უპირატესობა; იგი ცდილობს გამოყოფილი რელიეფის ნაწილები დაახასიათოს როგორც მორფოგენეტურად, ისე მორფოგრაფიულად, და ამით მიაღწიოს მორფოლოგიურ დახასიათების მთლიანობასა და ერთობლიობას. ამ მხრით ბ. დობრინინის ცდა მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საზოგადოდ გეომორფოლოგიური დარაიონებისა და დახასიათების მეთოდის მხრით. ამის გარდა, ამ შრომის მეთოდის თავისებურება კიდევ





იმაში მდგომარეობს, რომ რელიეფი იყოფა მორფოლოგიურ ფორმებად, რომელნიც სივრცეში გეომორფოლოგიურ ლანდშაფტებში განსხვავდებიან. ამასთანავე რელიეფის ფორმათა კომპლექსებში გამოყოფილია რელიეფის ცალკეული მსხვილი ფორმები და ერთგვაროვან ფორმათა ჯგუფები, რითაც რელიეფის დახასიათება იქნის უფრო კონკრეტულ ხასიათს და აზომიერებს განყენებულობას გეომორფოლოგიურ დახასიათებაში.

1940 წელს ალ. ჯავახიშვილი ახდენს საქართველოს მორფოლოგიური დაყოფის ახალ ცდას. იგი საქართველოს რელიეფის დახასიათებას და დაყოფას აწარმოებს ცალკე მორფოგრაფიული მეთოდით და ცალკე მორფოგენეტური მეთოდით, შემდეგ მათ ერთმანეთს უბირისპირებს და კავშირში მოჰყავს ამ ორი გზით მიღებული დახასიათებანი და დაყოფანი და საბოლოოდ აღწევს რელიეფის ისეთ მორფოლოგიურ დაყოფას, რომელშიც რელიეფის მორფოგრაფიული და მორფოგენეტური თავისებურებანი ცალკეულ გამოყოფილ ნაწილში მიზეზობრივ არიან ურთიერთშორის დაკავშირებული. აღნიშნულის შესაბამისად საქართველოს მორფოლოგიური დაყოფის გამოსახვისთვის შედგენილია მორფოგრაფიული და მორფოგენეტური დაყოფის რუკები. მორფოგრაფიული დაყოფის რუკის საფუძველად აღებულია საქართველოს ფიზიკური რუკა, შედგენილი თვით ავტორის მიერ. ეს საფუძველი ნათელჰყოფს გამოყოფილ მორფოგრაფიულ ნაწილებში შემავალი რელიეფის ორგრაფიული და ჰიფსომეტრიული ელემენტების შედგენილობას, მორფოგენეტური დაყოფის რუკის საფუძველად კი გამოყენებულია გეოლოგიური რუკა მასშტაბით 1:1.000.000, გამოცემული 1929 წელს გეოლოგიურ ძიებათა მთავარი სამმართველოს მიერ.

ამ ზოგადი ხასიათის გეომორფოლოგიური გამოკვლევების პარალელურად მიმდინარეობს საქართველოს და დანარჩენი კავკასიის ცალკეული ტერიტორიების უფრო დეტალური გეომორფოლოგიური შესწავლა. ლ. ვარდანიანი 1933 წ. იკვლევს კავკასიონის დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებს, 1940 წელს — ცენტრალური კავკასიონის რელიეფის განვითარებას. ს. კუზნეცოვი, ს. მაქსიმოვი და გ. ხარატიშვილი ერთად, 1940 წ. აწარმოებს სვანეთის კავკასიონის და აფხაზეთის მოსაზღვრე მხარის შესწავლას. რაჭის კარსტული მხარე წარმოადგენს შ. ყიფიანის გეომორფოლოგიური კვლევის საგანს 1939 წელს. ო. ვილოვი 1935 წელს იკვლევს სამხრეთ-ოსეთის კავკასიონის მხარეს მდ. დიდი-ლიახვის მიმართულებით. ლ. მარუაშვილი აწარმოებს დაკვირვებებს ყელის ტბის მიდამოებში, თრუსოს, ქსნის და არაგვის ხეობათა სათავეებში, აგრეთვე თუშეთის კავკასიონში.

გეომორფოლოგიური კვლევა ჩატარებული იყო აგრეთვე სამხრეთ-მთიანეთის მხარეშიც, ს. კუზნეცოვი და ნ. ტრიფონოვი აწარმოებდნენ კვლევას 1932 წელს აჭარაში, ს. კუზნეცოვი 1935 წ. — თრიალეთის ქედზე რელიეფის განვითარების თვალსაზრისით, ბ. ყავრიშვილი — 1933 წ. — ჯავახეთის ვულკანურ მხარეზე; ამავე მხარის მიმოხილვას ახდენს ი. შჩუკანი 1927 წელს, მტკვრის ხეობის — ძეგვსა და დალლიარს შორის — გეომორფოლოგიურ შესწავლას ვ. ე. პახომოვი ახდენს 1937 წ.

ზღვისა და მდინარეთა ტერასები ხდება გეომორფოლოგიური კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად. შავი ზღვის სანაპირო ტერასების შესწავლაზე მუშაობენ ა. მოსკვიტინი 1937 წ., ე. შანცერი 1939 წ., ა. რეინგარდი 1935 წ. ამ ტერასების შემაჯამებელ დახასიათებას იძლევიან 1938 წ. ა. არხანგელსკი და ნ. სტრახოვი. იგივე ზღვის სანაპირო ტერასები აფხაზეთის ფარგლებში ხდება კვლევის საგნად ბ. დობრინინის 1934 წ., თ. მიხაილოვსკაიასი 1934 წ. და ა. მოსკვიტინის 1938 წ., ს. კუზნეცოვი იკვლევს ტერასებს აჭარაში, ქართლში მტკვრის ხეობის გასწვრივ 1937 წ., ა. ოვჩინიკოვი 1933 წ. — ბორჯომის მიდამოებში და ლ. ვარდანიანცი — კავკასიონის ზემომეოთხეულის ტერასებს 1933 წ.

შავი ზღვის ნაპირის გეომორფოლოგიურ შესწავლას მიეძღვნა აგრეთვე რამდენიმე შრომა. პ. ბოჟიჩმა აწარმოა დაკვირვებები 1938 წ. ზღვის ნაპირის წალეკვაზე გავრასთან, დ. სვიშჩევსკიმ — ზღვის ნაპირის ნგრევაზე ბათუმთან 1939 წ., ვ. როდიონოვმა დაამუშავა 1937 წელს მორფოლოგიურ-გენეტიური ნიშნების მიხედვით შავი ზღვის სანაპიროს მეწყერული მოვლენების კლასიფიკაციის სქემა.

დაკვირვებები ნიადაგის ეროზიაზე წარმოებული იყო 1938 წელს მ. დარასელიას მიერ ჩაის პლანტაციებზე გურიაში (ანასელში).

**კლიმატოლოგია.** თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, დაარსებული დაახლოებით ამ ასი წლის წინათ, თავის ამოცანად ძირითადად ისახავდა სამეცნიერო ხაზით საქართველოს და დანარჩენი კავკასიის ჰავის შესწავლას. ამ დაწესებულების მუშაობა კლიმატოლოგიის დარგში ვამოიხატა უმთავრესად მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა წარმოებაში და ამ დაკვირვებათა მასალების გამოცემაში. ამ დაწესებულების თანამშრომელმა ი. ფიგუროვსკიმ პირველად თავი მოუყარა მთელ ამ მასალას, დაამუშავა იგი და მოახდინა კავკასიის ჰავათა შესწავლის ცდა; თავისი შრომა ამის შესახებ მან გამოაქვეყნა 1912 წელს; შემდეგ 1919 წელს იგი კავკასიის ჰავათა კლასიფიკაციას აწარმოებს. შავი ზღვის სანაპიროს ჰავაზე მუშაობს ამ პერიოდში ცნობილი მეტეოროლოგი და გეოგრაფი ა. ვოეიკოვი. ატმოსფერული ნალექების შესახებ მასალებს თავი მოუყარა და დაამუშავა ა. ვოზნეცენსკიმ 1895 წელს. კლიმატოლოგიური კვლევითი მუშაობით ეს პერიოდი საერთოდ ღარიბია.

1920 წლის შემდეგ კლიმატოლოგიური კვლევითი მუშაობა შესამჩნევად ძლიერდება როგორც რიცხვობრივად, აგრეთვე ხარისხობრივადც. ამ ახალ ეტაპზე კლიმატოლოგიური კვლევა საბჭოთა საქართველოში მიმართულია კლიმატოლოგიის ზოგიერთი ზოგადი საკითხის გაშუქებასა, კავკასიის ზოგიერთი კლიმატური ელემენტის ან მოვლენის უფრო დაწვრილებით შესწავლასა და საქართველოს ცალკეული მხარის დეტალურ კლიმატოლოგიურ დახასიათებასაკენ. ჰავა ამ პერიოდში შეფასებულია როგორც ბუნებრივი საწარმოო ძალა, რომლის შესწავლამ და დაუფლებამ სამსახური უნდა გაუწიოს სოციალისტურ მეურნეობას. აი, ამ ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს დღეს კლიმატოლოგიის განვითარება საბჭოთა საქართველოში და მთელს საბჭოთა კავშირში.



კლიმატოლოგიურ მუშაობათა განახლების ამ ახალ ეტაპზე, ბუნებრივი ინადებოდა მთელი რიგი მეთოდური ხასიათის საკითხები. ი. ფიგუროვსკი 1925—1933 წლების განმავლობაში აყენებს საკითხებს: ამინდის კლასიფიკაცია, ჰავათა კლასიფიკაცია, ჰავათა კლასიფიკაცია და გეოგრაფიული გავრცელება, კლიმატოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთავარი ამოცანები; ალ. ჯავახიშვილი 1934 წელს თავის მხრით აშუქებს კლიმატოლოგიის ამოცანებს, მეთოდებსა და კლიმატოლოგიის ადვილს სხვა მეცნიერულ დისციპლინათა შორის; ა. ბალაბუევი 1931—1940 წლებში აყენებს საკითხებს — ამიერკავკასიაში მიკროკლიმატურ კვლევათა ამოცანებისა და მეთოდების, ამიერკავკასიაში ფენოლოგიურ დაკვირვებათა ორგანიზაციის და ამიერკავკასიის ჰავათა გენეტური დახასიათების ცდის შესახებ. გ. კოვალევსკი მთის ჰავათა კლასიფიკაციის ცდას იძლევა 1939 წელს.

ამიერკავკასიის მთლიანი კლიმატოლოგიური დახასიათება, გარდა ი. ფიგუროვსკისა, მოახდინა აგრეთვე ბ. ბელონოვიჩმა 1935 წ.; მან ამიერკავკასიის ჰავათა ტიპების გამოყოფის საფუძვლად ვ. კეპენის მეთოდი გამოიყენა. ალ. ჯავახიშვილი 1931—1933 წლების განმავლობაში იკვლევდა ტემპერატურათა და ატმოსფერული ნალექების გავრცელებას საქართველოში, რისთვისაც მან თავი მოუყარა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის მთელ მასალას აღნიშნული ელემენტების შესახებ 1933 წლამდე, თითოეული მეტეოროლოგიური სადგურისთვის ცალკე, შეაჯამა და დაამუშავა ეს მასალები; მან დაადგინა სითბოს ზონები და ნალექთა ტიპები; ტემპერატურებისა და ნალექების გავრცელებათა გამოსახულებისთვის შეადგინა რუკები: იანვრის, ივლისი-აგვისტოს საშუალო ტემპერატურათა და საშუალო წლიურ ნალექთა გავრცელების, აგრეთვე სითბოს ზონების და ნალექთა ტიპების განწილებისა.

საქართველოს და დანარჩენი კავკასიის შესწავლა ცალკეული კლიმატური ელემენტების მიხედვით წარმოებული იყო აგრეთვე მთელი რიგი მუშაების მიერ. ამიერკავკასიისთვის ატმოსფერულ ნალექთა შესახებ მასალები შეკრიბა, დაალაგა და შეაჯამა ვ. კოჩერგინმა 1928 წ.; ამავე მუშაკმა 1931 წელს შეასრულა ამნაირივე მუშაობა მზის ნათების მიმართ კავკასიაში. ი. ფიგუროვსკი 1928 წ. ბეჭდავს თავის ნაშრომს კავკასიაში თავსხმა-წვიმების შესახებ, ა. ბალაბუევი — დაკვირვებებს *Alto-Cumulus lenticularis* ღრუბლების გაჩენაზე ამიერკავკასიაში, ა. ზამორსკი — 1939 წ. მთის ნისლის შესახებ კავკასიაში, ა. შატსკი 1938 წ. ახდენს კვლევას სეტყვიანობაზე საქართველოში, ი. ქურდიანი 1931 წ. და ა. ბალაბუევი 1939 წ. — ელქებზე ამიერკავკასიაში.

მთელ რივ გამოკვლევებში გამორკვეულია დასავლეთ-საქართველოს და მისი ცალკე ნაწილების ჰავის თავისებურებები. კოლხეთის ბარისა და მისი დაბლობის კლიმატოლოგიურ დახასიათებას ახდენენ ნ. კოროსტელევი 1923 წ., ი. გაჩეჩილაძე 1930 წ. და ი. ქურდიანი 1939 წ. დასავლეთ-საქართველოს მასალებს მთლიანად იძლევა გ. სელიანინოვი, ხოლო მის საერთო კლიმატურ მიმოხილვას — ი. გაჩეჩილაძე 1933 წ. ი. ფიგუროვი

სკი 1929 წელს ახასიათებს ამიერკავკასიის სუბტროპიკულ ჰავათა ძირითად თვისებებს. ი. გოლცბერგი ახდენს სუბტროპიკული ზონის ჰავის მიმოხილვას 1936 წელს.

ამ მხარის ცალკეული რაიონების — ქობულეთის, მახარაძის, ცხაკაიას, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ხობის, ზუგდიდისა და გალის — კლიმატური აღწერილობა შეადგინეს მ. კორძახიამ და ბ. ბირშერტმა 1937 წელს. შავი ზღვის სანაპიროს კლიმატურ დახასიათებას იძლევა გ. სელიანინოვი 1926 და 1928 წლებში, აგრეთვე ნ. კოროსტელევი 1933 წ. ა. შატსკი 1938 წ. აღწერს იმერეთის მევენახეობის რაიონის ჰავას. ს. შახაროვი და ტ. კვარაცხელია აფხაზეთის ნიდაგთ-გეოგრაფიული და სოფლის მეურნეობის რაიონების მიმოხილვის დროს იძლევიან 1930 წელს ამ მხარის ჰავის დახასიათებასაც. გ. ჭირაქაძე კი 1936 წ. არკვევს აჭარის კლიმატურ პირობებს და კურორტ ქობულეთის მიკროკლიმატურ მიმოხილვებს კობიტნარის, აჯამეთ-საქარის, პირველ საბჭოთა არხის რაიონთა და შაორის ამოქვაბულისას. გ. ჭირაქაძე 1935 წ. აღწერს კურორტ ბახმაროს კლიმატურ პირობებს.

დასავლეთ-საქართველოს და მისი ცალკეული ნაწილების ჰავის ელემენტები თავის მხრით ხდებიან კვლევისა და შესწავლის საგნად. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის მიერ შემუშავებული საქართველოს კლიმატური მონაცემების პირველი ნაწილი — მასალები ჰაერის ტემპერატურების შესახებ დასავლეთ-საქართველოში. 1936 წ. კოლხეთის დაბლობის ტემპერატურის და ნალექების შესახებ სქემას ადგენს 1929 წ. ვ. კოჩერგინი. ალ. ჯავახიშვილი 1935 წ. იძლევა კოლხეთის ბარის ტემპერატურული რეჟიმისა და ტემპერატურული ტიპების დახასიათებას. ს. სპოჟნიკოვი 1936 წ. და 1938 წ. იხილავს ტემპერატურის აბსოლუტური წლიური მინიმუმების საშუალოს განაწილებას სუბტროპიკულ მხარეში. გ. ჭირაქაძე და ლ. ქუთათელაძე კურორტ ქობულეთის გაცივების ფაქტორს არკვევენ 1936 წ. ტ. დულეტოვა და ზ. ბარსუკი აშუქებენ 1936 წ. ყინვების საკითხს დასავლეთ-საქართველოსთვის. ყინვების კომპლექსურ დახასიათებას კი იძლევა 1936 წ. პ. ბუცკი. შავი ზღვის სანაპიროზე ტემპერატურის მკაცრ რყევებს, რომელთაც ყინვები ერთვის, იხილავს 1936 წ. ი. ბელსკი.

დასავლეთ-საქართველოს ატმოსფერული ნალექების შესახებ მასალათა კრებულს 1936 წ. ადგენს საქართველოს ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის წყლის კადასტრის განყოფილება. ხოლო დასავლეთ-საქართველოს ნალექებზე კვლევას მ. კორძახიამ აწარმოებს 1937 წელს. შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზეთის მეზობლად ძლიერი წვიმების სინოპტიკურ პირობებს ა. შამორსკი არკვევს 1938 წ.

წყალტუბოში დაკვირვებების მიხედვით ფიონის დროს მეტეოროლოგიური ელემენტების ცვლილებების საკითხს აშუქებს ნ. კალიტინი 1928 წ., საერთოდ დასავლეთ-საქართველოს ფიონებს კი იხილავს ნ. კუზნეცოვი 1939 წ., დასავლეთ-საქართველოს ცხელი და მშრალი ქარების დახასიათებას იძლევა პ. ბუცკი, ხოლო ამავე ქარების შესახებ შავი ზღვის სანაპიროზე — ვ. ისაევია 1936 წ.



ქართული

აღმოსავლეთ-საქართველოს კლიმატოლოგიურ შესწავლასაც 1925 წელს დაიწყო ემჩნევა გაცხოველება. 1925 წელს თბილისის აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილება ბეჭდავს თბილისისა და მისი მაზრის კლიმატოლოგიურ მასალებს. თბილისის რაიონის მიკროკლიმატების საკითხს ა. ბ ა ლ ა ბ უ ე ვ ი ამუშავებს 1928 წელს. ი. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე 1934 წ. იხილავს თბილისის ჰავას, ხოლო 1930 წ. დავითის შთის მიკროკლიმატს. ნ. დ ო მ ბ რ ო ვ ს კ ი 1930 წ. ადგენს სამგორის ველის ჰავის დახასიათებას. ა. შ ა ტ ს კ ი 1938 წელს ქართლის მევენახეობის რაიონის ჰავას აღწერს. გ. ტ ი რ ა ქ ა ძ ე კურორტ ჯავის კლიმატურ პირობებს ახასიათებს 1933 წ. ი. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე 1930 წ. აქვეყნებს ბაკურიანის კლიმატურ მასალებს და ადგენს მის კლიმატურ დახასიათებას, ხოლო 1933 წელს ბორჯომისა და აბასთუმნის კლიმატურ მიმოხილვებს. ე. ნ ა ფ ე ტ ვ ა რ ი ძ ე და კ. პ ა პ ი ნ ა შ ვ ი ლ ი იძლევიან აბასთუმნის რაიონის სინოპტიკურ დახასიათებას 1937 წ. შ. ჩ ხ ა ი ძ ე კურორტ აბასთუმნის და მთა ყანობილის კლიმატის შედარებითს შესწავლას ახდენს 1938 წ. დ ო მ ბ რ ო ვ ს კ ი 1931 წ. იხილავს ჰავას მდ. მტკვრისას სათავედან ქართლის ვაკეზე გამოსვლამდე. ი. ფ ი გ უ რ ო ვ ს კ ი კი მტკვარ-არეზის დაბლობისას 1930 წ. ნ. დ ო მ ბ რ ო ვ ს კ ი 1930 წ. და ი. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე 1932 წ. ახასიათებენ მდ. ქციახრამის აუზის ჰავას. ა. შ ა ტ ს კ ი — მდ. მაშავერას აუზისას 1934 წ. ჯავახეთის პლატოს კლიმატურ დახასიათებას იძლევიან ვ. კ ო ჩ ე რ გ ი ნ ძ 1930 წ. და ა. ბ ა ლ ა ბ უ ე ვ ი 1933 წ. კახეთის კლიმატურ განხილვას აწარმოებს ა. შ ა ტ ს კ ი 1934 წ., აგრეთვე ნ. დ ო მ ბ რ ო ვ ს კ ი, რომელიც ცოტა ადრე, 1930 წელს, შირაქის მხარესაც დაახასიათებს. 4091 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის კლიმატურ დახასიათებას ახდენს გ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე 1939 წ., ხოლო ე. ნ ა ფ ე ტ ვ ა რ ი ძ ე და კ. პ ა პ ი ნ ა შ ვ ი ლ ი კავკასიონის ცენტრალური ნაწილის სინოპტიკურ დახასიათებას იძლევიან 1939 წელს.

აღმოსავლეთ-საქართველოს ცალკე ნაწილების მთლიანი დახასიათების გარდა, კვლევის საგნად ხდება აგრეთვე ჰავის ცალკეული ელემენტებიც. ა ლ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი არკვევს ტემპერატურულ რეჟიმს და ადგენს ტემპერატურულ ტიპებს ქართლისა და კახეთის ბარისთვის 1935 წ. ნ. დ ო მ ბ რ ო ვ ს კ ი 1924 წ. იხილავს მტკვრის აუზის ნალექებს. ი. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე 1930 წ.— თბილისში თავსხმა და უხვ-წვიმებს 1902—1927 წწ. მანძილზე. ს. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა — აღმოსავლეთ-საქართველოში თავსხმა-წვიმების სინოპტიკურ პირობებს და ი. ქ უ რ დ ი ა ნ ი 1931 წ. — ელ-ქექს და სეტყვიანობას კახეთში.

კლიმატოლოგიურ კვლევათა ერთი რიგი უშუალოდ უკავშირდება სოციალისტური მეურნეობის, კერძოდ, სუბტროპიკულ კულტურათა მეურნეობის, ამოცანებს, ეს გამოკვლევები ამუშავებენ ჰავას, როგორც ბუნებრივ საწარმოო ძალას, და ამ ძალაზე დაყრდნობით წარმოგვიდგენენ სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას. გამოკვლევათა ამ მიმართულების სათავეში დგას ა გ რ ო - პ ი დ რ ო - მ ე ტ ე ო რ ო ლ ო გ ი უ რ ი ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ა, რომელმაც 1936 წელს გაოსცა მეტად საინტერესო კვლევათა კრებული „მასალები სსრ კავშირის სუბტროპიკების აგრო-კლიმატური დარაიონების შესახებ“. აღნიშნული მიმართულების მკვლევართა შორის უპირველესად უნდა

აღენიშნოთ გ. სელიანინოვი, რომელმაც დიდი მუშაობა ჩაატარა საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში და რომელმაც მთელი რიგი შრომები გამოაქვეყნა, სახელდობრ: „კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე სოფლის მეურნეობის კულტურათა კლიმატური საფუძვლები“, 1926 წ.; „დასავლეთ ამიერკავკასიაში სუბტროპიკულ და სამხრეთულ კულტურათა კლიმატური საზღვრები“, 1928 წ.; „სუბტროპიკთა საზღვრები“, 1936 წ.; „კლიმატური ნიშნის მიხედვით სოფლის მეურნეობის კულტურათა კლასიფიკაცია“, 1930 წ.; სსრ კავშირის სუბტროპიკულ ზონაში წლის ცივი პერიოდის ჰაერის მელიორაცია“, 1930 წ.; „კლიმატური შესაძლებლობანი დასავლეთ ამიერკავკასიაში სუბტროპიკულ მცენარეთა კულტურისთვის“, 1931 წ.; „სასოფლო-სამეურნეო რაიონების სპეციალიზაცია კლიმატური ნიშნის მიხედვით“, 1933 წ.; „სსრ კავშირის სუბტროპიკთა აგრო-კლიმატური ზონები და რაიონები“, 1936 წ.; სუბტროპიკებში ჰაერის სოფლის მეურნეობითი შეფასების მეთოდთა“, 1936 წ. გ. სელიანინოვი, ი. გოლცბერგთან და ს. სპოჟნიკოვასთან ერთად, ახდენს 1938 წ. აგრეთვე აფხაზეთის დაყოფას აგრო-კლიმატურ ზონებად.

ამავე ხასიათს ატარებენ კიდევ შემდეგი შრომები: ა. შატსკი, ტემპერატურათა ჯამის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კლიმატური ინდექსის შესახებ, 1930 წ.; თ. დავითაია, მევენახეობის კლიმატური ზონები სსრ კავშირში, აგროკლიმატური დარაიონების მეთოდის საკითხისთვის, 1938 წ.; ნ. დომბროვსკი, ამიერკავკასიის ბაშბის რაიონების კლიმატური პირობები, 1930 წ.; პ. ყუკოვსკი, სასოფლო-სამეურნეო რაიონების სპეციალიზაცია ჰაერის მიხედვით, 1933 წ.; გ. კოვალევსკი, დამოკიდებულება ნალექებსა და მცენარეთა გაშენების ვერტიკალურ საზღვრებს შორის, 1937 წ. გ. ჭირაქაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის მიმდებარე ზოლის მეტეოროლოგიური დახასიათება, 1932 წ.

**ჰიდროლოგია.** საქართველოს და დანარჩენი კავკასიის წყლების ობიექტების შესწავლის შემაჯამებელი შრომის პირველ ცდას წარმოადგენს მ. გერსეევანოვის „კავკასიის მხარის ჰიდროგრაფიული მიმოხილვა“ (1888 წ.). ამის შემდეგ, საკმარისად მოგვიანებით, 1913 წელს ა. ფონ-ესენი თავს უყრის ამიერკავკასიის, უმთავრესად, ჰიდრომეტრიულ მასალებს, ახდენს კვლავ შემაჯამებელ აღწერილობას ამიერკავკასიის წყლის ობიექტებისას, მდინარეთა აუზებს ჰყოფს სიმაღლის საფეხურებად, ამ საფეხურების მიხედვით აწარმოებს აუზთა ფართობების და მდინარეთა სიგრძეების გამოანგარიშებებს, რისთვისაც იგი წინასწარ ადგენს ამისათვის სპეციალურ ჰიდროგრაფიულ რუკას მასშტაბით 20 ვერსტი 1 დიუმიში. ეს ორი შრომა სავსებით ნათლად გამოხატავს საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ოქტომბრის რევოლუციამდე წყლების ობიექტების შესწავლის მდგომარეობას — ამ ობიექტების შესწავლის საგანს, მეთოდს, მიზანდასახულობას. ეს შრომები უბრალო და ზოგად ჰიდროგრაფიულსა და ჰიდრომეტრიულ აღწერილობებს წარმოადგენენ და არ სწყვეტენ რომელიმე თეორიულ პრობლემას, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს სახალხო მეურნეობის ამოცანების გადაჭრას, თუმცა, 1891 წლიდან უკვე არსებობს კავკასიის წყალთა ინსპექცია, შემდეგ წყალთა სამმართველოდ გადაკეთებული,



რომელთანაც მხოლოდ 1910 წელს ჰიდრომეტრიული საკვლევი ნაწარმის წარმოება იწყება.

წყლის ობიექტების მეცნიერული შესწავლის საჭიროება და აუცილებლობა მთელი თავისი სიძლიერით იჩენს თავს საბჭოთა სოციალისტური ჰეურნეობის მშენებლობის პირველივე დღეებიდან. ჰიდროლოგიურ კვლევათა წინაშე ისმება სამი ძირითადი ამოცანა: შეკრება და წესრიგში მოყვანა იმ აუარებელი ცნობისა და მასალის, რომელიც დაგროვებული იყო ამ დრომდე წყლის ობიექტების შესწავლასთან დამოკიდებულებით, მეორე — წყლის რესურსების შემდგომი გამოვლინება, მათი უფრო დეტალური შესწავლის გზით და მესამე — სოციალისტური მშენებლობის მორიგ ამოცანებთან დამოკიდებულებით წყლის ზოგიერთი ობიექტის პირველ რიგში შესწავლა კომპლექსურად, ჰიდრომეტრიული, ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, ნიადაგურ-ბოტანიკური და ტოპოგრაფიული მიმართულებით. და, აი, ამ სამი ძირითადი ამოცანის ირგვლივ იშლება უმთავრესად დიდი მუშაობა საბჭოთა საქართველოშიც დაახლოებით 1925 წლიდან.

წყლის კადასტრის ამიერკავკასიის ბიუროს დაარსებით 1928 წელს იწყება მუშაობა პირველი ამოცანის განხორციელებისთვის. ამ მიმართულებით აქ დაწყებული მუშაობა 1932 წლიდან უფრო ორგანიზებულ და უფრო გეგმიან ხასიათს ღებულობს, როდესაც ამ საქმეს ხელმძღვანელად ს. ხელმწიფო ჰიდროლოგიური ინსტიტუტი (ლენინგრადში) უდგება, ხოლო მისი შესრულება ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტის ჰიდროლოგიურ განყოფილებას ეკისრება. შედეგად ამ დიდი მუშაობისა აღნიშნული განყოფილების გამგის, ბ. ყავრიშვილის, რედაქციით იბეჭდება 1935 წელს სსრ კავშირის წყლის რესურსების შესახებ ამიერკავკასიისთვის მიძღვნილი მეტად ვრცელი ცნობარი, რომელსაც 1936 წელს ერთვის ცალკე დამატება ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის სახით.

წყლის სხვა ობიექტთა შორის დეტალური შესწავლისა და კვლევის მთავარ საგნად, საბჭოთა საქართველოში ელექტროფიკაციისა და მელიორაციის ამოცანებთან დაკავშირებით, მდინარეები და მათი აუზები ხდებიან. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის დიდი და ფართო კვლევითი მუშაობა, რომელიც შესრულებულ იქნა მტკვარი-არზხის აუზის წყლის რესურსების გამოვლინების მიზნით და რომლის შედეგები 11 წიგნად იბეჭდებოდა 1930 წლიდან მთელი რიგი წლების მანძილზე. ხოლო უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიდი კომპლექსური ხასიათის მუშაობა წმინდა ჰიდროლოგიურ კვლევებს ნაკლებ შეიცავს, უფრო კი — ჰიდროგეოლოგიურს, გეოლოგიურს, კლიმატოლოგიურს, აგრეთვე გეობოტანიკურსა და ნიადაგების გამოკვლევებს. ქცია-ხრამის აუზი შესწავლის ძირითად ობიექტად ხდება წყლის მეურნეობის ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც 1931—1932 წლებში აღნიშნული აუზის შესახებ ბეჭდავს ოთხ წიგნს, რომელთაგან მეორე ტომი მთლიანად მიეძღვნება ბ. ყავრიშვილის შრომას „ქცია-ხრამის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერილობა“ და მეორე ტომიც მთლიანად ამავე აუზის ჰიდროლოგიას, რომელიც შედგენილია ე. რინენბერგის მიერ. აღმოსავლეთ-საქართველოს დანარჩენი მდინარეებიდან უფრო

ჰიდრომეტრიული შესწავლა წარმოებდა მდ. მტკვარზე ტაშისკარიდან გორაკ-დე, ალაზანზე, იორზე, მაშავერაზე, შულავერის-წყალზე და დებედაზე; დასავლეთ-საქართველოში — მდ.რიონზე, ენგურზე და მის შემდინარეებზე, ბზიბზე; კოდორზე, კელასურზე, გეგაზე, იუფშარაზე, გუმისთაზე, აბაშაზე, ტყიბულზე და აჭარის-წყალზე; ხოლო ეს შესწავლა დამოუკიდებელ ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ დაკავშირებული იყო რომელიმე უწყების ამათუიძ სამშენებლო ამოცანების სხვა სამუშაოებთან. ამის გარდა, კოლხეთის დაბლობის ჰიდროლოგიურ მიმოხილვას ახდენს ს. აკენტიევი 1929 წ.

საქართველოს მდინარეების შესწავლის დროს ზოგიერთ შემთხვევაში მუშავდებოდა უფრო სპეციალური საკითხები: ჩამონადენის მოდული, ნაფენების მოძრაობა, თოშის სელა, ატმოსფერული ნალექებით გამოწვეული ნგრევეთა მოქმედება მდინარეთა აუზებში, წყალი, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი კოლხეთის დაბლობის ბიოცენოზების დინამიკისთვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სელური ღვარები, რომლებსაც მიუძღვნეს თავიანთი შრომები ა. ბრილინსკიმ 1930 წ., ი. როშიჩინმა 1928—1935 წწ. და ბ. ყავრიშვილი 1937 წელს.


შესრულებულია მუშაობა ტბების შესასწავლად. პალეოსტომის ჰიდროლოგიურ დახასიათებას ახდენს ე. კუდელინა და ჰიდრო-ქიმიურს — ს. ლიბატი 1940 წ., ი. პუზანოვი დასახელებულ პირებთან ერთად იმავე წელს აღწერს აფხაზეთის ტბებს — რიცას და ბებესირს. ჯავახეთის ტბებს აღწერს 1931 წ. ბ. ყავრიშვილი და 1933 წ. ლ. არნოლდი; ბ. ყავრიშვილივე იძლევა ტაბის-ყურისა და ბაზალეთის ტბების დახასიათებას.

კოლხეთის დაბლობის ჭაობების შესწავლაზე მუშაობას აწარმოებს 1928 წ. ამიერკავკასიის წყლის მეურნეობის სამმართველო. ზოგადი აღწერილობა ამიერკავკასიის ჭაობების შესახებ მოცემულია წყლის რესურსების ცნობარის XI ტომში. ამის გარდა, რიონის ქვემო წელის და პიჩორის მიდამოების ჭაობების შესწავლას 1932 წ. ლ. შაპოშნიკოვი და ნ. ვერეშჩაგინი აწარმოებენ.

დიდი კვლევითი მუშაობაა შესრულებული მიწისქვეშა წყლების შესწავლაზე ქ. თბილისისთვის ნატახტარის წყაროების გამოსაყენებლად.

თანამედროვე მყინვარები, მართალია, წინათვე დიდ ყურადღებას იპყრობდა, როგორც რუს. ისე უცხო ქვეყნის მკვლევართა და მშენებელი აღწერილობებიც არსებობს (გოტფრიდ მერცბახერის, დუგლას ფრეშვილის, მორიც დეშისა და სხვათა), როგორც თვით მყინვარების, აგრეთვე მაღალმთიანი მყინვარული მხარისა, მაგრამ ამ მშენებელი აღწერილობებს მაინც ზოგადი მიმოხილვის ხასიათი აქვთ და არ იძლევიან მყინვარის თვისებათა, მოძრაობათა და ცვალებადობათა დეტალურ დახასიათებას. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეს ინტერესი მყინვარების შესწავლისადმი საგრძნობლად შენედა. ხოლო საბჭოთა საქართველოში გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებასთან ერთად 1924 წელს მყინვარების და მაღალმთიანი მყინვარული მხარეების შესწავლა ცხოველდება და ორგანიზებულ ხასიათს იძენს. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება 1924—1932 წლების განმავლობაში მთელ რიგ ექსპედიციებს აწყობს საქართველოს მყინვარული მხარის გასაცნობად და შესას-





წავლად; მეორე მხრით, სახელმწიფო ჰიდროლოგიური ინსტიტუტი, მეორე საერთაშორისო პოლარულ წელთან დაკავშირებით, აწყობს კავკასიურ მყინვარულ ექსპედიციას 1932—1933 წწ.; ამის შემდეგ მყინვარების მეცნიერულ შესწავლას მტკიცე და გეგმიანი ხასიათი ეძლევა. სახელმწიფო ჰიდროლოგიური ინსტიტუტი ამასთანავე 1934 წ. იწყებს შრომების ახალი სერიის გამოშვებას სახელწოდებით „სსრ კავშირის მყინვარების გამოკვლევაში“. ამ ინსტიტუტის საქსპედიციო გამოკვლევები ვრცელდება აგრეთვე საქართველოს მყინვარულ რაიონზეც. ამის შედეგად ვ. რუტკოვსკაია იძლევა სვანეთის მყინვარების ახალ დაწერილებით აღწერილობას, ს. კოზლიანინოვი კი ახასიათებს სვანეთის მყინვარულ მდინარეებს. ეს ორივე წერილი მოთავსებულია აღნიშნული ექსპედიციის კვლევათა კრებულში „კავკასია, მყინვარული რაიონები“, 1936 წ. ამ ექსპედიციის შრომების მესამე ნაკვეთში „სსრ კავშირის მთიანი მყინვარული რაიონები“, ს. კალესნიკი უთმობს კავკასიის მყინვარებს ცალკე თავს, რომელშიც კავკასიის მყინვარები იხილება ახალი მონაცემების თვალსაზრისით. 1935 წ. სსრ კავშირის წყალთა რესურსების ცნობარში იბეჭდება აგრეთვე დ. მიქელაძის მიმოხილვა საქართველოს და დანარჩენი კავკასიის მყინვარების შესახებ. ამავე წელს ლ. ვარდანიანი ახასიათებს დევდარაყის და ჩაჩის მყინვარების მდგომარეობას.

ჰიდროლოგიურ გამოკვლევებთან ერთად 1925 წლიდან სხვადასხვა სამეცნიერო და საწარმოო დაწესებულება აწარმოებს კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ამათუთ მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო 1926—28 წწ. ახდენს კვლევა-ძიებას მდ. ქცია-ხრამის, მაშავერას, შულავერის-წყლისა და დებედას აუზებზე მელიორაციის მიზნით; საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო 1925—1931 წწ. აწარმოებს მდ. იორის შუა წელის და თბილისის მიდამოების მლაშე ტბების კვლევას სამგორის ველის მორწყვის პროექტთან და ჰიდროსადგურების მოწყობასთან დაკავშირებით. 1925—1927 წწ. წარმოებს კვლევა ტირიფონის ველზე მისი მორწყვის პროექტის შესადგენად. 1926—1929 წწ. დოღლაურის მოსარწყავად კვლევის საგნად ხდება მტკვრის ხეობა ტაშის-კარიდან გორამდე. 1927—29 წწ. იკვლევენ მდ. ალაზანს, მისი ხეობის და აგრეთვე ელდარის ველის მორწყვის პროექტთან დამოკიდებულებით. 1929 წ. წარმოებს კვლევა მდ. მტკვარზე და ტბ. ჯანდარზე ყარაიას ველის აუთვისებელი მიწების ასათვისებლად. ელდარის ველის მორწყვის პროექტის შესადგენად 1931 წ. კვლევა წარმოებს მდ. იორზე. სახელმწიფო ელექტროტექნიკური ტრესტი 1925 წ. იკვლევს მდ. ტყიბულის აუზს ჰიდროსადგურის მოწყობის მიზნით. 1925—1928 წლების განმავლობაში ჰიდროსადგურების პროექტების შესადგენად ეწყობა კვლევა-ძიებები ფარავნის, საღამოს, მადატაპის, ბულდაშენის, ხანჩალის, ზრესის ტბების საკვლევად. 1927 წ. კი — მდ. ქცია-ხრამის გამოკვლევა წალკის მხარეში ამ მდინარის ჰიდროავლიკური რესურსების გამოყენების მიზნით. ამიერკავკასიის წყლის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტი 1929—1931 წწ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებით სარწყავი ქსელის მოწყობისა და

გადაკეთების საკითხების გასარკვევად აწყობს კვლევითს მუშაობებს, ლვარცოფების წინააღმდეგ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად აწარმოებს ამ ლვარცოფების შესწავლას. ამიერკავკასიის ენერგეტიკის სამმართველო 1930—1932 წწ. აწყობს შემდეგ სამუშაოებს: ბზიბის კომბინატის ჰიდროსადგურის მოწყობასთან დაკავშირებით — კვლევას მდ. ბზიბზე, მდ. გეგაზე და მდ. იუფშარაზე; სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მოწყობასთან დაკავშირებით — კვლევას მდ. გუმისთაზე და მდ. კელასურზე; კვლევას მდ. ქცია-ხრამზე, მდ. ენგურზე, კოდორზე, კელასურზე, ალაზნის ქვემო წელზე, აჭარის წყალზე, მდ. აბაშაზე.

ამასთანავე 1925 წლიდან ჰიდრომეტრიული ხასიათის მასალების გამოქვეყნებას მიეცა ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრიული განყოფილება მთელი რიგი წლების განმავლობაში ბეჭდავს „ბიულეტენებს“ მრავალნაკვეთად და ამის დამატებად კიდევ ყოველთვიურად „ჰიდრომეტრიულ ცნობებს“ მთელი ამიერკავკასიის შესახებ.

საქართველოს ცალკეული მხარეებიდან ბ. ყავრიშვილმა 1933 წ. შეადგინა ჯავახეთის ჰიდროგრაფიული, ხოლო 1936 წ. კოლხეთის ბარის ჰიდროლოგიური დახასიათება. მანვე 1940 წელს დაამუშავა ჰიდროლოგიური კვლევისთვის მეთოდურად მნიშვნელოვანი შრომა „საქართველოს ლანდშაფტურ-ჰიდროლოგიური ზონები“, რომელსაც დაურთო 1937 წ. შედგენილი შესაფერი რუკა მასშტაბით 1:800.000. ეს შრომა წარმოადგენს ჰიდროლოგიური ობიექტებისა და მოვლენების გაშუქების პირველ ცდას გეოგრაფიული ლანდშაფტის დანარჩენ ელემენტებთან ურთიერთ დამოკიდებულებით.

**მცენარეთა გეოგრაფია.** ოქტომბრის რევოლუციამდე კავკასიის ფლორის შესწავლის ნიადაგზე, მართალია, უკვე პომწიფებული იყო საფუძველი ბოტანიკურ-გეოგრაფიულ კვლევათათვის, რაც გამოიხატა ი. მედვედევის მიერ 1907 წელს და ნ. კუზნეცოვის მიერ 1909 წელს ჩატარებულ კავკასიის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციებად დაყოფის ცდებში. მაგრამ კავკასიის ბოტანიკურ-გეოგრაფიული დანაწილების და გამოყოფილი პროვინციების დახასიათების ეს გამოკვლევანი მაინც მხოლოდ ზოგად სურათს იძლევიან.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კავკასიის ფლორის შესწავლა ფართოდ იშლება, რასაც, სხვათა შორის, ხელს უწყობს. ერთი მხრით, სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან დაკავშირებული მოთხოვნილებები და, მეორე მხრით, აგრეთვე ახალგაზრდა ადგილობრივი ეროვნული მეცნიერული კადრების გამოსვლა კავკასიის ფლორის შესწავლის ასპარეზზე. სოციალისტური მეურნეობის ამოცანებთან დაკავშირებით საქართველოს ბევრ ადგილში შესრულებულ იქნა დაწვრილებითი ბოტანიკურ-გეოგრაფიული სამუშაოები, რის გამოც საქართველოს ფლორის შედგენილობის შესახებ მასალები დიდად გაიზარდა.

ა. გროსსჰეიმის მიერ 1928—1932 წწ. შედგენილია კავკასიის ფლორის აღწერილობა ოთხ ტომად. იგი 1936 წ. ამ ფლორის მეტად საინტერესო ანალიზს ახდენს. სხვა ბოტანიკურ-გეოგრაფიულ საკითხთა შორის, რომელთაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, წამოყენებულია ტყე-



შვილი ა. გროსსჰეიმთან ერთად ახდენს 1929—1930 წწ. საქართველოს დაბლობის და ვაკის მცენარეულობის შესწავლას. მ. კემულმა-რიანათაძე იკვლევს დასავლეთ-საქართველოს ქვაკირიან მცენარეულობას. შედგენილია აგრეთვე ზოგადი მიმოხილვები: ნ. კუზნეცოვის მიერ 1922 წ. ბოტანიკურ-გეოგრაფიული კოლხეთის დაბლობისა, ნ. კეცხოველის მიერ 1939 წ. კოლხეთის მცენარეულობისა, ბ. სემევსკის მიერ 1939 წ. კოლხეთის დაბლობის სუბტროპიკული კულტურებისა, ნ. კეცხოველის მიერ 1936 წ. აჭარის მცენარეული საფარისა.

რო სკოლაში XI — XII ს. „ეკლესიასტე“ ბიბლიურ წიგნთა შორის ყველაზე უფრო ფილოსოფიურია, ამიტომ მისი კომენტარიები, თეოლოგიურის გარდა, ფილოსოფიურ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული. მეტად ზანტერესო და დამახასიათებელია მიტროფანეს დამოკიდებულება კლასიკურ ფილოსოფიასთან, მისი ეგზეგეტიკური მეთოდები, კოსმოლოგიურ-ასტრონომიული შეხედულებები, მისი ანთროპოლოგია, ესქატოლოგია და თეოლოგია. ეს თხზულება, რომელიც ჩვენ მიერ იქნა აღმოჩენილი და გამოცემული 1920 წელს, ავსებს მეცხრე საუკუნის ბიზანტიის კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს.

ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას ქართულმა მწერლობამ შემატა მეტად შესანიშნავი ეგზეგეტიკური „კატენები“, ისეთი მთლიანი და სრული, რომელთა მსგავსი ცნობილ კატენებს შორის მეორე არ მოიპოვება. მნიშვნელობა ამ თხზულებისა, რომლის კვალი-ბერძნულ ენაზე უკვე აღარ ჩანს, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ იმას შემოუწინააგვს ექსცერპტები ისეთი თხზულებებიდან და ავტორებიდან, რომელთა ხსენება დღეს უკვე გამჭარალა. თხზულება ქართულად XII საუკუნეშია თარგმნილი<sup>1</sup>.

შემდეგი დარგი ლიტერატურისა, რომელიც ბიზანტიაში დიდად დამუშავებულა, არის დოგმატიკურ-მისტიკური და პოლემიკურ-პომილეთიკური მწერლობა. აღნიშნული დარგი დიდად მნიშვნელოვანი იყო ქრისტიან ერთა ლიტერატურაში. აქ მოცემულია ფილოსოფია ქრისტიანობისა, ცდა მისი შერიგებისა და შეგუებისა ელინურ ფილოსოფიასთან, ბრძოლა უკანასკნელთან და თვით ქრისტიანობის წიაღში წარმოშობილ სხვადასხვა სექტასთან. ეს მწერლობა მთელი მისი სიღრმე-სიგანით ვადმონერგულ იქნა საქართველოში, აქ მან შექმნა ისეთი ღირსშესანიშნავი კრებულები, როგორიცაა არსენ იყალთოელის „დოღმატიკონი“. მწერლობის ამ დარგს შემოჰქონდა ჩვენში მთავარი მიმართულებანი ბიზანტიური ფილოსოფიისა, როგორიცაა არისტოტელიზმი, ნეოპლატონიზმი. მის ნიადაგზე ცდილობდნენ ჩვენში პლატონიზმისა და არისტოტელიზმის შეთანხმებას. ამ დარგის ლიტერატურაზე იწვრთნებოდნენ ჩვენში, როგორც ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე მოწმობს, ისეთი წარმომადგენელნი ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნებისა, როგორიც იყვნენ თვით ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე, არსენ იყალთოელი, იოანე ბეტრიწი, იოანე ტარიჭისძე, ჭიმჭიმელი და სხვა. თანახმად აღებული გეზისა, ჩვენ არ ჩამოვთვლით წმინდა ორიგენალურ, ქართულ თხზულებებს, რომლებიც ჩვენში თანდათანობით შექმნილა ამ დარგში, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ, როგორც მიმდინარე კვლევა-ძიება ამჟღავნებს, ქართულ ლიტერატურას ამ დარგშიც არა ერთი და ორი ისეთი თხზულება შემოუწინააგვს, რომელნიც მათ სამშობლოში, ბიზანტიაში, უკვე აღარ ჩანან, ასე რომ ქართული მასალების საშუალებით და დახმარებით სულ ახალახალი ჰორიზონტი იშლება ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მესამე

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I<sup>2</sup>, გვ. 426-427; მისივე „თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზვიერნელისა, გვ. XXVII—XXX.



საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის და თეოლოგის ორი გენიუსის ქმნილებების *Περὶ ἀρχῶν* გარშემო ამტყდარი დავა და კამათი. ამ თხზულებამ იმდროინდელი მოაზროვნე საზოგადოება ორ ბანაკად გაჰყო: ერთნი ებრძოდნენ იმაში გამოთქმულ აზრებს, მეორენი კი გამოდიოდნენ მათი დამცველის როლში. უკანასკნელთა მებაირახტრედ ყოფილან პამფილე და ევსევი კესარიელეები (IV ს), რომელთაც ექვს წიგნად დაუწერიათ ორიგენის აპოლოგია. ამ აპოლოგიიდან შენახულა მხოლოდ პირველი წიგნი, ისიც ლათინური თარგმანით, რომელიც რუფინოზს ეკუთვნის. როგორც ქართველი დიდი მწიგნობრის, ექვთიმე ათონელის, ერთი მოწმობიდან ვიცით, ჯერ კიდევ მათე საუკუნემდე ქართულად თარგმნილი ყოფილა როგორც ორიგენის *Περὶ ἀρχῶν* ისე მისი აპოლოგია პამფილე და ევსევი კესარიელისა. ეს მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ფაქტია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისითაც.

ფილოსოფიურ-თეოლოგიური დარგიდანვე უნდა ადვინიშნით ტრაქტატი: „თარგმანება სიტყვისა: ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა შორის, ეგრეთვე პირმშო მკუდართავან ღირს იჩინა ყოფად“. ეს ტრაქტატი, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ გელათის ხელნაწერებში და რომელიც მზადა გვაქვს გამოსაცემად, მიეწერება ბიზანტიის გამოჩენილ ფილოსოფოსს მიხეილ ფსელოსს, თუმცა მისი სახელით ცნობილ თხზულებათა შორის ის დღეს აღარ ჩანს; ერთი სიტყვით, დედანი მისი აღარ მოიპოება. ის ისეთ პრობლემას ეხება, რომელიც XI—XII სს. მოაზროვნე წრეებს ძალზე აინტერესებდა.

მდიდარი პოლემიკური ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, რომელიც ქართულ ენაზე შემონახულა, ამ შემთხვევაში უნდა დავასახელოთ ერთი ანტიკათოლიკური თხზულება, რომლის დედანი ბერძნულ ენაზე არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში ჯერ აღმოჩენილი არაა. ეს თხზულება, რომელიც ლათინთა და ბერძნთა ეკლესიური გათიშვის საკითხს ეხება, ეკუთვნის XI—XII საუკუნეთა მწერალს ევსტრატნიკიელს. ეს არის ცნობილი თეოლოგი და ფილოსოფოსი, მოწაფე მიხეილ ფსელოსისა და იოანე იტალისა, რომელიც ერთხანს აწუნებულ იყო ოფიციალურ ბიზანტიურ წრეებში. თუ ჩვენ მხედველობაში გვექნება ის პერიოდი ბიზანტიური რენესანსისა. როდესაც მიხეილ ფსელოსი და იოანე იტალი ბიზანტიელთა ყურადღების ცენტრში იდგნენ, ნათელი იქნება, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მათი შეგირდის დღეს უცნობი თხზულების აღმოჩენას ქართულ ენაზე.

მეორე ძეგლი პოლემიკური მწერლობისა, რომლის ბერძნული დედანი დღეს აღარ არსებობს, არის ანტიმონოფიზიტური ტრაქტატი „დღესასწაულთათვის“. ამ თხზულებაში დასმული და გარკვეულია ეორტალოგიური საკითხები, რომელიც მეხუთე-მეექვსე საუკუნეში ბიზანტიის აღმოსავლურ ნაწილს მეტად აღელვებდა. ის მიეწერება, ქართული თარგმანის მიხედვით, იპვერატორს იუსტინიანე დიდს და ნათარგმნია არაუგვიანეს მერვე საუკუნისა. ჩვენ მიერ გამოცემულია რუსული თარგმანი თხზულებისა, საჭირო გამოკვლევის თანდართვით.

მდიდარი, მეტად საინტერესო მისტიკური მწერლობის დარგიდან ქარ-

თულ თარგმანში შემონახულა ხუთი ავტორი, რომელთა ხსენება ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში, მათი თხზულებების დაკარგვის გამო, დიდხანია გამოქრალა. ესენია: მარტირი საბაწმინდელი, სტეფანე მძოვარი, პიმენი, სპაკი და აბრაამ მონაზონები. მათი შრომები, რომელნიც ქართულად მეთუ საუკუნემდე უთარგმნიათ, საინტერესო მასალას იძლევიან ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების იმ მიმართულების გასათვალისწინებლად, რომელსაც მისტიციზმი ეწოდება.

ესევე უნდა ვთქვათ ჰომილეტიკური ლიტერატურის შესახებაც. ამ დარგში, რომელიც მდიდრადაა წარმოდგენილი ქართულად სხვადასხვა „მრავალთავის“ სახით, შენახულა ხუთი ისეთი ავტორი, რომელთა კვალი ბიზანტიურ მწერლობაში უკვე აღარ ჩანს. მათ სახელთან დაკავშირებულ თხზულებებში დასმულია უმთავრესად ქრისტოლოგიური საკითხები, რომლითაც მწვავედ იყვნენ დაინტერესებული ქალკედონისტთა და ანტიქალკედონისტთა წრეები ზეხუთე — მეექვსე საუკუნეებისა, როგორც აღმოსავლეთში, ისე ჩვენშიაც. ეს ავტორებია: ტიმოთე იერუსალიმელი, პეტრე იერუსალიმელი, ივლიანე ტაბიელი, თეოდულე და ალექსანდრე კვიპრელი. მათი თხზულებანი ქართულად მერვე საუკუნემდეა გადმოღებული.

უფრო შესამჩნევი აღმოჩნდა ძველი ქართული ლიტერატურის წვლილი ბიზანტიის ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული მწერლობის დარგში. მიქელ შორეკილის „იადგარი“ და გიორგი ათონელის „მინეონი“ შეიცავენ ისეთ ჰიმნოგრაფიულ მასალას და ისეთი ავტორებისას, რომელთაც დღეს ბიზანტოლოგია არ იცნობს. უფრო საყურადღებოა ლიტურგიკული მწერლობა. ამ დარგში მეცნიერება დიდხანია დაინტერესებულია იმ წიგნის ჩასახვითა და თანდათან განვითარებით, რომელიც რეგულატორია ღვთისმსახურებისა და „ტიპიკონის“ სახელითაა ცნობილი. ამ წიგნის ჩამოყალიბება დაიწყო იერუსალიმში ე. წ. აგიოტაფიტების წრეში, მაგრამ არავითარი კვალი მისი, გარდა მეექვსე საუკუნის პილიგრიმის სილვია აქვიტანელის ფრანგმენტარული ცნობებისა, არ არსებობს პირველი ათი საუკუნის მანძილზე. ქართულ მწერლობაში აღმოჩნდა მთლიანი სახე ამ წიგნისა მეშვიდე საუკუნის რედაქციით; მას ეწოდება „იერუსალემის განჩინება“ ან „კანონი“, გადმოთარგმნილია ქართულად არა უგვიანეს მერვე საუკუნის ნახევრისა და გამოცემულია ჩვენ მიერ. ამ თხზულების აღმოჩენამ და გამოქვეყნებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ-ევროპაში, ვინაიდან ის ავსებს თითქმის ათი საუკუნის ხარვეზს ლიტურგიკის ისტორიაში; ცალკეული ნაწილები მისი და კუპიურები გადათარგმნილია გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ასევე საძიებელი იყო ათონური რედაქცია ტიპიკონისა; ეს რედაქციაც ქართულ მწერლობაში აღმოჩნდა: ის მოთავსებულია გიორგი ათონელის მიერ გადმოთარგმნილს „დიდ სენაქსარში“ და საყურადღებოა იმით, რომ, გარდა ათონის პრაქტიკისა, შეიცავს კონსტანტინეპოლის აია-სოფიის წესს, აგრეთვე ელემენტებს საბოლოოდ დაკარგულს „სტოდიელთა ტიპიკონისას“. უკანასკნელი რედაქცია ტიპიკონისა მოცემულია საბა პალესტინელის განჩინებაში, რომლის ნუსხები ბერძნულ ენაზე მხოლოდ მეცამეტე საუკუნიდან გვხვდება. ყველაზე





ადრინდელი და უმარტივესი ვერსია ამ განჩინებისა შენახულა ქართულ ენაზე. ის გადმოთარგმნილი ყოფილა დავით აღმაშენებლის მეფობაში. ერთი სიტყვით, ისეთ მდიდარს და მნიშვნელოვან მასალას „ტიპიკონის“ ისტორიისათვის, როგორც შემოუნახავს ქართულ მწერლობას, ბერძნულ ენაზე ვერ ვბოულობთ, ეს მასალა დღეს მთლიანად თითქმის გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ, რის გამოც ის მეცნიერების ფონდში მტკიცედაა შესული.

განსაკუთრებით მდიდარ სამკალს ბიზანტიური მწერლობის ისტორიას ქართული ლიტერატურა ჰავიოგრაფიის დარგში აძლევს.

ჰავიოგრაფიული ჟანრი მწერლობისა ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული ჟანრია ძველი ქართული ლიტერატურისა. მისი პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ ჰავიოგრაფია წარმოადგენდა არა მარტო „სულთა მარგებელ“ რომანის ჟანრს, არამედ ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგსაც. იმდენადვე მნიშვნელოვანს, რამდენადაც საკუთრივ ისტორიული მწერლობა. ჰავიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც „წმიდათა“ ცხოვრება-მარტვილობას შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და რეალიები დაუტოვებიათ, რაც ნაფიც ქრონისტებსა და მემატიანეებს უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე.

ქართული ჰავიოგრაფიის შესწავლა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულა. მაგრამ ის ცოტა რამ, რაც გაკეთებულა ამ დარგში, საკმაოდ ნათელჰყოფს, რომ ქართველებს ძველად, ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნემდე, ჰავიოგრაფიული ლიტერატურა უთარგმნიათ საქრისტიანო მწერლობის ყველა ენიდან, როგორცაა, მაგალითად, ბერძნული, სირიული, სომხური და არაბული. მეთექვსმეტე მათ გადმოუღიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ ცხოვრება-მარტვილობათა, ე. წ. „კიმენის“ რედაქციისა, ესე იგი უბრალო, მარტივი ენით დაწერილნი. ამ დროს მათ გადმოუთარგმნიათ „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“, სხვათა შორის, ისეთი „წმიდანებისა“, რომელნიც მოღვაწეობდნენ ბიზანტიის აღმოსავლურ საზღვრებზე, — სირიისა და დამასკო-ბაღდადის ხალიფატში, — რის გამოც ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილნი, ანდა ძალიან მალე დავიწყებას მისცემიან. ერთ-ერთი ასეთი თხზულება, — ტიმოთე ანტიოქელის „ცხოვრება“, მეტად საინტერესო ლიტერატურულად და ისტორიულად, ჩვენ ამ მოკლე დროში გამოვეცით. ის დაწერილი ყოფილა არაბულად, არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად, ხოლო ბერძნულიდან ქართულად; არც არაბული დედანი, არც ბერძნული მისი თარგმანი არ შენახულა, არსებობს, მაშასადამე, ქართული თარგმანი, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს როგორც არაბული, ისე ბიზანტიური მწერლობის თვალსაზრისით.

ჰავიოგრაფიაში ცნობილია, რომ სხვადასხვა მწვალებლებს, სექტანტურა მოსაზრებით და მიზნით, ძველიდანვე დაუწყიათ ცხოვრება-მარტვილობათა შერყენა და დამახინჯება; ისინი ან თვითონ ადგენდნენ ცრუსა და ყალბ აქტებს, ანდა უკვე არსებულში შეჰქონდათ თავიანთი ტენდენციები და ისეთი დაუჯერებელი ამბები, რაც ჰავიოგრაფიულ ნაწარმოებს საზოგადოდ სახელს უტეხდა. ასეთი თხზულებები ქართულადაც უთარგმნიათ ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ოფიციალური ცენზურა მათ ბიზანტიაში მოსპობდა. ამ „გარყენილი“ კატეგორიიდან უნდა იყვნენ, სხვათა შორის, ის ფანტასტიური, დაუჯერებელი სასწაულე-

ბით აღსავსე აპოკრიფული „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“, რომლებიც ქართულ თარგმანში შენახულან მხოლოდ და რომელნიც გამოცემულია ჩვენ მიერ, სახელდობრ: იოანე ურჭავლის, აგათანგელე დამასკელის, ფილექტიმონის და პანსოფი ალექსანდრიელის.

ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული მწერლობა მეტად დიდს, საინტერესო და ბიზანტიის მწერლობისათვის უცნობ მასალას იძლევა. ამით აიხსნება ის ყურადღება, რომელსაც ბოლოდროს იჩენენ ამ მწერლობისადმი სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებანი როგორც საზღვარგარეთ, მაგალითად. ბოლანდის ტოთა უძველესი კოლეგია, ისე რუსეთში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1915 წელს, რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში, თანახმად ჩვენი წერილობითი მოხსენებისა, რომელიც მას აკად. მ. მარმა წარუდგინა თავისი საკუთარი დასკვნით, შეიქნა საგანგებო სერია „Monumenta hagiographica Georgica“-ს სახელით, რომელსაც ჩვენი უშუალო ხელმძღვანელობით უნდა რვა ტომად გამოეცა ქართული ჰაგიოგრაფიის ისეთი ტექსტები, რომელთა ბერძნული თუ სხვა დედანი დღეს უკვე დაკარგულია. 1918 წელს, როდესაც გაიხსნა ჩვენი უნივერსიტეტი, გამოვიდა პირველი ტომი ამ გრანდიოზული წამოწყებისა, რომელმაც იმდენი ყურადღება დაიმსახურა საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში, რომ იმაში მოთავსებული მასალა ნაწილ-ნაწილ ითარგმნებოდა ლათინურ ენაზე ცნობილი ორიენტალისტის და ჰაგიოლოგის პეტერსის მიერ. მასალები ამ სერიის შემდეგი ტომებისათვის დამზადებულია, საქიროა მხოლოდ პირობები და სახსრები მათი გამოცემისათვის.

მეათე საუკუნის გასულისათვის ჰაგიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება. თანახმად განვითარებული გემოვნებისა და ლიტერატურული მოთხოვნებისა, ბიზანტიაში იწყება ძველი „კიმენის“ რედაქციის ტექსტების შესწორება და მათი გავრცობა-შეღამაზება. ამან საფუძველი ჩაუყარა ე. წ. მეტაფრასტულ ჰაგიოგრაფიას. ამ მიმართულების მამამთავრად ითვლება გამოჩენილი ბიზანტიელი მწერალი სვიმეონ ლოლოთეტი. საკითხი სვიმეონის მეტაფრასტული მოღვაწეობის, მისი ხასიათის, მოცულობისა და დროის შესახებ, ამდენხან მეცნიერებაში საცილობელი და გაურკვეველი, საბოლოოდ გაირკვა ამ ბოლოხანს ქართული მასალების საშუალებით. ჩვენს ძველ ნაწერებში აღმოჩნდა ერთი დოკუმენტი, ჩვენ მიერ რუსულად გამოცემული და კომენტარებული, რომელსაც ეწეოდა „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტისა“. ამ დოკუმენტიდან, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის, ირკვევა, რომ სვიმეონ ლოლოთეტს გადაუმეტაფრასებია შემოდგომა-ზამთრის (სექტემბერი-იანვარი) თვეთა ჰაგიოგრაფიული ტექსტები და თავისი შრომა 982 წელს დაუწყია.

სვიმეონის შრომის გამგრძელებლის შესახებ მეცნიერებამ არაფერი იცოდა. ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთი დოკუმენტი, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ დანარჩენი 7 თვის (თებერვალი-აგვისტო) ტექსტები გადაუმეტაფრასებია ერთს, ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში ამდენხან უცნობ მწერალს, იოანე ქსიფილიონს, რომელიც თავის შრომას 1081 წელს შესდგომია. ეს ცნობა სრულიად მოულოდნელი, ანაზღაურელი აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცია გამოიწვია დაინტერესებულ სა-



მეცნიერო წრეებში, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. ყველაზე უფრო რადღებო შეიქნა ის, რომ ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება. ქართულად ქსიფილინოსის შრომა უთარგმნიათ მეორემეტე საუკუნეში, დიმიტრი მეფის დროს (1125—1154), საფიქრებელია გელათის აკადემიაში. ეს უზარმაზარი, უდიდესი კულტურული ღირებულების შემცველი შრომა ჯერ კიდევ ვამოცემას მოელის.

\*  
\* \*

ჩვენ წარმოვადგინეთ ზოგადი და მეტად მკრთალი სურათი იმ აღმოჩენებისა, რომლებიც მოხდენილია უძველესი ქართული ლიტერატურის წილში და რომლებიც ავსებენ ბიზანტიური მწერლობის ისტორიის მნიშვნელოვან ხარვეზს. ამით, რასაკვირველია, არ ამოიწურება მთლიანად ის წვლილი, რომელიც ქართულ ლიტერატურას ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში შეაქვს და რომლის ცნობაში მოყვანას ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავდა ძველი ქართული ლიტერატურის კათედრა თავის მუშაობაში. ეს ახლად აღმოჩენილი ავტორები და მათი თხზულებები დღეს მოყვანილია ცნობაში<sup>1</sup>, მაგრამ ამით მუშაობა არ დამთავრებულა და არც შეიძლება დამთავრდეს.

მაშ რა პერსპექტივები გვესახება ჩვენ შემდგომი მუშაობის პროცესში?

1. აუცილებელი საჭიროა გაღრმავება ძიებისა აღებული გეზით და უკვე აღმოჩენილი და გათვალისწინებული მასალების კრიტიკულ-აკადემიური გამოცემა. უნდა გამოვტყდეთ, რომ უძველესი ლიტერატურული ძეგლების გამოცემის მხრივ ძალიან ცოტაა ჯერჯერობით გაკეთებული.

2. თუ მხედველობაში გვექნება, რომ უძველესი პერიოდის ქართული მწერლობა მტკიცე ურთიერთობაში იმყოფებოდა, ბიზანტიურის გარდა, მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა ლიტერატურასთან, როგორცაა სირიული, სომხური, არაბული, უნდა გაიშალოს კვლევა-ძიებითი მუშაობა ამ ურთიერთობათა ხასიათის გამოსავლინებლად, უფრო მეტად, ვიდრე ეს დღემდეა გაკეთებული. ამ მიმართულებითაც არანაკლები სურპრიზებია მოსალოდნელი მეცნიერებაში; ამის გარანტიაა აკად. ნ. მარის კაბიტალური გამოცემები (იპოლიტეს „ქება-ქებათა“, ანტიოქე სტარატიგის „წარტყუნვა იერუსალიმისა“ და სხვ.) და, თუ გნებავთ, ამ დღეებში ჩვენ მიერ გამოქვეყნებული „ცხოვრება“ ტიმოთე ანტიოქელისა, რომლის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით.

3. უმდიდრესი, შინაარსიანი და თავისებური ძველი ქართული საერო მხატვრული ლიტერატურა, ორიგინალური და ნათარგმნი, დაჟინებით მოითხოვს

<sup>1</sup> ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941 და „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, 1927წელი.

ქართულ-სპარსული და ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემათა უფრო ინტენსიურ დამუშავებას. საკმარისი არაა ამ დარგში მუშაობა შემოიფარგლოს რამდენიმე, თუგინდ მეტად მნიშვნელოვანი, ძეგლით (ვისრამიანი, ვეფხვისტყაოსანი, შაჰნამე, ქილილა და დამანა და სხვ.). სამკალი აქაც მდიდარია, არანაკლებ, ვიდრე ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობათა დარგში.

4. რაც შეეხება ახალსა და თანამედროვე ლიტერატურას, საჭიროა მკაფიოდ იყოს გარკვეული და ნაჩვენები, თუ როგორ ტყდებოდა და ტყდება ახალი, — ბურჟუაზიული (XIX—XX სს.) და სოციალისტური (XX ს.), — ცხოვრებისა და მშენებლობის მოვლენები მხატვრული შემოქმედების პრიზმაში, კვლევა-ძიებამ უნდა დაგვანახოს, — ამბობს თუ არა ქართული ლიტერატურა თავის სიტყვას და როგორ ამბობს? ამისათვის კი უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება ქართულ-რუსულ და ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებს.

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა მეტი ყურადღების ღირსია, მისი ყოველმხრივი შესწავლა დღესაც ათქმევინებს კომპეტენტურ მკვლევარს იმ სიტყვებს, რომელთაც მეთვრამეტე საუკუნეში განათლებული „ელნიები“ „ბარბაროს“ ქართველთა წარმომადგენელს, გიორგი ათონელს, ეუბნებოდნენ ბიზანტიამი: „დაღაცათუ ნათესავი ხარ ქართველი, სხვითა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარო“. მისი მეცნიერული შესწავლა ქედმაღალ ევროპელებს ნათლად დაანახებს, რომ ლიტერატურისა და საზოგადოდ კულტურის დარგში შემოქმედებითი უნარი არ არის მათი მონოპოლია და პრივილეგია, რომ ასეთს უნარს ქართველებიც არ ყოფილან მოკლებული, ის ქართველები, რომელთაც, პროფ. ა. ჰარნაკის გულახდილი განცხადებით, „თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია მათთან“, ევროპელებთან. მაგრამ, იმავე ჰარნაკის სიტყვებით რომ ვიკითხოთ, „გამოჩნდებიან კი მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შესძლებენ შესწავლონ“ ამ ერის ლიტერატურა და კულტურული მემკვიდრეობა? ჯერ მაინცდამაინც არც ისე მოჭარბებულად ჩანან! გული გიკვდება, როდესაც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის მიმომხილველნი ქართული ლიტერატურის შესახებ დუმილს ამართლებენ შემდეგი სიტყვებით: *Leider liess sich für die georgische Litteratur kein sachkundiger und zugleich des Deutschen mächtiger Bearbeiter gewinnen* (პროფ. ბროკელმანი). საჭირო კია ვუცადოთ მათ შორის ასეთი მეცნიერების გამოჩენას? არა! ჩვენი კულტურული წარსულის შესწავლის ინიციატივა ჩვენს ხელში უნდა იყოს, ჩვენ თვითონ უნდა გადავლახოთ ყოველგვარი სიძნელე და ჩვენი სახე თვითონ ვაჩვენოთ მტრებსა და მეგობრებს. ჩვენ უნდა ჩვენი ხელით შევადლოთ მოწინავე მეცნიერების კარები, შევიდეთ შიგ ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული სიმდიდრით და ჩვენი სიტყვა ვთქვათ იქ. საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია ყოველგვარ პირობას გვიქმნის ამისათვის, საჭიროა მხოლოდ ის ახალგაზრდა მეცნიერები, რომელთა შესახებაც ჰარნაკი ლაპარაკობდა, ჩვენშივე გამოჩნდნენ და აქვე აღიზარდონ. ჩვენ, უნივერსიტეტის მუშაკთა პირველი, უფროსი თაობა, თანდათან მივიღვივართ:

ჩვენ გარდასრულვართ, სიბერე გვჭირს, ჭირთა უფრო ძნელს,  
 დღეს არა, ხვალე მოვეკვებით, სოფელი ასრე მჭნელია!

ჩვენ გამგრძელებლები გვინდა. ისეთი გამგრძელებლები, რომელნიც თავიანთი  
 საქმიანობით სამშობლოს გულდამშვიდებით ათქმევენებენ:

იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა.

დეე მოვიდეს, მოვიდეს, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მოვიდეს!!

გ. ახვლედიანი

თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება  
საქართველოში

I

1921 წლით სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა საქართველოს ისტორიაში, მისი წინანდელი ისტორიის მრავალსაუკუნოვან მანძილზე სრულიად უნახველი და მხოლოდ ოცნების საგანი მშრომელთა მასებისათვის. და ეს იყო დასაწყისი ბრწყინვალე წარმატებათა არა მხოლოდ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-ეკონომიურ დარგებში, არამედ საზოგადოებრივ-კულტურულშიც. ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, კერძოდ, მეცნიერების და მათ შორის ენათმეცნიერების განვითარების საქმეში. თბილისის უნივერსიტეტი — ამჟამად დიდი სტალინის სახელობისა — საბჭოთა საქართველოსთან ერთად იწყებს რეალურ არსებობას, ხოლო ქართული ენათმეცნიერული აზროვნება განუყრელია თბილისის უნივერსიტეტის სახელთან: ქართული ენათმეცნიერება — სხვადასხვა საენათმეცნიერო დარგის ჩასახვა-განვითარება ქართულ ენაზე და ენათმეცნიერული ინტერესების გაღვივება ფართო მასებში — დაიწყო (და იზრდება უმთავრესად) თბილისის უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის იმ გზებით, რომლებითაც იგი იმთავითვე მჭიდროდ დაუკავშირდა ფართო საზოგადოებრიობას.

მართალია, საენათმეცნიერო მუშაობა მიმდინარეობდა უნივერსიტეტის გარეშეც (ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში 1923 წლიდან) და დიდის წარმატებით მიმდინარეობს დღესაც აკად. ნ. შარის სახელობის ინსტიტუტში (1935 წლიდან), მაგრამ ეს მუშაობა დაკავშირებულია იმავე თბილისის უნივერსიტეტთან არა მხოლოდ, ასე ვთქვათ, მემკვიდრეობისა და ფილიაციის ძალით, არამედ საერთო მეთოდოლოგიით, მიზანდასახულობითა და მიმართულებით: ამიტომ თბილისის უნივერსიტეტი ქართული ენათმეცნიერების კერად უნდა იქნას მიჩნეული. ქართული ენათმეცნიერების აკვანი თბილისის უნივერსიტეტია, რომელშიც ჩაისახა და განვითარდა არა ერთი და ორი ათეული სხვა ენათმეცნიერო დარგი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებითა და ხელმძღვანელობით და აკად. ი. ვ. ჯავახიშვილის მეთაურობით, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობოდა საენათმეცნიერო დისციპლინებს.



ქართულ საენათმეცნიერო-გრამატიკულ აზროვნებას, — ისევე, როგორც მრავალ სხვა დარგს — უძველესი ტრადიციები აქვს საქართველოში; ამის შესახებ უტყუარი ცნობებიც მოგვეპოება. მაგრამ ასეთ ცნობებზე უფრო მეტადაა დამაჯერებელი ის პირველხარისხოვანი უხვი წერილობითი — ეპიგრაფიკული და წიგნური — ძეგლები, რომლებსაც ჩვენამდის მოუღწევია და რომლებიც უეპეკლია, მხოლოდ ნაწილსა წარმოადგენენ უფრო დიდისას: ამ ძეგლებში ასახული დახვეწილი ენა და დაწერილობა — ეპოქების მიხედვით მთლიანი და ნორმირებული — შეუძლებელია არსებულყოფი უძველესი სალიტერატურო ტრადიციის გარეშე და, მასთანამე, მაღალი გრამატიკული და დროის შესაფერისი საენათმეცნიერო აზროვნების გარეშე. ასეთი ღრმა ტრადიციის გარეშე შეუძლებელია შექმნილიყო თუნდაც XVIII საუკუნის ისეთი ღირსშესანიშნავი ლექსიკოლოგიური ნაშრომი, როგორცაა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომლის მსგავსი იმ დროისათვის არც ისე ბევრი აქვს მსოფლიოს რომელიმე ენას. თვით ანტონ I-ის გრამატიკული სკოლის არსებობაც (დაფასების გარეშე) ძველ ტრადიციას მოწმობს.

XIX საუკუნის მანძილზეც კი იგრძნობოდა, ალბათ, ძველი ტრადიცია. თუ უკვე პოლიტიკურად და საზოგადოებრივად უფლება-აყრილი ერის მოწინავე შვილები (მაგ., პლატონ იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი, თედო ყორანია, მ. ჯანაშვილი, ი. გოგებაშვილი, ს. ხუნდაძე და მრავალი სხვა) მაინც არ სწყვეტდნენ ტრადიციის ხაზს გრამატიკული აზროვნების დარგში; იყო, ალბათ, ძველი ტრადიციების ნაშთისა გამომყდენება კერძო ინიციატივისა და პირადი გმირობის სახით; თორემ ერის პოლიტიკური მდგომარეობა და საზოგადოებრივი მოთხოვნილება აღარ იძლეოდა იმის სტიმულს, რომ ქართულ ენაზე განვითარებულიყო რაიმე მეცნიერება, კერძოდ, ენათმეცნიერება — სკოლისა და სხვა დაწესებულებათა გარუსების პოლიტიკის პირობებში და შესაფერი სამეცნიერო დაწესებულების უქონლობის გამო. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში აღარ მოხერხდა საქართველოში სასკოლოპრაქტიკული გრამატიკის ფარგლებიდან გამოსვლა. მაშინ როდესაც დიდ ქვეყნებში, თუნდაც იმავე რუსეთში, ენათმეცნიერული აზროვნება უკვე მაღალ საფეხურზე იდგა, ჩვენში დამყარდა სასკოლო გრამატიკის ტრადიცია პრიმიტიული მეთოდოლოგიით. თავისი დროისათვის გამოჩენილი ენათმეცნიერის ა. შლანიხერის „დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“ — ც (1863) კი იყო თარგმნილი, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ჩვენში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. საქართველოს გარეთ კი ქართველი ხალხის შვილები საგრძნობი რაოდენობით ეწეოდნენ მეცნიერულ მუშაობას, კერძოდ, ენათმეცნიერებასა და ფილოლოგიაში, და ზოგიერთი მათგანი დიდი მეცნიერის სახელსაც იხვეჭდა. ასეთები იყვნენ, მაგ., დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი, ი. ვ. ჯავახიშვილი (თბ. უნივერსიტეტის დაარსებამდის), ი. ყიფშიძე და განსაკუთრებით აკად. ნ. მარო. საჭირო იყო ოქტომბრის დიდი რევოლუცია, რომ დამსხვრეულიყო ქართველი ხალხის ნიჭიერების შემზოქველი პირობები და აღორძინებულიყო ეროვნული შემოქმედება სოციალისტური შინაარსით, განვითარებულიყო ქართული მეცნიერება და მათ შორის ენათმეცნიერებაც.

სასკოლო პრიმიტიულმა გრამატიკებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა

ლეს, რასაკვირველია, იმ დროს; საუკეთესო მათგანი კარგა ხანს ემსახურებოდა ჩვენს საზოგადოებრიობასა და ქართულ სალიტერატურო ენას უნივერსიტეტის დაარსების შემდეგაც, სანამ მეცნიერულმა გრამატიკამ ფეხი არ მოიკიდა ჩვენს საზოგადოებასა და სკოლაში: XIX საუკუნეში შექმნილი ტრადიცია ჯერ კიდევ კარგა ხანს იჩენდა ძალას. მაგ., ცნობილია სილოვან ხუნდაძის დიდი დამსახურება სკოლაგავლილ ახალგაზრდობაში სალიტერატურო ქართულის ნორმების ჩანერგვის მხრით, მაგრამ ქართული ენა ჯერ კიდევ არ იყო იმდენად შესწავლილი, რომ თვით ეს ნორმები ყოფილიყო მის მიერ სწორად დადგენილი. დამახასიათებელია, რომ ამ გამოჩენილმა პედაგოგმა და სალიტერატურო ქართულის დაცვისათვის თავდადებულმა მუშაკმა უარყოფითად შეაფასა საენათმეცნიერო დარგში ისეთი ღირსშესანიშნავი შრომა, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა ქართული ენის კვლევაში — აკაკი შანიძის გამოკვლევა „სტუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920). ცხადი გახდა, თუ საითკენ უნდა წარმართულიყო ასეთ პირობებში იმ ორი ახალგაზრდა ენათმეცნიერის (ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის) მუშაობა, რომლებიც ივ. ჯავახიშვილისა ხელმძღვანელობით სათავეში უდგნენ ზოგად და ქართველურ ენათმეცნიერებას. (მხოლოდ ორის, რადგანაც მათზე უფროსი და უკვე მაშინ გამოჩენილი ქართველოლოგი-ენათმეცნიერი, პროფ. იოსებ ყიფშიძე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეგრულ-ჭანურის კვლევას თავისი ფუძემდებელი შრომებით, უკვე 1919 წელს დაჰკარგა უნივერსიტეტმა, რაც აუნაზღაურებელ დანაკლასად იგრძნობოდა ქართველური ენათმეცნიერებისათვის. მას დღესაც — ამ დიდი ზეიმის დროს — გულისტკივილით ვიგონებთ უნივერსიტეტის ძველი და ახალი მუშაკნი. ის ვერ მოესწრო იმ დღესაც კი, როცა მისმა თანასპეცილისტმა, ახალგაზრდა მეცნიერმა აკაკი შანიძემ, სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა ზემოხსენებული ნაშრომი: ეს იყო თბილისის უნივერსიტეტში დისერტაციის პირველი დაცვა).

მათი სასწავლო-სამეცნიერო მუშაობა უნდა მიმართულიყო — და მიიმართა კიდევ — პირველ რიგში რაც შეიძლება მეტი მაღალკვალიფიცირებულ მასწავლებელთა კადრების მომზადებისაკენ განახლებული და გაეროვნებული სკოლისათვის, რომელი კადრებიც, ენათმეცნიერულ აზროვნებაში გაწვრთნილნი და ქართული ენათმეცნიერების მიღწევებში გარკვეულნი, შეიტანდნენ სკოლაში სალიტერატურო ქართულის მეცნიერულ-გრამატიკულ გაგებას, რაც თავისთავად გულისხმობდა ქართულ-ქართველურ ენებზე საკვლევო მუშაობის გაშლის საჭიროებას; ამიტომ არანაკლებ საშური იყო სამეცნიერო კადრების მომზადება.

განახლებულმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ისეთი სასიამოვნო, მაგრამ მძიმე მოთხოვნები წაუყენა მაშინდელ ენათმეცნიერებსა და ფილოლოგებს, რომ მათი მოკლე ხანში დაკმაყოფილებისათვის მაშინდელი ძალები წარმოადგენდნენ ცვარს ზღვაში: სალიტერატურო ქართულის ნორმების დადგენა გადაუდებელი, საქმე იყო, რადგანაც სწავლა ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა გაეროვნებულ სკოლაში, სადაც ყველა საგანი ქართულ ენაზე ისწავლებოდა; ასეთ პირობებში სალიტერატურო ენის ნორმების უქონლობა ხიფათს





უმზადებს ერის საერთო სულიერატურო ენას; გადაუდებელი იყო საზოგადოებრივი ტერმინოლოგიის შექმნა მრავალი დარგისათვის როგორც საშუალო, იავე უმაღლესი სკოლისათვის; საჭირო იყო შემოწმებულიყო ენისა და შინაარსის მხრით ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, ხოლო ყველა სხვა დარგისა — ენის მხრით; მონაწილეობა მიეღოთ ენათმეცნიერ-ფილოლოგებს განსაკვირვებულ სათანადო საპროგრამო და მეთოდურ მუშაობაში და სხვა და სხვა.

საბედნიეროდ, ამ საპასუხისმგებლო საქმეში ენათმეცნიერებთან ერთად განუწყვეტლივ მონაწილეობდნენ ფილოლოგები, მომიჯნავე სპეციალისტები და მოწინავე პედაგოგები (ცნობილი მკვლევარი ს. გ. ორგანიზაციის, პროფესორები კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, შ. ნუცუბიძე, ვ. ბერიძე, გ. ნათაძე, მ. ზანდუკელი და სხვ.), რომელთაც თანდათან ემატებოდნენ ახლად მომზადებული კადრები (პროფესორები ს. ყაუხჩიშვილი, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, ს. იორდანიშვილი და სხვ.), რომელნიც, გაერთიანებულნი ი. ვ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, 20 წლის განმავლობაში შეუწელებლივ ეწეოდნენ ამ დიდმნიშვნელოვან შრომას ქართული სკოლისა და ქართული მეცნიერებისათვის — შემდგომი ორგანოების დახმარებითა და მითითებათა საფუძველზე.

დღეს, 20 წლისთავეზე, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, ხელისუფლების განუწყვეტლივ ზრდადი მზრუნველობით განმტკიცებული, პირნათლად და წარმატებით ასრულებდა და ასრულებს თავის მოვალეობას სკოლისა, მეცნიერებისა და საზოგადოებრიობის მიმართ, კერძოდ — უნივერსიტეტის საენათმეცნიერო კათედრები, მომიჯნავე სპეციალისტების დახმარებით.

თამამად შეგვიძლია დღეს გავაცხადოთ, რომ საშუალო სკოლა თითქმის გაქრულია ჩვენი უნივერსიტეტის მიერ მომზადებული მასწავლებლებით, რომელთა ხელში ქართულ ენას ხიფათი აღარ მოეღოს; რომ მოწაფეს ქართული ენის შესწავლისას საიმედო სახელმძღვანელო უჭირავს ხელში; რომ სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის მხრით ძირითადად უზრუნველყოფილია როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლა; რომ სალიტერატურო ქართულის ნორმები საერთოდ უკვე გვაქვს და სხვ.

გაბედულად შეიძლება ითქვას აგრეთვე, რომ ქართულ-ქართველურმა და ზოგადი ენათმეცნიერებისა და სხვა საენათმეცნიერო კათედრებმა მოამზადეს მკვლევართა რამდენიმე თაობა, რომელთაგან თითოეული ამზადებდა და ამზადებს ენათმეცნიერთა მომდევნო თაობას; რამდენიმე მათგანს უკვე პირველხარისხოვანი მეცნიერის სახელი აქვს მოხვეჭილი, ხოლო უმცროსთა რიგი ასეთივე იმედის მომცემია. თბილისის უნივერსიტეტის საენათმეცნიერო კათედრებს ამშვენებენ უნივერსიტეტის პირმშო ენათმეცნიერები ვ. თოფურია და ა. ჩიქობავა და რამდენიმე ათეული ასპირანტი, მათ შორის ზოგად ენათმეცნიერებას სტალინელი სტიპენდიატი-ასპირანტი თინათინ შარაძენიძე.

აგრეთვე თამამად შეიძლება გავაცხადოთ, რომ 20 წლის თავზე უკვე გადაჭრილია მრავალი ათეული პრობლემა ქართულ-ქართველური და სხვა კავსისიური ენების სტრუქტურისა ისტორიულად და ნაწილობრივ შედარებითად და,

მამასადამე, მეცნიერული პროდუქციის მხრით, ენათმეცნიერთა კულტურული ცდილობს მოწოდების სიმაღლეზე იდგეს და ღირსეული წევრი იყოს დიდი ბელადის სახელობის უნივერსიტეტის.

თავისთავად ცხადია, რომ არცერთი მხრით საენათმეცნიერო მუშაობა დამთავრებულად არ შეიძლება ჩაითვალოს: დაკმაყოფილებულია მხოლოდ ცალკეული მოთხოვნილებები და გადაჭრილია მხოლოდ ცალკეული პრობლემები. ამიტომ ენათმეცნიერთა კადრების ზრდა განუწყვეტელი უნდა იყოს, რადგანაც კვლევის ობიექტი ფართოვდება როგორც ქართველურ ენათა ფარგლებში, ისე სხვა კავკასიურ ენათა მიმართულებით: თვით ქართული ენის შესწავლის გაღრმავება მოითხოვს ამას. ჩვენი საშუალო სკოლა იზრდება რიცხვობრივ და ხარისხობრივ. — ამიტომ იგი უფრო მეტსა და უკეთეს მასწავლებლებს მოითხოვს... იზრდება და ფართოვდება (ან დიფერენცირდება) სხვადასხვა მეცნიერება ჩვენში. — ამიტომ თითოეული მათგანი მოითხოვს უფრო მოქნილსა და დაზუსტებულ ტერმინს და ასე შემდეგ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ფართოვდება ჩვენში საენათმეცნიერო მოთხოვნილებები, მოვიყვან ჩვენი ზრდის ნიმუშებს უნივერსიტეტისა და მარის ინსტიტუტის ბოლო წლების ისტორიიდან.

ქართული ენა ერთადერთი კავკასიური ენაა, რომელიც უხვადაა ისტორიულად დოკუმენტირებული მრავალ საუკუნეთა მანძილზე: მისი მეცნიერული შესწავლა თანდათან შექველად ხდის მის კულტურულ-ისტორიულსა და გენეზისურ კავშირს წინააზიის უძველეს კულტურულ ხალხთა ენებთან. მეორე მხრით, შექველი ხდება აგრეთვე, რომ ქართული ენა დაკავშირებულია კავკასიურ ენებთან არა მხოლოდ უახლესი საუკუნეების კულტურული ურთიერთობის გამო, არამედ აგრეთვე გენეზისურადაც, შორეულ წარსულში. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ რაც უფრო ღრმად იქნება შესწავლილი ქართველური ენები, მით უფრო მეტი შუქი მოეფინება ზემოხსენებულ კავშირს ორივე მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრით, მით უფრო ღრმად იქნება შესწავლილი ქართველური ენები, მით უფრო შორს მისწვდება მკვლევარი მათს წინაისტორიულ ვითარებას, რაც უკეთ გაირკვევა ქართველური ენების წინაისტორიული ურთიერთობა ზემოხსენებულ ენებთან. ეს კი მოითხოვს იმას, რომ თვით კავკასიური ენების თანამედროვე მდგომარეობა იყოს რივიანად შესწავლილი; აგრეთვე წინააზიის უძველეს ხალხთა ენებიც. მართალია, კავკასიური ენები იკვლეოდა და იკვლევა დღესაც რამდენიმე ენათმეცნიერის მიერ (უცხოეთშიც და საბჭოთა კავშირშიც), მაგრამ მხოლოდ უმთავრესი მათგანი და არა იმ თვალსაზრისით, რომლითაც ისინი ჩვენ უნდა გვიანტერესებდნენ; განსხვავებაა აგრეთვე მეთოდოლოგიაშიც. იგივე ითქმის წინააზიის ენების შესახებაც შესწავლის თვალსაზრისის მხრით (მკვლევართა რიცხვი კი მათ არ აკლიათ!), რის გამოც იმ ენებში მკვლევართათვის გაურკვეველი რჩება ისეთი რამ, რაც შესაძლოა ახსნილ იქნას ქართველურ (ან სხვა კავკასიურ) ენათა საშუალებით (მაგ., მათი ბგერითი შედგენილობა, ზოგიერთი ბრუნვის მაჩვენებელი ფორმანტები, სქეს-კატეგორია და სხვ.). მამასადამე, ქართველურ ენათა გაღრმავებულ შესწავლას ახალ პერსპექტივებს უსახავს კავკასიის ცოცხალ ენათა და წინააზიის გადაშენებულ ენათა შესწავლა, ხოლო, მეორე



მხრით, ქართველურის, როგორც ძველმწერლობიანის ენის, მონაცემთა კატეგორიის  
 ყენება აუცილებელია კავკასიურ და წინააზიის ენათა მრავალი მოვლენის გა-  
 სარკვევად. აქედან სრულიად თანამიმდევრულად გამოტანილ იქნა შესაფერ-  
 ორგანიზაციული დასკვნა საენათმეცნიერო-ისტორიული კვლევის შემდგომი  
 განვითარებისათვის, და ჩვენმა ენათმეცნიერებმა (და ისტორიკოსებმა) დღის-  
 წესრიგში შეიტანეს ამ მიმართულებით მუშაობა იმ ნაცადი მეთოდებით, რომ-  
 ლებმაც თავისი თავი საკმარისად გაამართლეს ქართველურ ენათა კვლევისას.

თუ რა შედეგებია მოსალოდნელი უძველესი კულტურის ისტორიისათვის  
 ამ ხაზებით მიმართული კვლევისაგან, ადვილად დაინახავთ ჩვენი დიდი ისტო-  
 რიკოსისა და ენათმეცნიერ-კავკასოლოგის აკად. ივ. ჯავახიშვილის  
 სიტყვებიდან: „...მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქარ-  
 თველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შო-  
 რის ხალღურ, ხეთურ და სუმერულთანაც, ნათესაობის საკითხებით, მათი თავ-  
 დაპირველ სამშობლოსა და მერმინდელი ვადმოსახლების ისტორიით... ამ პრობ-  
 ლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა  
 შეადგენდეს, რადგან ეს ენათმეცნიერული საკითხები ჩვენვე გვებება“... ამ  
 სტრიქონებს რომ წერდა ჩვენი უნივერსიტეტის დამაარსებელი, სტამბაში იმა-  
 ვე დროს იბეჭდებოდა ამ მითითებათა საფუძვლიანობის ყველაზე დიდი არგუ-  
 მენტი — მისივე შეიდასზე მეტგვერდიანი შრომის სახით „ქართული და კავკა-  
 სიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937), რომელშიც გან-  
 ხილულია ამ ენათა ნათესაობის კარდინალური საკითხები (წინააზიის ენებთან  
 ქართველური ენების ურთიერთობის საკითხები ივ. ჯავახიშვილს თავის ადრინ-  
 დელ შრომებშიც აქვს დასმული). სწორედ ამავე 1937 წლიდან იწყება უკვე გა-  
 მოქვეყნება აკად. მარის სახელობის ინსტიტუტში კავკასიურ ცოცხალ და წინა-  
 აზიის უძველეს ენათა კვლევის შედეგებისა. როგორც ივ. ჯავახიშვილის  
 შესანიშნავი შრომა წარმოადგენს დიდი მეცნიერის რამდენიმე წლის მუშაობის  
 ნაყოფს, ისე ჩვენი სხვა კავკასოლოგების მნიშვნელოვანი შრომები გულისხმობენ  
 წინა მოსამზადებელ პერიოდს. უნივერსიტეტის საენათმეცნიერო კათედრებმა,  
 მეტადრე კავკასიურ ენათა კათედრამ, და ენიმკი-ს საენათმეცნიერო განყო-  
 ფილებებმა, მეტადრე კავკასიურისამ, ადრევე გაითვალისწინეს ქართული  
 ენათმეცნიერების განვითარების ეს გზები და აქეთ მიმართეს თავიანთი ყურა-  
 ღლება. უკვე 1933 წლიდან დაიწყო არსებობა თბილისის უნივერსიტეტში კავ-  
 კასიურ ენათა კათედრამ (პროფ. ა. ჩიქობავას ხელმძღვანელობით), რომლის  
 მიერ გამოშვებული კადრებიდან უმრავლესობა ასპირანტებია კავკასიურ ენათ-  
 მეცნიერებაში (რამდენიმე მათგანი უკვე ასპირანტურასაც ამთავრებს). კათე-  
 დრამ ამავე დროს გაშალა მძლავრი გეგმიანი საკვლევო მუშაობა იმ ძალებით,  
 რომელთაგან უფროსი თაობა ადრიდანვე მუშაობდა კავკასიურ ენებზე (ა. შა-  
 ნიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფური, ს. ჯანაშია), ხოლო უმცროსი  
 თაობა (ქ. ლომთათიძე, ვლ. ფანჩვიძე, თ. გონიაშვილი, გ. რო-  
 გავა) იღებს სათანადო სამეცნიერო კვალიფიკაციას, იცავს დისერტაციებს და  
 თანდათან ებმება კავკასიურ ენათა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობაში—უნი-  
 ვერსიტეტში კათედრისა (1933 წ.) და ენიმკი-ში განყოფილების (1936 წ.)  
 დაარსების პირველ წლებშივე. აი, ამ მძლავრი კოლექტივის გატბოვლებული

მუშაობის შედეგებით დაიწყო დიდი ისტორიკოსის მითითებათა განხორციელება. კათედრას და განყოფილებას დღეს ექვსი კავკასიური ენის (ყაზაროული, ბაცური, კაუჭური, უდური, დარგული, ინგუშური) ექვსი ასპირანტი ჰყავს, რომელთაგან ორმა უკვე სადისერტაციო შრომა წარმოადგინა.

ამიტომ აკად. ივ. ჯავახიშვილის გოდება „სამწუხაროდ, ასეთი პრობლემების შესასწავლად... საგრძნობლად ჩამორჩენილები ვართ“-ო, სამართლიანი წინა წლებისათვის, უსამართლო იყო, მისსავე სასიხარულოდ. უკვე იმავე წლის ბოლოს და, მით უმეტეს, იმის შემდეგ დღემდის, ასეთ არაჩვეულებრივ წარმატებას მხოლოდ საბჭოურ სინამდვილეში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, კერძოდ იმ ყურადღებისა და დახმარების შედეგად, რომელიც აპ. ლ. ბერიამ აღმოუჩინა ამ და ანალოგიური სამეცნიერო საკითხების მკვლევართ. „ქართულ მეცნიერებას რევოლუციამდე გზა დახშული ჰქონდა, — ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი... ყოველმხრივ გაჭირვებული მდგომარეობაც ქართველ მეცნიერებს ფართო გასაქანის შესაძლებლობას უსპობდა. მას შემდგომ, განსაკუთრებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, ქართველი მეცნიერების მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, სათანადოდ მომზადებულ მაღალხარისხიან მეცნიერთა რიცხვმაც თვალსაჩინოდ იმატა...“.

ამიტომ დღეს, 20 წლის თავზე, იმედინად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს კავკასოლოგი-ენათმეცნიერები უკვე რიგიანად უძღვებიან კავკასოლოგიის ძნელ პრობლემებს, გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები და, რაც მთავარია, შექმნილია საკმარისი წინამძღვრები (მაღალკვალიფიცირებული ძირითადი კადრები, კათედრისა და განყოფილების დაზუსტებული გეგმიანი ხელმძღვანელობა და შემდგომ ორგანოთა ყურადღება) იმისათვის, რომ ჩვენმა ენათმეცნიერებმა პირნათლად შეასრულონ ის დიდი მოვალეობა, რომელიც ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე უნდა დერძა მათ აკად. ივ. ჯავახიშვილმა: „ქართულის და ქართველურ ენათა მეცნიერულს კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს... საქართველო უნდა ამ ენებზე კვლევა-ძიების უმთავრეს ცენტრად ვაქციოთ...“ თუ რა მიღწევები აქვთ უკვე ჩვენს ქართველოლოგ-კავკასოლოგ ენათმეცნიერებს, ეს ჩანს თუნდაც ჩვენი ენათმეცნიერების სახელოვანი გამოსვლებიდან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიაზე 1940 წ. აკადემიის სათანადო განყოფილების მიწვევით.

ქართულ ენათმეცნიერებაში საკვლევი ობიექტისა და პრობლემემატიკის ზრდა გამოიხატა, კავკასოლოგიის გარდა, მრავალი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებასა და მნიშვნელოვან განვითარებაში. ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი — ქართველოლოგია-კავკასოლოგიის დარგში კონკრეტული მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ საუბრისას; აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: საენათმეცნიერო დისციპლინათა მთელი რიგი იმთავითვე იყო წარმოდგენილი ჩვენს უნივერსიტეტში ცალკეული სასწავლო საგნებისა და ენების სახით, როგორც მხოლოდ დამხმარე საგნები ქართველოლოგიისათვის (ზოგადი ენათმეცნიერების შესავალი, არაბული, სპარ-



სული, სომხური და თურქული ენები, ძველი ინდური, ბერძნული (საქართველოში), სომხური ენები, აგრეთვე რუსული და დასავლეთ-ევროპის ენები), და არა როგორც კვლევის ობიექტი, რადგანაც საამისო ძალები ამ საგანთა უმრავლესობაში უნივერსიტეტს პირველ ხანებში არ მოეპოებოდა. მაგრამ თანდათანობით, რუსეთის სამეცნიერო ცენტრებსა და საზღვარგარეთ (დასავლეთ-ევროპაში, თურქეთსა და ირანში) მივლინების გზით, უნივერსიტეტმა შემოიკრიბა ძალები — ზოგი ადგილობრივიც — და დამხმარე საგნები რამდენიმე წლის შემდეგ იქცნენ დამოუკიდებელ დისციპლინებად ჩვენს უნივერსიტეტში და ზოგიერთ მათგანში სასწავლოსთან ერთად გაჩაღდა სამეცნიერო მუშაობაც. ამ ბოლო წლებში, მეტადრე 1935 წლიდან, უაღრესად მნიშვნელოვანი მუშაობა გაშალა არაბისტიკასა, ირანოლოგიასა და თურქოლოგიაში მარის სახელობის ინსტიტუტმა.

არმენოლოგიის კათედრა უნივერსიტეტში (გამგე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგე) აერთიანებს როგორც ლინგვისტურ, ისე ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინებს; მაგრამ ლინგვისტურ კვლევას — როგორც ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობის, ისე სომხური ენის დამოუკიდებლად შესწავლის საკითხებისას — კათედრაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კათედრაზე მომზადდა და მზადდება სამეცნიერო კვრები, ამ ხაზით მუშაობს დიდი წარმატებით სტალინელი დოქტორანტი ილია აბულაძე. კათედრამ უზრუნველყო სომხური ენის შესწავლა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებით, შესწავლილია სომხური ენის რამდენიმე კილოკავი საქართველოში. კათედრის წევრების მიერ გამოქვეყნებულია რიგი მნიშვნელოვან ნაშრომთა ლინგვისტურია ხასიათისა. ლინგვისტიკა-არმენოლოგი მზადდება კათედრაზე ასპ. ივ. შილაკაძის სახით.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარებული ირანისტიკაში უნივერსიტეტისა და მარის ინსტიტუტის ხაზით; მართალია, ირანოლოგიის მუშაენი უშთავრესად ეწევიან ფილოლოგიურ კვლევას, მაგრამ ლინგვისტური საკითხების დამუშავებასაც საკმაო ყურადღება ექცევა. პირველ რიგში ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობას ცნობილი მკვლევარის პროფ. იუსტინე აბულაძის მიერ, რომელიც სპარსული ენის ხელმძღვანელია უნივერსიტეტში მისი დაარსებიდანვე. კათედრის დანარჩენი წევრები (დოცენტები მ: ხუბუა, ვ. ფუთურიძე და დ. კობიძე) მნიშვნელოვან საკვლევო მუშაობას აწარმოებენ როგორც ფილოლოგიური, ისე ლინგვისტური მიმართულებით; ამ უკანასკნელი მხრით მეტად საყურადღებოა მათი ნაშრომები ქართულ-სპარსულის კულტურულ-ენობრივი პრობლემების კვლევის დარგში. წმინდა ლინგვისტური კვლევის საგანს წარმოადგენდა რამდენიმე წლის განმავლობაში აგრეთვე უნივერსიტეტში ერთ-ერთი ირანული ენა — ოსური (პროფ. გ. ახვლედიანი); გამოქვეყნებულია რამდენიმე საყურადღებო შრომა.

დიდი კვლევითი მუშაობა გაშლილი ახლდ აღმოსავლურ ენათა კათედრაზე უნივერსიტეტში (გამგე დოც. ს. ჯიქია) და ენიმიკის შესატყვის განყოფილებაში (გამგე დოც. გ. წერეთელი). კათედრაზე ერთიანდება თურქოლოგია და არაბისტიკა. ორივე ხაზით შესრულებულია რამდენიმე წლის განმავლობაში გარდა ფილოლოგიურისა და ისტორიულისა, უაღრესად მნიშვნელოვანი ლინგვისტური ხასიათის შრო-

მები. თურქოლოგიის ხაზით (დოც. ს. ჯიქია) მუშავდება ლემები როგორც თურქულ-ქართველურ ენათა კულტურულ-ენობრივი ურთიერთობის, ისე ანატოლიურ-თურქულის დამოუკიდებელი შესწავლის მიმართულებით. რიგ შრომებში უკვე მიკვლეულია მრავალი საყურადღებო ლინგვისტური მოვლენა, რომელიც შუქს ფენს როგორც ქართველურ ენათა ისტორიის ზოგიერთ მომენტს, ისე თვით თურქულისასაც. მნიშვნელობა აქვს გ. წერეთლის შრომებს არაბისტიკაში როგორც ქართველურ, ისე სხვა კავკასიურ ენათა შესწავლისათვის. მაგრამ სრულიად განსაკუთრებული თვით არაბული ენის შესწავლისათვის. გ. წერეთელს კვლევის საგნად აქვს ქართულ-არაბული კულტურულ-ენობრივი ურთიერთობა, ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის არაბული ძეგლები და მის მიერ აღმოჩენილი არაბული ენის დიალექტი შუა-აზიაში. მის მიერ გამოცემულია ლურსმული წარწერები „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ სათანადო ისტორიულ-ლინგვისტური გამოკვლევით: ეს პირველი შემთხვევაა ამ რიგისა და ასეთი სანიმუშო გამოცემისა საქართველოში; გამოკვლევაში გამოთქმულია ფრიად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი აზრი ქართულისა და ურარტულის ერთმანეთთან დამოკიდებულების შესახებ.

ისტორიულ-ფილოლოგიური მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე (გამგე პროფ. ს. ყაუხჩიშვილი). თავის მთელ რიგ ფილოლოგიურ გამოკვლევებსა და ტექსტების გამოცემებში ს. ყაუხჩიშვილი გზად აზნა არკვევს მრავალ ლინგვისტური ხასიათის საკითხს კულტურულ-ისტორიულ ასპექტში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია საქ. ისტორიისა და ქართველურ ენათა ისტორიისათვის. მზადდება კადრები წმინდა ლინგვისტური საკვლეო მუშაობის გასაშლელადაც.

თავისებური ადგილი ეკირა ჩვენი უნივერსიტეტის სისტემაში რუსულსა და ევროპულ ენებს. ისინი ისწავლებოდნენ ამ ენების არმიცოდნეთათვის; ამიტომ არავითარი სამეცნიერო მუშაობა ამ ენებში არ მიმდინარეობდა. ამ ენების მასწავლებლებს უნივერსიტეტი არ ამზადებდა. მაგრამ საშუალო სკოლის ქსელის გაფართოებამ და ამ ენების მასწავლებელთა ნაკლებობამ მოითხოვა განსწილყო უნივერსიტეტში სათანადო განყოფილებები. შემოკრებილ იქნა მაღალკვალიფიციური ძალები და ჩამოყალიბდა კათედრები რუსული ენის (გამგე. დ. მგელაძე) და უცხოურ ენათა (გამგე. ე. ტატიშვილი). კათედრებმა დიდი პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობა ჩაატარეს მოკლე ხნის განმავლობაში. შექმნეს სათანადო სახელმძღვანელოები (დ. მგელაძემ, ე. ტატიშვილმა, ი. გვარჯალაძემ და სხვ.), დაიბეჭდა რამდენიმე საგულისხმო მეთოდური და წმინდა ლინგვისტური გამოკვლევა (ს. ვაჩნაძე, დ. მგელაძე და სხვები) და ამ ბოლო ხანებში დაცულ იქნა სამი საკანდატო დისერტაცია (ა. სამსონია, დ. მგელაძე და ს. ვაჩნაძე). ამ კათედრათა მუშაობაში მონაწილეობს ზოგადი ენათმეცნიერების კათედრაც, მეტადრე ახალი სამეცნიერო კათედრების მომზადებაში. რუსული ენის კათედრას ოცამდე ასპირანტი ჰყავს. მათგან ცხრა უკვე დისერტაციებს ამზადებს. ოთხი ასპირანტი ჰყავს უცხოურ ენათა კათედრას (გერმ., ფრანგ. და ინგლისურში). ამიტომ სულ ახლო მომავალში ჩვენს უნივერსიტეტში გაიშლება ფა-



ქართული

რომ მეცნიერული მუშაობა რუსულისა და უცხოური ენების კვლევის უკანასკნელ, რამდენიმე სიტყვა ზოგადი ენათმეცნიერების შესახებ ჩვენში. თეორიული კვლევის მნიშვნელობა და საჭიროება იმთავითვე იყო გათვალისწინებული ჩვენს უნივერსიტეტში და, როგორც კი შეიქმნა ამის საშუალება კადრების მხრით, ეს მუშაობაც დაიწყო. ქართველოლოგთა და მით უმეტეს კავკასოლოგთა ლინგვისტური პრაქტიკა უამრავ მასალას იძლევა იმისათვის, რომ განაღდეს ჩვენში თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების ფართო კვლევა — ათვისებულ იქნას არსებული შეხედულებანი კრიტიკულად, რვეზირებულ იქნას ბევრი მათგანი და შეტანილ იქნას მათში ახალი, რის საშუალებასაც კავკასიური ენობრივი სინამდვილე უზეად იძლევა. პირველი ასეთი ხასიათის ნაშრომები და უმეტესად მომდევნოც ეკუთვნის უნივერსიტეტის მიერ აღზრდილ პირველ თაობას, სახელდობრ პროფ. ა. ჩიქობავას (1924 წლიდან). მის შემდეგ დღემდე მრავალი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი იქნა მის მიერ გამოკვლეული ქართულ და კავკასიურ ენათა მასალაზე, რის შედეგსაც წარმოადგენს მისი მძლავრი ღირსების ორიგინალური ნაშრომი „ზოგადი ენათმეცნიერება. I“. რიგანი მუშაობაა გაწეული ზოგადი ფონეტიკის დარგშიც. დღეს ისე იგრძნობა ასეთი საკითხების კვლევის საჭიროება ჩვენში, რომ მარის სახელობის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება, რომლის მუშაობაში ჩამბული არიან ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მუშაკებიც (პროფ. ა. ბოჭორიშვილი), იმის ნიშნად, თუ რა დონეზე დგას დღეს ზოგადი ენათმეცნიერება ჩვენში, გამოდგება, მაგ., ა. ჩიქობავას მოხსენება საკავშირო აკადემიაში 1940 წელს: მოხსენების კრიტიკული, ნაწილი (იაფეტოლოგიური თეორიის „ოთხი ელემენტის“ შესახებ) სავსებით გაზიარებულ იქნა აკადემიის მიერ.

## II

აქამდის ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ენათმეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში, უმთავრესად თბილისის უნივერსიტეტთან დაკავშირებით, და მოკლედვე შევეხეთ ცალკეულ საენათმეცნიერო დისციპლინებს უნივერსიტეტისა და მარის სახელობის ინსტიტუტის ხაზით. ახლა კი უფრო დაწვრილებით განვიხილავთ, თუ რა კონკრეტული მიღწევებია თითოეულ მათგანში და რა პერსპექტივები აქვთ მათ: შეიტანეს თუ არა ჩვენმა ენათმეცნიერებმა ახალი რამ საერთო საკაცობრიო მეცნიერების სავანძურში და — სახელდობრ რა? რა გზებით წარიმართება (ან უნდა წარიმართოს) ენათმეცნიერება საქართველოში მომდევნო წლების მანძილზე? მოკლედ: რით წარსდგა საქართველო 20 წლისთავზე ენათმეცნიერების ისტორიის წინაშე და რის შეტანას ისახავს მიზნად მასში ახლო მომავალში?

ამომწურველად თითოეულ საკითხზე შეჩერება ძნელია ასეთ მოკლე მიმოხილვაში. საერთოდ კი შეიძლება ითქვას: ამ 20 წლის მანძილზე საქართველოში მომუშავე ენათმეცნიერთა მიერ ითქვა მრავალი ახალი რამ, რაც ურყევ მეცნიერულ დებულებად შევა ენათმეცნიერების ისტორიაში, ხოლო მომავალ საენათმეცნიერო მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გასაშლელად შექმნილია

გაცილებით უკეთესი პირობები, ვიდრე განვლილი 20 წლის განმავლობაში მეტადრე მის პირველ ნახევარში...

როდესაც ისტორიული მნიშვნელობის მიღწევებზეა ლაპარაკი, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი: ენათმეცნიერული გამოკვლევის ღირებულების საზომი არ შეიძლება იყოს საკვლევი ენის სიდიდე (ე. ი. მისი მეტნაკლები გავრცელებულობა). საქართველოს ენათმეცნიერთა საკვლევი ობიექტი უმთავრესად ქართველურ-კავკასიური ენებია, მოცულობით პატარა ენები (ზოგიერთი კავკასიური ენა მხოლოდ ერთი ან რამდენიმე სოფლით განისაზღვრება). ამიტომაა, რომ რომელიმე მათგანის მეცნიერული გამოკვლევა, ან მათში რაიმე კანონზომიერების დადგენა, ვერ პოულობს ფართო გამოძახილს და არ ანიჭებს მკვლევარს დამსახურებულ სახელს... საქართველოს ენათმეცნიერთა მიერ ათეულობითაა მიკვლეული ქართველურ-კავკასიურ ენებში ისეთი კანონზომიერებანი, რომელთა მსგავსის დადგენა დიდი ენათმეცნიერის სახელს მოუხვეჭდა რომელიმე მეტად გავრცელებული ენის (გერმანულის, რუსულის...) მკვლევარს, მიუხედავად ამისა. ჩვენი ენათმეცნიერები, გამხნეებულნი იმით, რომ ნამდვილი მეცნიერული აზრის არც ერთი ნამცეცი არ იკარგება უკვალოდ. განსაკუთრებით კი სოციალისტურ ქვეყანაში, გატაცებული თვედადებით იკვლევენ ამ პატარა ენების დიდ საკითხებს, რომლების გადაჭრაც საბოლოო ანგარიშში — ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით — იმავე პრობლემებს ემსახურება, რასაც ე. წ. დიდი ენებისა, სახელდობრ: ადამიანის მეტყველებისა და აზროვნების განვითარების ისტორიას. ჩვენი ენათმეცნიერება პატიოსნად და ხალისით მონაწილეობენ სოციალისტური სამშობლოს შრომელთა კულტურულ საგანმანათლებლო მომსახურებაში, ჩვენი ქვეყნის წარსულის კვლევა-ძიებაში და პატარა საქართველოს მეცნიერების დიდს წინსვლაში.

კონკრეტულ მიღწევათა მიმოხილვისას შევჩერდებით უმთავრესად საქართველოსა და კავკასიურ ენათა შესწავლაზე და განვიხილავთ მხოლოდ უმთავრეს შედეგებს, რაც მოგვცემს შესაძლებლობას გავითვალისწინოთ მომავალი მუშაობის პერსპექტივები საერთოდ. დავიწყებთ, რასაკვირველია, ქართულისა და სხვა ქართველური ენების შესწავლის მიმოხილვით: ენათმეცნიერული აზროვნების განვითარება ჩვენში ამ ენათა მასალაზე დაიწყო, ხოლო ვაგრძელდა კავკასიურ ენათა შესწავლით — არმენოლოგიისა, ირანოლოგიისა, არაბისტიკისა და თურქოლოგიის გვერდით და გრძელდება ამ ბოლო წლებში რუსულისა და ევროპული ენების თანდათანობითი შემოტანით საკვლევი ობიექტებას წრეში.

ამიტომ ენათმეცნიერების განვითარება ჩვენში ამ ოცი წლის მანძილზე შეიძლება გაიყოს ორ მთავარ პერიოდად: პირველი — უფრო ხანგრძლივი — შეიცავს საენათმეცნიერო პირველი თაობის კადრების მომზადებასაც და გრძელდება 10—12 წელი; ხოლო მეორე — მის შემდეგ დღემდის.

უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით, იმთავითვე შექმნილი იყო ხელშემწყობი პირობები იმისათვის, რომ რაც შეიძლება დაჩქარებულიყო საენათმეცნიერო კადრების მომზადება: მივლინებულ იქნენ ახალგაზრდები რუსეთსა და უცხოეთში, დატოვებულ იქნა უნივერსიტეტთან რამდენიმე კურსდამთავრებული, იკითხებოდა მათთვის, სპეციალური საგნების გარდა:





სომხური და არაბული ენები (ა. შანიძე), სპარსული (იუსტ. აბუჯაფარიანი), ენათმეცნიერება, სანსკრიტი, შედარებითი გრამატიკა ინდო-ევროპული ენებისა და რამდენიმე სხვა საენათმეცნიერო დისციპლინა. უკვე 4—5 წელიწადში ქართულმა ენათმეცნიერებამ ამ გზით მოიპოვა რამდენიმე ახალგაზრდა მკვლევარი, რომელნიც გვერდში ამოუდგნენ ძველებს საენათმეცნიერო კვლევასა და მომდევნო კადრების მომზადებაში.

ეს პერიოდი უმთავრესად ქართულ-ქართველურ ენებზე დაძაბული მუშაობის პერიოდი, თავისი შინაარსით მეტისმეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი, როდესაც მხოლოდ რამდენიმე მკვლევარის მიერ (ა. შანიძე, ვ. თოფჩუჩიანი, ა. ჩიქობავა) შედარებით მცირე ხნის განმავლობაში წარმატებით იქნა გადაჭრილი ქართულისა, სვანურისა და ქანურის აგებულების ძირითადი საკითხები, რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით (და ძალიან ხშირად იმის შესწორებით), რაც უკვე ვაკეთებული იყო ადრინდელ მკვლევართა მიერ (ა. ცაგარელი, ნ. მჭრი, ი. ყიფშიძე). მეგრული ენისათვის უკვე 1914 წლიდან არსებობდა ი. ყიფშიძის კაპიტალური ნაშრომი „Грамматика мингрельского языка с хрестоматией и словарем“.

პირველი პერიოდის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს მეორე პერიოდი, როდესაც გაფართოვდა ქართველურ ენებზე კვლევის თემატიკა, გაღრმავდა ცალკეულ მოვლენათა შესწავლა და ჩვენი ენათმეცნიერები თანდათანობით შეუდგნენ ქართველურ ენათა შედარებითს შესწავლას და კავკასიურ ენებზე ენერგიულ მუშაობას, რასაც უკარნახებდა მათ იმავე ქართველურ ენათა გაღრმავებული შესწავლა.

ქართული ენათმეცნიერების ამ პირველ პერიოდს სათავეში უდგას ა. შანიძის ხსენებული ფუძემდებელი გამოკვლევა „ $S_2$  და  $O_2$  ქართულ ზმნებში“; რომელმაც, ერთი მხრით, გადაჭრა ქართული ზმნის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი—ზმნის პირის პრობლემა, ხოლო, მეორე მხრით, დასვა რიგი საკითხები; რომლებიც ზედიზედ გაარკვია იმავე მკვლევარის მიერ წინასწარ განჭვრეტილმა „ხანმეტრმა“ მოვლენებმა ძველ ქართულში. ივ. ჯავახიშვილის ხანმეტრიანი პალიოფსესტური ტექსტების შესანიშნავმა აღმოჩენამ (1923 წ.) ახალი ეპოქა შექმნა ძველი ქართული ენისა და ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის საქმეში. საერთოდ ხანმეტრისა და ჰემეტრის საკითხებს დამუშავება ჩვენი ენათმეცნიერებისა (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფჩუჩიანი) და ისტორიკოს-ფილოლოგების (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ჯანაშიანი) მიერ—ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია ამ პირველი პერიოდისა. ძველი ქართულის ამ მნიშვნელოვანი მოვლენის გარკვევამ ახალი შუქი მოჰფინა არა მხოლოდ ლინგვისტური ხასიათის საკითხებს, არამედ ადრინდელი მწერლობისა, ისტორიისა და ისტორიულ-კულტურული ცხოვრების მრავალ სხვა საკითხსაც.

ყველაზე დიდი დამსახურება ამ ტექსტების კვლევასა და გამოცემაში, აგრეთვე ახალი მასალის მიკვლევასა და დამუშავებაში, მიუძღვის ა. შანიძეს, რომელმაც, ჯერ კიდევ გამოკვლევაში „ნაშთები III პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“ (1922 წ.), მცხეთის ჯვრისა და ბოლნისის სიონის წარწერთა და „ხერთვის“-ის ეტიმოლოგიის საფუ-

ძველზე, დაადგინა, რომ ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტურ წრეს წარმოადგენდა პირისნიშნად **ხ**, რაც გამონაშთის სახით შენახულია ხარ ზმნაში. ხ ერთვის სიტყვაში და ხეყავ, შეხეწიე და შეხეუაბთ ზმნებში. პალიმფსესტურმა ტექსტებმა საესებით გაამართლეს ა. შანიძის დებულებები; გამართლდა მისი ვარაუდი, რომ **ხ** როგორც პირისნიშანი ყველა ზმნას უნდა ჰქონოდა. ა. შანიძემ პირველმა გარკვია გიორგი მთაწმინდელის ტერმინი „ხანმეტი“, რომელსაც არამართებულად მარტავდნენ ადრინდელი გამოჩენილი მკვლევრები (აკად. ნ. მარი, პროფ. ა. ცაგარელი; პროფ. კ. კეკელიძე და სხვ.); მანვე გამოავლინა ადიშის ძეგლში  $S_2$  და  $O_3$  და სათანადოდ შეაფასა იგი; ხანმეტის ანალოგიით მათ უწოდა „ჰაე-მეტი“. მანვე ზედიზედ აღმოაჩინა და გამოიკვლია რამდენიმე სხვა უმნიშვნელოვანესი ხანმეტური და ჰემეტური ტექსტი და გამოსცა ისინი ღირსშესანიშნავი გამოკვლევებითა და ვრცელი კომენტარებით. ამდენად ა. შანიძემ მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართული ენის ისტორიას დრკუმენტირებული ძეგლების — ეპიგრაფიკული მასალისა და ხელნაწერების მიხედვით. ამავე პერიოდს ეკუთვნის ა. შანიძის სხვა მრავალი გამოკვლევა ქართული ენის მორფოლოგიიდან. კერძოდ, ზმნის აგებულების შესახებ, მაგ., „ქართული ზმნის საქვევში“ (1926 წ.) ავტორმა დაადგინა ქართული ზმნის ქვევის ანუ ვერსიის გრამატიკული კატეგორია, რომელიც გამოხატავს კუთვნილებას სრულიად გარკვეულ გრამატიკულ ფორმაში; თვით რიცხვი ქართული ზმნის ქვევითა (სამი) საბოლოოდ დადგენილია მისავე მომდევნო შრომაში „ქართული გრამატიკა“ (იხ. ქვემოთ); საარვისო, სათავისო და სასხვისო. ამ მორფოლოგიური კატეგორიის დადგენა ზედმიწევნით ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ზმნის აგებულების გასაშუქებლად; ხსენებულმა შრომამ მალაღი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში. ისე ევროპაშიც. ქართული ზმნის აგებულება და, კერძოდ, მასში პირის კავშირებით აღსანიშნავია მისი ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „პირისნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში“, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ პირისნიშანი **ხ** (ან **ჰ**) გააჩნდა სახელებსაც. სახელდობრ ხარისხის ფორმებში, რაც შემოინახეს III პირში ხანმეტ-ჰემეტმა ტექსტებმა და სენურმა ენამ; ავტორის აზრით, მსგავსი ფორმები მოსალოდნელია ჰქონოდა სახელს I და II პირისთვისაც, მაგრამ ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ (ამავე შრომაში გაშუქებულია აფხაზური ზმნის პირიანობა).

ა. შანიძის მიერ ქართული ენის კვლევის ერთი ეტაპის, უმთავრესად მორფოლოგიურისა და ფონეტიკური (იხ. ქვემოთ) კვლევის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს მისი კაპიტალური ნაშრომი „ქართული გრამატიკა: I. მორფოლოგია“, 1930. მასში მოცემულია სისტემატურად თანამედროვე (სალიტერატურა) ქართული ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურა იმ მონოგრაფიული ნაშრომების საფუძველზე, რაც ავტორმა შეასრულა 1921-1929 წლების მანძილზე; ამასთანავე ამ შრომაში პირველად დასმული და გადაჭრილი მთელი რიგი გრამატიკული საკითხები (ინვერსია, ენებითი გვარის ორი სახე: დინამიკური და სტატისტიკური, დრო-კილოთა დაყოფა ნახულისა და უნახავის ჯგუფებად და რამდენიმე სხვა). ამგვარად ჩვენს უმაღლეს სკო-




ლას მიეცა ამ შრომის სახით პირველი მეცნიერული გრამატიკა (მორფოლოგია) ქართულ ენაზე; მან უკვე დიდი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენისათვის მყარი საფუძვლის შექმნასა და შემდგომი კვლევის საქმეში. მაგრამ ამავე შრომის გამოსვლამ მეტის სიმწვავით აგრძობინა მის მომხმარებელს ქართული ენის სრული სინტაქსის უქონლობა. 1939 წელს გამოვიდა საშუალო სკოლისა და ფართო მასებისათვის ა. შანიძისე „ქართული ენის გრამატიკა“. რაც თავისთავად ღირსშესანიშნავი მოვლენაა, მაგრამ მან მხოლოდ ნაწილობრივ შეაწვავა ხსენებული სიმწვავე. ამიტომ ჩვენი ქართველოლოგების გადაუდებელი ამოცანაა ამ ხარვეზის მახლობელ ხანში შეესება.

ქართული ენის მორფოლოგიის და აგრეთვე სინტაქსის საკითხები წარმატებით დამუშავდა სხვა ენათმეცნიერთა შრომებშიც, პირველ რიგში არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიასი. ამ მეცნიერთა ჯერ კიდევ პირველ გამოკვლევებში ჩანდა მიდრეკილება შედარებით ისტორიული მეთოდის გამოყენებისადმი და ცალკეულ ენობრივ მოვლენათა ანალიზის ზოგად-ენათმეცნიერულ სიმაღლემდე აყვანისადმი, ხოლო მომდევნო შრომებში არნ. ჩიქობავამ და ვ. თოფურამ ფართოდ გაშალეს მუშაობა ამ მიმართულებით, რის შედეგად დღეს უკვე საფუძველმდებარეა შეიძლება ჩაითვალოს ქართველურ ენათა შედარებითი ენათმეცნიერება, ერთი მხრით, და ზოგად-თეორიული საენათმეცნიერო კვლევა ჩვენში, მეორე მხრით. ამ უკანასკნელი რიგის საკითხები მეტადრე დამუშავებულია არნ. ჩიქობავას რიგ შრომებში — როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხების კვლევისას (მაგ., „ყე-ნაწილაკი ფესვიდანულში...“ 1925 წ., „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში...“ 1928 წ., „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“ 1939 წ. და სხვ.), ისე საეტიკურად თეორიული ხასიათის შრომებში, როგორცაა, მაგ., მისი, ჯერ კიდევ 1925 წ. დაბეჭდილი, „ზოგადი თვალსაზრისისათვის“, სადაც მოცემულია ლინგვისტური მეთოდოლოგიის პრინციპები — კავკასიური ენობრივი სინამდვილის კვლევაში სახელმძღვანელოდ და მის შემდეგ ათი წლის გასულს (1935 წ.) დაბეჭდილი „ზოგადი ენათმეცნიერება“, I (მეორე გამოცემა 1939 წ.).

მოვიყვან, მხოლოდ სანიმუშოდ. არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას მორფოლოგიური და სინტაქსური შრომებიდან მხოლოდ რამდენიმეს. შრომაში „ყე-ნაწილაკი ფესვიდანულში...“ არნ. ჩიქობავას განხილული აქვს ყე-ნაწილაკის გავრცელებულობა დიალექტობრივ (ინგილოურსა, მოხეურსა, მთიულურსა, კახურსა, ქიზიყურსა, იმერულსა, ლეჩხუმურსა და რაჭულში) და ძველ ძეგლებში (XI—XII სს.), ამ ნაწილაკის სინტაქსური ფუნქციის დადგენის საფუძველზე ავტორი ვრცლად იხილავს ლოგიკურისა და გრამატიკულის ურთიერთობის საკითხებს; განხილულია საკითხი ყე-ნაწილაკის შენაცვლებისა თუ სუფიქსით თანამედროვე ქართულში.

იმავე ავტორმა შრომაში „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“ (1939 წ.), ძველი ქართულისა და ზანურ-სვანურის მიხედვით, დაადგინა, რომ მესამე პირის უძველესი სუფიქსია **ხ**; სხვადასხვა დროთა წარმოებაში (ძვ. ქართულის აწმყოში, ნუ-ნაწილაკიან ბრძანებითის უარყოფითს ფორმაში, ნამყო უწყვეტელსა და კავშირებითს პირველში და სხვ.) **ხ** სუფიქსით



სის გამოყენება იმის მაჩვენებელია, რომ იგი უცვლელი იყო სხვა პირობებში. ფიქსების მსგავსად ყველა დროში და რომ III პირის ა, ო, ს ბოლოსართები მეორეული წარმოშობისაა. ამ შედარებით-ისტორიულ შრომაში წამოყენებულ დებულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ძველი ქართულის შედგენილობისა და ქართველურ ენათა ურთიერთობის ისტორიის შესწავლისათვის.

ასეთივე დიდი მნიშვნელობისაა არნ. ჩიქობავას 1939 წ. დაბეჭდილი შრომა „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“. რომელშიც ავტორი ქართველურ ენათა მასალაზე არკვევს მოთხრობითი ბრუნვის სპეციფიკურობას. მის კავშირს კავკასიურ ენათა ერგატიულ კონსტრუქციასთან და მის პირველადობას სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციით; აგრეთვე მისი ჯერ კიდევ 1928 წ. გამოქვეყნებული შრომა „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში“, რომელშიც მდიდარი ტექსტობრივი მასალის საფუძველზე დადგენილია, რომ მრავლ. სახელობითში დასმული ნ-არიანი ობიექტი ზმნაში აჩენს ნ აფიქსს; ამასთანავე ავტორი არკვევს ნ-ს პირვანდელ სახესა (-ენ) და ფუნქციას (როგორც ობიექტის, ისე სუბიექტის მრავლობითობის გამოხატვა), მის გამოყენებას, მესამე პირის გარდა, I და II პირთანაც და სხვას.

ამ რიგის არნ. ჩიქობავას სხვა მრავალ ნაშრომთან აღვნიშნავ მის 1) რეცენზიას (1926 წ.) აკად. ნ. მარის კაბიტალურ ნაშრომზე „Грам. древне-груз. языка“ (1925 წ.), რომელ რეცენზიაშიც არნ. ჩიქობავამ ვრცლად განიხილა ხსენებული შრომა და კვლდაკვალ აღნიშნა ავტორის პრინციპული ხასიათის შეცდომები (ქართული ენის ისტორიის მონაცემთა უგულებელყოფა, ქართული ენის ფაქტების აპრიორისტული კვალიფიკაცია და სხვ.), და განსაკუთრებით 2) ფუძემდებელ მონოგრაფიულ გამოკვლევას ქართული ენის სინტაქსიდან „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში... I“ (1928 წ.), რომელშიც, ერთი მხრით, კრიტიკულადაა განხილული ზოგად-თეორიული სინტაქსური საკითხები, ხოლო, მეორე მხრით, დადგენილია ვრცელი ტექსტუალური მასალის საფუძველზე ქართული ენის სინტაქსური აგებულების სპეციფიკურობა მარტივი წინადადების ფარგლებში: ქართული ენის (ისე როგორც სხვა ქართველური ენების) მარტივი წინადადების სპეციფიკურობა მდგომარეობს პრედიკატისა და სუბიექტ-ობიექტის საურთიერთო მართვაში, რასაც ავტორმა კოორდინაცია უწოდა და რაც წარმოადგენს ზმნის პოლიპერსონალიზმის ანარეკლს ამ ენებში; ზმნის ერთპირიანობა არ ქმნის ასეთ რთულ მექანიზმს...

ამ შრომით ავტორმა დიდი საქმე გააკეთა, ერთი მხრით, ქართული ენის სინტაქსის შესწავლაში, ხოლო, მეორე მხრით, საფუძველი ჩაუყარა ქართველურ ენათა სხვა კავკასიურ ენებთან ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის გარკვევას — ერგატიული კონსტრუქციის შესწავლის ფონზე; ამ საკითხების რკვევისკენაა მიმართული ავტორის მომდევნო რიგი შრომათა (იხ. ქვემოთ).

აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი შრომები მოგვცა ვ. თოფურიამ ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსიდან. მან წარმატებით გადაჭრა ამ მიმართულებით რიგი საკითხები შედარებით-ისტორიულ ასპექტში, დავსახებულ მხოლოდ რამდენიმეს.

ჯერ კიდევ 1923 წ. ვ. თოფურიამ მოგვცა შრომა „ორმაგი უარყოფა




ქართულში, სადაც ძველი ქართულსა, ქართული დიალექტებისა ქართველურ ენათა უხვი მასალის ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ქართულში ორმაგი უარყოფა მეორადი მოვლენაა; შრომაში მოცემულია ზუსტი ანალიზი ორმაგი უარყოფის განვითარების პროცესისა ქართულში. კერძოდ, დასაბუთებულია, რომ სალიტერატურო ენაზე ადრე ორმაგი უარყოფა ჩაისახა კილოებში. სინტაქსურივე საკითხია გამოკვლეული ფრიად საყურადღებო შრომაში „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართული დიალექტების მიხედვით“ (1923 წ.), სადაც საესეებით დამაჯერებლადაა ახსნილი (ანალოგიის ძალით) გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარის მოთხრობითს ბრუნვაში დასმა („ვანომ საჩქაროდ წამოდგა“). სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისა და მისი ურთიერთობის გარკვევისათვის ვ. თოფურიას გამოკვლევებს „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“ (დაიბეჭდა 1937 წ. და 1940 წ.), სადაც სანიშნოდ ზუსტი შედარებითი ანალიზით აღდგენილია მთელი რიგი აფიქსები (ნე-, ნი-, ნა-, მ-, სე- პრეფიქსები და -ედ, -ურ, -ენ, -არ, -აქა სუფიქსები) ისეთ სიტყვებში, როგორცაა: მაგ., ნე-რწყვი, ნი-კაპი, რ-წყვა; ზამთ-არ-ი, ჭინჭრ-აქა და მრავალი სხვ. ამავე რიგის საკითხებთანაა დაკავშირებული შიში გამოკვლევა „ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის“ (1936), რომელშიც მოცემულია ფუძედრეკად ზმნათა ბუნება, და რიგი სხვა შრომათა.

ქართული ენის მორფოლოგია-სინტაქსის კვლევაში ენერგიულ მონაწილეობას იღებენ ენათმეცნიერთა მომდევნო თაობები, უმეტესად დიალექტოლოგიური განხრით (იხ. ქვემოთ). აქ აღსანიშნავია, მაგ., დოც. ქ. ლომთათიძის: „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“ (1937 წ.), სადაც გამომყდავენებულია ობიექტური პრეფიქსი III პირისა ხსენებულ ენებში ნაშთის სახით გარკვეულს პირობებში.

მნიშვნელოვანი შრომები აქვს გამოქვეყნებული ამ საკითხებზე დოც. შ. ძიგურას, მაგ., „კონიუნქტივის კატეგორია რაჭულში უძველეს ქართულსა პრობლემასთან დაკავშირებით“ (1940 წ.), რომელშიც განხილულია კონიუნქტივ-ინდიკატივის ურთიერთობის საკითხი საერთოდ და ქართულში კერძოდ: „ლოგიკური სუბიექტის რიცხვის დიალექტური ვარიაციები ქართულში“ (1940 წ.), სადაც განხილულია საკითხი ობიექტის მრავლ. რიცხვის ფორმანტის გამოყენებისა სუბიექტის რიცხვის გამოსახატავად. ამ შრომებს აქვთ აგრეთვე ზოგად-ენათმეცნიერული ხასიათი. შ. ძიგურის წარმატებით მუშაობს აგრეთვე ქართული ენის რთული წინადადების პრობლემაზე, რომელიც დღემდე არ გამხდარა ჩვენი სხვა ენათმეცნიერების საგანგებო კვლევის საგნად.

მორფოლოგიურ საკითხებს ეხებიან თავიანთ შრომებში მომდევნო თაობის სხვა მუშაკებიც, მაგ., დოცენტები ს. ყდენტო, ვლ. ფანჩვიძე, სტ. ჩხენკელი, მიხ. ჩიქოვანი, ი. მეგრელიძე, ალ. ლლონტი, სტ. მენთეშაშვილი და სხვები — უმთავრესად დიალექტების შესწავლასთან დაკავშირებით. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო სტალინელი სტიპენდიატ-ასპირანტის თ. შარაძენიძის პირველი ნაბეჭდი შრომა „ვით თანდებული ქართულში“ (1940 წ.), რომელშიც წარმოდგენილია ვით თანდებულას ხმაურებულობა და ფუნქცია სამწერლობო ძეგლებისა, ცოცხალი მეტყველებისა და



გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით; ამ მშვენივრად შესრულებულ მანუშში მოცემულია საყურადღებო ახალი დაკვირვებები.

მორფოლოგია-სინტაქსის გარდა, ამ პერიოდში იმ ფაზიდანვე მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს ქართულ ქართველურ ენათა ფონეტიკაშიც — როგორც აღწერილობით, ისე ისტორიულში, ძირითადად გარკვეულ და დადგენილ იქნა ქართულის ბგერათა სისტემა, კერძოდ თანხმოვანთა ე. წ. სამკულებრივი და წყვილულებრივი სისტემა: გაფართოვდა მუშაობა ქართველურ ენათა ცალკეულ ფონეტიკურ მოვლენებზე და მიღწეულ იქნა მრავალ ურკვევ და ნაყოფიერ კანონზომიერებათა დადგენა. ასეთია, მაგ., ა. შანიძის შესანიშნავი გამოკვლევა „უმლაჟუტი სვანურში“ (1925 წ.), რომელიც აშუქებს არამხოლოდ მანამდე ბუნდოვან წმინდა ფონეტიკურ საკითხებს, არამედ მრავალ მორფოლოგიურსაც. ეს ფონეტიკური მოვლენა სვანურ დიალექტთა საკლასიფიკაციო მოვლენად იქნა მიღებული; ამიტომ მის გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სვანური ენის ისტორიის შესწავლისათვისაც, სვანური უმლაჟუტის ა. შანიძისეული გაგება დაზუსტებულ და შევსებულ იქნა მორფოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით ვ. თოფურიას ორ მნიშვნელოვან გამოკვლევაში „სახეთა დაბლობის ისტორიისათვის სვანურში“ (1927 წ.) და „კვლავ უმლაჟუტისათვის სვანურში“ (1928 წ.). ასეთივე დიდი მნიშვნელობისაა ა. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (1924 წ.), რომელმაც, ერთი მხრით, გაარკვია ხმოვანთა რედუქციის პირობები ქართულში და ამით წინ წასწია ქართველურ ენათა ისტორიულ-ფონეტიკური კვლევა, ხოლო, მეორე მხრით, ძლიერი იმპულსი მისცა ეტიმოლოგიურ ძიებას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ენათმეცნიერების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის — ეტიმოლოგიური ძიების განვითარებას დიდად შეუწყობ ხელი ფონეტიკისადმი გაცხოველებულმა ინტერესმა ჩვენში და საკმაოდ მნიშვნელოვანმა მიღწევებმა ამ დარგში; ეტიმოლოგიურმა ძიებამ კი თავის მხრივ შეამზადა საიმედო ნიადაგი შედარებით-ისტორიული გრამატიკის განვითარებისათვის — როგორც ქართველურ, ისე ქართველურ-კავკასიურ ენათა მიმართ.

ამ მხრივ აღსანიშნავია არნ. ჩიქობავას და ვ. თოფურიას მრავალი ფონეტიკური და ფონეტიკურ-ეტიმოლოგიური გამოკვლევა, მაგ., არნ. ჩიქობავას მიერ ჯერ კიდევ 1923 წლიდან ზედიზედ გამოქვეყნებული: „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“, სადაც ფონეტიკური საკითხი გამოკვლეულია ისტორიულ-დიალექტოლოგიურ მასალებზე; მისივე „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (1924 წ.), რომელშიც მტკიცდება, რომ მთიულური კლოს ე. წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონურ მახვილიან ხმოვანს; ფონეტიკური ნაწილი მისივე საფუძვლიანი გამოკვლევისა „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“ (1925 წ.), აგრეთვე ფონეტიკური ნაწილი მისივე ფუძემდებელი შრომისა „ქანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936 წ.), „ს ბგერის ღასუსტებისათვის ქიზიყურში“ (1937 წ.) და რამდენიმე სხვა. ასეთივე მნიშვნელობისაა ვ. თოფურიას გამოკვლევათა რიგი, რომლებიც უმთავრესად ისტორიულისა და შედარებით-ისტორიული ხასიათის საკითხებს არკვევენ. ასეთია, მაგ., მისი გამოკვლევების სერია სათაურით „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (1926, 1927, 1929); რომელშიც ღრმა შედარებითი ანალიზით დადგე-



ნილია ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურ ბგერათა მრავალი ურყევი შესატყვისი სობა, რის საფუძველზეც აღდგენილია მრავალი პირვანდელი ძირი და გასაქრლილია რამდენიმე სპეციალური საკითხი მორფოლოგიური ხასიათისა; ფონეტიკური ნაწილი მისივე დიალექტოლოგიური შრომისა „ქართული“ (1925 წ.), „ბუნებრივი კომპლექსებისათვის ქართველურ ენებში“ (1939 წ.), „რედუქციისათვის ქართველურ ენებში“ (1940 წ.) და რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი ფონეტიკური ნარკვევი და შენიშვნები მისივე სხვა ხასიათის შრომებში.

სანიმუშო ისტორიულ-ფონეტიკურ გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე დოკ. თ. გონიაშვილის „ერთი ბგერის ისტორიისათვის ქართულში“, სადაც აღდგენილია დიალექტურისა, მონათესავე და არამონათესავე ენათა მასალების მოშველიებით, რომ უ ბგერა არ წარმოადგენს სალიტერატურო ქართულის საფუძვლად დადებული დიალექტის პირვანდელ ფონეტიკურ ელემენტს. ამდენად შრომას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქართულის ბგერითი შედგენილობის ისტორიული შესწავლისათვის.

ქართული ენის ფონეტიკურ კვლევაში ენერგიულად ჩაება ენათმეცნიერთა მომდევნო თაობა — მეტადრე ქართული დიალექტების მასალაზე, (იხ. ქვემოთ). სახელდობრ: დოკ. ს. ჟღენტის, შ. ძიძიგური, ვლ. ფანჯვიძე, მ. ხუბუა, მ. ჩიქოვანი, ა. დლონტი და სხვები. მათგან სპეციალურად ფონეტიკური საკითხების კვლევას მიჰყო ხელი და მნიშვნელოვანი პროდუქციაც მოგვცა ს. ჟღენტმა: მან პირველად შეამჩნია თანხმოვანთა „გადაწევის“ მოვლენები ქართველურ ენებში და დაასაბუთა იგი სათანადო მასალის მოზიდვითა და ჩვენი უნივერსიტეტის რივიანი ექსპერიმენტული ფონეტიკის კაბინეტის მოშველებით; ამ მოვლენის დადგენას დიდი მნიშვნელობა ექნება ქართველურ ენათა ისტორიის გათვალისწინებისათვის; მანვე დასვა საკითხი ქართველურ ენებში ისტორიულად ლაბილიზებულ თანხმოვანთა არსებობის შესახებ; ამ პრობლემას მნიშვნელოვანი პერსპექტივა აქვს ქართველურ ენათა გენეზისური ურთიერთობის მიმართებით სხვა კავკასიურ ენებთან. ს. ჟღენტი წარმატებით იკვლევს აგრეთვე ქართველური ენების (კერძოდ, სვანურის) ვოკალიზმს ექსპერიმენტული გზით იმავე კაბინეტში, ხოლო დამატებით რენტგენოგრაფიულად ენიშკის-სახით. ს. ჟღენტისავე მონაწილეობით მუშავდება კაბინეტში ამ გზით აგრეთვე სრულებით უკვლევი ქართული ენის მახვილის ბუნება; კაბინეტშივე ასა. ბ. ფოჩხუა წარმატებით ამუშავებს ქართული ენის პელოდიურ-ინტონაციურ საკითხებს გრამატიკულ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

ამგვარად, მორფოლოგია-სინტაქსის წარმატებული კვლევის გვერდით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე ეტიმოლოგიურსა და ფონეტიკურ კვლევა-ძიებას, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეტადრე იმ ენობრივი სინამდვილის შესწავლის პირობებში, რომელშიც მუშაობა უხდებათ ჩვენს ქართველოლოგ-კავკასოლოგებს.

ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის დიალექტოლოგიურ კვლევას: ცოცხალ ხალხურ მეტყველებაში უხვადაა მტკიცედ დაცული ამათივე ენის ისეთი მოვლენები (ლექსიკური, ფონეტიკური, ფორმოზობრივი და სემანტიკური), რაც სამწერლობო ენაში აღარ ჩანს ან



სრულებით აღარ არის. ამიტომ დიალექტების მრავალ მონაცემს პირველად სხვა მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ პრაქტიკული მხრით (მაგ., სალექსიკოლოგო, სატერმინოლოგო, სასწავლო და სხვ.), არამედ, რაც უმთავრესია, ზოგად-ენათმეცნიერულისა და ენის ისტორიის აღდგენის თვალსაზრისითაც. ამიტომ სრულიად მართებული იყო, რომ ჩვენმა ენათმეცნიერებმა, შეიძლება ითქვას, შეუწელებლად იმუშავეს 20 წლის მანძილზე ქართულ და სხვა ქართველურ ენათა დიალექტებზე, რამაც საკლებით გაამართლა მასზე დახარჯული დიდი ენერგია: ქართველოლოგიის უდაო წარმატება აიხსნება უმთავრესად ამით. დიალექტოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაუყარეს ა. შანიძემ (პირველ რიგში), ვ. თოფურიას და ა. ჩიქობავამ და გრძელდება დღემდის ენათმეცნიერთა მომდევნო თაობათა მიერ. დიალექტების ყოველმხრივი შესწავლა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს, მაგრამ ძირითადად ეს მუშაობა გათავდება მომდევნო სტალინური ხუთწლეულის ბოლოს.

თუ უნივერსიტეტის საენათმეცნიერო კათედრებზე უმთავრესად ენის თეორიული და ისტორიული საკითხები მუშავდებოდა, ქართული დიალექტოლოგიური კვლევის პირველი ბაზა და ტრიბუნა „საენათმეცნიერო საზოგადოება“ იყო. არა ერთი და ორი ათეული მოხსენება წაკითხულა მასში შთის, ქართლისა და კახეთის, იმერეთის და სხვა კუთხეების დიალექტების შესახებ — იმ ძასალების საფუძველზე, რომელთაც ჩვენი უფროსი და უმცროსი მკვლევრები აგროვებდნენ ადგილებზე. დღეს ფართოდაა დიალექტოლოგიური კვლევა გაშლილი ჩვენს უნივერსიტეტში ვ. თოფურიას და შ. ძიძიგურის და მარის სახელობის ინსტიტუტში ა. შანიძის ხელმძღვანელობით. დიალექტოლოგიური მუშაობა ერთ-ერთი საუკეთესო საწვრთნელი სკოლადაა დამწყები ენათმეცნიერისათვის.

ქართული ზმნის პირთა პრობლემის გაშუქებამ და ხანმეტი ძეგლების გარშემო გაშლილმა მუშაობამ შეუქმნა ჩვენს ენათმეცნიერებს ისტორიულ-დიალექტოლოგიური კვლევის რეალური შესაძლებლობანი.

ა. შანიძის მაგალითს მიჰყვნენ მაშინ ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა მკვლევრები ვ. თოფურია და ა. ჩიქობავა და სანიმუშოდ გაჰოიკვლიეს — პირველმა: ქართლური, ჯავახური და გომარული; მეორემ: მთიულური, ფერეიდნული, გარეკახური და ქიზიყური კილოები; გამოკვლევებში მოცემული იყო არა მხოლოდ ხსენებული დიალექტების დაწვრილებითი ფონეტიკურ-გრამატიკული აღწერა, არამედ დაგროვილი მასალის ლინგვისტიკური ანალიზიც: სხვა კილოებისა და ძველი ქართულის ანალოგიურ მოვლენებთან შედარება, კილოების კლასიფიკაცია და დიალექტური ფაქტების ზოგად-ენათმეცნიერული თვალსაზრისით დაფასება. შეგროვილი მასალის საფუძველზე მათ სპეციალურად დაამუშავეს და გამოაქვეყნეს შრომები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული დიალექტოლოგიური კვლევის გაფართოება-გადრეკვაში. ასეთებია: ვ. თოფურიას „ზმნის თავისებურებანი გომარულში“, „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა“ და სხვ.; არნ. ჩიქობავას „ვინის რეფლექსები ფერეიდნულში“, „გრძელი ხმოვნები მთიულურში“, „გარეკახური დიალექტოლოგიურად“ და რამდენიმე სხვ.


თუ უფროსი ახალგაზრდა მკვლევრები უმთავრესად აღმოსავლეთ საქარ-





თველოს დიალექტების კვლევას ეტანებოდნენ. მომდევნო ახალგაზრდობის წლებში თავრესად დასავლეთ საქართველოს დიალექტების შესწავლას დაეწაფნენ, რის შედეგად გვაქვს უკვე გამოქვეყნებული მთელი რიგი მნიშვნელოვან გამოკვლევათა. თითქმის სავესტით შეუსწავლელი იყო აჭარული დიალექტები: ამის ვრცელი და საკმაოდ სრული სახე გავაყენო მაკ. ხუბუთაშვილმა შრომაში „ზემო აჭარულის ენობრივი მიმოხილვა“ (1932 წ.); ამავე კილოს კიდევ უფრო დაზუსტებული აღწერილობა (გამოკვლევითურთ) მოგვცა ჯ. ნოღაიდელმა (1936—39 წწ.) და სხვ. ქართული დიალექტოლოგია იმდენად მოღონიერდა, რომ იგი სრულიად მართებულად იქცა ქართული ლინგვისტიკის მნიშვნელოვან დისციპლინად: თუ უფროსი თაობა კმაყოფილდებოდა იმით, რომ მოცულობით პატარა (მართალია, შინაარსით ფუძემდებელ) შრომაში წარმოედგინა სპეციალური დიალექტური საკითხების დამუშავება, დღეს უკვე ჩვეულებრივია ამგვარი შრომების ისეთი სისრულითა და მოცულობით გაფორმება, რომ მათმა უმრავლესობამ სადისციპლინაციო მოთხოვნილება კი დააკმაყოფილა. ასეთია, მაგ., ს. ქლენტიის ვრცელი გამოკვლევა „გურული კილო“ (1936 წ.), ჯ. ნოღაიდელის ხსენებული შრომა, ვლ. ფანჩვიძის „იმერული კილო“, კ. გუგუშვილის „მოხუთი კილო“ და სხვ. შრომათა ამ რიგს ეკუთვნის გამოკვლევები შ. ძიძიგურისა, რომელმაც მოგვცა პირველი გაშლილი „კლასიფიკაცია ქართული კილოებისა“ (1935 წ.) და დაადგინა ცალკეულ გამოკვლევებში („მთარაჭულის ძირითადი თავისებურებანი“, 1938 წ., „ქვემო იმერულის დახასიათება“, 1939 წ. და სხვ.), რიგ მოვლენათა მნიშვნელოვანი გავება (მთარაჭულის არქაულობა და აღმოსავლურ კილოებთან მისი სიახლოვე, მესხურის შერეულ-ბუნებრიანობა და სხვ.). ენერგიულად იკვლევა აგრეთვე სპეციალური მოვლენებიც, აქვე საჭიროდ მიმაჩნია დავასახელო ასპ. ბ. ფოჩხუას საყურადღებო შრომა ასიმილაციის შესახებ ქართულის დასავლურ კილოებში (1939 წ.), რომელშიც დაზუსტებული და შევსებულია ი. ყიფშიძის ცნობილი გამოკვლევა („ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“, 1919 წ.); თანხმობანთა პროგრესული ასიმილაცია იმდენად ყოფილა გავრცელებული დასავლურ კილოებში, რომ იგი შესაძლოა გამოდგეს ქართული კილოების ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად.

ჩვენი ლინგვისტების მომდევნო და მომდევნო თაობები (ასპირანტებისა და უფროსი კურსის სტუდენტების სახით) ისეთი სერიოზულობითა და ენთუზიაზმით ეწაფებიან დიალექტოლოგიურ კვლევას, რომ სრულიად რეალურად უნდა ჩაითვალოს ის პერსპექტივები, რომლებიც დასახული აქვთ ჩვენს ენათმეცნიერებს ამ მიმართულებით, სახელდობრ, ქართული ენის დიალექტოლოგიური რუკის შედგენა ახლო მომავალში; მას უეჭველია მოჰყვება სხვა ენებისაც. შეიძლება უფრო შორეული პერსპექტივაც იქნას ამთავითვე გათვალისწინებული: ვგულისხმობ ისტორიულ-დიალექტოლოგიურ რუკას. არც ეს პერსპექტივა იქნება რეალურ საფუძველს მოკლებული, უკეთეს ჩვენი დიალექტოლოგები გააგრძელებენ იმ ტრადიციას, რომელიც შეიქმნა ჩვენში ხანმეტი და ჰემეტი ტექსტების კვლევასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ), რასაკვირველია, არა მხოლოდ ამ (მართალია, მნიშვნელოვან) მოვლენათა მიმართ; უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ენის ისტორიას, რომელიც, სამწუხაროდ, მთლიანი სახით ჯერ-



ჯერობით მხოლოდ პროექტშია, ჰქმნიდა არა ერთი და ორი ათეული წელიწადი, ალბათ, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პროცესი, რომელთა შემზრუნველად და სათანადო კვალიფიკაციას ყველაზე მეტად გააადვილებს დიალექტოლოგიური (და ქართველურ ენათა შედარებითი) კვლევა. ამგვარი კვლევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ნაშრომებს, როგორცაა, მაგ., არნ. ჩიქობავას „დიალექტიზმები ვეფხვისტყაოსანში“ (1937 წ.), და თ. გონიაშვილის „დიალექტიზმები ადიშის სახარებაში“ (დისერტაცია, 1938 წ.).

ქართველურ ენათა შესწავლის სახელოვანი პერიოდი ამით არ შემოფარგლულა ამ ოცი წლის მანძილზე: გზადაგზა იკვლეოდა სვანური და ზანური ენები (ეს მეორე ტერმინი, არნ. ჩიქობავას მიერ მართებულად დადგენილი. საერთო სახელწოდებაა მეგრულ-ქანური ერთი ენისათვის; ამიერიდან მეგრული და ქანური უნდა გავგებულ იქნას როგორც ზანური ენის ორი დიალექტი). განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ამ მიმართულებით მუშაობა ენიმკის სათანადო განყოფილებებში 1936 წლიდან. გარდა იმისა, რომ თვით ქართული ენის კვლევისას მოზიდულ იქნა საოპერაციო მასალები სვანურისა და ზანური ენებიდან, ურმოლსიოდ, თავისთავად ცხადია, ქართულის კვლევა ძველი მეტოდებით მუშაობას დაემსავაგებოდა. — გაცხოველდა ქართულის ამ უახლოესად მონათესავე ენათა ცალკეული მოვლენების საფუძვლიანი შესწავლა და ტექსტების სისტემატური ჩაწერა, დამუშავება და გამოქვეყნება: დაიწყო და მტკიცე ნიადაგზე დადგა ამ ენათა დიალექტოლოგიური შესწავლაც კი. ასეთი მუშაობის შედეგად მივიღეთ მნიშვნელოვან გამოკვლევათა და ტექსტების საინიშნო გამოცემათა რიგი. განსაკუთრებით სვანური ენისა და ქანურისათვის. ა. შანიძის მონოგრაფია „უმლაუტი სვანურში“ ამ მხრივ ჰემმარტად სასიგნალო გამოკვლევად მოველინა ენათმეცნიერთა მომდევნო თაობას. დღეს უკვე, ისეთი, აგრეთვე ფუძემდებელი, შრომების შემდეგ, როგორცაა ი. ყიფშიძის ხსენებული შრომა, ვ. თოფურიას „სვანური ენა I. ზმნა“ (1931 წ.) და ა. ჩიქობავას „ქანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936 წ.), თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სვანურისა და ზანურის მეცნიერულ შესწავლას უკვე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი; თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ შეგროვილია, დამუშავებული და გამოცემული ამ ენების მდიდარი ტექსტუალური მასალა და გამოკვლეულია სპეციალურ შრომებში ამ ენათა ცალკეული მოვლენები (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, მ. ხუბუა, ს. ყლენტი და სხვ.), გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თითქმის დღესაც, მაგრამ ახლო მომავალში მაინც, ქართველური ენათმეცნიერება უნდა წარმოიდგინებოდეს სამი მძლავრი დისციპლინის სახით: ქართულისა, სვანურისა და ზანური ენათმეცნიერების სახით.

აქ ვერ შევუდგებით ცალკეულ ქართველურ ენათა კვლევის შედეგად გამოქვეყნებულ ნაშრომთა აღნუსხვასა და მათ დაფასებას, (მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ სვანური ენიდან ა. შანიძეს და ვ. თოფურიას, ზანურიდან — არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ს. ყლენტს, მ. ხუბუას; გამოქვეყნებულია მდიდარი ტექსტები ამავე მკვლევარებისა: სვანურისა — მ. გუჯეჯიანის მონაწილეობით და სხვ.). მაგრამ არ შეიძლება სინამდვილეში გვერდი ავუაროთ ჩვენი ქართველოლოგიის ზოგიერთ ნაკლსაც. ბირვე-



ლი გამოიხატება, გარდა ქართული ენის ისტორიული გრამატიკის უქონლობისა, აგრეთვე ქართველურ ენათა შედარებითი უქონლობაში. ამ ხარვეზებს — როგორც ერთს, ისე მეორის მიმართ — მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს ცალკეულ საკითხთა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ა. შანიძისა, არნ. ჩიქობავასი, ვ. თოფურიასი და რამდენიმე სხვისა (იხ. ზემოთ). მეორე და მესამე ნაკლი ისაა, რომ არ გვაქვს ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი, ცალკეულ ქართველურ ენათა აღწერილობითი ლექსიკონები — სრული არც თვით ქართული ენისა — და ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი; გვაქვს მხოლოდ არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ (1938 წ.), რომელიც, მართალია, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მიღწევაა ჩვენი ენათმეცნიერებისათვის. ლექსიკონი შემოფარგლულია ისეთი თემატიკით, რომელიც მეტ მასალას იძლევა შედარებისათვის (სახელები ნათესაური ურთიერთობისა, ადამიანის სხეულის ნაწილთა, ცხოველების, ფრინველების, მცენარეულობათა, შენობათა..., რიცხვისა და სხვადასხვა); შედარების შედეგად მიღებულია ქართველურ ენათა განვითარებისა და მათი ურთიერთ დამოკიდებულების ისტორიის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები (ზანური ენის მონოლითურობა, მეგრულისა და ჭანურის კილოზობრიობა, ჭანური კილოს მეტი ცვალებადობა და სხვ.); დადგენილია მრავალი ფონეტიკური შესატყვისობა, ზანურში გამოძვლავებული ნივთის კატეგორიის თავსართები და სხვა... ეს ღირსშესანიშნავი მიღწევა ძალას აძლევს და სურვილს უღვიძებს ჩვენს ენათმეცნიერებს ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერებისათვის. ჩვენმა ენათმეცნიერებმა არა ერთა და ორი მალაღლი ღირსების გამოკვლევით დაამტკიცეს, რომ ამის ძალა მათ შესწევთ...

ქართველურ ენათა შედარებით-ეტიმოლოგიურ სალექსიკოლოგიო მუშაობას დიდად შეუწყობს ხელს „აკად. ნ. მარის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც დამუშავდა ენიმკი-ში და დასაბეჭდად მზადდება.

შეგზერდები ქართული ენის ლექსიკოლოგიაზე. აქაც არაა ცოტა ვაკეთებული, მეტადრე იმის შემდეგ, რაც სალექსიკოლოგიო მუშაობა ენიმკი-ში გაიშალა ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით; მაგრამ ეს უბანი შედარებით მაინც ჩამორჩენილად შეიძლება ჩაითვალოს, სანამ არ გვაქვს სრული განმარტებითი ქართული ლექსიკონი.

ჯერ კიდევ 1928 წელს ახლად გამოიცა სახელოვანი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ — ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით; ზედმეტია ამ ლექსიკონის მნიშვნელობაზე ლაპარაკი — როგორც საენათმეცნიერო კვლევისა, ისე პრაქტიკული მუშაობისათვის. საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე 1937 წ. უნივერსიტეტის მიერ გამოცემულმა „რუსულ-ქართულმა ლექსიკონმა“; მის შედგენაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა ენათმეცნიერებმა. დაიბეჭდა აგრეთვე უცხოურ სიტყვათა ლექსიკონები (1928, 1937 წწ.).

ფართო ლექსიკოლოგიურა მუშაობა გაიშალა ენიმკი-ში, პირველ რიგში ქართულ განმარტებით ლექსიკონზე, რომლის უდიდესი ნაწილი უკვე დამთავ-

რებულისა და რომელსაც მთლიანი სახით მახლობელ ხანში გამოსცემს ენციკლიკე დამუშავდა და გამოიცა რუსულ-ქართული სასკოლო ლექსიკონი (ვ. თოფურია და ს. კახუხჩიშვილი). ლათინურ-ქართული ლექსიკონი (ს. ყაუხჩიშვილი) და იბეჭდება ქართულ-რუსული (გ. ანვლიდიანი და ვ. თოფურია); დაიბეჭდა რამდენიმე დილექტური (გურული, ზემო-იმერული და ლეჩხუმური) ლექსიკონი; დამზადებულია ქართლურისა და რამდენიმე სხვა დიალექტის ლექსიკონები. ყველა ეს ის მასალაა, რომელიც მიემატება განმარტების ლექსიკონს. იქვე დამუშავებულია ლექსიკოლოგიის პრინციპები (შ. ძიძიგური), რაც თავისთავად საყურადღებო შრომას წარმოადგენს. მიზდინარეობს მუშაობა სრული უცხოურ სიტყვათა ლექსიკონის შედგენისათვის.

უდიდესი საქმეა ვაკეთებული საქართველოს ენათმეცნიერთა და ფილოლოგთა მიერ თითქმის ყველა დარგის სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების სახით — რასაკვირველია, სათანადო სპეციალისტების (მათემატიკოსების, ტექნიკოსებისა, მედიკებისა და სხვ.) დახმარებით, დაწყებული ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით და გაგრძელებული კ. კეკელიძისა და ვ. ბერიძის ხელმძღვანელობით. ტერმინოლოგიის შექმნაზე მუშაობა არ შეწყვეტილა დღემდის.

იმთავითვე კარგად იყო გათვალისწინებული, თუ რადიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს საერთოდ ტერმინოლოგიისა და, კერძოდ, სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენას საყოველთაო-სავალდებულო სახმარებლად. 1924 წლამდის ეს მუშაობა ევალებოდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს (თავმჯდ. ი. ჯავახიშვილი, შემდეგ კ. კეკელიძე), ხოლო ამის შემდეგ სპეციალური კომიტეტს (თავმჯდ. ფ. მახარაძე) ლექსიკოლოგ-ენათმეცნიერის პროფ. ვ. ბერიძის უშუალო ხელმძღვანელობით. დღესაც, როცა კომიტეტი უკვე გაუქმებულია, ვ. ბერიძე წარმატებით ხელმძღვანელობს ამ საქმეს ენიკის სათანადო განყოფილებაში (კომიტეტმა დიდი მუშაობა შეასრულა ჩვენ ენათმეცნიერთა (იხ. ზემოთ) და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა (პროფ. გ. ნიკოლასძე, რ. ნიკოლასძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. დიდებულაძე, ვ. კაკაბაძე, გ. გედევანიშვილი და სხვ.) ამ საქმეში ჩაბმით, არსებული (ტექნიკოსთა „სიტყვარის“ და კერძო პირთა შედგენილი) ტერმინოლოგიების კრიტიკულად გამოყენებით და სწორი სატერმინოლოგიო პრინციპების დადგენით და მის საფუძველზე ძირითადი დარგებისათვის სავალდებულო სახმარებლად ტერმინოლოგიის შექმნით. თუ რა მძიმე და საპასუხისმგებელია ეს საქმე, იცის მხოლოდ მან, ვისაც უმუშავნია მასზე ენობრივად: ლექსიკური მასალა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ამათუიმ მეცნიერების განსაზღვრულ ცნებას; მეცნიერება და, საერთოდ, ტერმინის მომხმარებელი (სკოლა, დაწესებულება, ესათუის პროფესია...) მოითხოვს ისეთ სიტყვას, რომელიც „ზედგამოჭრილია“ ცნებისათვის და ამასთანავე შეეთანხმება ქართული ენის ფორმებსა და ქართულად აზროვნებას; ე. წ. ინტერნაციონალურ ტერმინოლოგიას ზომიერად უნდა ჰქონდეს ვასნისი გზა. ქართული სიტყვის სისწორე (თანამედროვე ქართულის ნორმებით), წარმოთქმის ეკონომიურობა და ცნებისათვის მისი ზედგამოჭრილობა. — ამ საფუძველზე აეგო ქართული ტერმინოლოგია, რომელიც თავის დროზე მიეცა სკოლას, მეცნიერებას და საერთოდ პრაქტიკას.



უკვე დაბეჭდილია მათემატიკისა, ფიზიკისა, მედიცინისა, ენათმეცნიერებისა, სალიტერატურო, ტექნიკური, მეცნიერების, ენტომოლოგიის და რამდენიმე სხვა ტერმინოლოგია; იბეჭდება გეოლოგიის, მინერალოგიისა და მათემატიკის (ხელახლა) და დაშავებულია ან მზადდება დასაბეჭდად მრავალი სხვა დარგისა. ანუ რომ მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს ძირითადი დარგები სავსებით დაკმაყოფილებული იქნება ტერმინოლოგიით; სატერმინოლოგიო მუშაობა გარძელდება შემდეგშიც შექმნილია გასაუმჯობესებლად, მუდამ განვითარების პროცესში მყოფი მეცნიერებისა, ტექნიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მხრივ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და საერთო უნიფიცირებულ ტერმინოლოგიური ლექსიკონის შესადგენად.

არა ნაკლები საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო — თუ მეტის არა, სალიტერატურო ქართული ნორმების დადგენა: გაეროვნებულმა სკოლამ და მთელი ერის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების ქართული, ენით მომსახურების განმტკიცებამ გადაუდებელი ამოცანა დასვა საქართველოს ენათმეცნიერთა და ფილოლოგთა წინაშე — მტკიცე ნორმების დადგენა სალიტერატურო ქართულისათვის, რომელშიც უმისოდ დამკვიდრებას ლაშობდა ბევრი რამ უმართებულო მოვლენა. და ჩვენი ენათმეცნიერები სრული პასუხისმგებლობის შეგნებით ჩაებნენ ამ საქმეშიც. ორჯანიზაციულად ეს დაუჯავშირდა სატერმინოლოგიო მუშაობას საგანგებო კომისიის სახით, და უკვე 1921 წელს დაბეჭდა „სალიტერატურო ქართულისათვის“; მუშაობა გრძელდება და მეტადრე გაფართოვდა და გაძლიერდა იმის შემდეგ, რაც ამ საკითხების გარშემო გაიშალა სათანადო კვლევითი მუშაობა. დამუშავდა ძირითადი პრინციპები სალიტერატურო ქართულის ნორმათა დადგენისათვის და სპეციალურ გამოკვლევითა რიგი ცალკეულ მოსაწესრიგებელ საკითხთა შესახებ, ხოლო მათ საფუძველზე დადგენილი ნორმები მიეწოდა მასიურ მომხმარებელს სავალდებულო სახელმძღვანელოდ — 1932 წლიდან ნაკვეთების სახით სერიაში „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“, ხოლო 1936 წელს უნივერსიტეტმა გამოსცა ისინი ერთ წიგნად „სალიტერატურო ქართული ნორმების“ (!) სახით. რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაიწერა ჩვენი ენათმეცნიერების მიერ დასანორმირებელ საკითხთა გამო (არნ. ჩიქობავასი, ა. შანიძისა, ვ. თოფურისა, ს. ჯანაშიასი, ს. ყაუხჩიშვილისა, ს. იორდანიშვილისა და სხვათა). შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ეს საქმეც მოგვარებულია: მხოლოდ ცალკეული-ღა საკითხები თუ წამოიჭრება ამის შემდეგ, რისთვისაც ენიკი-სთან არსებობს მუდმივი სათანადო კომისია. დიდი მუშაობაა ჩატარებული ვ. თოფურისა და ვ. გივინეიშვილის მიერ ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონზე, რომელიც უკვე იბეჭდება. როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, ენათმეცნიერების განვითარების პირველი პერიოდი საკმაოდ მრავალმხრივი და უეჭველად ნაყოფიერია. ეს პერიოდია, როგორც ვთქვით, ქართულ და ქართველურ ენათა შესწავლის პერიოდი, რომელიც კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით და ფართოდ გრძელდება დღემდის. ამ პერიოდის ბოლო წლებში ჩაისახა ჩვენში კავკასიური ენათმეცნიერება, ე. ი. ქართველურის გარდა, სხვა კავკასიურ ენათა მეცნიერული შესწავლა — გარკვეული მიზანდასახულობით, სისტემატურად და ორ-

განიზებულად. ჯერ კიდევ ა. შანიძის შესწავლის საგნად იქცა ზოგიერთი კავკასიური ენა (წოვა-თუშური და აფხაზური), რასაც იგი სპორადიულად იყენებს თავის ქართველოლოგიურ გამოკვლევებში; ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“, რომელიც მხოლოდ 1937 წელს გამოქვეყნდა, წარმოადგენს ერთპიროვნული ხანგრძლივი მუშაობის შედეგს. კავკასიური ენათმეცნიერება შემოხსენებული აზრით იწყება ჩვენს უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა კათედრასა და ენიმკი-ს კავკასიურ ენათა განყოფილებაში სათანადო კადრების მომზადებისა და გეგმა-მეწონილი მუშაობის დაწყებასთან ერთად — არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით. უკვე 1933 წლიდანვე გაჩაღდა უნივერსიტეტში ენერგიული მუშაობა აფხაზურში (ს. ჯანაშია), ლაკურში (გ. თოფურია), ბაცურში (ა. შანიძე) და ხუნძურში (ა. ჩიქობავა). ხოლო 1936 წლიდან, როცა ენიმკი-ში შეიქმნა კავკასიურ ენათა განყოფილება, მუშაობა გაფართოვდა როგორც უნივერსიტეტში, ისე განსაკუთრებით ენიმკი-ში. დღეს უკვე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს სხვა კავკასიურ ენებზეც ახლად მომზადებული კადრების მიმატებით: სახელდობრ: ადიღურზე (დოც. გ. როგავა), აფხაზურზე (ს. ჯანაშია და დოც. ქ. ლომთათიძე), უდურსა და ბუდუხურზე (დოც. ვლ. ფანგიძე), ჩაჩურზე (დოც. თ. გონიაშვილი), ლაკურსა და ხუნძურზე (გ. თოფურია, ა. ჩიქობავა). კვლევის წრე კიდევ უფრო ფართოვდება კვალიფიციურ მუშაკთა რიცხვის ზრდასთან ერთად. ასპირანტებმა შ. გაფრინდაშვილმა (ინგუშური) და დ. იმნაიშვილმა (დარგული) უკვე სადისერტაციო შრომები წარმოადგინეს თავიანთი საკვლევი ენებიდან, ხოლო მეორე კურსის ასპირანტები: ქ. მიქელაძე (ყაბარდოული), რ. გაგუა (ბაცური), ე. ლომთაძე (კაბუჭური), და პირველისა — ევგ. ჯეირანაშვილი (უდური) წარმატებით ემზადებიან თავთავიანთ სპეციალობაში.

უკვე აქედან ჩანს, თუ როგორი ფართო გაქანება მისცა კავკასოლოგიას ჩვენში უნივერსიტეტის კათედრამ და ენიმკი-ს განყოფილებამ.

კავკასიურ ენათა შესწავლას ჩვენში იმთავითვე გარკვეული მიზანი დაესახა, რომლის განხორციელებისათვის მან სავსებით მართებული გზა მონახა: კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლა ქართველურ ენებთან ურთიერთობის თვალსაზრისით — ჩვენი კულტურის გენეზისის ასპექტში. — ეს მიზნად დაედო მას: კავკასიურ ენათა დიალექტობრივ ყოველმხრივი შესწავლა და ამ ენებზე XVIII და XIX სს. ჩანაწერთა (უფრო ადრინდელი ძეგლები მათ არა აქვთ) ანალიზი ისტორიული პერსპექტივის გასათვალისწინებლად. — ეს ის გზაა, რომლითაც დაცულ იქნება თითოეული კავკასიური ენის შესწავლის თავისთავადობა და მიღწეული იქნება დასახული მიზანი.

ძირითადი პრობლემა, რომლის პირველ რიგში გადაჭრა მიზნად დაისახა ჩვენმა კავკასოლოგიამ, არის ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა კავკასიურ ენებში, რომელიც დაკავშირებულია სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების სისტემის ძირითად საკითხებთან. სრულიად თანამიმდევრულად, ამ ძირითად პრობლემაზე მუშაობისას, კავკასოლოგთა ყურადღების ცენტრში დაისვა ამ ენათა სტრუქტურის საკითხები; მათი ბგერითი შედგენილობისა და



ფონეტიკურ კანონზომიერებათა რკვევა აუცილებელ საშუალებად აღიქვამება. ამ ენების სტრუქტურის შესწავლისას და გენეტიურ-ისტორიული ურთიერთობის კვლევა-ძიებისას.

ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობის შედეგად შესრულებულია რამდენიმე ათეული თემა, რომელთაგან უმრავლესობა ვაფორმებულია შრომის სახით და ან გამოქვეყნებულია უკვე (12 გამოკვლევა), ან დასაბეჭდად გადაცემული (15), ხოლო დანარჩენები მზადდება სასტამბოდ. გარდა ამისა დამზადებულია საუნივერსიტეტო ქრესტომათიები აფხაზურისა, ხუნძურისა და უღურისათვის ხსენებული სპეციალისტების მიერ.

კავკასოლოგთა გეგმიანი კოლექტიური კვლევის უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები მოკლედ ასეთია: არნ. ჩიქობავას მიერ წამოყენებული დებულების — ერგატიული კონსტრუქციის ნეიტრალური ბუნების შესახებ — დამუშავებამ (თვით მისვე მიერ ხუნძურში, ქ. ლომთათიძის მიერ აფხაზურში და ვლ. ფანჩვიძის მიერ უღურში) ცხადყო, რომ სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი კონცეფცია — ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის შესახებ — არ დასტურდება არც ზმნის უღვლილებისა და არც სახელთა ბრუნების ჩვენებით. მოქმედებითი და ვნებითი გვარის განუსხვავებლობა კავკასიურ ენათა უმეტესობაში ნიშანდობლივი ფაქტია ზმნის ფუძის ნეიტრალურობის თვალსაზრისით. ნეიტრალური ფუძე შეიძლება ვახდეს აქტიური, რისგანაც იწარმოება ვნებითი, მაგრამ ეს უკვე მეორეული პროცესია.

ასევე მნიშვნელოვანია კავკასიურ ენათა სტრუქტურის შესწავლის შედეგები: 1) დადგენილია (ქ. ლომთათიძის მიერ: „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“), ფინიტური და ინფინიტური კატეგორიები აფხაზურ ზმნაში; 2) დადასტურებულია (მისვე მიერ) ადილუური ორი ძირითადი ბრუნვის შესაბამისი პრეფიქსები აფხაზური ზმნის უღვლილებაში; 3) განხილულია და თავისებურად ინტერპრეტირებული (გ. როგავას მიერ) ადილუური ბრუნება; 4) გაანალიზებულია სახელთა გრამატიკული კლასების ევოლუცია ლაკურში (გ. თოფურიამ), ბუღუხურში (ვლ. ფანჩვიძე) და ხუნძურში (არნ. ჩიქობავა), და ძირითად კლასებად კავკასიური ენებისათვის მიჩნეულია ადამიანთა და ნივთთა კლასები (გ. თოფურიამ, არნ. ჩიქობავა, შ. გაფრინდაშვილი); 5) დადასტურებულია (არნ. ჩიქობავას მიერ) ქართველურ ენათა ნაწარმოებ სახელებში ორი კლასი მაწარმებელი პრეფიქსებისა — ადამიანისა და ნივთის კლასისა, რითაც, სხვათაშორის, შელანდება ქართველურ ენათა გენეტიურ-ისტორიული სიახლოვე სხვა კავკასიურ ენებთან.

ამ ბოლო დებულებასთან დაკავშირებით აღენიშნავ იმ სანიმუშო თანმიმდევრობობას, რომელსაც ატარებს არნ. ჩიქობავა თავის მრავალ გამოკვლევაში ქართველურისა და სხვა კავკასიური ენების სიახლოვის ისტორიული პერსპექტივის ფონზე — დაწყებული ჯერ კიდევ თავისი „მარტივ წინადადების პრობლემით“ (1928 წ.), საიდანაც, არსებითად იწყება ერგატიული კონსტრუქციის რკვევა მის მიერ, — მაშინ ქართული ენის მასალაზე, ხოლო შემდეგ კავკასიურ ენების მონაცემთა გათვალისწინებითა და მოშველიებით, რასაც თავის მხრივ უმნიშვნელოვანესი შედეგები ექნება (და აქვს კიდევაც) როგორც ქართველურ, ისე სხვა კავკასიურ ენათა ისტორიულად შესწავლაში.

ამ მიზნით შესრულებულია არნ. ჩიქობავას მიერ მთელი რიგი პირველხარისხოვან გამოკვლევათა („ზმნის პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში...“ „ხუნძური ნაცვალსახელის ბუნებისათვის“; „ერგატივის წარმოების ასტორიიდან ხუნძურში“; „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში“; „მოთხრობითი ბრუნვის ერთი ვარიანტი სვანურში...“ და რამდენიმე სხვა).

ქართველურ ენებში გრამატიკული კლასების კვალის შემჩნევასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავამ დასწერა ვრცელი გამოკვლევა „ფუძეთა უძველესი შედგენილობა ქართველურ ენებში: I. ფუძის დეტერმინანტები. II. გრამატიკული კლასები: გრამატიკული კლასები პრეფიქსებით გადმოიცემოდა; სუფიქსები. რომელთაც ზოგჯერ გრამატიკული სქესის გაქვევებულ ნიშნად სთვლიდნენ, ფუძის დეტერმინანტია, სახელის ზმნისაგან განმასხვავებელი—განვითარების გარკვეულ საფეხურზე.

